

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

"ეკონომიკა – XXI საუკუნე"

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი
საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტკონფერენციის
მასალების კრებული

ეკონომიკური უსაფრთხოების
გლობალური და ეროვნული პრობლემები

"ECONOMY – XXI CENTURY"

Proceedings of Materials

of International Scientific Internet Conference

Dedicated to the 100th anniversary of Tbilisi State University by Ivane Javakhishvili

GLOBAL AND NATIONAL PROBLEMS OF ECONOMIC SECURITY

თბილისი Tbilisi

2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი
საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტკონფერენციის
მასალების კრებული

ეკონომიკური უსაფრთხოების
გლობალური და ეროვნული პრობლემები
(1 ნოემბერი – 28 დეკემბერი)

**Proceedings of Materials
of International Scientific Conference
Dedicated to the 100th anniversary of Tbilisi State University by Ivane Javakhishvili**

**GLOBAL AND NATIONAL PROBLEMS OF
ECONOMIC SECURITY
(November 1 – December 28)**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

**PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE
OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY**

თბილისი Tbilisi
2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში 2018 წელს გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტკონფერენციაზე წარდგენილი მასალები

Materials presented at the international scientific internet conference held at Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2018

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია: რ. აბესაძე (მთავარი რედაქტორი), თ. არნანია-კეპულაძე, რ. ასათიანი, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), თ. გოგოხია, ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ე. კაკულია, მ. კვარაცხელია, ალ. კურატაშვილი, თ. ლაზარაშვილი, ს. პავლიაშვილი, ვლ. პაპავა, ს. პარტიცკი, ა. სილაგაძე, დ. სოროკინი, ქ. ქველაძე, ნ. ხადური, მ. ხუსკივაძე

Scientific-editorial Board: R. Abesadze (Editor-in-Chief), T. Arnanian-Kepuladze, R. Asatiani, N. Bibilashvili (Executive Secretary), L. Datunashvili, G. Erkomaishvili, T. Gogokhia, E. Kakulia, K. Kveladze, N. Khaduri, M. Khuskivadze, Al. Kuratashvili, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, V. Papava, S. Partycki, S. Pavliashvili, A. Silagadze, D. Sorokin

რეცენზენტები: ემდ ვ. ბურდული
ემდ გ. ბერულავა

Reviewers: Doctor of Economic Sciences V. Burduli
Doctor of Economic Sciences G. Berulava

კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფი:
თ. გოგოხია (ხელმძღვანელი), გ. გოგუაძე, ნ. კედია
Organizing Group of the Conference:
T. Gogokhia (Head), G. Gogvadze, N. Kedia

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2018

© IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS, 2018

E ISSN 2587 - 4691

გლობალური ეკონომიკური უსაფრთხოება

ანოტაცია. ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება დიდადაა დამოკიდებული მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე პროცესებზე, კერძოდ, გლობალურ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. გლობალური ეკონომიკური უსაფრთხოება ნიშნავს მსოფლიო ეკონომიკის უსაფრთხოების უზრუნველყოფას მოსალონდელი როგორც ეკონომიკური, ისე გარე საფრთხეებისაგან.

შესავალი

ეკონომიკური უსაფრთხოება მუდმივი პროცესია, რომელსაც უნდა უზუნველყოფდეს ცალკეული ეროვნული სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციები. თანამედროვე ეტაპზე გლობალური არაეკონომიკური საფრთხეებია: მესამე მსოფლიო ომი; მშვიდობისდაცვა; განიარაღება და შეიარაღებაზე კონტროლის დაწესება; განვითარებადი ქვეყნების პრობლემები; დემოგრაფიული პრობლემები; ადამიანისეული პოტენციალის განვითარების პრობლემა; მსოფლიო ოკეანის პრობლემა; ატმოსფეროს დაბინძურება; კლიმატის ცვლილება; კოსმოსის ათვისების პრობლემა; საერთაშორისო ტერორიზმი; ნარკობიზნესი; ეთნო პოლიტიკური კონფლიქტები; ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვა; კულტურულ მრავალფეროვნებათა შენარჩუნება; არქტიკისა და ანტარქტიკის ათვისება; კიბერუსაფრთხოება და სხვ. ეკონომიკური ხასიათის გლობალური საფრთხეებია: ეკონომიკური კრიზისები; ენერგეტიკული პრობლემა; სიღარიბის პრობლემა; სასურსათო პრობლემა; რესურსების ამოწურვის პრობლემა.

* * *

ვინაიდან თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკაზე, გარდა ეკონომიკურისა, გავლენას ახდენს გარე ფაქტორებიც, გლობალური ეკონომიკური უსაფრთხოება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გლობალურ უსაფრთხოებაზე, რომელიც თავისთავად ნიშნავს უსაფრთხოების უზრუნველყოფას დედამიწაზე ცხოვრების პირობების გაუარესებისაგან ან საერთოდ კაცობრიობის განადგურებისაგან. გლობალურ უსაფრთხოების პრობლემები ეხება მთელ კაცობრიობას, ყველა სახელმწიფოსა და თითოეულ ადამიანს. ამ თვალსაზრისით ძირითადი გლობალური საფრთხეებია:

1. მესამე მსოფლიო ომი, მშვიდობის დაცვა, განიარაღება და შეიარაღებაზე კონტროლის დაწესება. დღეისათვის მსოფლიოში დაგროვებულია იმდენი რაოდენობის მასობრივი განადგურების საშუალება (ბირთვული, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური), რომლის მთელი მასშტაბით ამოქმედება კაცობრიობის არსებობას დიდ საფრხეს უქმნის. დღეისათვის უკვე საუბარია ახალი სახეობის მასიური განადგურების საშუალებების გამოყენებაზე, რომელთა მოქმედება, ხშირ შემთხვევაში აღემატება არსებულს. მაგალითად, ასეთი, ახალ ფიზიკურ პრინციპებზე დაფუძნებული იარაღი შეიძლება იყოს: მიმართული ენერჯის, ლაზერული, ელექტრო-მაგნიტური, ინფრაბგერითი, რადიოსიხშირული, გეოფიზიკური (ტექტონიკური, ეკოლოგიური, კლიმატური, ოზონური), გენეტიკური იარაღი და ა. შ.

ჯერ კიდევ კანტი, თავის ტრაქტატში „მარადიული მშვიდობისათვის“, წერდა: გამანადგურებელი ომი მარადიულ მშვიდობასთან მიგვიყვანს მხოლოდ კაცობრიობის გიგანტურ სასაფლაოზე [Кант. И. 1989.]. ამიტომ ის მოითხოვდა ომის აკრძალვას.

პირველმა და მეორე მსოფლიო ომმა დაადასტურა ამ სიტყვების სიმართლე, რამაც სტიმული მისცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნას. ამ ორგანიზაციის მთავარი მისიაა სამხედრო-პოლიტიკური უსაფრთხოების დაცვა. მაგრამ დამაბულობა მაინც წარმოიშვა ორ დიდ სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს და მათ ბანაკებს შორის, რომელიც ცნობილია „ცივი ომის“ სახელით. დიდი მასშტაბის ომის თავიდან აცილება, ჩვენი აზრით, კი მოხერხდა ატომური და თერმობირთვული იარაღის გამოყენების შედეგად, ვინაიდან ამ იარაღის მასობრივი ამოქმედებით განადგურდება კაცობრიობა და მოგებული არავინ დარჩება. ცივი ომის დამთავრების შემდეგაც არ დამყარებულა სრული მშვიდობა. მსოფლიოს ამა თუ იმ რეგიონში პერიოდულად იფეთქებს, თუმცა ლოკალური, მაგრამ მნიშვნელოვანი სამხედრო დაპირისპირება, რაც აფერმკრთალებს გლობალიზაციის მონაპოვრებს.

2. განვითარებადი ქვეყნების პრობლემები. ეს არის განვითარებული ქვეყნების განვითარებად ქვეყნებთან ურთიერთობების პრობლემა. ვინაიდან ცხოვრების დონე ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდება, წარმოიშობა სხვადასხვა პრობლემა, რომელთაც აქვთ გლობალური ხასიათი. მაგალითად, განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში მასშტაბური იძულებითი მიგრაცია, საგარეო ვალის გადაუხდელობა, ინფექციური დაავადებების მსოფლიოში გავრცელების საფრთხე და სხვ. განვითარებად ქვეყნებს მიეკუთვნება სახელმწიფოები საბაზრო ეკონომიკით და ეკონომიკური განვითარების შედარებით დაბალი დონით. თუმცა, ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით ამ ჯგუფში შემავალ სახელმწიფოებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა და დღესაც გრძელდება მათი დიფერენციაციის პროცესი.

ყველაზე მძიმე მდგომარეობაა ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, მათთვის დამახასიათებელია მსოფლიოში ცხოვრების ყველაზე დაბალი დონე (შემოსავლების უკიდურესი სიმცირე, სიღარიბე, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები, არადმაკმაყოფილებელი ჯანმრთელობა, არასაკმაო განათლება ან მთლიანად უქონლობა, პატარა ასაკში სიკვდილიანობის მაღალი დონე, სიცოცხლის ხანგრძლივობის ცუდი მაჩვენებლები და ა.შ.). ეკონომიკაში წამყვანი მდგომარეობა უჭირავს მიწათმოქმედების ჩამორჩენილ, მათ შორის, არქაულ ფორმებს. მრეწველობა ძალზე მცირეაა განვითარებული. ამ ქვეყნების ექსპორტში ძირითადად ფიგურირებს ტრადიციული პროდუქცია. ყველაზე მძიმე ეკონომიკური სიტუაცია არის ტროპიკული აფრიკის ქვეყნებში, რაც, უპირველეს ყოვლისა, გაუარესებული ბუნებრივი პირობებისა და არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია.

ბუნებრივია, ეკონომიკურ დონეთა დიდი განსხვავება ქვეყნებს შორის საფრთხეს წარმოადგენს სტაბილიზაციისათვის მსოფლიოში, მათ შორის, ეკონომიკური სტაბილიზაციისათვის. ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციების, განსაკუთრებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალისხმევა მიმართულია ამ პრობლემის აღმოფხვრისაკენ.

3. დემოგრაფიული პრობლემები. ეკონომიკური განვითარებისა და მსოფლიო მოსახლეობის ზრდის პრობლემა მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან მწვავედ დადგა. მეცნიერთა და პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი თვლის, რომ მოსახლეობამ მსოფლიოში კრიტიკულ ზღვარს მიაღწია და საჭიროა მისი შეჩერების გზების გამონახვა. მოსახლეობის ზრდის უარყოფითი მხარეებიდან აღსანიშნავია ის, რომ მოსახლეობის ზრდა მოითხოვს ეკონომიკის შესაბამის ზრდას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს გარემოზე; რადგანაც ბუნებრივი რესურსები შეზღუდულია, მოსახლეობის დაუსრულებელი ზრდის პირობებში, იგი შესაძლებელია საკმარისი არ აღმოჩნდეს

მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ჯერ კიდევ XVIII-XIX საუკუნეების ბრიტანელი ეკონომისტი და დემოგრაფი თომას რობერტ მალთუსი ამტკიცებდა, რომ მოსახლეობის ზრდა გადააჭარბებდა პროდუქციის წარმოების შესაძლებლობებს, რასაც კატასტროფული შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა. დღეისათვის უკვე დგას არაერთი გლობალური პრობლემა რესურსების ამოწურვასთან დაკავშირებით.

მსოფლიოში მოსახლეობის ზრდის პრობლემებს განსაკუთრებული ყურადღება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაეთმო, რადგან ზრდის ტემპები არნახულ სიდიდეს აღწევს. 1972 წელს გარემოს დაცვის პრობლემებისადმი მიძღვნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით ჩატარებულ სტოკჰოლმის კონფერენციაზე მიღებულ დეკლარაციაში გამოთქმულია შემფოთება იმის შესახებ, რომ მოსახლეობის ზრდა წარმოშობს პრობლემებს გარემოს დაცვის უზრუნველყოფის სფეროში და რომ აუცილებელია შესაბამისი ზომების მიღება. მოსახლეობის ზრდის პრობლემებს მიემდგვნა აგრეთვე ბუქარესტისა (1974) და მეხიკოს (1984) საერთაშორისო კონფერენციები, საიდანაც გაისმა მოწოდება იმის შესახებ, რომ იმ ქვეყნებმა, სადაც უკვე იგრძნობა უთანაბრობა მოსახლეობის რიცხოვნობასა და ბუნებრივ რესურსებს შორის, გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები დარღვეული წონასწორობის აღსადგენად. იმავე სულისკვეთებით იყო გამსჭვალული რიო-დე-ჟანეიროს 1992 და კაიროს 1994 წლების გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციებიც. შემდგომაც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ფორუმებზე, არაერთხელ მიეთითა მსოფლიოში მოსახლეობის ზრდის სტაბილიზაციის დიდ მნიშვნელობაზე, მდგრადი ეკონომიკური განვითარების მისაღწევად. კაცობრიობის ორმილიონიანი წლის არსებობის მანძილზე დიდი ხნის განმავლობაში დედამიწის მოსახლეობა ძლიერ მცირე იყო. 12 000 წლის წინ იგი მხოლოდ 5 მილიონ კაცს შეადგენდა, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში კი მხოლოდ 250 მილიონს.

XX საუკუნე დედამიწაზე მოსახლეობის უპრეცედენტო ზრდის საუკუნე იყო, როდესაც მოსახლეობის რიცხოვნობა 1,6 მილიარდიდან 6,1 მილიარდამდე გაიზარდა. ამასთან, თუ პირველი მილიარდით მატებას (1 მილიარდიდან 2 მილიარდამდე) 123 წელი (1804-1927) დასჭირდა, ბოლო მილიარდით მატება მხოლოდ 12 წელიწადში (2005-2017) მოხდა და 7 515 384 153 კაცი შეადგინა [Численность... 2018].

მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდასთან ერთად პრობლემებს წარმოშობს ასევე დედამიწაზე მისი მეტად არათანაბარი განაწილება ტერიტორიების მიხედვით (70 პროცენტზე მეტი მხოლოდ 15 სახელმწიფოზე მოდის), აგრეთვე დიდია განსხვავება მოსახლეობის ზრდის ტემპებს შორის განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. თუ განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის ზრდის კლება შეინიშნება, განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის ზრდის ტემპები ჯერ კიდევ მაღალია, მიუხედავად იმისა, რომ არაერთ ქვეყანაში (ჩინეთი, ინდოეთი, სინგაპური, ტაივანი და ა.შ.) გატარდა ზომები შობადობის შესამცირებლად

მნიშვნელოვანი დემოგრაფიული პრობლემაა ცვლილებები დემოგრაფიულ სტრუქტურაში. თუ დაბალი ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნებში ადგილი აქვს დემოგრაფიულ აფეთქებას, მაღალი ეკონომიკური განვითარების ქვეყნებში იწყება დემოგრაფიული გადასვლა (პოპულაციის სიჩქარის მკვეთრი ზრდის შეცვლა მისი ასევე მკვეთრი შემცირებით), რის შედეგადაც ხდება მოსახლეობის ზრდის სტაბილიზაცია. ამდენად, მოსახლეობის ზრდის პრობლემა საყოველთაო

მსოფლიო პრობლემაა, მაგრამ მისი გადაჭრა თითოეულმა ქვეყანამ ცალკე უნდა მოახერხოს, ვინაიდან ისინი სრულიად განსხვავებული პრობლემების წინაშე დგანან.

ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა მოსახლეობის უზრუნველყოფა სასმელი წყლით. ცალკე უნდა გამოიყოს ენერგეტიკული პრობლემა. გაანგარიშებები უჩვენებს, რომ მოსახლეობის ზრდასთან ერთად მსოფლიოში ენერჯის მოხმარება მის კვადრატჯერ იზრდება.

4. ადამიანისეული პოტენციალის განვითარების პრობლემა. თანამედროვე მსოფლიოში ჯერ კიდევ არსებობს ისეთი ქვეყნები, სადაც განათლების დონე ძალიან დაბალია. რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შეფასებით, დასავლეთ აფრიკაში სწავლების ხანგრძლივობა შეადგენს მხოლოდ 2 წელიწადს, ხოლო ტროპიკულ აფრიკაში 3 წელზე ნაკლებს, აღმოსავლეთ აფრიკაში დაახლოებით 4 წელს. მაშასადამე, მსოფლიოში ჯერ კიდევ არსებობს წერაკითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის პრობლემა. აფრიკასა და სამხრეთ აზიაში წერაკითხვის უცოდინართა რაოდენობა მოზრდილ მოსახლეობაში 40%-ს შეადგენს.

5. გლობალური ეკოლოგიური პრობლემები¹:

1. გეოფონდის განადგურება და გაღარიბება.მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ ბოლო 200 წლის განმავლობაში დაიკარგა 9 000 სახეობის მცენარე და ცხოველი, თანდათან მცირდება სასარგებლო წიაღისეულთა რაოდენობა.

2. მსოფლიო ოკეანის პრობლემა. ძლიერ იზრდება მსოფლიო ოკეანის დაბინძურება ენერგეტიკის, ქიმიური და სამხედრო მრეწველობის პროდუქტებით, რაც ძლიერ საშიშია, რადგანაც ამან შეიძლება გამოიწვიოს წყლისა და საკვები რესურსების შემცირება და ჟანგბადის ბალანსის დარღვევა ატმოსფეროში.

3. ატმოსფეროს დაბინძურება. იზრდება მავნე გამონატყორცნების რაოდენობა და იგი ვრცელდება მთელ ატმოსფეროში და ღებულობს გლობალურ ხასიათს, მჟავე წვიმები დიდ ზარალს აყენებს ტყეს. ასევე გლობალურ ეკონომიურ პრობლემას წარმოადგენს ბუნებრივი ლანდშაფტების ზედაპირების დაბინძურება და დამახინჯება. ოზონის ფენის დარღვევა. ოზონის ფენის დარღვევა ძლზე საშიშია, ვინაიდან იგი იცავს ადამიანებს მომაკვდინებელი ულტრაიისფერი გამოსხივებისაგან. პირველი ასეთი ხვრელი აღმოაჩინეს 1982 წელს. შემდეგ გაირკვა, რომ ოზონის ფენა ნადგურდება თვითმფრინავების, კოსმოსურ ხომალდთა და თანამგზავრთა რეაქტიული ძრავების მიერ.

4. კლიმატის ცვლილება. კლიმატის ცვლილება შეიძლება გამოიწვიოს მზის ნათების, დედამიწის ორბიტისა და ღერძის დახრილობის, ატმოსფეროს გამჭვირვალობის, სათბური გაზების კონცენტრაციის, დედამიწის ზედაპირის ამრეკლი უნარისა და სხვათა ცვლილებებმა. მან შეიძლება გამოიწვიოს გლობალური ნეგატიური მოვლენები: ლანდშაფთა ტენიანობის შემცირება; კლიმატური და მცენარეული ზონების გადაადგილება; ყინულების, მყინვარებისა და მარადი გაყინულობის ლღობა; მსოფლიო ოკეანის დონის აწევა; ოკეანეთა წყლის ცირკულაციის და მთლიანი ჰიდროლოგიური ციკლის დარღვევა დედამიწაზე და სხვ.

5. გარდა ზემოთ მოყვანილი გლობალური უსაფრთხოებისა, მნიშვნელოვანია: საერთაშორისო ტერორიზმი; ნარკობიზნესი; ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები; ადამიანთა უფლებათა და თავისუფლების დაცვა; კულტურულ მრავალფეროვნებათა შენარჩუნება; არქტიკისა და ანტარქტიკის ათვისება; კიბერუსაფრთხოება და SXV.

გლობალური ეკონომიკური უსაფრთხოებიდან აღსანიშნავია:

¹ იქ სადაც მითითება არ არის, მასალა გამოყენებულია ქვემოთ მითითებული ლიტერატურული წყაროებიდან - <https://ria.ru/world/20170915/1504839896.html>

1. **ეკონომიკური კრიზისები.** ეკონომიკური კრიზისი დაკავშირებულია ეკონომიკურ დაქვეითებას, უმუშევრობას, სიღარიბესა და ადამიანთა კეთილდღეობის შემცირებასთან. ის უაღრესად უარყოფითი მოვლენაა. იგი ძირითადად წარმოიშვება ეკონომიკაში რეგრესული პროცესებისაგან, რომელთაც აქვს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ხასიათი. ობიექტური ხასიათისაა ბუნებრივი პირობების გაუარესება, საბაზრო ეკონომიკის ქაოსურობა, საბაზრო ეკონომიკის ჩავარდნები და სხვ. სუბიექტური ხასიათისაა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების დროს დაშვებული შეცდომები. ამდენად, ეკონომიკური კრიზისები თავიდან რომ იქნეს აშორებული, მთავრობამ უნდა შეასრულოს არა მხოლოდ ეკონომიკის ოპერატიული რეგულირების ფუნქცია, არამედ მან უნდა შეაფასოს მოსალოდნელი საფრთხეები და თავიდან აიშოროს ეკონომიკაში რეგრესული პროცესების წარმოშობა ანუ შეასრულოს ეკონომიკის მესაჭის ფუნქცია. ეკონომიკურ კრიზისებს აქვთ გლობალური ხასიათი, ვინაიდან ერთ ქვეყანაში წარმოშობა იწვევს მის გავრცელებას მთელ მსოფლიოში.

2. **რესურსების ამოწურვის პრობლემა.** არააღდგენადი რესურსები მიღევადია და იგი არცთუ შორეულ მომავალში ამოიწურება. არადა, დღევანდელი ბუნებრივი რესურსების მსოფლიო მოხმარების უდიდესი ნაწილი, სწორედ, არააღდგენად რესურსებზე მოდის. აღდგენადი რესურსების მოხმარება კი შეზღუდულია, ვინაიდან იგი უნდა შეესაბამებოდეს ბუნების კვლავწარმოების კანონზომიერებებს, რათა რესურსები საერთოდ არ გავაჩანაგოთ. ამდენად, ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის აუცილებელია ალტერნატიული რესურსების ძიება, რაშიც მსოფლიოში მნიშვნელოვანი წარმატებები არსებობს.

3. **სასურსათო პრობლემა** არის კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი გლობალური პრობლემა. მისი ყველაზე მძიმე შედეგია შიმშილი. უკანასკნელი წლების განმავლობაში შიმშილის მასშტაბები მცირდებოდა, მაგრამ 2017 წლისათვის იგი გაიზარდა და შეადგინა 800 მილიონზე მეტი ადამიანი ანუ მსოფლიო მოსახლეობის 11%. ამის მიზეზია კლიმატის ცვლილება და სამხედრო კონფლიქტების რაოდენობის ზრდა. თანამედროვე მეცნიერების მიღწევები განაპირობებენ სურსათის წარმოების გადიდებას მიწის ნაყოფიერების გადიდების, ზღვებისა და ოკეანეების ბიოლოგიური რესურსების გამოყენების, გენეტიკისა და სელექციის მიღწევათა და პირუტყვის უფრო მწარმოებლური ჯიშთა გამოყვანის და სხვ. საფუძველზე.

4. **სიღარიბის პრობლემა.** იგი წარმოადგენს არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ გლობალურ პრობლემას სიღარიბის დიდი მასშტაბების გამო მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებში. იგი დიდ საფრთხეს წარმოადგენს მდგრადი განვითარებისათვის [Проблема.. 2016]. 2017 წლისათვის მსოფლიოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 7,5 მილიარდი კაცი შეადგინა. აქედან დღეში 1,25 დოლარზე ნაკლები შემოსავალი აქვს 800 მილიონზე მეტ ადამიანს, ხოლო 2,25 დოლარზე ნაკლები – 2,7 მილიარდზე მეტს, ანუ მთელი მოსახლეობის 36 პროცენტს. მსოფლიოს ყველაზე ღარიბ ქვეყნებს (სადაც მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე მხოლოდ 600-დან 1500 დოლარამდე მერყეობს) მიეკუთვნება: ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ბრუნდი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ნიგერია, ვალავი, მოზამბიკა, გვინეა, ტერიტრეა, მადაგასკარი [Самые... 2015].

5. **ენერგეტიკული პრობლემა.** დაკავშირებულია კაცობრიობის სათბობით და ენერგიით უზრუნველყოფასთან. იგი გლობალური პრობლემა გახდა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც დაიწყო ენერგეტიკული კრიზისი ნავთობზე ფასების მკვეთრი ზრდის გამო (14,5-ჯერ 1972-1981 წლებში). კრიზისმა დააჩქარა გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოები და ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვა, რამაც შეამ-

სუბუქა მისი შედეგები. ენერგეტიკული პრობლემა დგას იმის გამო, რომ ენერგორესურსები მიღევადა.

დასკვნები

1. ეკონომიკური უსაფრთხოება მუდმივი პროცესია, რომელსაც უნდა უზუნველყოფდეს ცალკეული ეროვნული სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციები. თანამედროვე ეტაპზე შეიძლება ერთმანეთისაგან განვასხვავოთ არაეკონომიკური და ეკონომიკური ხასიათის გლობალური საფრთხეები.

2. დღეისათვის მსოფლიოში დაგროვებულია იმდენი რაოდენობის მასობრივი განადგურების საშუალება, რომლის მთელი მასშტაბით ამოქმედება ადამიანთა საზოგადოების არსებობას დიდ საფრხეს უქმნის.

3. განვითარებადი ქვეყნების პრობლემები არის განვითარებული ქვეყნების განვითარებად ქვეყნებთან ურთიერთობების პრობლემა. ვინაიდან ცხოვრების დონე მათ შორის ერთმანეთისაგან ძლიერ დანსხვავდება, წარმოიშობა სხვადასხვა პრობლემა, რომელთაც აქვთ გლობალური ხასიათი. მაგალითად, განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში მასშტაბური იძულებითი მიგრაცია, საგარეო ვალის გადაუხდელობა, ინფექციური დაავადებების მსოფლიოში გავრცელების საფრთხე და სხვ.

4. მეცნიერთა და პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი თვლის, რომ მოსახლეობამ მსოფლიოში კრიტიკულ ზღვარს მიაღწია და საჭიროა მისი შეჩერების გზების გამონახვა.

5. თანამედროვე მსოფლიოში ჯერ კიდევ არსებობს ისეთი ქვეყნები, სადაც განათლების დონე ძალიან დაბალია, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას.

6. ძლიერ იზრდება მსოფლიო ოკეანის დაბინძურება ენერგეტიკის, ქიმიური და სამხედრო მრეწველობის პროდუქტებით, რაც ძლიერ საშიშია, რადგანაც ამან შეიძლება გამოიწვიოს წყლისა და საკვები რესურსების ძლიერი შემცირება და ჟანგბადის ბალანსის დარღვევა.

7. იზრდება ატმოსფეროში მავნე გამონატყორცნების რაოდენობა და იგი ვრცელდება მთელ ატმოსფეროში, რაც ღებულობს გლობალურ ხასიათს. მჟავე წვიმები დიდ ზარალს აყენებს ტყეს. ასევე გლობალურ ეკონომიურ პრობლემას წარმოადგენს ბუნებრივი ლანდშაფტების ზედაპირების დაბინძურება და დამახინჯება. ოზონის ფენის დარღვევა.

8. კლიმატის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს გლობალური ნეგატიური მოვლენები: ლანდშაფთა ტენიანობის შემცირება; კლიმატური და მცენარეული ზონების გადაადგილება; ყინულების, მყინვარებისა და მარადი გაყინულობის ლღობა; მსოფლიო ოკეანის დონის აწევა; ოკეანეთა წყლის ცირკულაციის და მთლიანი ჰიდროლოგიური ციკლის დარღვევა დედამიწაზე და სხვ.

9. ეკონომიკური განვითარების გლობალურ საფრთხეებს ასევე წარმოადგენს: საერთაშორისო ტერორიზმი; ნარკობიზნესი; ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები; ადამიანთა უფლებების და თავისუფლების დაცვა; კულტურულ მრავალფეროვნებათა შენარჩუნება; არქტიკისა და ანტარქტიკის ათვისება; კიბერუსაფრთხოება და სხვ.

10. ეკონომიკური კრიზისები თავიდან რომ იქნეს აშორებული, მთავრობამ უნდა შეასრულოს არა მხოლოდ ეკონომიკის ოპერატიული რეგულირების ფუნქცია, არამედ მან უნდა შეაფასოს მოსალოდნელი საფრთხეები და თავიდან აიშოროს ეკონომიკაში რეგრესული პროცესების წარმოშობა, ანუ შეასრულოს ეკონომიკის მესაჭის ფუნქცია.

11. ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის აუცილებელია ალტერნატიული რესურსების ძიება, რაშიც მსოფლიოში მნიშვნელოვანი წარმატებები არსებობს.

12. სიღარიბის პრობლემა წარმოადგენს არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ გლობალურ პრობლემას სიღარიბის დიდი მასშტაბების გამო მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებში. იგი დიდ საფრთხეს წარმოადგენს მდგრადი განვითარებისათვის.

13. სასურსათო უსაფრთხოება არის კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი გლობალური პრობლემა. მისი ყველაზე მძიმე შედეგია შიმშილი. თანამედროვე მეცნიერების მიღწევები განაპირობებენ სურსათის წარმოების გადიდებას მიწის ნაყოფიერების გადიდების, ზღვებისა და ოკეანეების ბიოლოგიური რესურსების გამოყენების, გენეტიკისა და სელექციის მიღწევათა და პირუტყვის უფრო მწარმოებლურ ჯიშთა გამოყვანისა და სხვ. საფუძველზე.

14. ენერგეტიკული უსაფრთხოებადაკავშირებულია კაცობრიობის სათბობით და ენერგიით უზრუნველყოფასთან. იგი გლობალური პრობლემა გახდა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც დაიწყო ენერგეტიკული კრიზისი ნავთობზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. 2018. ეკონომიკური განვითარება. თბ. „უნივერსიტეტის გამომცემლობა“
2. აბესაძე რ. 2017. ეკონომიკური განვითარების თეორია. თბ. „უნივერსიტეტის გამომცემლობა“
3. International security. 2018 https://en.wikipedia.org/wiki/International_security
4. International economic security. 1985. United Nations, General Assembly, 17 December
5. Ананьев А.А. 2011. Международная экономическая безопасность: анализ сущности, подходов и факторов <https://cyberleninka.ru/article/n/mezhdunarodnaya-ekonomicheskaya-bezopasnost-analiz-suschnosti-podhodov-i-faktorov>
6. Всеобъемлющая безопасность и глобальные проблемы <http://scicenter.online/vneshnyaya-politika-scicenter/vseobyemlyuschaya-bezopasnost-globalnyie-36893.html>
7. Глобальная безопасность. 2005. <http://scicenter.online/vneshnyaya-politika-scicenter/globalnaya-bezopasnost-36867.html>
8. Кант. И. 1989. К вечному миру. М.: Московский рабочий
9. Коновалов А. А., Наумов С. А., Колесникова Д. Д. 2018. Киберпреступность как глобальная угроза экономической безопасности: БЕЗОПАСНОСТИ: Виды, особенности, проблемы противодействия <http://rostjournal.ru/?p=2740>
10. Лапина Н. В. 2016. История возникновения науки о международной экономической безопасности государства <https://moluch.ru/conf/econ/archive/217/10923/> (дата обращения: 20.10.2018).
11. Назаренко А. В. 2014. Национальная и международная безопасность: концепции и реалии в XX - начале XXI вв. (Историко-политологический анализ). <http://www.dslib.net/politinstituty/nacionalnaja-i-mezhdunarodnaja-bezopasnost-koncepcii-i-realii-v-xx-nachale-xxi-vv.html>
12. От международной к глобальной безопасности Главная <http://dfnc.ru/arhiv-zhurnalov/c129-2012-1-18/ot-mezhdunarodnoj-k-globalnoj-bezopasnosti/>
13. Самые бедные страны мира. 2015 <http://hochusvalit.com/khochu-svalit/samye-bednye-strany-mira>
14. Проблема безопасности и мира, как центральная глобальная проблемаю 2015. <https://textbooks.studio/mirovaya-ekonomika-uchebnik/problema-bezopasnosti-mira-kak-tsentralnaya-25762.html>
15. Проблема бедности. 2016. <http://www.grandars.ru/student/mirovaya-ekonomika/problema-bednosti.html>

16. Шевченко И. В., Мищенко Л. Я. 2013. Глобальные вызовы и угрозы национальной экономической безопасности
<https://www.google.com/search?client=opera&q=ГЛОБАЛЬНЫЕ+ВЫЗОВЫ+И+УГРОЗЫ++НА+ЦИОНАЛЬНОЙ+ЭКОНОМИЧЕСКОЙ++БЕЗОПАСНОСТИ&sourceid=opera&ie=UTF-8&oe=UTF-8>

17. Численность населения в мире по годам. 2018 <http://total-rating.ru/1918-chislennost-naseleniya-v-mire-po-godam.html>

18. Энергетическая проблема 2016. <http://www.grandars.ru/student/mirovaya-ekonomika/energeticheskaya-problema.html>

*Ramaz Abesadze
Nana Bibilashvili*

GLOBAL ECONOMIC SAFETY Summary

The national economic safety is largely depended to the processes on global scale, and mainly on global economic safety. The global economic safety means that its provision is expected from economic as well as external dangers. The issues of economic and non-economic characters are kept in mind in this discussion of economic safety problems.

The economic safety is a constant issue that should be provided by the national governments and international organizations. On the modern stage global non-economic dangers are:

World War III, the defense of peace, disarming and gun control, problematic issues of developing states, demographic problems, the issue of developing human potential, problems of world oceans, pollution of atmosphere, climate change, problem of up taking space, international terrorism, traffic and trade of drugs, ethno-political conflicts, protection of human rights and freedom, keeping of cultural diversity, uptake of Antarctica and Arctic, cyber safety and so on. The issues of economic character are: the economic crisis, energy issues, poverty problems, enlargement of foods and its safety and problem of limitation of the non-reusable resources.

1) Nowadays in the globe, we have collected so many weapons of mass destruction that utilizing them simultaneously can wipe out all of humanity.

2) Issues of developing countries. That's the problem of relationship between developed and developing states. The living circumstances are too different in these states therefore the forced migration of workers from developing to developed states, non-payment of foreign debts, and the danger of spreading infections across the world.

3) A large group of scientists and politicians think that the world population is getting to a critical level and hampering it is essential issue.

4) In modern world there still are the states that have a very low level of educational system, which limits the advancement of global economy.

5) The pollution of world oceans significantly increases by energetic, chemical and/or military products. That's very dangerous, since it can cause the decrease in the amount of water and food products that cause the violation of oxygen levels in atmosphere.

6) The amount of pollution shot in the atmosphere increases that is spread across the world and gets a global character. The acid rains cause havoc to the trees, the pollution and distortion of natural landscapes is also a global concern that causes the widening of ozone layer.

7) Climate change can cause negative global events like: the decrease in humidity of landscapes, the moving of climate and botanic zones, the melting of ice structures and icebergs, the increase of world ocean level, the distortion in circulation of ocean waters and of the whole hydrological cycle.

8) The global dangers of economic development are: international terrorism, drug traffic and trade, ethno-political conflicts, the protection of human rights and freedom, the keeping of cultural diversity, cyber safety and etc.

9) To eschew economic crisis the governments should not only play the role of the regulator of economic operations, but also evaluate possible dangers and have to obviate regressive processes within the economy and/or must functioning as an “economic driver”.

10) Alternative resources have to be found for economic safety and fortunately the world has a great success in this realm.

11) The poverty issue represents not only a national but also a huge global problem, because of the large scale poverty that occurs mostly in developing states. That issue causes a great problem for sustainable development.

12) The food safety. This is one of the oldest problematic issues of humankind. The worst result of it is starvation. The modern achievements of science cause the growth of production and fertile lands, the utilization of biological resources of oceans and creation of more productive and fertile animal species.

13) The energetic safety. It's linked with the provision of humans with fuel and energy. This became a concern in 70's of last century, when the first oil crisis had begun.

*Владимир Папава
Тамара Тапладзе*

О ШУМПЕТЕРИАНСКОЙ ТЕОРИИ РАЗВИТИЯ, КОНЦЕПЦИИ КОМБИНАТОРНОГО НАРАЩЕНИЯ И ПРЕОДОЛЕНИИ ТЕХНОЛОГИЧЕСКИХ ЛОВУШЕК

Аннотация. Шумпетерианская интерпретация экономического развития основана на допущении, что новые комбинации, как правило, появляются рядом со старыми комбинациями. Согласно концепции комбинаторного наращивания, ресурсы для старых комбинаций практически не пригодны для использования некоторыми новыми комбинациями, которые используют качественно новые ресурсы. Заслуживает внимания тот факт, что теоретически наиболее быстрыми темпами догоняющий рост может быть достигнут через процесс креативного разрушения Шумпетера; однако, в этом случае большое противостояние этому будет исходить от политических сил, стоящих за старыми комбинациями. В случае комбинаторного наращивания, такое противостояние будет слабее, так как старые и новые комбинации могут сосуществовать в различных отраслях (или подотраслях) экономики одной и той же страны. Для креативного разрушения старых комбинаций важно, чтобы государство способствовало процессу комбинаторного наращивания и в этом случае достижение относительно высоких темпов экономического роста, со своей стороны будет способствовать преодолению «технологических ловушек», которые существуют на базе старых комбинаций.

Ключевые слова: экономический рост, догоняющий рост, новые комбинации, креативное разрушение, комбинаторное наращивание, технологические ловушки.

В современном мире остро стоит вопрос достижения стабильного экономического роста [1, 2]. Эта проблема особенно актуальна для стран посткоммунистического пространства (например, [3]).

Для теоретического осмысления основных проблем экономического роста интересной является использование шумпетерианской интерпретации экономического развития. В частности согласно Йозефа Шумпетера, экономическое развитие является процессом осуществления «новых комбинаций» [4, с. 288]. Это подразумевает создание новых методов производства, нахождение новых рынков и новых источников сырья, а также обновленную реорганизацию производства [4, с. 159].

Создается впечатление, что реализация инновации возможна только путем перераспределения ресурсов в пользу инновационного бизнеса. В действительности новые комбинации создаются наряду со старыми комбинациями [4, с. 178].

Как известно, для Шумпетера капитализм является процессом «креативного разрушения», т.е. процессом мутации, когда старая структура изнутри разрушается новой [5, с. 127]. Необходимо отметить, что в принципе возможно «сосуществование» процесса креативного разрушения и процесса осуществления новых комбинаций [6, сс. 7-8]. В частности, в современной эпохе, когда успешно функционируют такие отрасли экономики, как освоение космоса, атомная промышленность, или электроника, практически ресурсы, пригодные для старых комбинаций далеко не всегда могут быть использованы для осуществления новых комбинаций [7, с. 9].

Необходимо отметить, что «сосуществование» старых и новых технологий в рамках одной страны обеспечено тем, что они используются в различных отраслях (возможно и подотраслях).

Необходимо учесть, что, как показывает международный опыт, экономический кризис препятствует развитию техники и технологий [7, с. 2], что вовсе не является удивительным, так как в условиях кризиса больше всех страдает наука, как фундаментальная, так и прикладная [7, с. 6]. Исходя из этого, вовсе не является исключением ситуация, когда для преодоления экономического кризиса и обеспечения посткризисного экономического роста особое значение имеют именно старые комбинации [7, с. 9]. И это вполне объяснимо, если учесть, что во время кризиса доступность ресурсов (порой достаточно дорогих) для новых комбинаций существенно ограничена, и тогда «бремя» выхода из кризиса естественным образом ложится на производства, которые основаны на старых комбинациях.

Развитием рассматриваемой шумпетернианской теории является концепция «комбинаторного наращивания», согласно которой комбинаторным наращиванием является та новая комбинация, которая основывается исключительно на новых ресурсах, и поэтому никак не использует ресурсы старых комбинаций [7, 8].

Стимулирование комбинаторного наращивания со стороны государства никак не означает отказ от процессов креативного разрушения – наоборот, там, где это возможно, новые комбинации должны замещать старые. Таким образом, для государства первостепенное значение имеет разработка такой экономической политики, которая будет одновременно способствовать комбинаторному наращиванию относительно в новых отраслях экономики, и креативному разрушению в традиционных отраслях экономики. Такой подход непосредственно исходит из эволюционной теории экономического развития [9]. А для этого необходимо со стороны государства проведение комплексных мероприятий по качественному улучшению системы образования и научных изысканий, по бюджетному стимулированию создания инновационных технологий, по усовершенствованию законодательства о банкротстве и т.п. [10, 11].

Здесь же следует оговорить ситуацию, когда у старых комбинаций, как правило, имеются лоббисты, поддерживающие эти комбинации, и они могут реально сопротивляться креативному разрушению, в то время как эти лоббисты могут и вовсе не мешать комбинаторному наращиванию. Естественно, что такая конструкция экономики, которая основывается на комбинаторном наращивании, может в большей степени способствовать реализации *догоняющего роста* (catching up) [12-21].

Необходимо заметить, что система комбинаторного наращивания может быть использована для преодоления «технологической ловушки» [22], т.е. ситуации, когда предпочтение отдается старым, менее эффективным технологиям, что препятствует переходу на новые технологии [23, с. 57].

Причиной создания технологических ловушек являются обстоятельства, когда фирмы предпочитают решение краткосрочных, а не долгосрочных задач, что, как правило, обусловлено политической, правовой и макроэкономической нестабильностью [23, сс. 56-57]. Для преодоления технологической ловушки необходимо комплексное проведение целого ряда мероприятий, в том числе и такой налоговой политики, которая будет нацелена на технологическое обновление и экономический рост [24].

Наиболее важным механизмом преодоления технологической ловушки является стимулирование экономического роста [25]. С этой целью государство должно поддерживать процесс комбинаторного наращивания. Относительно высокие темпы роста в производствах, основанных на старых технологиях, при прочих равных условиях, будут способствовать росту экономического оптимизма [25]. А это стимулирует создание новых комбинаций, которые будут использовать качественно новые ресурсы. В результате должен произойти технологический скачок. Также необходимо учесть, что, если государство будет по каким-либо причинам откладывать поддержку реализации системы комбинаторного наращивания, то ориентация лишь на производствах со старыми технологиями, создает ситуацию т.н. ловушки технологической зависимости от экономически развитых стран [26].

Способствование росту экономического оптимизма в обществе имеет чрезвычайное значение в таких странах, в которых по причинам политической, правовой и макроэкономической нестабильности фирмы нацелены исключительно на решение краткосрочных, а не долгосрочных задач [23, сс. 56-57]. Таким образом, государственная поддержка системы комбинаторного наращивания, прежде всего, целесообразна именно для этих стран, которые характеризуются относительно нестабильной ситуацией.

Использованная литература

1. Капица С., 2013. *Парадоксы роста: Законы глобального развития человечества*. Москва: Альпина нон-фикшн.
2. Mokyr J., 2016. *Culture of Growth: The Origins of the Modern Economy*. Princeton: Princeton University Press.
3. Гайдар Е., 1997. *Аномалии экономического роста*. Москва: Изд-во «Евразия».
4. Шумпетер Й., 1982. *Теория экономического развития (Исследование предпринимательской прибыли, капитала, процента и цикла конъюнктуры)*. Москва: Прогресс.
5. Шумпетер Й., 1995. *Капитализм, социализм и демократия*. Москва: Экономика.
6. Татаркин А.И., Сухарев О.С., Стрижакова Е.Н., 2017. «Шумпетерианская экономическая теория промышленной политики: влияние технологической структуры». *Журнал экономической теории*, № 2, сс. 7–17, <http://www.uiec.ru/content/zhurnal2017/JET/02i2017i01iSuharev.pdf>.
7. Сухарев О.С., 2013. «Новые комбинации в экономике и принцип комбинаторного наращивания». *Экономический анализ: теория и практика*, № 25 (328), сс. 2–13, <https://cyberleninka.ru/article/n/novye-kombinatsii-v-ekonomike-i-printsip-kombinatornogo-narascheniya>.
8. Сухарев О.С., 2014. «Технологическое развитие и модель эффекта «комбинаторного наращивания» (инновационный тип экономического роста и поведение агентов)». В кн.: Шумпетеровские чтения. Материалы 4-й Международной научно-практической конференции. Пермь: Издательство Пермского национального исследовательского политехнического университета, сс. 35–51, <http://www.sr.pstu.ru/files/SchumpeterianReadings2014.pdf>.
9. Нельсон Р.Р., Уинтер С.Дж., 2000. *Эволюционная теория экономических изменений*. Москва: ЗАО «Финстатинформ».
10. Папава В., 2017. «О ретроэкономике». *Вопросы экономики*, № 10.
11. Papava V., 2017. “Retroeconomics – Moving from Dying to Brisk Economy.” *Journal of Reviews on Global Economics*, Vol. 6, <http://www.lifescienceglobal.com/independent-journals/journal-of-reviews-on-global-economics/volume-6/85-abstract/jrge/2929-abstract-retroeconomics-moving-from-dying-to-brisk-economy>.
12. Abramovitz M., 1986. “Catching Up, Forging Ahead, and Falling Behind.” *The Journal of Economic History*, Vol. 46, No. 2, <http://sites-final.uclouvain.be/econ/DW/DOCTORALWS2004/bruno/adoption/abramovitz.pdf>.

13. Fogel R.W., 1999. "Catching Up with the Economy." *American Economic Review*, Vol. 89, No. 1.
14. Gottinger H.-W., 2005. "Economic Growth, Catching Up, Falling Behind and Getting Ahead." *World Review of Entrepreneurship, Management and Sustainable Development*. Vol. 1. No. 2.
15. Kim J., 2007. *Catching-up and Falling-behind in Economic Development: A Human Capital Approach*. Discussion Paper Series No. 07-07. Seoul: Institute of Economic Research, Korea University, April, <http://econ.korea.ac.kr/~ri/WorkingPapers/w0707.pdf>.
16. Nassif A., Feijó C., Araújo E., 2015. "Structural Change and Economic Development: Is Brazil Catching Up or Falling Behind?" *Cambridge Journal of Economics*, Vol. 39, Issue 3.
17. Papava V., 2018a. "Catching Up and Catch-Up Effect: Economic Growth in Post-Communist Europe (Lessons from the European Union and the Eastern Partnership States)." *European Journal of Economic Studies*, Vol. 7, Issue 2, http://ejournal2.com/journals_n/1537557942.pdf.
18. Papava V., 2018b. "Frontier Growth, Catching Up, Falling Behind and Extremely Falling Behind." *The Market Oracle*, May 21, <http://www.marketoracle.co.uk/Article62332.html>.
19. Record R., Kumar P., Kandoole P., 2018. *From Falling Behind to Catching Up: A Country Economic Memorandum for Malawi*. Washington, DC: The World Bank, <https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/28683/9781464811944.pdf?sequence=2&isAllowed=y>.
20. Stokey N.L., 2012. *Catching Up and Falling Behind*. NBER Working Paper Series 18654, December. Cambridge: National Bureau of Economic Research, <https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/28683/9781464811944.pdf?sequence=2&isAllowed=y> <<http://www.nber.org/papers/w18654.pdf>.
21. UNIDO, 2005. *Capability Building for Catching-Up. Historical, Empirical and Policy Dimensions*. Vienna: United Nations Industrial Development Organization.
22. Балацкий Е.В., 2003. «Экономический рост и технологические ловушки». *Общество и экономика*, № 11.
23. Балацкий Е.В., 2012. «Институциональные и технологические ловушки». *Журнал экономической теории*, № 2.
24. Ananiashvili I., Papava V., 2012. "Taxes, Production Technology, and Economic Growth." *Problems of Economic Transition*, Vol. 54, No. 12.
25. Балацкий Е.В., 2010. «Роль оптимизма в инновационном развитии экономики». *Общество и экономика*, № 1.
26. Дементьев В.Е., 2006. «Ловушка технологических заимствований и условия ее преодоления в двухсекторной модели экономики». *Экономика и математические методы*, Т. 42, Вып. 4.

*Vladimer Papava
Tamar Tapladze*

**ON THE SCHUMPETERIAN THEORY OF ECONOMIC DEVELOPMENT,
THE CONCEPT OF COMBINATORIAL AUGMENTATION AND
THE OVERCOMING FROM THE TECHNOLOGY TRAPS**

Summary

The Schumpeterian interpretation of economic development is based on the assumption that new combinations, as a rule, appear side-by-side with old ones. According to the combinatorial augmentation concept, the resources for the old combinations are practically useless for some new combinations as they require the usage of qualitatively new resources. It is noteworthy that theoretically the realization of catching up can be achieved most quickly through Schumpeter's creative destruction process; however, in this case the biggest opposition comes from the political forces standing behind the old combinations. In the case of combinatorial augmentation, such

opposition is weaker as the old and the new combinations can co-exist as they exist in different sectors (or sub-sectors) of the economy of a single country. For the creative destruction of these old combinations, it is important for the government to facilitate the process of combinatorial augmentation as in this case a relatively high level of economic growth can be achieved which will, in its own right, facilitate in overcoming “technology traps” which exist on the basis of the old combinations.

როზეტა ასათიანი

ეკონომიკური უსაფრთხოება და „ჰოლანდიური დაავადება“

ანოტაცია. XX საუკუნის 90-იანი წლებში საქართველოში განხორციელებულმა მასშტაბურმა გარდაქმნებმა წინა პლანზე ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა წამოსწია. ეკონომიკური სისტემის შეცვლასთან ერთად, გლობალიზაციის გაღრმავებამ და ღია ეკონომიკების განვითარებამ კიდევ უფრო აქტუალური გახადა აღნიშნული პრობლემა.

ეკონომიკური უსაფრთხოება, როგორც ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი უდიდეს როლს ასრულებს ქვეყანაში დამოუკიდებლობისა და სტაბილურობის მიღწევა-განმტკიცებაში, ეკონომიკური წესრიგის დამყარებაში, აქედან გამომდინარე, ეკონომიკურ განვითარებაში. ამ პრობლემისადმი სახელმწიფო რეგულირების შესუსტებამ მრავალი ნეგატიური ტენდენცია წარმოქმნა საქართველოში, რომელთა ნეიტრალიზაციამ უდიდესი მატერიალური და ფინანსური სახსრები მოითხოვა, დააქვეითა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი და საფრთხე შეუქმნა სახელმწიფოებრიობას.

ნაშრომში განხილულია ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმები, ინდიკატორები, საქართველოში ამ მხრივ არსებული მდგომარეობა, გაანალიზებულია მიმდინარე მწვავე პროცესები, რომლებიც, თავის მხრივ, მიუთითებენ ამ უაღრესად აქტუალური პრობლემის დაძლევის გარდუვალობაზე. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „ჰოლანდიური დაავადების“ პრობლემის განხილვასა და მის უარყოფით შედეგებს საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური უსაფრთხოება, „მანკიერი წრე“, „ხაფანგის ეფექტი“, „ჰოლანდიური დაავადება“, „სიღარიბის კულტურის ჰიპოთეზა“, ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, მულტი-პლიკაციური ეფექტი, კრეატიული პოტენციალი, ვენჩურული კაპიტალი.

* * *

ეკონომიკური უსაფრთხოება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, ამიტომაცაა, რომ მას სათანადო ადგილი უჭირავს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემაში. მისი ლაიტმოტივია, ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების საფუძველზე, სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების დაცვა, საზოგადოების ჰარმონიული განვითარებისათვის ეპოქის შესაბამისი პირობების შექმნა და ა.შ.

ეკონომიკურ უსაფრთხოებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია საბაზრო მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნაში, ქვეყნის ეკონომიკის ადეკვატური სტრუქტურული პოლიტიკის გატარებაში, ბაზრის სუბიექტებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობაში, ხელისუფლების მხარდა-

ჭერით ბაზრის სტიქიური ძალების აღკვეთაში, ინვესტიციების მოცულობისა და საინვესტიციო პორტფელის დივერსიფიკაციაში, საინვესტიციო კლიმატის შექმნაში, საკუთრების პლურალიზმის დამკვიდრებაში, ქვეყნის წარმოებრივი, სოციალური და ინტელექტუალური პოტენცილის შენარჩუნება-განვითარებაში და ა.შ.

ეკონომიკური უსაფრთხოების განხორციელების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის სოციალური ორიენტაციის უზრუნველყოფა. ამიტომაცაა, რომ იგი სახელ-მწიფოს ეკონომიკური პრიორიტეტების განმსაზღვრელია და განიხილება მიკრო-, მაკრო-, მეზო- და მეგადონეზე. ეკონომიკური უსაფრთხოება უდიდეს გავლენას ახდენს თავდაცვით, ეკოლოგიურ, ინფორმაციულ, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ, სოციალურ, სასურსათო, დემოგრაფიულ, იდეოლოგიურ, ინვესტიციურ, საგარეო და ა.შ. უსაფრთხოებებზე და მათთან ერთად ქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას.

ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითად სტრატეგიულ მიმართულებად აღიარებულია კონკურენციული ბაზრის შექმნა და დაცვა, რისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოქნილი კანონმდებლობის შემუშავებასა და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარებას, ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების გამოყოფას, მათდამი სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას, ეროვნული ვალუტის სიმყარის უზრუნველყოფას, საკუთრების დაცვასა და ა.შ.

დღეს ტექნოლოგიური ბუმი ტრანექტორიას უცვლის მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას, უდიდესი პოზიტივი შეაქვს მასში, რომლის არგათვალისწინება ჩამორჩენილობის დაუძლევლობას ნიშნავს და საექვოს ხდის ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

დღეს ქვეყნები კონკურენტულ უპირატესობას ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით აღწევენ. ისინი აფუძნებენ ახალ სტრატეგიებს, ეუფლებიან წარმოების ეფექტიან მეთოდებს, ინვესტიციებს დებენ ცოდნის განახლებაში და ა.შ. ამიტომაცაა, რომ **XXI საუკუნეში სტრუქტურული გარდაქმნების ბირთვს ინოვაციური ეკონომიკის განვითარება წარმოადგენს.** დღეს ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების საფუძველი მოძველებული ტექნოლოგიების ახლით შეცვლის უწყვეტი პროცესია, რესურსდამზოგველი ტექნოლოგიების განვითარებაა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საინფორმაციო ტექნოლოგიები (IT). მათი განვითარება ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიული მიმართულებაა. ეს პროცესი დიდ გავლენას ახდენს არა მხოლოდ მატერიალური რესურსების, არამედ ინტელექტუალური კაპიტალის ხარისხზე და განაპირობებს ცოდნის ფენომენის წინა პლანზე წამოწევას. XXI საუკუნე ხომ ინოვაციური ეკონომიკის საუკუნეა!

ეკონომიკურ უსაფრთხოებას დიდი როლი აკისრია ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაში და აისახება ქვეყნის ცხოვრების დონეზე, გარემოს დაცვაზე², სამართალწესრიგზე, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პოტენციალზე, დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, უმუშევრობასა და ა.შ.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის მახასიათებელია ეკონომიკურ თეორიაში საკმაოდ გავრცელებული ტერმინი „**ვიციო ციროლს**“ (“**Viciois Ciroules**”), რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე და მდგომარეობს შემდეგში: ითვლება, რომ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკა, სადაც იწარმოება მხოლოდ არსებობისათვის აუცილებელი საშუალებები, არ ექვემდებარება გარდაქმნას, ვინაიდან დაბალია წარმოების მთლიანი მოცულობა და

² ამჟამად დასავლეთში ტერმინი – გარემოს დაცვა რაციონალური ბუნებათსარგებლობის ტერმინით შეიცვალა.

უმნიშვნელოა სარეზერვო მარაგები. აქედან გამომდინარე, მოხმარების შემდეგ არ არსებობს ნამეტი კაპიტალის დაგროვებისათვის, რომლის გარეშეც ნაკლებად შესაძლებელია წარმოების გადიდება. „მანკიერი წრის“ გასაღები კაპიტალის დაგროვებაა. თუ ქვეყანა შეძლებს თავი დააღწიოს ამ წრეს, მაშინ წარმოიქმნება საწინააღმდეგო პროცესი: როგორც კი დაიწყება კაპიტალის დაგროვება, იზრდება წარმოების მოცულობა, ხოლო შემდეგ იწყებს ზრდას შემოსავლებიც, რომლებიც ქმნის ნამეტს ინვესტირებისა და დაგროვებისათვის.

ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმების დადგენა შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების გარეშე. ამ უკანასკნელში შედის ეკონომიკური საფრთხის რაოდენობრივი განსაზღვრა და მულტიპლიკაციური ეფექტის დადგენა.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება თუ ეროვნული და არა კომპრადორული ინტერესების მატარებელია, მაშინ მას უდიდესი როლი აკისრია ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნების თვალსაზრისით. იგი მოიცავს რესურსული პოტენციალის, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის, სოციალური სტაბილურობის, სოციალური კონფლიქტების დაძლევის შესაძლებლობების, უცხოური ვალუტის შეუზღუდავი შემოდინებით გამოწვეული შედეგების შეფასებასა და ა.შ.

თანამედროვე საბაზრო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება - ახალ თვისებრივ ზრდაზე გადასვლა ეფუძნება იმ კრიტერიუმებს, რომლებიც იძლევა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის თვისებრივ დახასიათებას და აისახება კრებსით ინდექსში - **სოციალურ ინდიკატორებში**. მასში შედის: შრომის პირობები, განათლების განვითარების დონე, ჯანდაცვისა და ტრანსპორტის მდგომარეობა და ხელმისაწვდომობა, შრომისუნარიანი მოსახლეობის საშუალო წლიური ზრდა, ბავშვთა სიკვდილიანობა, კალორიის მოხმარება, სუფთა წყლის ხელმისაწვდომობა, ენერჯის მოხმარება მოსახლეობის ერთ სულზე, სრული პირადი თავისუფლება, ინფლაციის საშუალო წლიური ნორმა და ა.შ.

სოციალური ინდიკატორები ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი მახასიათებლებია და გარკვეული თვალსაზრისით, უკავშირდება „**ხაფანგის ეფექტით**“ („Entrapment Effect“) ცნობილ ჰიპოთეზას, რომლის მიხედვით შრომის ბაზარი იყოფა პირველად და მეორეულ ბაზრებად. პირველადი სექტორი ხასიათდება მაღალი ანაზღაურებით, ზრდის პერსპექტივებით, უსაფრთხოებითა და დამატებითი სარგებლობით, მაშინ როდესაც მეორეული სექტორისთვის ნიშანდობლივია ნაკლებანაზღაურებადი სამუშაო ადგილები, არასრული დასაქმება, არასტაბილური და, როგორც წესი, ნაკლებად მიმზიდველი სამუშაო. მეორეული სექტორიდან პირველად სექტორში გადასვლას აფერხებს არა იმდენად მუშაკთა კვალიფიკაციის დონეში განსხვავება, რამდენადაც ინსტიტუციური ბარიერები დისკრიმინაციის ფორმით.

და სხვა ბაზრების დამოკიდებულება გეოპოლიტიკურ ფაქტორებზე, რამაც გამოიწვია ეკონომიკური განვითარების არასტაბილურობა და წინასწარ გაუთვალისწინებელი რყევები. ქვეყნების უთანაბრო განვითარებამ მოსახლეობის სიღარიბე უფრო აშკარა და დამანგრეველ ფაზაში შეიყვანა. ამის ერთ-ერთი ნეგატიური შედეგია ღარიბთა ფენის, ანუ სამუშაო ძალის მზარდი ლეგალური და არალეგალური მიგრაცია განვითარებული ქვეყნებისაკენ. ამასთან ერთად, გლობალურ სივრცეში ქვეყნებს შორის სამხედრო დაპირისპირებამ ადგილი დაუთმო ზემოქმედების უფრო ელასტიურ და ფარულ ფორმებს, რაშიც იგულისხმება ეკონომიკური ომები, სტრატეგიული რესურსების ექსპორტ-იმპორტის პოლიტიკურ ბერკეტად გამოყენება, ეკონომიკური ბლოკადები, სანქციები და სხვა. მაღალი ტექნოლოგიების პირობებში უამრავი საშუალება არსებობს სუვერენული ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შესუსტებისა და კონტროლისათვის საკუთარი ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ. ამ კუთხით გლობალიზაცია საკმაოდ სერიოზულ საფრთხეს უქმნის მყიფე საერთაშორისო ეკონომიკურ წესრიგს და ართულებს ეროვნული და საერთაშორისო ინსტიტუტების ეფექტიან ურთიერთქმედებას.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ უკვე 21-ე საუკუნის დამდეგამდე მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა ადაპტაციას განიცდიდა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკურ და პოლიტიკურ კურსთან, რომელიც ამ ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან და ეროვნული უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარეობდა. ამის დასადასტურებლად საკმარისია მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა აწარმოებს მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის 20%-ს, ხოლო მოიხმარს მსოფლიო მშპ-ს 40%-ს. ამ პირობებში ცალკეული ქვეყნების ეკონომიკა და ეკონომიკის მართვის ეროვნული სტრატეგია მნიშვნელობას თანდათანობით კარგავს. აქედან ცხადია, რომ ყველა ქვეყანას სხვა ქვეყნებთან ადაპტირებული და შეთანხმებული ეროვნული უსაფრთხოების დამოუკიდებელი სტრატეგია და პოლიტიკა უნდა ჰქონდეს.

ცნობილია, რომ ქვეყნის მრავალმხრივ და სტაბილურ განვითარებას განსაზღვრავს მისი ეკონომიკური განვითარების დონე. ამ პირობებში სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს ქვეყნის ეროვნული და ეკონომიკური უსაფრთხოების დონის შემცირება. ეს უშუალოდ დაკავშირებულია სწორედ მაღალი ტექნოლოგიების სისტემებთან, რომლებიც უშუალოდ არსებითად ზემოქმედებს ეკონომიკაზე.

აქედან გამომდინარე, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული და ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების ინდიკატორებისა და პარამეტრების განსაზღვრას. ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორები, ეროვნული ეკონომიკური ინტერესების ცალკეული მიმართულებების მიხედვით, ის ეკონომიკური ბერკეტებია, რომელთაც შეუძლიათ ეროვნულ ეკონომიკას, ბევრ დადებითთან ერთად, ყველაზე მეტი საფრთხე შეუქმნან. ასეთი შეიძლება იყოს მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირება, ფულად-საკრედიტო სისტემის არასტაბილურობა, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების დივერსიფიცირება, სტრატეგიული რესურსების მარაგების შექმნა, ბიუჯეტის დეფიციტი, საგარეო და საშინაო ვალები, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის ტემპების შენელება, ძირითადი ფონდების მოძველება, უცხოურ ინვესტიციებზე დამოკიდებულების ზრდა და ა.შ.

ყოველივე ამაში უდიდესი როლის შესრულება შეუძლია თანამედროვე მაღალ ტექნოლოგიებს. მაღალი ტექნოლოგიები ინოვაციური პროცესების განვითარების შედეგია. უნდა აღინიშნოს, რომ ინოვაცია მხოლოდ ტექნოლოგიებს არ გულისხმობს. ის არის მეცნიერული აზროვნების ფორმა, რომელიც გამოიყენება არსებული

ტენდენციების ტრანსფორმაციისათვის. მაღალი ტექნოლოგიები და ინოვაციები ურთიერთგანმაპირობებელი ფაქტორებია, ვინაიდან მაღალი ტექნოლოგია თავისთავად ინოვაციის სამიზნეა. ამდენად შეიძლება დავასკვნათ, რომ მაღალტექნოლოგიური კომპანიებისათვის მთავარ მიზანს წარმოადგენს ინოვაციური მიღწევების მაქსიმალურად გათვალისწინება განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე. ინოვაცია თავისთავად გულისხმობს სიახლეებისაკენ სწრაფვას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. სწორედ ეს სჭირდება დღევანდელ ეკონომიკას მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსებისათვის.

უსაფრთხოების სისტემები უშუალოდ დაკავშირებულია მაღალ ტექნოლოგიებთან. აქ მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების განსაზღვრას, რომელიც შეიძლება მოხდეს სხვადასხვა დონით, კერძოდ:

1. გლობალურ დონეზე, ქვეყნის წინაშე მდგარი სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს ზოგადი ინდიკატორები (ქვეყნის ეკონომიკური სუვერენიტეტის დაცვა, ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტის შენარჩუნება დროის ხანგრძლივი პერიოდისათვის, ეკონომიკური პოტენციალის სრული ამოქმედება, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება და ა.შ.).

2. გეოსტრატეგიულ დონეზე, დროის სხვადასხვა პერიოდისათვის ქვეყნის წინაშე მდგარი სტრატეგიული ამოცანებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს შესაბამისი ინდიკატორები (ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაცია, უცხოური ინვესტიციების სტიმულირება, საზოგადოების ქონებრივი პოლარიზაციის დონის შემცირება, უმნიშვნელოვანესი რესურსების სტრატეგიული მარაგების შექმნა და ა.შ.);

3. ტაქტიკური მიზნების დონეზე უნდა განისაზღვროს ის ინდიკატორები, რომლებიც დააკონკრეტებს სტრატეგიულ ინდიკატორებს (მაგ., მრეწველობის, აგრარული სექტორის და სხვა ხვედრი წილი მშპ-ში, სტრატეგიული მარაგების რესურსული შემადგენლობა და ოპტიმალური შემადგენლობა და ა.შ.).

ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების განსაზღვრის შემდეგ უნდა დადგინდეს მათი რაოდენობრივი საზღვრები, რომლებიც არღვევს ქვეყნის უსაფრთხოების ერთიან სისტემას.

რაოდენობრივი ზღვრული პარამეტრების უამრავი მაგალითი არსებობს მსოფლიოში. ესენია: მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მინიმალური დონე; ინფლაციის ტემპების მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი; საბაჟო ტარიფების ოპტიმალური სიდიდე; სტრატეგიული რესურსების მინიმალური მარაგები; ბიუჯეტის დეფიციტის მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი; საგარეო და საშინაო ვალის მაქსიმალური პარამეტრები; სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესისა და წარმოების საშუალებების განახლების ტემპები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების მაღალი დონე მიიღწევა მაშინ, როდესაც ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების მთელი სისტემა წინასწარ დადგენილი უსაფრთხოების საზღვრებს არ სცილდება. ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების ინდიკატორებისა და პარამეტრების სპეციფიკა ცალკეული ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია მათი ეკონომიკური განვითარების, მათი გეოპოლიტიკური მდგომარეობის, ერის მენტალიტეტის და სხვა სუბიექტური დონის ფაქტორებიდან გამომდინარე.

ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემების გამოყენება ეკონომიკაში მრავალმხრივი და მრავალწახნაგოვანი პროცესია. იგი გულისხმობს ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის მიღწევასა და შენარჩუნებას ხანგრძლივი დროის განმავლობაში. გარდა ამისა, ეკონომიკური უსაფრთხოება გლობალური საფრთხეების

ერთ-ერთი კომპონენტიცაა და მისი განეიტრალების მნიშვნელოვანი ფაქტორი. ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემების გამოყენება სხვადასხვა გზებით და შესაძლებლობებით განისაზღვრება. აღსანიშნავია, რომ წლების მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატები ამ კუთხით ლიდერის ფუნქციას ინარჩუნებს. ის პირველი ქვეყანაა, რომელმაც ამ პრობლემის გადასაჭრელად ინსტიტუციური რეფორმები განახორციელა. განსაკუთრებით ლიდერად რჩება იგი ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროშიც. ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია მრავალმხრივია. აქედან აღსანიშნავია თავისუფალი საბაზრო სისტემის უნივერსალურობის თეორიის და ეკონომიკური კრიზისების თვითრეგულირების პრინციპების სახელმწიფოს ინტერესებად აღიარება. მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ მაქსიმალურად დაიცვა ამერიკის საშინაო ბაზარი გარე ფაქტორების დივერსიფიკაციისაგან. სწორედ ამიტომ, ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მსოფლიო მასშტაბით ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და შენარჩუნება შეძლო. საინტერესოა, რომ ამ ქვეყნისთვის კონკურენტუნარიანობა აუცილებელი პირობაა და ის დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა. დღეისათვის ის მოიცავს არა მარტო სამხედრო-პოლიტიკურ და საფინანსო-ეკონომიკურ, არამედ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ, საინფორმაციო-კულტურულ, სპორტულ და სხვა სფეროებსაც.

უნდა აღინიშნოს, რომ მაღალი ტექნოლოგიების სამკუთხედი, განსაკუთრებით სამხედრო უსაფრთხოების სფეროში, აერთიანებს სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და ისრაელს. ესეც მრავლისმეტყველი ფაქტია.

ჩვენ ამერიკის შეერთებულ შტატებზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ სწორედ ეს ქვეყანა გვევლინება მსოფლიოში ამ კუთხით მაგალითის მიმცემი და მისაბამი. ამერიკის შეერთებული შტატები თავის სტრატეგიაში უსაფრთხოების სისტემებს, როგორც მაღალი ტექნოლოგიების პროდუქტს, ეკონომიკაში ფართოდ იყენებს. ეს გლობალურ პრიორიტეტებს ისახავს მიზნად და „ღია“ საბაზრო ეკონომიკის პირობებში გარკვეულ ინდიკატორებს ანიჭებს უპირატესობას. ესენია: მსოფლიოში თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის განმტკიცება (თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი უკვე საქართველოსთანაც ჩამოყალიბდება უახლოეს მომავალში); ამერიკის შეერთებული შტატების შეუფერხებელი გასვლა მსოფლიოს როგორც სანედლეულო, ასევე გასაღების ბაზრებზე, რაც სხვა ქვეყნების ინტერესებშიც შედის. და ბოლოს, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და გლობალური ეკონომიკური ზრდისათვის ხელშეწყობა.

მაღალი ტექნოლოგიების მიღწევის დონის განსაზღვრისათვის აუცილებელია გლობალური ინოვაციის დონის განსაზღვრა. ამ მხრივ პირველ ადგილზე 2016 წლის მონაცემებით, შვეიცარია იმყოფებოდა. საქართველო კი 64-ე ადგილს იკავებდა 128 ქვეყანას შორის.

დღევანდელ მსოფლიოში დიდი გამოცდილება არსებობს უსაფრთხოების სისტემების გამოყენების შესახებ ეკონომიკაში, რადგან მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ შეიძლება იქცეს გლობალური ეკონომიკური ტერორიზმი და ტრანსნაციონალური კორპორაციების არაკეთილსინდისიერი ბიზნესის შედეგად საფინანსო ეკონომიკური კრიზისის პროვოცირება. დღევანდელი მაღალი ტექნოლოგიები ამის ხელშეწყობ ფაქტორად გვევლინება, თუ არ გავითვალისწინებთ მისი შემაკავებელი ფაქტორები.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის კერძო პირებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების ხელში არსებული ფინანსური, ინტელექტუალური და ტექნოლოგიური რესურსები სავსებით საკმარისია საფონდო, სავალუტო და სასაქონლო ბაზრებზე პანიკის, ანუ

„მართვადი ქაოსის“ შესაქმნელად. ეს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკისათვის შემაფერხებელ ფაქტორად შეიძლება იქცეს. ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემების შეფასებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა ინდიკატორები და პარამეტრები. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის უსაფრთხოების სისტემების მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება მისი ეკონომიკური დონიდან გამომდინარე, სრულყოფილად შეუძლებელია. პირველ ეტაპზე მთავარია ამ ქვეყნებმა საბაზრო სისტემაზე გადასვლის პრობლემები დაძლიონ. შემდეგი ეტაპი მოიცავს დროის ხანგრძლივი პერიოდისათვის ეკონომიკის სტაბილურ და მდგრადი განვითარების მიღწევას. ამ ქვეყნებისთვის უსაფრთხოების სისტემების გამოყენების განსაზღვრისას პრიორიტეტული უნდა იყოს მაღალგანვითარებული ქვეყნების მიერ მიღწეული დონე და მის პარამეტრებთან შედარება.

ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემები დაკავშირებულია თანამედროვე ტექნოლოგიებთან. ამიტომ მასში შედის უსაფრთხოების შემადგენელი ელემენტები, სუბიექტები და ობიექტები, ნორმატიული ბაზები, ინსტიტუტები და განხორციელების საშუალებები, რომლებიც მათ უზრუნველყოფს.

მაღალტექნოლოგიური უსაფრთხოების სისტემები მისი სუბიექტებით განისაზღვრება. ესენია, ჯერ ერთი, სახელმწიფო და სახელმწიფო დაწესებულებები, მეორე, ფირმები, საწარმოები, ორგანიზაციები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები და მოძრაობები, როგორც იურიდიული პირები და, მესამე, საოჯახო მეურნეობები და ცალკეული ფიზიკური პირები. ყველა ეს სუბიექტი პირდაპირი თუ ირიბი ფორმით დაკავშირებულია ერთმანეთთან.

უსაფრთხოების სისტემებს გააჩნია თავისი ცალკეული ელემენტები: წარმოების ფაქტორები, ეკონომიკური ურთიერთობები, ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმები, ეკონომიკური პოლიტიკა, სამეურნეო სამართალი, ეკონომიკური კულტურა, ეკონომიკური ეთიკა და ა.შ.

უსაფრთხოების სისტემების გამოყენება ეკონომიკაში სხვადასხვა საშუალებებით ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური სისტემა მრავალელემენტანია, რომელიც მოიცავს სტრუქტურა-რესურსებს (წარმოების ფაქტორები), ტექნოლოგიებს, სამეცნიერო-გამოყენებით გამოკვლევებს, ეკონომიკურ ურთიერთობებს, სამართლებრივ, პოლიტიკურ და ეთიკურ მექანიზმებს. ამიტომ ამ სისტემების დასაცავად უნდა გამოვიყენოთ მრავალმხრივი საშუალებები, რომლებიც პასუხობს ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირებასა და უსაფრთხო პირობებს.

დასკვნა

მაღალი ტექნოლოგიებისათვის მთავარია ინოვაციური მიღწევების მაქსიმალურად დანერგვა, რაც თავისთავად გულისხმობს ქვეყნის სიახლეებისაკენ სწრაფვას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

ამ მიმართულებით არსებობს გამორჩეული ქვეყნები, რომლებიც ფართოდ იყენებენ უსაფრთხოების სისტემებს, როგორც მაღალი ტექნოლოგიების პროდუქტს ეკონომიკაში. ეს გლობალურ პრიორიტეტებს ისახავს მიზნად და „ღია“ საბაზრო ეკონომიკის პირობებში გარკვეულ ინდიკატორებს ანიჭებს უპირატესობას. კერძოდ, მსოფლიოში თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის განმტკიცებას, მათ შეუფერხებელ გასვლას მსოფლიოს როგორც სანედლეულო, ასევე გასაღების ბაზრებზე და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და გლობალური ეკონომიკური ზრდისათვის ხელშეწყობას.

მსოფლიოში არსებული დიდი გამოცდილებით უსაფრთხოების სისტემების გამოყენების კუთხით ეკონომიკაში, მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ საფრთხედ შეიძლება იქცეს ისეთი მოვლენები, როგორცაა გლობალური ეკონომიკური ტერორიზმი და ტრანსნაციონალური კორპორაციების არაკეთილსინდისიერი ბიზნესის შედეგად საფინანსო ეკონომიკური კრიზისის პროვოცირება. დღევანდელი მაღალი ტექნოლოგიები ამის ხელშემწყობ ფაქტორად შეიძლება მოგვევლინოს თუ არ გავითვალისწინებთ მის შემაკავებელ ფაქტორებს.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის კერძო პირებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების ხელში არსებული ფინანსური, ინტელექტუალური და ტექნოლოგიური რესურსები სავსებით საკმარისია საფონდო სავალუტო და სასაქონლო ბაზრებზე „მართვადი ქაოსის“ შესაქმნელად, რაც განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკისათვის შემაფერხებელ ფაქტორად შეიძლება იქცეს.

ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემების შესაფასებლად შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა ინდიკატორები და პარამეტრები. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის უსაფრთხოების სისტემების მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება, მისი ეკონომიკური დონიდან გამომდინარე, სრულყოფილად შეუძლებელია. პირველ ეტაპზე მთავარია ამ ქვეყნებმა საბაზრო სისტემაზე გადასვლის პრობლემები დაძლიონ. შემდეგი ეტაპი მოიცავს დროის ხანგრძლივი პერიოდისათვის ეკონომიკის სტაბილური და მდგრადი განვითარების მიღწევას. მათთვის უსაფრთხოების სისტემების გამოყენების განსაზღვრისას პრიორიტეტული უნდა იყოს მაღალგანვითარებული ქვეყნების მიერ მიღწეული დონე და მის პარამეტრებთან შედარება.

უსაფრთხოების სისტემების გამოყენება ეკონომიკაში სხვადასხვა საშუალებებით ხორციელდება. ეკონომიკური სისტემა მრავალეფემენტანია. იგი მოიცავს სტრუქტურა-რესურსებს, ტექნოლოგიებს, სამეცნიერო-გამოყენებით გამოკვლევებს, ეკონომიკურ ურთიერთობებს, სამართლებრივ, პოლიტიკურ და ეთიკურ მექანიზმებს. ამიტომ ამ სისტემების დასაცავად უნდა გამოვიყენოთ მრავალმხრივი საშუალებები, რომლებიც პასუხობს ეკონომიკური სისტემების ნორმალურ ფუნქციონირებასა და უსაფრთხო პირობებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., ბურდული ვ. „ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები“. თბილისი, 2014 (რუსულ ენაზე).
2. ჭითანავა ნ. „საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია“. თბილისი, 2018.
3. ჩიქავა ლ. „ცოდნა როგორც სპეციფიკური საქონელი და მისი გადამწყვეტი როლი ინოვაციურ ეკონომიკაში“. კრებულში: საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები 4. თბილისი, 2004. გვ. 5-25.
4. www.geostati.ge.
5. <http://forbes.ge/blog/221/globaluri-inovaciis-indeqsi-da-saqarTvelo>
6. <http://b2p.ge/10-inovazia-romlebic-samyaros-amoatrialeben-2020-wlistvis/>
7. <https://businesshub.ge/ge/innovation/increase-rd/types-of-innovation>
8. <https://www.trendbook.ge/en/component/content/article/49-extra/12978-inovaciagvesmishuaramisimnishvneloba>
9. <http://ite-r.blogspot.com/2014/01/blog-post.html>
10. <http://forbes.ge/blog/221/globaluri-inovaciis-indeqsi-da-saqarTvelo>
11. <https://www.businessaward.ge/ka/nomination/wlis-inovaciuri-biznesi>
12. forbes.ge/news/

13. www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t.
14. forbes.ge/blog/221/globaluri-inovaciis-indeqsi-da-saqarTvelo.
15. <https://www.overclockers.ge/index.php?/>
16. <https://www.youtube.com/watch?v=GqeJrJ0Kv4k>.
17. cheminanospace.blogspot.com/2017/10/blog-post_23.htm.
18. <http://www.economists.ge/ka/activities/publications/#141-mtsire-da-sashualo-biznesi-saqartveloshi>

Murman Kvaratskhelia

THE FORMATION OF EVALUATION INDICATORS OF ECONOMIC SAFETY

Summary

In the modern world the multi-faceted and stable development of a country is determined by the level of its economic development. Under these conditions the decrease of the level of country's national and economic safety is of the vital significance. Evaluation indicators and parameters of a national and economic safety are used for this. The indicators of economic safety are able to create the greatest danger to a national economy. These indicators are the decrease of GDP, the instability of a money-credit system, the diversification of external economic relations, the creation of strategic recourse stocks, the deficit of a budget, a foreign and domestic debt, the slowing down of scientific-technological progress, the obsolescence of fixed assets, the growth of dependence on the foreign investments etc.

*გოდერძი ტყეშელაშვილი
ნიკა აბდუშელიძე*

საქართველოს სატრანსპორტო ფუნქციის გააქტიურების ეკონომიკური მიმართულებები

ანოტაცია. საქართველო დასავლეთისათვის ევროპის აზიასთან დამაკავშირებელ ტერიტორიულ ხიდს წარმოადგენს, შესაბამისად, მის ტერიტორიაზე გაედინება ევროპის აზიასთან, და პირიქით დამაკავშირებელი უმოკლესი გზა ხმელეთით, ამასთან, საქართველოს ეკვრის შავი ზღვის აკვატორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს კი მოხერხებული ბუნებრივი წანამძღვრებია საქართველოს ტრანსპორტის განვითარებისათვის.

მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოს ტრანსპორტის ყველა სექტორი საჭიროებს დაჩქარებულ განვითარებას, რაშიც გადამწყვეტი, სხვა საკითხებთან ერთად, მაკროეკონომიკური ფაქტორებია, რომლებიც შემდეგი სახით ჩამოყალიბდა:

- ქვეყანაში საბაზრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ისე, რომ უზრუნველყოფით სასაქონლო, ფასიანი ქაღალდების და შრომითი ბირჟების სრულყოფილად ფუნქციონირება;

- საგადასახადო სისტემის სრულყოფა. სატრანსპორტო და საექსპედიტორო კომპანიებისათვის შეიქმნას შეღავათიანი საგადასახადო სისტემა. საგადასახადო სისტემა გახდეს დიფერენცირებული, არაპროპორციული და გათვალისწინებულ იქნეს დაბალი საგადასახადო განაკვეთები პრიორიტეტული დარგებისათვის;

- გაუმჯობესდეს ფულად-საკრედიტო სისტემა ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ეროვნული ვალუტის - ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობა მსოფლიოს სხვა თავისუფლად კონვერტირებულ ვალუტებთან (აშშ-ს დოლარი, ევრო, გირვანქა სტერლინი), ამასთან, სატრანსპორტო კომპანიებისათვის განისაზღვროს შეღავათიანი კრედიტები მსგავსად სახელმწიფო პროგრამისა „აწარმოე საქართველოში“.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, მენეჯმენტი, ტრანსპორტი, სატრანსპორტო სისტემა.

შესავალი

საქართველოს აქვს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა, რაც იძლევა სატრანსპორტო სისტემის უპირატესი განვითარების საშუალებას. ყველაზე სტაბილურად ვითარდება და ფუნქციონირებს მილსადენი ტრანსპორტი ორივე - აღმოსავლეთ-დასავლეთ და ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებებზე.

საქართველოზე გადის ორი ნავთობსადენი - ბაქო-ჯეიჰანის (BTC, Baku-Tbilisi-Ceyhan) და ბაქო-სუფსის (WREP, Western Route Export Pipeline).

ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის გამტარუნარიანობა (სიმძლავრე) 50 მილიონი ტონა ნედლი ნავთობია. იგი სათავეს იღებს სანგაჩალის ტერმინალიდან და თურქეთის ტერიტორიის ხმელთაშუა ზღვის ჯეიჰანის ტერმინალამდე გრძელდება. მხოლოდ საქართველოს ფარგლებში მისი სიგრძე 248 კმ-ია. სატრანსპორტო გადასახდელის სახით (სუფთა შემოსავლები) საქართველო ყოველწლიურად დაახლოებით 50 მლნ აშშ დოლარს იღებს. მილსადენით სარგებლობენ არა მარტო აზერბეიჯანის, არამედ ყაზახეთისა და თურქმენეთის კომპანიებიც, რის ხარჯზეც სიმძლავრის გამოყენების სიდიდე 80 %-ს აღემატება.


ბაქო-სუფსის ნავთობსადენი სათავეს იღებს სანგაჩალის ტერმინალიდან და მთავრდება სუფსაში, მისი სიგრძე 837 კმ-ია, სიმძლავრე 7 მლნ ტ ნედლი ნავთობი წლიურად. ამ ნავთობსადენზეც სიმძლავრის გამოყენების მაღალი მაჩვენებელია, რაც განპირობებულია ალტერნატიული ბაქო-ნოვოროსისკის მილსადენის გადაქაჩვის მაღალი ღირებულებით, მისი ფასი ბაქო-სუფსის მიმართულების ფასს თითქმის 4-ჯერ აღემატება [6].

გარდა ნავთობსადენებისა, საქართველოს ტერიტორიაზე გაედინება ორი გაზსადენიც - ბაქო - ერზერუმის და ე.წ. ჩრდილო-სამხრეთის (რუსეთი-საქართველო-სომხეთი). პირველის სიმძლავრე (გამტარუნარიანობა) 20 მლრდ მ³ გაზია წლიურად და მისი ათვისების მაჩვენებელი მაღალია, ხოლო ჩრდილო-სამხრეთის მილსადენის სიმძლავრე (გამტარუნარიანობა) 12 მლრდ მ³-ია და იგი მხოლოდ უმნიშვნელოდ გამოიყენება.

ბაქო-ერზერუმის მილსადენი ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის პარალელურია, შესაბამისად მათი სიგრძეც თითქმის ერთნაირია.



სურ. 1. ბაქო-ჯეიჰანის და ბაქო-სუფსის ნავთობსადენების მარშრუტები




სურ. 2. ბაქო-ერზურუმის გაზსადენის სქემა

გაზსადენებიდან განსხვავებით ბოლო წლებში უარესდება საქართველოს რკინიგზის ტექნიკურ-ეკონომიკური მჩვენებლები, რაც გამოწვეულია გადაზიდული ტვირთების მოცულობის შემცირებით. 2006 წლიდან 2016 წლამდე პერიოდში გადაზიდული ტვირთების რაოდენობა და შესაბამისად ტვირთბრუნვაც შემცირდა თითქმის ორჯერ.

ცხრილი 1

საქართველოს რკინიგზით გადაზიდული ტვირთები და ტვირთბრუნვა [1, 195]

წლები	გადაზიდული ტვირთების მოცულობა (ათასი ტონა)	ტვირთბრუნვა (მლნ ტ-კმ)
2006	22 643.3	7 393.2
2007	22 230.0	6 927.5
2008	21 181.2	6 515.7
2009	17 104.0	5 417.0
2010	19 930.1	6 227.5
2011	20 123.4	6 054.8
2012	20 076.0	5 976.6
2013	18 185.0	5 525.9
2014	16 673.3	4 987.6
2015	14 142.7	4 261.3
2016	11 881.7	3 423.1



რკინიგზა კი საქართველოს ტრანსპორტის ის ძირითადი სექტორია, რომელსაც გაცილებით დიდი პოტენციური გააჩნია დღევანდელ მდგომარეობასთან შედარებით. მან შეიძლება გაცილებით მეტი მოუტანოს სახელმწიფო ბიუჯეტს და ამავე დროს რამდენჯერმე გაზარდოს დასაქმებულთა რიცხოვნობა. ჯერ კიდევ ახლო წარსულში - გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს რკინიგზას ფაქტობრივად გადაჰქონდა 40 მლნ ტ ტვირთი და გადაჰყავდა 12 მლნ მგზავრზე მეტი [5; 154-155].

მართალია, მაშინ ფუნქციონირებდა აფხაზეთის ტერიტორიაზე გამავალი რკინიგზა და საქართველოს ეკონომიკაც უკეთ იყო განვითარებული, მაგრამ რკინიგზის სიმძლავრეს მნიშვნელოვანი კლება არ განუცდია, შეიძლება ითქვას, გაიზარდა კიდევ. ამიტომ ამ მიმართულებით არსებული რეზერვები არსებობს და აუთვისებელია.

რკინიგზის მუშაობის მოცულობით უმეტესწილად განისაზღვრება საქართველოს პორტების დატვირთვაც. საქართველო საზღვაო ქვეყნის სტატუსის მატარებელია, მაგრამ მიეკუთვნება იმ უმცირეს ქვეყანათა ჩამონათვალს, რომელთაც საკუთარი საზღვაო ფლოტი არ ჰყავს და საზღვაო ტრანსპორტს მხოლოდ პორტები წარმოადგენს.

საქართველოში სრულფასოვნად ფუნქციონირებს ბათუმის და ფოთის პორტები, ყულევის და ანაკლიის პორტები მშენებლობის პროცესშია, ასევე ფუნქციონირებს სუფსის ტერმინალიც, მაგრამ აქაც პოტენციური შესაძლებლობა გაცილებით მეტია.

სატრანსპორტო სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი - საავტომობილო ტრანსპორტი ბოლო პერიოდში აღმავლობას განიცდის. საქართველოში ავტომობილების რაოდენობა განუწყვეტლივ მატულობს. 2015 წლის ბოლოს ქვეყანაში 1,1 მლნ მანქანა იყო რეგისტრირებული, ამ რიცხვმა 2017 წლის ბოლოსთვის სავარაუდოდ 1,3 მლნ-ს მიაღწია. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ლამის ყოველ მეორე ადამიანს, ანუ ზრდასრული მოსახლეობის 40%-ზე მეტს მანქანა ჰყავს [ჩიტაია, 2].

ავტოპარკის 81,6%-ს მსუბუქი და მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომანქანები შეადგენს. სამგზავრო ავტომანქანების წილი საქართველოს ავტოპარკში 4,5%-ია, ხოლო სატვირთოების - 8,3%. ავტოპარკის მნიშვნელოვანი ნაწილი (91%) 2007 წლამდეა წარმოებული. 3 წლამდე ასაკის ავტოსატრანსპორტო საშუალებები ავტოპარკის მხოლოდ 1,3%-ს შეადგენს [3]. ავტოპარკში სამგზავრო და სატვირთო ავტომობილების დაბალი ხვედრითი წილი იმის მაჩვენებელია, რომ საავტომობილო სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვებში ქართული კომპანიების წილი მოკრძალებულია.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთის მოცულობამ შეადგინა 30 მლნ ტ-ზე მეტი, ხოლო ტვირთბრუნვამ მხოლოდ 673 მლნ ტ-კმ [1; 195], რაც მიუთითებს იმაზე, რომ საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთების უმეტესობა ხორციელდება მოკლე მანძილებზე და ტრანსპორტის ამ სახეობით ტრანზიტული ტვირთების მომსახურებას ქართული სატრანსპორტო კომპანიები სათანადოდ ვერ იყენებენ.

აღნიშნულის დამადასტურებელია ისიც, რომ საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვებში საქართველო სრულად ვერ ითვისებს ევროპის მინისტრთა საბჭოს მიერ გამოყოფილ კვოტებს (ევროპის ქვეყნების ტერიტორიებზე დგინდება გადაზიდვის და სატრანსპორტო საშუალებების მაქსიმალური რაოდენობის ლიმიტები). შესაბამისად, ECMT-ს ლიცენზიის მფლობელი გადამზიდველები საქართველოში მხოლოდ 444-ია, მათ შორის მრავალმხრივი კვოტა გამოყოფილი გვაქვს EURO-V-ის კატეგორიაში გრძელვადიანი 300 და მოკლევადიანი 120, მათგან მხოლოდ 10 ათვისებული [4].

საავიაციო გადაყვანების და ტვირთის გადაზიდვის მიხედვითაც საქართველოს მნიშვნელოვანი პოტენცია გააჩნია, რომლის გამოყენებაც ვერ ხერხდება.

დასკვნა

იმ მიზნით, რომ გამოყენებულ იქნეს საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე სატრანსპორტო პოტენციალი უფრო ინტენსიურად, საჭიროა მაკროეკონომიკური ღონისძიებების გატარება, რაც შემდგომში გამოიხატება:

- ხელი შეეწყოს საბაზრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. უზრუნველვყოთ სასაქონლო, ფასიანი ქაღალდების და შრომითი ბირჟების სრულყოფილად ფუნქციონირება, რაც ჯერჯერობით მიუღწეველია;

- სატრანსპორტო გადამზიდავი კომპანიებისათვის შეიქმნას შეღავათიანი საგადასახადო სისტემა. საგადასახადო სისტემა გახდეს დიფერენცირებული, არაპროპორციული და პრიორიტეტული დარგებისათვის გათვალისწინებულ იქნეს დაბალი საგადასახადო განაკვეთები;

- გაუმჯობესდეს ფულად-საკრედიტო სისტემა ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ეროვნული ვალუტის ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობა მსოფლიოს სხვა თავისუფლად კონვერტირებულ ვალუტებთან (აშშ-ს დოლარი, ევრო, გირვანქა სტერლინი), ამასთან, სატრანსპორტო კომპანიებისათვის განისაზღვროს შეღავათიანი კრედიტები მსგავსად სახელმწიფო პროგრამისა „აწარმოე საქართველოში“.

ამ ღონისძიებათა გატარება უზრუნველყოფს ტრანსპორტის დაჩქარებულ განვითარებას დროის მცირე მონაკვეთში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2017. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბილისი, 2018. გვ. 195.

2. მარი ჩიტაია. საქართველოში 1,1 მლნ ავტომობილი მოძრაობს. გაზეთი „რეზონანსი“. 03.02.2016.

საიტი: http://resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=27921. გადამოწმებულია 17.12.2018.

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი. საინფორმაციო ცენტრი. ავტოპარკი 2016.

საიტი: <https://police.ge/files/pdf/statistika%20da%20kvlevebi/2017/autoparki-2016-5.pdf> . გადამოწმებულია 17.12.2018.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მონაცემები. საიტიდან:

<http://lta.gov.ge/doc/satvirto%20gadazidvebi/2018/ECMT%202018-danarti-44.pdf>. გადამოწმებულია 17.12.2018.

5. Народное хозяйство Грузинской ССР в 1987 году. Тбилиси 1988. с.154-155.

6. Нефтепровод Баку — Супса. საიტზე:

https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9D%D0%B5%D1%84%D1%82%D0%B5%D0%BF%D1%80%D0%BE%D0%B2%D0%BE%D0%B4_%D0%91%D0%B0%D0%BA%D1%83_%E2%80%94%D0%A1%D1%83%D0%BF%D1%81%D0%B0. გადამოწმებულია 05.11.2018.

ECONOMIC DIRECTIONS OF ACTIVATION OF GEORGIA'S TRANSPORT FUNCTION

Summary

Georgia represents a territorial bridge connecting for West the Europe with the Asia, and accordingly on its territory passes the shortest connecting the Europe to Asia land route and vice versa, and a significant part of the Black Sea Aquarius is coast of Georgia. This is a convenient natural way to develop Georgia's transport.

In addition all sectors of Georgian transport require urgent development, on that with other factors decisive are macroeconomic ones that are formed in the following way:

- Improvement of market infrastructure in the country to ensure full functionality of commodity, securities and labor exchanges;
- Perfection of tax system. Preferred tax system for transportation and forwarding companies. Tax system becomes differentiated, disproportionate and low tax rates for the priority sector;
- To improve the money-credit system in order to ensure the stability of the national currency exchange rate exchange with other world freely converted currencies (US dollars, euros, pounds sterling), as well as for transport companies to pay preferential credits similar to state program "Produce in Georgia".

რევაზ ჯავახიშვილი

ინოვაციური ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზრის თავისებურებები

ანოტაცია. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებულმა განვითარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბაზრის თვისობრივად ახალი ტიპის - მაღალი ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზრის შექმნასა და სწრაფი ტემპებით განვითარებას. სტატიაში გაშუქებულია ახალი ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზრის არსი, სუბიექტები და ობიექტები, გარიგების სახეები. მის ფორმირებასა და ფუნქციონირებაზე მოქმედი საშინაო და საგარეო ფაქტორები. სტატიაში მთავარი ყურადღება ეთმობა საერთაშორისო ბაზრის თავისებურებების განსაზღვრას.

საკვანძო სიტყვები: ახალი ტექნოლოგიები, საერთაშორისო ბაზარი, საერთაშორისო გარიგება, ლიცენზიები და პატენტები.

შესავალი

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპის თავისებურებაა ეროვნულ ეკონომიკათა დაახლოება, ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება და საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების გაფართოება, რაც ვლინდება შრომის საერთაშორისო დანაწილების, სავაჭრო, საინვესტიციო, საფინანსო ეკონომიკური კავშირების გაღრმავებაში, წარმოების ინტერნაციონალიზაციასა და ეკონომიკის გლობალიზაციაში.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარებასა და ეკონომიკური გლობალიზაციის გაღრმავებას შედეგად მოსდევს კაპიტალის, საქონლისა და მომსახურების ერთიანი პლანეტარული ბაზრის შექმნა და განვითარება, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სეგმენტს ინოვაციური (მაღალი, უახლესი) ტექნოლოგიების ბაზარი წარმოადგენს. ასეთი ბაზრის წარმოქმნისა და ფუნქციონირების საფუძველია ინოვაციური სფეროს –

მეცნიერების უახლესი ტექნოლოგიებისა და მეცნიერებატევადი დარგების შექმნა და განვითარება, რაც უზრუნველყოფს ქვეყნების მდგრად ეკონომიკურ განვითარებასა და უსაფრთხოებას.

მეცნიერებატევადი წარმოების სწრაფმა ზრდამ დიდი ბიძგი მისცა ინოვაციების ინტენციური მეცნიერული კვლევის გაფართოებას. ინოვაციები გადაიქცა ეკონომიკური ზრდის სტრატეგიულ ფაქტორად, რომელიც დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, მ.შ. ინოვაციური ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზრის ფორმირებასა და ფუნქციონირებაზე.

ინოვაციური ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზარი, როგორც საგარეო-ეკონომიკური კავშირების მნიშვნელოვანი ნაწილი, თავისთავში გულისხმობს ინოვაციური ტექნოლოგიური პროდუქტების გაცვლის გაფართოებულ სფეროს, რომელიც ხორციელდება წარმოების ტექნიკური და ტექნოლოგიური დონის ამალღებისა და მოგების მიღების მიზნით. საერთაშორისო ბაზარზე ტექნოლოგიური პროდუქტები გამოდიან წარმოების მეთოდებისა და ხერხების, მისი ორგანიზაციისა და მართვის შესახებ მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის კომპლექსის სახით. სწორედ ასეთი ცოდნის კომპლექსის ცალკეული ელემენტები გვევლინებიან მაღალი ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზრის გაცვლის ობიექტებად.

მაღალი ტექნოლოგიების ბაზრის **მონაწილეებია**:

➤ სახელმწიფო სტრუქტურები, სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებები, კერძო ინოვაციური ფირმები და კომპანიები, აგრეთვე, ფიზიკური პირები – ინდივიდუალური გამომგონებლები, საქმიანობის ამა თუ იმ სფეროს სპეციალისტები და ექსპერტები, რომლებიც დაინტერესებული არიან მოცემულ ბაზარზე გაყიდონ თავიანთი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები;

➤ უმსხვილესი სამრეწველო და სხვა დარგის ფირმები და კომპანიები, რომლებიც ცდილობენ ამ ბაზარზე შეიძინონ ყველაზე უფრო მაღალი დონის მატერიალიზებული ტექნოლოგიური პროდუქტები და პერსპექტიული მეცნიერულ-ტექნიკური გამოკვლევების შედეგები და გამოიყენონ ისინი თავიანთ საკუთარ წარმოებაში;

➤ საშუამავლო ფირმები და კომპანიები, რომლებიც მოწოდებულნი არიან შექმნან მატერიალიზებული ტექნოლოგიური პროდუქტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური გამოკვლევების მონაცემთა ბაზები, მათი პოტენციური გამყიდველებისა და მყიდველებისათვის.

ახალი ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზარზე ტექნოლოგია - საქონლის ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება **გარიგების** საფუძველზე. გარიგების ობიექტს – წარმოადგენს ადამიანის ინტელექტუალური საქმიანობის შედეგები, ანუ მისი ინტელექტუალური საკუთრება [1], როგორც ნივთობრივი (მატერიალიზებული), ასევე არანივთობრივი (არამატერიალიზებული) ფრორმით. ნივთობრივ გარიგებაში იგულისხმება ნივთობრივი ინოვაციური მზა პროდუქცია – საწარმოო დანიშნულების მანქანა-დანადგარები, ტექნიკური მოწყობილობა, ნედლეული და სხვა, ხოლო არანივთობრივში – სამეცნიერო-ტექნიკური გამოკვლევების შედეგები, სხვადასხვა სახის ინფორმაცია, საწარმოო ცოდნა, გამოცდილება, მენეჯმენტი და ა. შ.

ზოგადად კი ე.წ. ტექნოლოგია - საქონელი ბაზარზე გამოდის, უწინარეს ყოვლისა, პატენტების, ლიზენციების, „ნოუ-ჰაუს“, მოწყობილობისა და სხვადასხვა ტექნიკის საცდელ-სამრეწველო ნიმუშების სახით, აგრეთვე, ტექნოლოგიები თავისი ვიწრო

გაგებით როგორც ინოვაციური პროდუქტის შექმნის ქიმიური, ბიოტექნოლოგიური და სხვა სახის პროცესების მეთოდები და ხერხები[6].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინოვაციური ტექნოლოგიებით საერთაშორისო ვაჭრობაში ხშირად გამოიყენება ისეთი ცნებები, როგორცაა „ტექნოლოგიების გადაცემა“, „ტექნოლოგიების გაცვლა“. პირველში იგულისხმება ახალი ტექნოლოგიების გაყიდვა, მეორეში კი – ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნიდან მისი ტექნოლოგიური სიახლეების სანაცვლოდ თავისი ტექნოლოგიების შეთავაზება. ტექნოლოგია-საქონლით ვაჭრობის დროს მისი დანაწევრება ძალზე ძნელია. მაგალითად, მსოფლიო ბაზარზე მანქანა-მოწყობილობის მიწოდებას (განსაკუთრებით კომპლექტური მოწყობილობის) თან ახლავს დოკუმენტაციის პაკეტი, ზოგჯერ კი ლიცენზიებისა და „ნოუ-ჰაუს“ მიწოდებაც [7].

ტექნოლოგიების საერთაშორისო გადაცემა წარმოადგენს ფირმებსა და სხვადასხვა ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობას უცხოური მეცნიერულ ტექნიკური მიღწევების გამოყენების სფეროში. ამ შემთხვევაში ტექნოლოგიაში იგულისხმება როგორც თავად ტექნოლოგია, ისე მატერიალიზებული ანუ მანქანებსა და მოწყობილობებში განივთებული ტექნოლოგიები. სადღეისოდ, როგორც ერთი, ისე მეორე სახის ტექნოლოგიებით ვაჭრობა მსოფლიოში ძალზე სწრაფი ტემპით ვითარდება.

თანამედროვე ეტაპზე ინოვაციური ტექნოლოგიებით საერთაშორისო ბაზარზე ფართოდ გამოიყენება ტექნოლოგიების გადაცემის შემდეგი ძირითადი ფორმები:

➤ სამრეწველო საკუთრების ყველა ფორმის გადაცემა, გაყიდვა ან ლიცენზიების მეშვეობით შეთავაზება;

➤ მაღალტექნოლოგიური პროდუქციით ვაჭრობა;

➤ „ნოუ-ჰაუსა“ და ტექნოლოგიური გამოცდილების შეთავაზება;

➤ ტექნიკური ცოდნის გაყიდვა, რომელიც საჭიროა მანქანა-მოწყობილობის, მასალებისა და ნახევარფაბრიკატების შექმნის, მონტაჟისა და გამოყენებისათვის, რომლებიც მიღებულია შესყიდვების, იჯარისა და ლიზინგის მეშვეობით;

➤ საკონსულტაციო მომსახურებისა და ინჟინერინგის შეთავაზება;

➤ ტექნოლოგიების გადაცემა სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო კოოპერაციის ჩარჩოებში;

➤ ტექნოლოგიების გადაცემა საინვესტიციო თანამშრომლობის ფარგლებში.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი უახლესი ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზარზე გატანა და რეალიზაცია ძირითადად სამი გზით ხორციელდება:

1. განივთებული სახით ექსპორტირებული ტექნოლოგიების შექმნით, საქონელთან და მატერიალიზებულ ინვესტიციებთან ერთდ, ბაზარზე მათი გატანის გზით;

2. წმინდა სახით ტექნოლოგიების ბაზარზე გატანა, როცა ისინი უშუალოდ იძენენ საქონლურ ფორმას – ლიცენზიები, მართვისა და კონტროლის ფორმები, ტექნიკური დახმარების აღმოჩენა და სხვა;

3. კაპიტალსა და საწარმოო ძალებთან ერთად, როგორც ტექნიკური კაპიტალის მიწოდება [5].

ბოლო პერიოდში მსოფლიო ეკონომიკაში მომხდარმა სტრუქტურულმა ძვრებმა და სამეცნიერო-ინოვაციური სფეროს სწრაფმა განვითარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ინოვაციური ტექნოლოგიური საქონლის წარმოებისა და ასეთი საქონლით ვაჭრობის საერთაშორისო ბაზრის გაფართოებას. აღნიშნულ გარემოება ცალკეული ქვეყნების მიმართ განპირობებულია როგორც საგარეო, ისე საშინაო ფაქტორებით:

საგარეო ფაქტორებს განეკუთვნება: ბუნებრივ რესურსებზე გლობალური კონკურენციის გამწვავება, ბოლო პერიოდში მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური მოწყობის სფეროში მომხდარი არსებითი ცვლილებები; ცოდნის ეკონომიკაზე გადასვლა; ადამიანის გარე სამყაროსთან დამოკიდებულების პრობლემები, რაშიც იგულისხმება ბუნებრივი რესურსების ამოწურვა, გარემოს გაჭუჭყიანება, დედამიწის მოსახლეობის სწრაფი ტემპებით ზრდა და ა.შ.

საშინაო ფაქტორთა შორის შეიძლება გამოიყოს ისეთები როგორცაა მოსახლეობის სწრაფი დაბერება, მისი ჯანმრთელობის გაუარესება და განათლების დონის დაცემა, მოძველებული ტექნოლოგიების სიჭარბის გამო ეკონომიკის მოდერნიზაციის აუცილებლობა, ეკონომიკის სანედლეულო ორიენტაცია და მსოფლიოში არსებული რეგიონული დისპროპორციები.

გარდა ამისა, სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნა-გამოცდილებისა და ახალი ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზრის გაფართოება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ცალკეული ქვეყნების სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების დონეთა შორის არსებული დიდი განსხვავებით. სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების წარმოება დაკავშირებულია დიდძალ ფინანსურ სახსრებთან, ძვირადღირებულ ტექნიკურ მოწყობილობასა და მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-ტექნიკური კადრების მომზადებასთან, რისი შესაძლებლობებიც ყველა ქვეყანას არ გააჩნია.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის არნახული სწრაფი ტემპებით განვითარების პროცესში მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიების კონცენტრირება ხდება მაღალ-განვითარებული ქვეყნების მცირე ჯგუფის ხელში, რომლებიც დიდ სახსრებს ხარჯავენ სკსს-ის განხორციელებაზე. მსოფლიოში ამ მიმართულებით გამოიკვეთა სამეული – აშშ, იაპონია და გერმანია. აშშ ითვლება ყველაზე მოწინავე ქვეყნად, რომელიც ყოველწლიურად სკსს-ზე უფრო მეტს ხარჯავს, ვიდრე გერმანია, საფრანგეთი ინგლისი, იტალია და იაპონია ერთად. სწორედ ამიტომ აშშ-ში თავმოყრილია სამეცნიერო მიღწევების დიდი ნაწილი. [5].

ახალი ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზრის აქტიური მოთამაშეები არიან ჩინეთი, იაპონია და გერმანია. იაპონია ფართოდ იყენებს უცხო ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის სფეროში მიღწეულ შედეგებს, რაც მას საშუალებას აძლევს საკუთარი სამეცნიერო გამოკვლევების სრულყოფის საფუძველზე ახალი ინოვაციური პროდუქციის წარმოებისათვის. ამ მხრივ გერმანიაც აქტიურად მონაწილეობს ამ ბაზარზე, რომელმაც უცხოური ლიცენზიების შეძენით განახორციელა სატრანსპორტო საშუალებების, ქიმიური წარმოებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის დარგთა მოდერნიზაცია.

ახალი ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზრის ფუნქციონირება რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რაც, უპირველეს ყოვლისა, თვით ტექნოლოგია-საქონლის თავისებურებებით უნდა აიხსნას. საქმე იმაშია რომ ტექნოლოგია წარმოადგენს თავისებურ, განსაკუთრებული სახის საქონელს, რომელიც ბაზარზე გამოდის მატერიალიზებული და არამატერიალიზებული ფორმით და აქვს თავისი სასიცოცხლო ციკლი და მისი ცალკეული სტადიები (ეტაპები): გამოკვლევა და დამუშავება, უტილიზაცია, ტექნოლოგიური ზრდა, ტექნოლოგიური სიმწიფე და ტექნოლოგიური მემკვიდრეობა. საბაზრო სტადიამდე ტექნოლოგია გვევლინება შესაძლებელ საქონლად. ცნობილია რომ მსოფლიოში გამოიყენება დაპატენტებული სიახლეების მხოლოდ 3-5% და ყოველი 100 იდეიდან კომერციალიზაციის პერსპექტივა გაჩნია მხოლოდ ერთს, საშუალოდ 100 სასაქონლო სახეობიდან კი ბაზარი უარყოფს 90-ზე მეტს [6].

ტექნოლოგია-საქონლის სასიცოცხლო ციკლის მეორე სტადიაში იგულისხმება მისი ბაზარზე გასვლა, რომელიც წარმოადგენს კრიტიკულ სტადიას. პერსპექტიული ტექნოლოგიები სწრაფად პოულობენ ადგილს ბაზარზე, რომელთა მესაკუთრეები დაინტერესებული არიან მაქსიმალურად მოკლე ვადაში მათი კომერციალიზაციით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ტექნოლოგიების ბაზარზე უნდა განახორციელონ წარმოების ორგანიზაცია, რისთვისაც საჭიროა ეფექტიანად გამოიყენონ მოქმედი საწარმოო სიმძლავრეები და ახალი ინვესტიციები. წინააღმდეგ შემთხვევაში ბაზარზე უნდა გაიყიდოს ლიცენზიები მათი გამოყენების უფლებით. ამ ბაზრის თავისებურება იმაშიც გამოიხატება, რომ ამ დროს ბაზარზე გამოჩნდებიან ხოლმე იმიტატორი - ფირმები, რომლებიც ყიდვიან მსგავს ტექნოლოგია-საქონელს განსხვავებული მარკებით, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს ასეთ ბაზარზე კონკურენციის გამწვავებაზე.

ბაზარზე პიკის მიღწევის შემდეგ, ტექნოლოგიებზე მოთხოვნა თანდათან მცირდება, მოგება კლებულობს, რაც სავსებით კანონზომიერი პროცესია და შედეგია უფრო ეფექტიანი ინოვაციური ტექნოლოგიების გამოჩენისა. ამ სტადიაზე აღნიშნული ტექნოლოგიების მესაკუთრეები ცდილობენ შდარებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებთან ერთად შექმნან შერეული საწარმოები, რაც მათ საშუალებას აძლევს მოძველებული ტექნოლოგიების სასიცოცხლო ციკლის ვადის გაგრძელებისათვის.

საერთოდ კი ახალი ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზრის ფუნქციონირების ერთ-ერთი თავისებურება მისი მრავალსაფეხურიანობაა. „მაღალი ტექნოლოგიები“, ყველაზე უფრო ინოვაციური პროდუქტები, წარმოადგენს ბაზარზე გარიგების საგანს, უწინარეს ყოვლისა, მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებს შორის, რამდენადაც სწორედ ისინი არიან ასეთი ტექნოლოგიების შემქმნელებიც და მომხმარებლებიც. „საშუალო“ და „დაბალი“, როგორც მოძველებული ტექნოლოგიები, მათ ინტერესებში არ შედის. განვითარებადი ქვეყნების ბაზრებზე კი ისინი შეიძლება მიეკუთვნოს „მაღალ ტექნოლოგიებს“. განვითარებულ ქვეყნებს შორის ტექნოლოგიების გაცვლა შეიძლება მივაკუთვნოთ მაღალ, პირობითად პირველ დონეს, ხოლო მათ მიერ განვითარებადი ქვეყნებისათვის ტექნოლოგიების გადაცემა კი შედარებით დაბალ, ანუ მეორე დონეს. ქვეყნებს შორის არსებული ტექნოლოგიური გარღვევის შედეგად ადგილი აქვს ტექნოლოგია-საქონლის სასიცოცხლო ციკლის ხელოვნურად გაზრდას, რაც, პირველ რიგში, მსხვილი საერთაშორისო კომპანიებისა და ალიანსებისთვისაა სარგებლიანი.

მაღალი ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზრის ერთ-ერთი თავისებურება ისიცაა, რომ მასში მონაწილე განვითარებადი ქვეყნები, კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისათვის იძულებული ხდებიან განავითარონ თავანთი ტექნიკური ბაზა იმ მიმართულებით, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებშია. მსოფლიო ბაზრებზე მათ მიერ მოწინავე ტექნოლოგიების შექმნა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ტექნოლოგიური ჩამორჩენის დაძლევის, შიდა ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებისათვის. მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნისა და მოწინავე ტექნოლოგიების შექმნა საშუალებას აძლევს ამ ქვეყნებს, რომელთაც არ გააჩნიათ საკმარისი ფინანსური სახსრები სკსს-ს საწარმოებლად, უცხოეთის ქვეყნების მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით უზრუნველყონ საკუთარი ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და უსაფრთხოება.

გასული საუკუნის ბოლო და 21-ე საუკუნის დასაწყისი პერიოდიდან მაღალი ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზარზე დომინანტ როლს ასრულებს უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორი, რაშიც გადამწყვეტ როლს ასრულებს მეცნიერულ დისციპლინათა ფართო სპექტრი. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები ხასიათდება ისეთი თავისებურებით როგორცაა ინფორმაციის

კომპიუტერული ტექნოლოგიებით და სხვა ტექნიკური საშუალებებით დამუშავება, დიდი მოცულობის ინფორმაციის შენახვა და დროის შეზღუდულ პერიოდში მათი შორ მანძილზე გადაცემა.

ზოგადად კი, საერთაშორისო ვაჭრობისაგან განსხვავებით, ახალი ტექნოლოგიებით მსოფლიო ვაჭრობას გააჩნია თავისი სპეციფიკური სამართლებრივ-ნორმატიული ბაზა, რაც ასახულია მისი მარეგულირებელი ორგანოების სათანადო დოკუმენტებში. მათ შორის აღსანიშნავია: ტექნოლოგიების გადაცემის სფეროში ქვევის საერთაშორისო კოდექსი; რეგულირების ისეთი საერთაშორისო ორგანოები, როგორცაა ინტელექტუალური საკუთრების შესახებ სამართლებრივი აქტების სფეროში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმება; ტექნოლოგიების გადაცემის გაეროს კონფერენციის კომიტეტი ვაჭრობისა და განვითარების სფეროში; ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია; ექსპორტზე კონტროლის საკოორდინაციო კომიტეტი; ტექნოლოგიებისა და უსაფრთხოების სფეროში სპეციალისტების სათათბირო და სხვა.

მაღალი ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზრის განვითარების თანამედროვე ეტაპის ერთ-ერთი თავისებურებაა ის, რომ ამ ბაზართან შეერთებისკენ ისწრაფვიან (და არც თუ წარუმატებლად) აზიის, ლათინური ამერიკისა და აფრიკის ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიც. ამგვარი ლტოლვის რეალობად გადაქცევაში კი გადამწყვეტ როლს ასრულებს ამ მიმართულებით აღნიშნული ქვეყნების შესაძლებლობების რეალური შეფასება, სახელმწიფო-სამართლებრივი, საინვესტიციო, საგადასახადო და საექსპორტო-საიმპორტო რეგულირების სწორი პოლიტიკის შემუშავება და მისი პრაქტიკული განხორციელება.

დასკვნა

ახალი ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზარი, როგორც საგარეო-ეკონომიკური კავშირების მნიშვნელოვანი ნაწილი, თავისთავში გულისხმობს ინოვაციური ტექნოლოგიური პროდუქტების გაცვლას, რომელიც ხორციელდება წარმოების ტექნიკური და ტექნოლოგიური დონის ამაღლებისა და მოგების მიღების მიზნით. საერთაშორისო ბაზარზე ტექნოლოგია-საქონლის ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება გარიგების საფუძველზე. გარიგების ობიექტს წარმოადგენს ადამიანის ინტელექტუალური საკუთრება, როგორც ნივთობრივი /მატერიალიზებული/ - მანქანა-მოწყობილობის სახით, ისე არანივთობრივი /არამატერიალიზებული/ ფორმით, რაშიც იგულისხმება სამეცნიერო-ტექნიკური გამოკვლევების შედეგები, სხვადასხვა სახის ინფორმაცია, საწარმოო ცოდნა, გამოცდილება, მენეჯმენტი, „ნოუ-ჰაუ“, ლიცენზიები, პატენტები და სხვ. გარიგების სუბიექტები კი არიან სახელმწიფო სტრუქტურები, სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებები, კერძო ინოვაციური ფირმები და კომპანიები, აგრეთვე ფიზიკური პირები.

ახალი ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზარი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, რომელთაგან აღსანიშნავია: მისი ზრდის წინგამსწრები ტემპი, სხვა დანარჩენი საქონლით საერთაშორისო ვაჭრობასთან შედარებით; ტექნოლოგია-საქონლის სასიცოცხლო ციკლის სტადიებია: გამოკვლევა და დამუშავება, უტილიზაცია, ტექნოლოგიური ზრდა, ტექნოლოგიური სიმწიფე და ტექნოლოგიური მემკვიდრეობა; ტექნოლოგიების ბაზრის ფუნქციონირების მრავალსაფეხურიანობა, მრავალდონიანობა; განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც ყიდულობენ ასეთ ტექნოლოგიებს, იძულებულნი არიან თავიანთი ტექნიკური ბაზა განავითარონ იმ მიმართულებით, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებშია; სადღეისოდ მაღალი ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზარზე დომინანტ როლს ასრულებს უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორი,

რომელსაც ხელეწიფება დიდი მოცულობის ინფორმაციის კომპიუტერული და სხვა ტექნიკური საშუალებებით დამუშავება, შენახვა და დროის შეზღუდულ პერიოდში მათი შორ მანძილზე გადაცემა; ასეთ ბაზარს გააჩნია თავისი სპეციფიკური სამართლებრივ-ნორმატიული ბაზა; დიდია ამ ბაზართან შეერთებისაკენ აზიის, ლათინური ამერიკისა და აფრიკის ნაკლებად განვითარებული ქვეყნების სწრაფვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასოცირების შესახებ ხელშეკრულება საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის, თბილისი, 2014;
2. ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, თბილისი, 2017;
3. ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, თბილისი, 2018;
4. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. X., თბილისი, 2017;
5. <http://diplomba.ru>
6. <http://www.inteeu.com2017/07/01/>
7. <http://cyberleninka.ru/article/n/mirovoy-rinok-visokih-tehnologiy>

Revaz Javakhishvili

THE CHARACTERISTICS OF THE INTERNATIONAL MARKET OF NEW TECHNOLOGIES Summary

The international market of high technology is an area of international exchange of innovative technologies that are carried out in order to increase the technical and technological level of production and profit. The exchange is based on a transaction whose subjects are state structures, private firms, companies and individuals who sell their scientific-technical achievements or use them in their own production. Exchanging is a special kind of item - "Technology-Goods" as a material / machine-driven/, as well as non-material / research results, information, production knowledge, experience, management, know-how, licenses, patents and other forms.

The paper analyzes the main concepts and characteristics of trade with technologies, the most remarkable are the characteristics of the exchange object; More rapid growth of the technology market, compared to trade with other commodities; Peculiar cycle characteristics of the technology-goods market; Multiculturalism of such a market; The great aspiration of developing countries to such a market; Specific legal-normative base and etc.

Valentyna Nykolaieva

SPECIFICATION OF THE ORGANIZATION OF THE SOCIAL WORK SYSTEM IN DEVELOPED EUROPEAN COUNTRIES

Annotation. The article deals with an example of the organization and implementation of effective social policy and social work system. Typical models of social policy and social work and their characteristics are described. The main emphasis is on forms of cooperation between the public and the authorities, research on public opinion, the implementation of public control and the introduction of social contracting. The study of the many years of experience of the EU countries undoubtedly represents a significant interest from academics, civil servants and civil society

representatives in introducing separate provisions for the development of the social work system in Ukrainian society.

Key words: *social policy, social work, social contracting, public control. deinstitutionalization.*

Introduction

The need for social policy a quick and radical reform of the basic social institutions of Ukrainian society in the face of military aggression has placed the greatest challenges facing Ukrainian society since independence. On the one hand, the dramatic events that are taking place contribute to the unification and self-awareness of the Ukrainian political nation, reveal the great potential of civil self-organization existing in society, and, on the other, exacerbate the issues of ensuring all components of the social work system.

In such conditions, the basic parameters of social security have deteriorated considerably (primarily as a result of military aggression in the east), therefore more attention should be paid to overcoming the threats associated with it (unemployment, poverty, depopulation, low social protection, poor physical and social well-being of the population, as well as the consequences of military aggression, dead, wounded and their families, the need for adaptation and rehabilitation of combatants, about 1.5 million internally displaced persons with all the problems that arise from it). The systematization of obstacles, disruptions and negative consequences of long-term critical instability has identified the threats to social security, namely: increase of real social risks and dangers, limitation of human development opportunities, imbalance of social policy and sustainable development, non-acceptance of social responsibility by subjects of social policy, excessive centralization of the latter, the weak role of civil society in shaping social policy and national security, and the low level of public democratization their relations. The experience of implementing social policy and social work in the European Union has shown that these countries have gone from philanthropy to social support of the population to the formation of a "welfare state", which guarantees to its citizens the optimal system of social security and social protection.

* * *

As you know, social work is an effective mechanism for implementing social policy tasks and programs. First of all, in today's conditions, the key influence on the development of social policy in the EU countries is four main trends [Skurativsky V., 2002]:

1) significant demographic changes, the essence of which is the general aging of the population in the member states of the European Union and the increase in the number of elderly people;

2) enhancing the participation of women in the labor market and changes in the gender balance;

3) the existence of a rather high level of unemployment, especially among older people;

4) faster growth of households in comparison with population growth, in particular, increase in the number of non-working households.

The strategy of the social policy of the member states of the European Union is aimed at ensuring a stable living standard of the population, raising the level of employment, reducing inequalities in income, strengthening social protection of the population and eliminating poverty. Social policy defines the priority areas of social services. These priorities vary with the specific conditions of the socio-economic development of a country.

For the paternalistic model of social policy and social work typical of attempts to achieve efficiency, using funds to provide assistance to the neediest members of society who are unable to provide themselves. Compared to others, it differs from the low level of participation of the state in solving social problems. The main burden of social security is borne by the family and private benefactors.

Величина прожиточного минимума в регионах в процентах к среднереспубликанскому уровню по данным Агентства по статистике за 2014 год колеблется от 88,2 % по Жамбылской области до 122,9 % по г. Алматы.

Колебания по показателю валового регионального продукта на душу населения в относительном выражении так же значительны: от 3,63 по Атырауской области до 0,36 по Южно-Казахстанской области.

Среднемесячная номинальная заработная плата в 2014 году различается по регионам почти в 3 раза: максимальная величина - 192356 тенге в Атырауской области, минимальное значение - 74853 тенге в Северо-Казахстанской, при среднереспубликанском уровне 109141 тенге, т.е. зарплата в Атырауской области составляет 176,2 % этого уровня, а в Северо-Казахстанской – лишь 68,5 %. Существенны различия и по другим социально-экономическим и экологическим показателям. Получается, что в одном государстве разные части его территории имеют неравномерное развитие и неравные возможности по удовлетворению потребностей и населения, и бизнеса. К тому же такая резкая дифференциация приводит к неконтролируемой миграции, расширению ареалов депрессивности и бедности, ослаблению механизмов экономического взаимодействия регионов и нарастанию межрегиональных противоречий. Это существенно затрудняет проведение единой социально-экономической политики.

Индикаторами территориальных депрессий и снижения уровня жизни становятся сокращение рождаемости, продолжительности жизни, искажение демографической структуры и т.д.

4) Происходит постепенный процесс дезинтеграции национальной экономики. Доля Казахстана в собственном нефтегазовом секторе составляет всего 27 % [5. 133], остальная доля принадлежит иностранным компаниям – американским и китайским. Эти компании заинтересованы экспортировать сырую необработанную нефть за рубеж по различным направлениям, игнорируя потребности нефтеперерабатывающих предприятий Казахстана. Регионы, специализирующиеся на их развитии, становятся субъектами мировой экономики и слабо связаны с национальным хозяйством. Так, Атырауская, Мангистауская и Карагандинская области обеспечивают весь экспортный потенциал страны: в 2014 году 85 % экспорта составили минеральные продукты, в основном, нефть и нефтепродукты, а так же металлы и изделия из них и химические товары. Это означает, что создаваемый в этих регионах ВРП практически исключается из национального хозяйства и регионы становятся субъектами мировой экономики. Игнорирование внутренних потребностей и нужд страны и работа на внешний рынок неизбежно ведут к нарушению внутренних связей и деформации воспроизводственного процесса единой экономической системы.

5) Увеличивается импорт товаров производственного и потребительского назначения, а это означает, что увеличивается отток валютных средств, получаемых в результате добычи и экспорта невозпроизводимых сырьевых ресурсов и загрязнения окружающей среды. Так, рост объемов импорта только за последние 10 лет - 2005-2014 годы – составил 238 %. Объем импорта машин и оборудования и других материалов промышленного производства вырос за этот период до 220,9 %. [4. С.450]. При этом анализ специалистов показал, что многое из импортируемых товаров могли бы производиться в Казахстане – из 30 млрд.долл США ежегодного импорта, порядка 8 – 10 млрд. долл. возможно было произвести в стране из отечественного сырья и на отечественных предприятиях. [6.] Растет импорт продовольственных товаров, таких как чай, растительное масло, сахар, кондитерские изделия и т.д. хотя известно, что Казахстан имеет большой сельскохозяйственный потенциал. В 1991 году доля сельского хозяйства в структуре ВВП страны составляла 29,4 %, а в 2010 г. она равнялась 4,5 %, а 2014 г – 7,0 %. Это создает угрозу продовольственной безопасности страны.

Таким образом, эти и другие сдерживающие факторы, возникающие в связи с нерациональной, сырьевой структурой национальной экономики, тормозят решение проблемы устойчивого развития в Казахстане и ставят под сомнение возможность выполнения страной, подписанного ею, решений базовых документов Конференции ООН по окружающей среде и развитию. Необходимо усилить поиски более эффективных направлений реализации мировой концепции устойчивого развития.

Использованная литература

1. «Казахстан в 2014 году.» Статистический ежегодник, Астана, 2015

2. Казахстан за годы независимости. 1991-2010. Статистический сборник. Астана. 2011.
3. //http//energo. gov.kz/.
4. Ашимбаева А.Т. Структура экономики: закономерности формирования, тенденции и приоритеты развития. Алматы: Дайк-Пресс, 2000.
5. Османов Ж.Д. Конкурентоспособность нефтегазового комплекса Республики Казахстан и его кластеризация: теория, методология и стратегия. Алматы, 2016.
6. Алшанов Р.А. Экономика Казахстана за 20 лет: устойчивое развитие в условиях глобализации / Казахстанская правда, 12.12.2011

*Izteleu Bibatirova
Kuralay Nurgalieva*

FACTORS DETERRING THE IMPLEMENTATION OF THE CONCEPT OF SUSTAINABLE DEVELOPMENT IN KAZAKHSTAN

Summary

The success of the global concept of sustainable development depends on the vast range of factors. Kazakhstan is endowed with wide variety of natural resources. This endowment led the country to the natural resource specialization in the international division of labor and predetermined specific industrial structure of the national economy. As a result country's reserves of minerals and natural resources gradually get depleted, and environmental conditions get worsen. Furthermore, the natural resource economy generated a number of additional factors deterring the implementation of the sustainable development concept. These factors are the following: 1) Other industries do not develop, because being capital-intensive the natural recourse sector attracts most part of investment. 2) The economic gap between regions increases. This leads to unfair business and consumption opportunities for households and firms. 3) The export of natural resources disintegrates the national economy. 4) Increased imports of capital and consumer goods might weaken national security of the country.

მალხაზ ჩიქობავა

სახელმწიფო ვალის პერმანენტული ზრდის მიზეზების შესახებ

ანოტაცია. ნაშრომში გაანალიზებულია მალაღვანვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო ვალის პერმანენტული ზრდის მიზეზები. აღნიშნულ მოვლენას ისიც ამძაფრებს, რომ ბოლო ათი წლის მანძილზე მკვეთრად გაიზარდა სახელმწიფო და მთლიანი ვალი აშშ-სა და ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში, რაც საფრთხეს უქმნის არა მარტო ამ ქვეყნებს, არამედ გლობალურ ეკონომიკურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას.

განხილულია პერმანენტულად მზარდი სახელმწიფო ვალის პრობლემის მჭიდრო კავშირი მაკროეკონომიკურ წონასწორობასთან, კერძოდ, ერთობლივი მიწოდებისა და მოთხოვნის ტოლობის შეუძლებლობასთან, რის გამოც განვითარებულ ქვეყნებში ადგილი ჰქონდა და აქვს ერთობლივი მოთხოვნის მონეტარულ და ფისკალურ სტიმულირებას. ამასთან, მონეტარული პოლიტიკა აწყდება ლიკვიდურობის ხაფანგის პრობლემას, რომელიც კიდევ უფრო გამძაფრებულია თანამედროვე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისით, რომელიც წარმოადგენს ჭარბი წარმოების კრიზისისა და სარეზერვო ვალუტების, განსაკუთრებით აშშ დოლარის ჭარბი ემისიის ერთგვარ სიმბიოზს, რაც 2011 წლიდან მთელ რიგ ქვეყნებში ვლინდება უარყოფითი

საპროცენტო განაკვეთების არსებობით ბანკების როგორც პასიურ, ისე აქტიურ ოპერაციებზე.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ მონეტარული რეგულირების სისტემა ამოწურულია და ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირების ამოცანა მთლიანად აწვება სახელმწიფო ფინანსებს, რაც სახელმწიფო ვალის პერმანენტული ზრდის მთავარ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო ვალი, ერთობლივი მოთხოვნა, ერთობლივი მიწოდება, რეცესია, მაკროეკონომიკური წონასწორობა, მონეტარული და ფისკალური რეგულირება.

* * *

სახელმწიფო ვალთან დაკავშირებული მაჩვენებლები მუდმივად შუქდება მასმედიით, რომელიც მიუთითებს მსოფლიო ვალის სიდიდის აბსოლუტური და შეფარდებითი ზრდის მდგრად ტენდენციას. მსოფლიო ვალის შესახებ ინფორმაციის ერთ-ერთი ავტორიტეტული წყაროა საერთაშორისო ფინანსების ინსტიტუტი - საინფორმაციო ცენტრი, რომელიც შეიქმნა დასავლეთის უმსხვილესი ბანკების მიერ 1983 წელს. ამ ინსტიტუტის მონაცემებით, მსოფლიო ვალის საერთო მოცულობამ 2018 წლის 1 აპრილისათვის 247 ტრლნ აშშ დოლარი შეადგინა. ეს რიცხვი შედგება შემდეგი კომპონენტებისგან (ტრლნ დოლარი): შინამეურნეობის სექტორი - 47; არასაფინანსო კორპორაციების სექტორი - 74; საფინანსო სექტორი - 61; სახელმწიფო სექტორი - 65. შთამბეჭდავია მსოფლიო ვალის შეფარდებითი მაჩვენებელიც: პირველი კვარტლის ბოლოსათვის მან მსოფლიო მშპ-სთან მიმართებაში 317% შეადგინა [4].

ე.წ. „ოქროს მილიარდის“ ქვეყნების ვალის შედარებითი სიდიდე ბევრად უფრო მაღალია მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე. აშშ-ში ის 329,7%-ია, ევროზონის ქვეყნებისათვის - 386,8%, დიდი ბრიტანეთისათვის - 456,2%, ხოლო იაპონიაში ეს მაჩვენებელი 526,5%-ია. ჩინეთთან მიმართებაში შეფასებები არ არის მოყვანილი, მაგრამ ცნობილია, რომ მისი ვალის შეფარდებითი სიდიდე დასავლეთის ქვეყნების მაჩვენებლების ანალოგიურია. უნდა ითქვას, რომ ყველა ქვეყანაში მშპ-ის მაჩვენებელი გაბერილია: ის ასახავს არა მარტო ეკონომიკის რეალური სექტორის, არამედ მომსახურების სექტორის საქმიანობებსაც, ხოლო მომსახურებათაგან საკმაოდ დიდი ნაწილი სრული ფიქციაა.

რაც შეეხება მსოფლიო ვალის დინამიკას, ცალკეული წლების პირველი კვარტლის მდგომარეობით ის ასე გამოიყურება (ტრლნ დოლარი): 2003 წ. - 99; 2008 წ. - 178; 2013 წ. - 210. ე.ი., 2018 წელს მსოფლიო ვალის სიდიდე 2,5-ჯერ გაიზარდა 15 წლის წინანდელ სიდიდესთან შედარებით. ის 69 ტრლნ დოლარით აღემატება იმ დონეს, რომელიც არსებობდა 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის დაწყებამდე. მარტო 2018 წლის პირველ კვარტალში მსოფლიო ვალი შთამბეჭდავი სიდიდით - 8 ტრლნ დოლარით გაიზარდა. მომდევნო ფინანსური კრიზისის წინაპირობები უკვე დიდი ხანია არსებობს. ამის შესახებ გვაფრთხილებენ ავტორიტეტული ანალიტიკოსები, ასევე წამყვანი საერთაშორისო ინსტიტუტები - საერთაშორისო ანგარიშსწორებების ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია და უმსხვილესი კერძო ბანკები.


ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლოგიკურად ისმის კითხვა: რამ გამოიწვია მსოფლიო მასშტაბით ვალის ასეთი ზრდა? ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი უკავშირდება თანამედროვე ეკონომიკური სისტემის შინაგან დაუბალანსებლობას, ანუ

ამ სისტემის მუდმივად თანამდევ ჭარბი წარმოების კრიზისის „ვირუსს“. ამ საკითხში უკეთ გაგების მიზნით განვიხილოთ მაკროეკონომიკური წონასწორობის არსი.

მაკროეკონომიკური წონასწორობის მიღწევა თანამედროვე ეკონომიკური თეორიისა და პოლიტიკის საკვანძო საკითხია, რომლის მიმართაც ეკონომიკურ სკოლებს ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ხედვები გააჩნიათ. მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს საყოველთაოდ აღიარებული, ე.წ. მენისტრიმული ხედვა, რომელიც მოკლედ ასე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ:

როგორც ცნობილია, წარმოების პროცესში მონაწილე სუბიექტები შემოსავლებს ღებულობენ მათ საკუთრებაში არსებული წარმოების ფაქტორების მიწოდების სანაცვლოდ. მაგალითად, დაქირავებული მუშაკები ღებულობენ სამუშაო ძალის (შრომის) ფასს – ხელფასს; უძრავი ქონების მფლობელები ფულად შემოსავლებს რენტის სახით; ფინანსური კაპიტალის მფლობელები კაპიტალის მიწოდების (გასესხების) შედეგად იღებენ პროცენტებს; აქციონერები – დივიდენდებს, მეწარმე ფიზიკური პირები – ინდივიდუალურ შემოსავლებს; მეწარმე იურიდიული პირები (კორპორაციები) – მოგებას, რომელიც შედგება მოგების გადასახადისგან, გაცემული დივიდენდებისა და გაუნაწილებელი მოგებისგან (ამ უკანასკნელს კორპორაციები იყენებენ რეინვესტირებისათვის); სახელმწიფო, როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური სუბიექტი, შემოსავლებს იღებს გადასახადების სახით, როგორც პირდაპირს, ისე არაპირდაპირს, კერძოდ, საშემოსავლო გადასახადს, მოგების გადასახადს, ქონების გადასახადს, დამატებული ღირებულების გადასახადს, აქციზს, საბაჟო გადასახადს, ასევე სხვადასხვა მოსაკრებლებს სახელმწიფო ფასიანი მომსახურებიდან; და ბოლოს, არსებობს შემოსავლის ისეთი სპეციფიკური ფორმა, როგორცაა მოხმარებული ძირითადი კაპიტალის ღირებულება, რომელიც ცვეთის სახით ერიცხება ეკონომიკაში მოქმედ ფიზიკურ კაპიტალს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია ეკონომიკაში ფულადი შემოსავლებისა და დანახარჯების წრებრუნვის გამარტივებული მოდელი. ამ მოდელში უგულებელყოფილია საგარეო ვაჭრობა, ანუ განიხილება დახურული ეკონომიკა, ასევე დაშვებულია დაბალანსებული სახელმწიფო ბიუჯეტის არსებობა, სადაც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი ძირითადად კორპორაციის მოგებიდან გადასახადითა და ბიზნესზე არაპირდაპირი გადასახადებით ფორმირდება. ერთი სიტყვით, ქვეყნის ბიუჯეტი დაბალანსებულია, ხოლო ეროვნული დანაზოგი მთლიანად ფორმირდება კერძო სექტორში შინამეურნეობების დანაზოგებითა და კორპორაციის გაუნაწილებელი მოგებით. ეკონომიკაში შექმნილი მთლიანი გამოშვება ნაწილდება ფაქტორულ ფულად შემოსავლებად. მთლიანი ფულადი შემოსავალი იყოფა შინამეურნეობების, მთავრობისა და კერძო ბიზნესის შემოსავლებად. კერძო ბიზნესი ახდენს საამორტიზაციო ფონდის ფორმირებას, რომლითაც ახორციელებს მოხმარებული ძირითადი კაპიტალის ჩანაცვლებას, ხოლო კორპორაციის გაუნაწილებელი მოგებითა და შინამეურნეობების დანაზოგებით ახორციელებს წმინდა ინვესტიციებს.



ნახ. 1. ფულადი შემოსავლებისა და დანახარჯების წრებრუნვა

ამ მოდელში საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ შინამეურნეობათა დაზოგილი ფინანსური რესურსი ფინანსური სისტემის (ბანკების, საფონდო ბირჟების, სადაზღვევო კომპანიების, ურთიერთფონდების) გავლით სრულად გადავიდეს ინვესტორის ხელში საინვესტიციოდ. მეინსტრიმის მიხედვით, თუ ფინანსური სისტემა სრულად ახდენს ეკონომიკაში შექმნილი დანაზოგების აკუმულაციას და მის გარდაქმნას საინვესტიციო რესურსად, მაშინ მთლიანი დანაზოგები გაუტოლდება მთლიან ინვესტიციებს და ფულადი შემოსავლებისა და დანახარჯების წრებრუნვის მოდელში შესაძლებელი გახდება ერთობლივ მიწოდებასა და მოთხოვნას შორის წონასწორობის დამყარება რესურსების სრულად გამოყენების პირობით, ანუ მიიღწევა მაკროეკონომიკური წონასწორობა. თუ ეს წონასწორობა მიუღწეველია ერთობლივი დანაზოგების ერთობლივ კერძო ინვესტიციებზე, ანუ ერთობლივი მიწოდების ერთობლივ მოთხოვნაზე გადამეტების გამო, მაშინ, სახელმწიფომ ექსპანსიური ფისკალური და/ან მონეტარული პოლიტიკით უნდა მოახდინოს ერთობლივი მოთხოვნის დეფიციტის კომპენსაცია. ეს უკანასკნელი ეკონომიკურ თეორიაში ცნობილია კეინზიანური რეგულირების სახელით, რომელიც გულისხმობს საბაზრო მექანიზმისა და სახელმწიფო რეგულირების სინთეზს ერთობლივი მოთხოვნის მართვის საფუძველზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შემოსავლები დროის ერთსა და იმავე პერიოდში არ მიიღება. მაგალითად, ხელფასი დამქირავებელმა დაქირავებულს უნდა გადაუხადოს შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ გარკვეული პერიოდულობით, როგორც წესი, ყოველი თვის ბოლოს, მიუხედავად მუშაკის მიერ წარმოებული საქონლის რეალიზაციისა. ზოგიერთი შემოსავალი, მაგალითად მოგება, მიიღება წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, როცა წარმოებული პროდუქტის საზოგადოებრივი აღიარება მოხდება სამომხმარებლო თუ საინვესტიციო საქონლის ბაზარზე. ასე რომ, აღნიშნული ტიპის შემოსავალი სინქრონულად არ ემთხვევა ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს. დივიდენდური შემოსავალიც

მიიღება მას შემდეგ, როცა კორპორაცია მოგებით დაასრულებს საანგარიშო პერიოდს. რაც შეეხება პროცენტებსა და რენტას, ისინი იმისდა მიუხედავად გაიცემა, თუ რამდენად მომგებიანია ბიზნესი და საერთოდ, არის თუ არა მომგებიანი: მოიჯარე ვალდებულია, იჯარა გადაიხადოს ნებისმიერ შემთხვევაში, არის თუ არა მისი ბიზნესი მომგებიანი, იგივე ეხება პროცენტების გადახდასაც. ერთი სიტყვით, ეკონომიკაში არსებული ფაქტორული შემოსავლები, გადახდა შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს, რაც შეუძლებელს ხდის ფულადი შემოსავლებისა და დანახარჯების მთლიანი ნაკადების ტოლობას დროის ერთსა და იმავე მომენტში.


იმისათვის, რომ სრულყოფილად გავიგოთ ამ პრობლემის არსი, კიდევ ერთხელ გავაანალიზოთ კეინზის თეორია. გავიხსენოთ ისტორიული პირობები, რომელშიც კეინზის თეორია აღმოცენდა. მისმა ძირითადმა ნაშრომმა – „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ – დღის სინათლე იხილა 1936 წელს. ამ დროისათვის დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკა ისტორიის მანძილზე ყველაზე ღრმა ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა. აქედან წარმოიშვა იმ საშუალებების მოძიების პრაქტიკული საჭიროება, რომლებსაც ღრმა რყევების გარეშე შეეძლო დინამიკური საზოგადოებრივი კვლავწარმოების უზრუნველყოფა.

ძირითად ფაქტორად, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის განვითარებას, კეინზმა წამოაყენა „ეფექტიანი მოთხოვნის“ კონცეფცია, რომელიც ორი კომპონენტისგან შედგება: მოხმარება (ე.ი. პირადი მოხმარება) და ინვესტირება (ანუ საწარმოო მოხმარება) [Кейнс Дж. М. 1978, 441].

ფაქტორთა ასეთი არჩევანი, რომლებიც გავლენას ახდენს ეკონომიკური განვითარების დინამიკაზე, შემთხვევითი არ ყოფილა. XX საუკუნის 30-იანი წლების შუა პერიოდში დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკა ცდილობდა უმძიმესი კრიზისიდან თავის დაღწევას. როგორც ცნობილია, კაპიტალიზმის დროს ეკონომიკური კრიზისი – ეს არის საქონლის, კაპიტალისა და სამუშაო ძალის ჭარბი წარმოების კრიზისი, ე.ი. ერთობლივი მიწოდების გადამეტება ერთობლივ მოთხოვნაზე.

გააკრიტიკა რა კლასიკური სკოლის კონცეფცია, რომლის თანახმადაც მიწოდება ავტომატურად წარმოშობს მოთხოვნას (სეის კანონი), კეინზმა სრულიად ლოგიკურად ივარაუდა, რომ შემოსავლების გენერირების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მოთხოვნის სტიმულირება, იმ ფაქტორებზე ზემოქმედება, რომლებიც განსაზღვრავს ეფექტიანი მოთხოვნის ფორმირებას და ეროვნული შემოსავლის ნაზრდს.

რატომ მოხდა, რომ დასავლურმა ეკონომიკურმა აზრმა, რომელიც ჯ. კეინზამდე კაპიტალისტური ეკონომიკის თვითრეგულირების უნარიანობას ამტკიცებდა, უეცრად ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობა აღიარა? ამ კითხვაზე საპასუხოდ განვიხილოთ კაპიტალის წრებრუნვის მაგალითი მოსახლეობისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების (ფართო მოხმარების, ანუ სამომხმარებლო საქონლის) წარმოების სტრუქტურაში. საკითხის უკეთ გაგების მიზნით, ეკონომიკის სახელმწიფო სექტორისგან, სახელმწიფო დაკვეთებისგან, ბიუჯეტისგან, გადასახადებისგან და საგარეო ვაჭრობისგან აბსტრაქცია მოვახდინოთ. განვიხილოთ დახურული ეკონომიკური სისტემის გამარტივებული მოდელი. მაშინ კაპიტალის (ფულადი შემოსავლებისა და დანახარჯების) წრებრუნვას გარეგნულად ისეთივე ფორმა ექნება, როგორც ნახ. 2-ზეა წარმოდგენილი [ჩიქობავა მ. 2011, 85].



ნახ. 2. საწარმოო რესურსის, საქონლისა და ფულადი შემოსავალი-დანახარჯის წრებრუნვა

გარეგნულად ყველაფერი იდეალურად გამოიყურება. მაგრამ ამ წრებრუნვაში არსებობს რაოდენობრივი დისპროპორციის წარმოქმნის პრობლემა. ფირმები ერთობლივი ძალისხმევით აწარმოებენ საბოლოო პროდუქტებს და გააქვთ სამომხმარებლო ბაზარზე. იქ ახდენენ ამ საქონლების რეალიზაციას და ღებულობენ შემოსავლებს ფულადი ფორმით. შინამეურნეობები ფირმებს აწვდიან შრომას (სამუშაო ძალას), სანაცვლოდ ღებულობენ ხელფასებს. მიღებული ხელფასებით ყიდულობენ სამომხმარებლო საქონელს. სინამდვილეში, ამ წრებრუნვაში წარმოიშობა პერმანენტული შეუსაბამობის პრობლემა ფულადი შემოსავლებისა და დანახარჯების ნაკადებს შორის. რატომ?

დავუშვათ, ქვეყნის მთელი კაპიტალი (წარმოების საშუალებები), ბუნებრივი რესურსები გაერთიანებულია ერთ დიდ ფირმაში – კორპორაციაში. ეს კორპორაცია აწარმოებს საბოლოო სამომხმარებლო საქონელს, საწარმოო ტექნოლოგიური ჯაჭვის საწყისი ეტაპიდან მოყოლებული. ის აწარმოებს წარმოების საშუალებებს, ნედლეულს, ენერჯიას, მასალებს, მაკომპლექტებელ დეტალებს, მომსახურებას და საბოლოო ნაკეთობას. მაშინ საბოლოო საქონლის ფასი, რომელიც კორპორაციის მიერაა გამოშვებული, მიიღება ხელფასისა და მოგების ჯამით.

სინამდვილეში, კორპორაცია არ ყიდულობს არც წარმოების საშუალებებს, არც სხვა საქონლებსა და მომსახურებას. ის ყიდულობს მხოლოდ შრომას. ყველა დანარჩენს აწარმოებს მისი შიგა სტრუქტურული ქვედანაყოფები. ამ სუპერკორპორაციისათვის არ არსებობს არც რენტა, არც პროცენტები. ყველაფერი იფარება მის ფარგლებში. დავუშვათ, კორპორაცია ყიდულობს შრომას, იხდის ხელფასს 100 მლრდ დოლარის ოდენობით წელიწადში და იმედოვნებს 20%-იანი მოგების მიღებას. კორპორაციას სამომხმარებლო ბაზარზე გააქვს 120 მლრდ დოლარის ღირებულების საქონელი და მომსახურება. ეს ერთობლივი მიწოდებაა.

მაგრამ მომხმარებლებს წარმოადგენენ შინამეურნეობები. მათ შეუძლიათ მხოლოდ წარადგინონ ერთობლივი გადახდისუნარიანი მოთხოვნა მხოლოდ 100 მლრდ დოლარის ოდენობით. სწორედ ამ რაოდენობის განკარგვადი შემოსავალი მიიღეს მათ ხელფასების სახით. ამგვარად, 20 მლრდ დოლარის ოდენობის საბოლოო საქონელი განწირულია იმისთვის, რომ ვერ მოხდება მათი რეალიზაცია. კაპიტალის წრებრუნვაში წარმოიშობა ერთგვარი „საცობი“ - მიწოდების სიჭარბე. პრობლემა კიდევ უფრო ღრმავდება იმით, რომ შინამეურნეობები მთელ ხელფასს არ ხარჯავენ მიმდინარე

მოხმარებისათვის, მის ნაწილს იტოვებენ დანაზოგების სახით. დავუშვათ, ისინი ზოგავენ თავიანთი შემოსავლების 10%-ს. მაშინ „საცობის“ სიდიდე გაიზრდება და უკვე ჩვენს რიცხობრივ მაგალითში მიაღწევს 30 მლრდ დოლარს [ჩიქობავა მ. 2011, 87].

მაშასადამე, 120 მლრდ დოლარის ოდენობის ერთობლივი მიწოდების საერთო მოცულობიდან 30 მლრდ დოლარი რჩება არარეალიზებული – მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას 25%-ით. კორპორაცია იძულებულია, შეამციროს გამოშვების მოცულობა 25%-ით, რასაც უთუოდ მოჰყვება სამუშაო ადგილების შემცირება. მაგრამ ამით შემცირდება ანაზღაურებული ხელფასების მოცულობაც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კვლავ შემცირდება არსებული, ისედაც არასაკმარისი ერთობლივი მოთხოვნა. ამგვარად, რეცესიის პროცესი გაგრძელდება სპირალისებურად.

მაგრამ პრაქტიკიდან ვიცით, რომ არსებობს საწინააღმდეგო პროცესი – აღმავლობა, რომელიც გრძელვადიანი პერიოდისათვის გადაწონის ვარდნას. საიდან შეიძლება აღმოცენდეს აღმავლობა? დავუბრუნდეთ ჩვენს რიცხობრივ მოდელს. წრებრუნვაში წარმოიშვა „საცობი“ საბოლოო საქონლის ბრუნვის 25%-ის ოდენობით. იმისთვის, რომ აღმოვფხვრათ ეს „საცობი“, კორპორაციამ მთელი თავისი მოგება უნდა გადასცეს შინამეურნეობას, დაუბრუნოს მუშაკებს ჯერ კიდევ პოტენციური ზედმეტი ღირებულება.

მაგრამ, ასეთ შემთხვევაში წარმოების კაპიტალისტურ წესს აზრი საერთოდ ეკარგება. კაპიტალის მთავარი მიზანი ხომ მოგების მიღებაა. კორპორაციას არ შეუძლია ფულადი მოგების მიღება ერთობლივი მიწოდებისა და ერთობლივი მოთხოვნის მოცულობებს შორის გარღვევის გამო. ეს კანონია, და თანაც – მათემატიკური. კორპორაცია მათემატიკურად ვალდებულია მთელი თავისი ფულადი მოგება, რომლის მიღებასაც იმედოვნებდა, გადასცეს მუშა-მოსამსახურეებს. ეს კი ეწინააღმდეგება თვით კაპიტალის ბუნებას. სწორედ ამაში მდგომარეობს წინააღმდეგობა წარმოებასა და მოხმარებას შორის, რომელიც გამომდინარეობს კაპიტალზე კერძო საკუთრებიდან – კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობიდან.

კაპიტალის წრებრუნვაში მათემატიკური ღირებულებითი დისპროპორციის აღმოფხვრა შესაძლებელია შემდეგნაირად: პოტენციური ფულადი მოგება უნდა მიეცეს მუშაკებს. სხვა გამოსავალი არ არსებობს. მაგრამ რატომ უნდა მიეცეს მუშაკებს მოგება უბრალოდ ისე, როცა მისი გაცვლა შეიძლება? თუ გაცვლა შეიძლება, მაშინ რაზე უნდა გაიცვალოს? - მხოლოდ შრომაზე! მაგრამ რომელ შრომაზე, თუ უკვე წარმოებული პროდუქცია გაუსაღებელია, საწყობებშია თავმოყრილი და მათგან მეოთხედის გაყიდვის შანსი არ არსებობს? - მხოლოდ შრომაზე, რომელიც გამოიყენება ინვესტიციებში; შრომაზე, რომელიც მოცემულ პერიოდში არ მონაწილეობს საბოლოო პროდუქტის მიმდინარე წარმოებაში. მაგრამ, სად უნდა ვიშოვოთ ფული ინვესტიციებისათვის? ფული არსებობს, ეს არის 10 მლრდ დოლარი, რომელიც დაზოგილია მუშაკების მიერ. გარდა ამისა, მუშაკი ყოველთვის თავისი შრომით ახდენს კაპიტალის ავანსირებას. მუშაკებისგან მიღებული უნდა იქნეს შავი დღისათვის გადადებული ფული. მათივე ფულით მათვე მეორადად უნდა გადავუხადოთ ხელფასები ინვესტიციებში გაწეული შრომისათვის.

ინვესტიციებში განხორციელებული შრომა ისეთი შრომაა, რომელიც პოტენციური მოგების ფულად ფორმას გადააქცევს ნივთობრივ კაპიტალად, კერძოდ: შენობა-ნაგებობებად, მოწყობილობებად, ნედლეულის ნატურალურ ნაზრდად, მასალებად, ენერჯიად. კორპორაციისათვის ინვესტიციებში განხორციელებული შრომა არ მონაწილეობს მოგების მიმდინარე წარმოებაში, რომელიც მოცემულ შემთხვევაში ისედაც ჭარბწარმოებას განიცდის მოთხოვნაზე მიწოდების გადამეტების გამო.

ინვესტიციებში შრომა არ იძლევა მოგებას არც კონკრეტული ფირმის კონკრეტული ინვესტორისათვის. აკი ფირმა ფულს მხოლოდ აბანდებს მომავალში მოგების მიღების იმედით.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ინვესტიციებში გაწეული შრომა არ ქმნიდეს ზედმეტ ღირებულებას. ზედმეტი ღირებულების მოგებად გარდაქმნა გადავადებულია გარკვეული დროით, ვიდრე ახლად შექმნილი ნივთობრივი კაპიტალი არ ჩაირთვება საბოლოო პროდუქტის წარმოებაში. და აი, დროში ეს დაუმთხვევლობა ქმნის იმის ილუზიას, რომ კაპიტალი თითქოს უნარიანი იყოს, თავათ აწარმოოს მოგება. მოგებას ქმნის შრომა. წარმოების პროცესში იქმნება ზედმეტი ღირებულება, რომელსაც ქმნის შრომა. ერთობლივი ზედმეტი ღირებულება მიემართება გაცვლის სფეროში, საბოლოო პროდუქტის წრებრუნვის სფეროში, სადაც ის გარდაიქმნება ერთობლივ მოგებად და უკვე აღნიშნული მოგების მითვისება ხდება კორპორაციის მიერ. მითვისებული მოგება მიემართება საერთო ქვაბში – კორპორაციის ქვედანაყოფებში წრებრუნვის სფეროში. ეს ქვედანაყოფები (ფირმები) იყოფენ ერთობლივ მითვისებულ მოგებას წარმოების ფასების ჩამოყალიბების გზით მოგების საშუალო ნორმის ფორმირების კანონის საფუძველზე. საბოლოო პროდუქტის წრებრუნვის სფეროში რეალიზდება მოგების მითვისების პროცესი კორპორაციის მიერ, ხოლო კორპორაციის შიგნით წრებრუნვის სფეროში ხდება მითვისებული მოგების გაყოფა.

შრომა უნარიანია, აწარმოოს ზედმეტი ღირებულება და ის მას აწარმოებს. კაპიტალი უნარიანია, მიითვისოს ზედმეტი ღირებულება და ის მას ითვისებს კიდევ. ზედმეტი ღირებულება ნაწილდება კონკრეტულ კაპიტალსა და ერთობლივ კაპიტალს შორის. მაგრამ წრებრუნვის ყველაზე საპასუხისმგებლო წერტილში, სადაც ხდება ყველაზე მთავარი – ზედმეტი ღირებულების მითვისების პროცესი – წარმოიშობა მათემატიკური „საცობი“!

ინვესტიციებში ზედმეტი ღირებულების წარმოების შემდგომ მოგებად გარდაქმნის მომენტთან დროში დაუმთხვევლობა, ზედმეტი ღირებულების მოგებად გარდაქმნის დროში ჩამორჩენა ქმნის იმის მათემატიკურ შესაძლებლობას, რომ მოხდეს კაპიტალის წრებრუნვაში წარმოშობილი „თრომბის“ გაწოვა. პირველადი ინვესტიციების პროცესის არსი მდგომარეობს იმაში, რომ კორპორაცია შინამეურნეობისგან ღებულობს მათ კუთვნილ დანაზოგებს სესხად, ამით პოულობს მათი ფულის მართვის უფლებას და გადააქცევს კაპიტალის მატერიალურ ფორმად. ფაქტობრივად ითვისებს კაპიტალს. კაპიტალზე საკუთრების უფლება – ეს არის ამ კაპიტალის მართვის უფლება.

ჩვენს რიცხობრივ მოდელში კორპორაცია შინამეურნეობისგან სესხულობს მათივე დანაზოგებს 10 მლრდ დოლარის ოდენობით, მათ მიმართავს პირველად ინვესტიციებზე და ხელახლა დაქირავებულ მუშაკებს უნაზღაურებს ხელფასებს 10 მლრდ დოლარის ოდენობით. შინამეურნეობის შემოსავლები გაიზარდა 10 მილიარდით: 1 მლრდ დოლარს ის კვლავ ზოგავს, ხოლო 9 მლრდ დოლარს სამომხმარებლო საქონლის ყიდვაზე ხარჯავს და ეს პროცესი ახდენს მულტიპლიკატორ-აქსელერატორის პრინციპის მოქმედებით ეფექტიანი მოთხოვნის სტიმულირებას. ამ ეფექტის მოქმედება მდგომარეობს იმაში, რომ პირველადი ინვესტიციები იწვევს ერთობლივი კაპიტალის წრებრუნვაში მეორადი ინვესტიციების ზრდის ჯაჭვურ რეაქციას [Самуэльсон П. А., Нордхаус В. Д., 2000. 506].

მამასადამე, პირველადი ინვესტიცია არა მარტო გაიწოვს „თრომბს“ კაპიტალის წრებრუნვაში, არამედ გამოიწვევს გამოშვების მოცულობის მულტიპლიკატორულ ნატურალურ ნაზრდს. პირველადი ინვესტიციები თუნდაც რომ წარუმატებელი აღმოჩნდეს, ვთქვათ, გამოიწვიოს ზარალი და ინვესტორი-ფირმის ბანკროტობა,

საბოლოო პროდუქტის გამოშვების მოცულობა სხვა ფორმებში გაიზრდება მულტიპლიკატორულად, რითაც უზრუნველყოფილი იქნება საქონელბრუნვის ნატურალური ნაზრდი. ამიტომ, საჭიროა ინვესტირების პერმანენტული პროცესის უზრუნველყოფა, ინვესტირება გაძლიერებული ტემპებით, მიუხედავად ყველაფრისა. როგორ არის ეს შესაძლებელი? აკი ინვესტირებაზე გადაწყვეტილებას ღებულობს კონკრეტული კერძო ფირმა. ამ ფირმას აღელვებს თავისი დაბანდების ეფექტიანობა და არა ქვეყნის მთლიანი კაპიტალის პრობლემები. ცხადია, ის არ აპირებს რისკზე წასვლას და სხვა ფორმების გასაღების პრობლემების გამო გაკოტრებას. როგორ მოვიქცეთ? – შევამციროთ სასესხო საპროცენტო განაკვეთი! კეინზის ამ რეკომენდაციას პირდაპირ მიჰყვებიან მაკროეკონომისტები, რომლებიც აშშ-ის და სხვა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკას მართავენ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინფლაციის დონე სტაბილურად ნარჩუნდებოდა მეოთხედი საუკუნის განმავლობაში 3%-ის ფარგლებში „სანავთობო შოკების“ პერიოდების გამოკლებით, ხოლო 1992 წლიდან ისევ დაუბრუნდა იმავე 3%-იან ნიშნულს. აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა საბაზისო საპროცენტო განაკვეთს (აშშ-ში მას ფედერალური ფონდების განაკვეთი ეწოდება), როგორც წესი, ამცირებს ერთობლივი კერძო შიდა ინვესტიციების წახალისების მიზნით (იხ. ნახ. 3).



ნახ. 3. ფედერალური ფონდების განაკვეთი აშშ-ში 1999-2018 წლებში [5]

ზემოთ წარმოდგენილი დიაგრამა მეტყველებს, რომ რეცესიული გარღვევებისა და კრიზისების პერიოდში აქტიურად გამოიყენებოდა მონეტარული რეგულირების ინსტრუმენტები (მაგალითად, 1999-2002; 2006-2014 წლებში), რაც გულისხმობს საბაზისო საპროცენტო განაკვეთის შემცირებით ფულის გაიაფებს და კერძო ინვესტიციების წახალისებას.


მაგრამ, პრაქტიკიდან ცნობილია ე.წ. ლიკვიდურობის ხაფანგის პრობლემა, როდესაც ცენტრალური ბანკი უძლურია, დაბალი საპროცენტო განაკვეთებით მიაღწიოს დასახულ მიზანს. ეს სიტუაცია წარმოიშობა მაშინ, როდესაც ინვესტიციებზე მოგების ნორმა კრიტიკულად დაბალია და კერძო სექტორი საერთოდ არ რეაგირებს დაბალ პროცენტებზე. ერთი სიტყვით, თუ საბოლოო საქონლის (ჩვენს შემთხვევაში, სამომხმარებლო საქონლის) ბაზრებზე კონკრეტული სიტუაცია ისეთია, რომ კერძო ინვესტორებს არ სურთ რისკზე წასვლა, ხოლო ინვესტიციებზე ფაქტობრივი მოთხოვნა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საჭიროა ჭარბი ერთობლივი მიწოდების სალიკვიდაციოდ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ მონეტარული პოლიტიკის შესაძლებლობები საბოლოოდ ამოწურულია და ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირების მთელი სიმძიმე

აწვება სახელმწიფო ფინანსებს. მაშასადამე, ამ შემთხვევაში როგორ უნდა მოვახდინოთ ინვესტირება? ეს შესაძლებელია ფისკალური პოლიტიკით, კერძოდ, შინამეურნეობის შემოსავლების ნაწილი გადასახადებით უნდა იქნეს მობილიზებული ბიუჯეტში, ხოლო აქედან კი სახელმწიფო დაკვეთებით უნდა წარიმართოს ინვესტიციებში. კერძო ფირმას უნდა მიეცეს მისივე პროდუქციის გაყიდვისა და ასევე მოგების მიღების გარანტია. მოხდეს მათი სტიმულირება ინვესტირებისადმი. ეგ კიდევ არაფერი, უნდა მოხდეს ამ ინვესტიციების ბიუჯეტიდან ავანსირება. აღსანიშნავია, რომ კეინზური რეკომენდაციით ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს საზოგადოებრივი სამუშაოები. ენთუზიაზმით აღვსილი ის ხეოფსის პირამიდების აგებასაც კი გვთავაზობს! ამ თვალსაზრისით საინტერესოა სამხედრო მრეწველობის დაფინანსება. რას აცხადებენ აშშ-ის მაკროეკონომისტები ამ საკითხთან დაკავშირებით? დავიმოწმეთ ცნობილი ავტორები:

„დანახარჯების მულტიპლიკატორის პრაქტიკული მოქმედების ილუსტრირება შეიძლება მოვახდინოთ ამერიკულ ბიუჯეტში სამხედრო ხარჯების ცვლილებების ეკონომიკაზე გავლენის მაგალითით. XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში პრეზიდენტ რეიგანის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება თავდაცვაზე სახელმწიფო ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდის თაობაზე. 1979 წელს ეს ხარჯები შეადგენდა 271 მლრდ დოლარს (უცვლელ ფასებში), ხოლო 1987 წელს ეს რიცხვი მკვეთრად გაიზარდა 409 მლრდ დოლარამდე (ორივე რიცხვი მოცემულია 1987 წლის ფასებში) და მიაღწია მშპ-ის 7,5%-ს...

...მულტიპლიკატორის თეორიის შესაბამისად, 80-იანი წლების დასაწყისში სამხედრო სექტორის გაფართოებას ძლიერი გავლენა უნდა მოეხდინა ეკონომიკაზე და ეს მართლაც მოხდა. სამხედრო საჭიროებებზე ხარჯების ზრდამ ფაქტობრივად აშშ გამოიყვანა 1981-1982 წლების ეკონომიკური კრიზისიდან და ხელი შეუწყო 80-იანი წლების შუა პერიოდში საქმიანი აქტივობის გამოცოცხლებას... „ცივი ომის“ დამთავრებისთანავე მულტიპლიკატორი ამუშავდა უკუ- მიმართულებით. ბიუჯეტის შემცირებამ თავისი წვლილი შეიტანა მორიგი ციკლური ვარდნის განვითარებაში 90-იანი წლების დასაწყისში“[1].

ფისკალური პოლიტიკა ორბოლოიანი ჯოხია. გადასახადები შინამეურნეობებისგან შემოსავლების ნაწილის იძულებითი ამოღებაა, სამომხმარებლო ბაზარზე გადახდისუნარიანი მოთხოვნის რეალური შემცირება, რომელიც ისედაც სისტემურად არასაკმარისია წრებრუნვაში. ცნობილია, რომ დაბალანსებული ბიუჯეტის მულტიპლიკატორი ყოველთვის 1-ზე ნაკლებია, ამიტომ, რეცესიის დასაძლევად მთავრობამ უნდა მიმართოს დეფიციტურ დაფინანსებას. 2008 წლის გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის შემდეგ ქვეყნების უმრავლესობა, განსაკუთრებით მაღალგანვითარებული ქვეყნები აქტიურად მიმართავენ ფისკალური პოლიტიკით ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებას. ამაზე ნათლად მეტყველებს მთლიანი შიდა პროდუქტისა და სუვერენული ვალის დინამიკა აშშ-ის მაგალითზე (იხ. ნახ. 4 და ცხრილი 1), რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ეკონომიკის სტიმულირება ძირითადად ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკით ხორციელდება. ეს უკანასკნელი კი ქვეყნების სუვერენული ვალის პერმანენტულ ზრდას იწვევს.



ნახ. 4. აშშ-ის GDP-ისა და ეროვნული ვალის დინამიკა 2000-2018 წლებში [6]

ცხრილი 1 [7]

წლები	აშშ GDP (მლრდ \$)	აშშ ეროვნული ვალი (მლრდ \$)
2000	10,284.8	5,662.00
2001	10,621.8	5,943.00
2002	10,977.5	6,405.00
2003	11,510.7	6,997.00
2004	12,274.9	7,596.00
2005	13,093.7	8,170.00
2006	13,855.9	8,680.00
2007	14,477.6	9,229.00
2008	14,718.6	10,699.00
2009	14,418.7	12,311.00
2010	14,964.4	14,025.00
2011	15,517.9	15,222.00
2012	16,163.2	16,432.00
2013	16,768.1	17,156.00
2014	17,420.7	18,141.00
2015	18,265.8	19,285.00
2016	19,238.2	20,128.00
2017	19,899.3	21,075.00
2018	20,775.5	22,000.00

როგორც რიცხვები მეტყველებს, ბოლო 10 წლის განმავლობაში სუვერენული ვალი უსწრაფესად იზრდება, რომლის წყალობითაც, ჯერჯერობით, შესაძლებელი ხდება ეკონომიკური ზრდის სტიმულირება. მაგრამ, ცხადია, რომ ვალის ასეთი ტემპებით ზრდა მუდმივად შეუძლებელია, რადგან სულ უფრო რთული გახდება მისი მომსახურება. თუ ვალის ზრდის მიმდინარე ტენდენცია უახლოეს წლებში შენარჩუნდება (და ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება, რადგანაც 2018 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი დაახლოებით 850 მლრდ

დოლარს შეადგენს), ადრე თუ გვიან დღის წესრიგში დადგება ვალის მომსახურების პრობლემა, რაც გლობალური კრიზისის მორიგი და უფრო მასშტაბური ტალღის მიზეზი შეიძლება გახდეს.

აქვე გვინდა ყურადღება მივაქციოთ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთ-ერთ ბოლო მოხსენებას, რომელიც ოპტიმიზმითაა განმსჭვალული მსოფლიოს ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. ამ მოხსენებაში მოყვანილია მსოფლიო ვალის ჯამური სიდიდე 2017 წლის ბოლოსათვის – 182 ტრლნ დოლარი [4]. ეს რიცხვი გაცილებით დაბალია იმ შეფასებასთან შედარებით, რომელსაც აქვეყნებს საერთაშორისო ფინანსების ინსტიტუტი. ალბათ გამოიყენება გაანგარიშების განსხვავებული მეთოდიკა. მაგრამ ეს მთავარი როდია. მოხსენების ავტორები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ მსოფლიო ვალი უნდა შევადაროთ არა მარტო მშპ-ს, არამედ ეროვნული სიმდიდრის მაჩვენებელს, რომელიც, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების დასკვნით, როგორც ჩანს, იზრდება გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე ვალი. ამიტომ, მათი აზრით, მომავალ მსოფლიო კრიზისთან მიმართებაში საშიშროება დაუსაბუთებელია: მზარდი ვალის უზრუნველყოფა ხდება მზარდი სიმდიდრით.

ცნობილია ცალკეული ქვეყნებისა და მთლიანად მსოფლიოს შესახებ სიმდიდრის შეფასებები, რომელიც კეთდება შვეიცარიული ბანკის Credit Suisse-ს მიერ და ქვეყნდება ყოველწლიურად Global Wealth Report-ის მოხსენებებით. ეს მაჩვენებელი (წმინდა ეროვნული სიმდიდრე) გამოითვლება ისევე, როგორც ნებისმიერი კომპანიის „წმინდა აქტივების“ მაჩვენებელი: აქტივების საერთო სიდიდეს გამოკლებული ვალდებულებები (ვალი). ამგვარად, მსოფლიო ჯამური სიმდიდრის მაჩვენებელი 2017 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების შეფასებით შეადგენდა 280,3 ტრლნ დოლარს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოხსენებაში მოყვანილია მსოფლიოს ერთობლივი სიმდიდრის მაჩვენებლები (ტრლნ დოლარი): 2000 წ. – 117,0; 2005 წ. – 172,3; 2010 წ. – 219,8; 2015 წ. – 280,3. 2000-2017 წლებს შორის პერიოდში წმინდა მსოფლიო სიმდიდრე გაიზარდა 2,4-ჯერ; ამ პერიოდისათვის პლანეტის მოსახლეობის რიცხოვნობა 6,1-დან 7,5 მლრდ-მდე, ე.ი. 1,23-ჯერ გაიზარდა. გამოდის, რომ მოსახლეობის ერთ სულზე კეთილდღეობა მსოფლიოში დამაჯერებლად იზრდება [4].

რაც შეეხება ქვეყნების მიხედვით მსოფლიო სიმდიდრის განაწილებას, ის ასე გამოიყურება: აბსოლუტური და ჯერჯერობით მიუღწეველი ლიდერია აშშ – 93,6 ტრლნ დოლარი, ანუ მას ეკუთვნის მთელი მსოფლიო სიმდიდრის 1/3. მას მოჰყვება შემდეგი ქვეყნები (ტრლნ დოლარი): ჩინეთი -29,0; იაპონია – 23,7; დიდი ბრიტანეთი – 14,1; გერმანია – 13,7; საფრანგეთი – 13,0; იტალია – 10,9. მოცემული მაჩვენებლის გამოყენება სრულიად სხვანაირად ახდენს ქვეყნების რანჟირებას, ვიდრე ეს მშპ-სთან მიმართებაში ხდება: მშპ-ის მიხედვით, აშშ-ის წილი მსოფლიო მასშტაბით ბევრად მოკრძალებულია – 1/4. მშპ-ის მაჩვენებლის მიხედვით, რომელიც გამოთვლილია მსყიდველობით-უნარიანობის პარიტეტით, ჩინეთი 2017 წელს 1,2-ჯერ აჭარბებდა აშშ-ს. რაც შეეხება წმინდა ეროვნული სიმდიდრის მაჩვენებელს, ჩინეთისათვის ის გაცილებით მცირე იყო, ვიდრე აშშ-ში, კერძოდ, - 3.2-ჯერ [6].

ჩვენი აზრით, თუ მთლიანი შიდა პროდუქტი ეკონომიკის მრუდე სარკეა, მაშინ წმინდა ეროვნული ვალი საერთოდ ოდნავადაც ვერ ასახავს რეალური ეკონომიკის მდგომარეობას. იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აქტივები, რომელთა ბაზაზეც გამოითვლება მაჩვენებელი, მნიშვნელოვანწილად წარმოადგენს ერთგვარ „ქაფს“ - ესაა ფინანსური აქტივები, რომლებმაც თითქმის სრულად დაკარგა კავშირი რეალურ ეკონომიკასთან. ესაა „ფინანსური ინსტრუმენტების“ ერთობლიობა, რომლებიც

ემსახურება „კაზინოს“ და არა მრეწველობას, სოფლის მეურნეობასა და მშენებლობას, ანუ დარგებს, რომლებიც ნამდვილი ეკონომიკის საფუძველია.

აშშ-ის საფონდო ბაზრის კაპიტალიზაცია 2018 წლისათვის აჭარბებდა 30 ტრლნ დოლარს. არსებობს კიდევ ერთი გაბერილი აქტივი – ე.წ. ინტელექტუალური საკუთრება რამდენიმე ტრილიონი დოლარის ღირებულებით. ამას დამატებული „გადაფასებული“ უძრავი ქონების ბაზრები და ა.შ.. ამიტომ, მიუხედავად აშშ-ის გიგანტური ჯამური ვალისა, მისი წმინდა ეროვნული სიმდიდრის მაჩვენებელი რეკორდულად მაღალია. აშშ-ში, როგორც არსად მსოფლიოში, განვითარებულია ფინანსური ბაზრები, რომლებიც ქმნიან გიგანტური სიმდიდრის ოპტიკურ ეფექტს. სინამდვილეში ეს არა სიმდიდრე, არამედ საპნის ბუშტია. ისინი გასკდება (როგორც ეს მოხდა 2008 წელს) და ყველას თვალწინ მილირდობით, ტრილიონობით დოლარი „აორთქლდება“. მაგალითად, 2008 წლის „ცხელი“ შემოდგომის დროს მარტო 19 სექტემბრიდან 7 ოქტომბრის მდგომარეობით ამერიკული კომპანიების აქციები 3,4 ტრლნ დოლარით გაიფხვრა [6].

აქ საქმე გვაქვს არა ეკონომიკასთან, არამედ თაღლითურ მექანიზმთან, რომელიც ახდენს კრედიტებისა და სესხების (და მათ მიერ წარმოშობილი ვალის) საპნის ბუშტებად ტრანსფორმირებას. ვალის ყოველ დამატებით დოლარზე იქმნება 5 ცენტის ოდენობის რეალური აქტივი, ხოლო სხვადასხვა საბაზრო საპნის ბუშტები – 2 ან 3 დოლარის ოდენობით. იქმნება „ეფექტიანი ეკონომიკის“ ილუზია. მაგრამ, როგორც კი ფინანსური საპნის ბუშტები სკდება, დგება ჩვეულებრივი მომენტი: ვალის დაფარვა პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება. როგორც ცნობილია, ეკონომიკა ბერძნული სიტყვაა და სიტყვასიტყვით ნიშნავს „სახლთმშენებლობას“. ჩვენ კი საქმე გვაქვს ფენომენთან, რომელსაც სრულიად სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ თაღლითობა. პირველი, ესაა ფინანსური საპნის ბუშტების შექმნა სხვადასხვა ბაზრებზე. მეორე, ესაა იოლად მიმდობი საზოგადოება, რომელიც ახანდებს საკუთარ ფულს ფინანსურ საპნის ბუშტებში.

თუ აშშ-ის ეკონომიკას შევაფასებთ იმ აქტივების გარეშე, რომლებიც წარმოადგენენ „ქაფს“ და არა სითხეს, მაშინ აშშ-ის წმინდა ეროვნული სიმდიდრის რეალური მაჩვენებელი იქნება ან ნულოვანი, ან სულაც უარყოფითი. აშშ – ბანკროტი ქვეყანაა, რომელიც აგრძელებს ცხოვრებას ვალის ხარჯზე და თან გვარწმუნებს, რომ ყველაფერი რიგზეა. ამერიკის ეკონომიკის ზოგიერთი სექტორის მიხედვით მოცემული „სამედიცინო ფაქტის“ უარყოფა უკვე შეუძლებელია. მაგალითად, აშშ-ის სტატისტიკის მიხედვით, შინამეურნეობის 20%-ს (ე.ი. 16,6 მლნ შინამეურნეობას) წინა წელს გააჩნდა წმინდა აქტივები მინუსი ნიშნით. სხვა სიტყვებით, ყოველი მეხუთე ამერიკელი თავისი ოჯახით გასულ წელს იყო სრული და უსიტყვო ბანკროტი: მისი ვალი უფრო მეტი იყო, ვიდრე მთელი მისი ქონება – როგორც მოძრავი ისე უძრავი. ამერიკელები სავალო კაბალაში აღმოჩნდნენ სხვადასხვა კრედიტების მეშვეობით – სამომხმარებლო, სტუდენტური, იპოთეკური, საბარათე (საკრედიტო პლასტიკური ბარათები), საავტომობილო და სხვ.. და ასეთი მასშტაბის ვალი სახეზეა ჯერ კიდევ მშვიდობიან დროში, რომელსაც ხელისუფლება „ეკონომიკურ სტაბილიზაციას“ უწოდებს. თუ იფეთქებს კრიზისი, შინამეურნეობების აქტივების მკვეთრი გაუფასურება ამერიკის მოსახლეობის ნახევარს სრულ ბანკროტად აქცევს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩიქობავა მ., ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების კეინზიანურ მოდელში კიდევ ერთხელ გარკვევის საკითხისათვის. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, #3, თსუ გამომცემლობა, 2011.
2. Дж. М. Кейнс. Общая теория занятости, процента и денег. М., 1978.
3. Пол А. Самуэльсон, Вильям Д. Нордхаус. Экономика. М., 2000.
4. <https://www.fondsk.ru/news/2018/10/11/us-pogrjazli-v-dolgah-po-samym-raznym-kreditam-46933.html>
5. <https://www.global-rates.com/interest-rates/central-banks/central-bank-america/fed-interest-rate.aspx>
6. <https://www.iif.com/Publications/Members-Only-Content-Sign-in?returnurl=/publications/id/3192>
7. https://www.whitehouse.gov/wp-content/uploads/2018/02/ERP_2018_Final-FINAL.pdf.

Malkhaz Chikobava

ABOUT THE REASON FOR THE PERMANENT GROWTH OF PUBLIC DEBT Summary

The study analyzes the reasons for the growth of public debt in highly developed countries. This phenomenon is aggravated by the fact that over the past ten years in the United States and other developed countries, sovereign debt has increased dramatically, which threaten not only these countries, but also global economic stability and security.

The article examines the close connection of the ever-growing problem of public debt with the macroeconomic equilibrium, in particular the impossibility of equality of aggregate supply and demand, the connections of which in developed countries use monetary and fiscal demand stimulation. At the same time, monetary policy faces the problem of a liquidity trap, which is exacerbated by the current global financial and economic crisis, which is a crisis of excess production of reserve currency, especially US dollars. The symbiosis of the crisis of overproduction and excessive emission of the US dollar and other reserve currencies has provoked the appearance of negative interest rates of banks on both passive and active operations.

Finally, it can be said that the monetary management system has exhausted itself and the goal of stimulating state-owned demand has been assumed by the governments of the countries, which can be considered as the main reason for the continuous growth of public debt.

*სოლომონ პავლიაშვილი
ზურაბ გარაყანიძე
გივი ჩუბინიძე*

ეკონომიკური რისკების კონცეპტუალიზაცია და მისი გამოყენება

ანოტაცია. ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლების ტექნოკრატიული ანალიზი ობიექტურად გამორიცხავს ნებისმიერი პოლიტიკურად მოტივირებული, ანუ სუბიექტური გადაწყვეტილების მიღებას. ასეთი ანალიზი არსებული მაკროეკონომიკური ინდიკატორების ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციით და ექსპერტული კვლევებით დადგენილ ზღვრულ მაჩვენებლებთან შედარებას ემყარება და არა იმას, თუ რამდენადაა მემარცხენე-მემარჯვენე-ცენტრისტული პოსტულატებიდან გამართლებული, ვთქვათ, საყოველთაო ჯანდაცვის ან სხვა რომელიმე დარგობრივი პროგრამის სუბსიდირების პროგრამები.

შესავალი

მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების წინ ხშირად ისმის პოლიტიკოსების სამართლიანი მოწოდებები მთავრობის ოპტიმიზაციის, „მცირე მთავრობის“ არსებობის აუცილებლობის შესახებ. თანამედროვე ეკონომიკური უსაფრთხოების თეორია საქართველოში მართვის „რისკებზე ორიენტირებული“ მოდელის წარმატებით გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. საუბარია ქვეყნის წინაშე არსებული სოციალურ-ეკონომიკური რისკების ანალიზისა და მათი თავიდან აცილების პოლიტიკურად ნეიტრალურ სისტემით ეკონომიკის მართვაზე. მარტივად რომ ვთქვათ, მართვის რისკებზე დაფუძნებული მოდელის არსი ექსპერტულ (ტექნოკრატიულ) კვლევებზე დაფუძნებული „ზღვრული“ და „ფაქტობრივი“ მაჩვენებლების პერიოდული შედარებაა. ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლების ამგვარი ტექნოკრატიული ანალიზი ობიექტურად გამორიცხავს ნებისმიერი პოლიტიკურად მოტივირებული, ანუ სუბიექტური გადაწყვეტილების მიღებას. ასეთი ანალიზი არსებული მაკროეკონომიკური ინდიკატორების ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციით და ექსპერტული კვლევებით დადგენილ ზღვრულ მაჩვენებლებთან შედარებას ემყარება და არა იმას, თუ რამდენადაა მემარცხენე-მემარჯვენე-ცენტრისტული პოსტულატებიდან გამართლებული, ვთქვათ, საყოველთაო ჯანდაცვის ან სხვა რომელიმე დარგობრივი პროგრამის სუბსიდირების პროგრამები.

რისკების შეფასება

ეკონომიკის მართვის აღნიშნული მოდელი ეფუძნება **რისკების კონცეპტუალიზაციას**, რაც ნიშნავს ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც ქვეყნის უსაფრთხო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შეფასებას უზრუნველყოფს. კონცეპტუალიზაცია ასევე ნიშნავს ამ მაჩვენებლების „ზღვრული“ სიდიდეების დადგენის მეთოდის ჩამოყალიბებას, სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში არსებული რისკების სტრატეგიული ანალიზის, მართვისა და საფრთხეების განეიტრალების მოდელირებას. ეკონომიკის რისკების სტრატეგიული ანალიზი, თავის მხრივ, მოიცავს არსებული ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლების, მათდამი საფრთხეების და მათი სისუსტეების გადაკვეთის სეგმენტების (რაც სწორედ რისკის წერტილებია) მოძებნას.

ეკონომიკური უსაფრთხოების ზემოაღნიშნული „ზღვრული“ მაჩვენებლების ჩამონათვალი უნდა ჩამოყალიბდეს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების განახლებულ კონცეფციაში. მაგალითად, ბევრი ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფციებში გამოყოფილია ისეთი ზოგადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, როგორებიცაა მშპ ერთ სულზე, უმუშევრობის დონე, მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაცია, ადამიანის მიერ თავისი კონსტიტუციური უფლებების დაცულობის აღქმის ინდიკატორები და ა.შ. საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით, აქვე სასურველია გამოიყოს ის პოტენციურად საშიში, ნეგატიური ტენდენციები, რაც უახლოეს წლებში შეიძლება დაემუქროს ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას. მაგალითად, იმ პირობებში, როცა საქართველოს ენერჯის იმპორტზე დამოკიდებულების მაჩვენებელი 70-75%-ია, უნდა დაისახოს ამ მაჩვენებლის „ზღვრულ მნიშვნელობამდე“, მაგალითად, ევროკავშირის საშუალო დონემდე - 54%-მდე დაყვანა; ან მაშინ, როცა ელექტროენერჯის მოხმარება ჩვენთან ერთ სულზე 1.92-2.28 მგვტ/სთ-ია, უნდა მივაღწიოთ მოხმარების „ზღვრულ მნიშვნელობამდე“, ვთქვათ, ევროკავშირის საშუალო დონემდე - 4.4 მგვტ/სთ-მდე გაზრდას და ა.შ.

მონიტორინგის საფუძვლები

მიგვაჩნია, რომ მთავრობამ მონიტორინგი უნდა დაიწყოს ახლადარჩეული პარლამენტის მიერ ეროვნული უსაფრთხოების განახლებული კონცეფციის მიღებით და დადგენილების - „ეროვნული უსაფრთხოების სახელმწიფო მონიტორინგის შესახებ“ - დამტკიცებით. ამ უკანასკნელში ეკონომიკური უსაფრთხოების ის მაჩვენებლები უნდა იყოს ჩამოთვლილი, რომლებზეც მთავრობა მათი „ზღვრული მნიშვნელობებისადმი“ შესაბამისობის მონიტორინგს უნდა ატარებდეს, ხოლო თვით ეს „ზღვრული მნიშვნელობები“ უნდა დაამტკიცოს მთავრობამ ცალკეული ეკონომიკური პროფილის სამინისტროების (უწყებების) წარდგინებით. ეს „მნიშვნელობები“ მოცემული დარგის ექსპერტების გამოკითხვებსა და გამოკვლევებს დაეფუძნება.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, მთავრობის მიერ მონიტორინგი ჩაუტარდება, სავარაუდოდ, ეკონომიკური უსაფრთხოების 55-60 კრიტერიუმსა და მაჩვენებელს, რომლებიც წარმოდგენილი იქნება განახლებული ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ფარგლებში. მთავრობის მონიტორინგი იმუშავებს როგორც უწყვეტი დაკვირვების სისტემა, ხოლო მისი შედეგები მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ყოველწლიურად წარედგინება პრემიერ-მინისტრს. ასეთ მაჩვენებლებს შორის უნდა იყოს სამომხმარებლო ფასების ინდექსი, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, უმუშევრობის დონე, ოქრო-სავალუტე რეზერვების მოცულობა, სახელმწიფო ვალი, სავაჭრო ბალანსი და სხვა.

თითოეული ამ მაჩვენებლის მიმართ დადგენილებით - „ეროვნული უსაფრთხოების სახელმწიფო მონიტორინგის შესახებ“ პერიოდულად (ყოველწლიურად ან საშუალოვადიანი პერიოდისთვის) განისაზღვრება „ზღვრული მნიშვნელობები“, რომელთა გადაჭარბებაც რისკია ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებისთვის. საფრთხეების ამგვარი კონცეპტუალიზაციის შემდეგ შესაძლოა გაკეთდეს კომპიუტერული პროგრამა SQL-ში ან VisualFoxPro-ში, რომლითაც ნებისმიერ მომენტში ერთმანეთს შეუდარდება „ფაქტობრივი“ მაჩვენებლები „ზღვრულ“ მნიშვნელობებს და გამოვლინდება მათგან გადახრები. ეს მთავრობას საშუალებას მისცემს, ოპერატიულად, საპარლამენტო პოლიტიკური დებატების გარეშე, სამთავრობო თათბირების ფორმატში აღმოფხვრას ეკონომიკური პრობლემები.

საინტერესოა, რომ ბევრმა ქვეყანამ „ზღვრული მნიშვნელობების“ ნაწილი 1992 წლის ევროკავშირის სადამფუძნებლო, მასტრიხტის შეთანხმებიდან აიღო. მაგალითად, ამ ხელშეკრულებაში წევრი ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკური ორიენტირები განსაზღვრულია შემდეგნაირად: სახელმწიფო ვალი არ უნდა იყოს მშპ-ს 60%-ზე მეტი, ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს 3%-ს [Maastricht Treaty, 1]. მაგალითად, ნატოს წესდებით განსაზღვრულია, რომ თავდაცვის ხარჯების („სამხედრო ბიუჯეტი“) „ზღვრული“ მაჩვენებელი არ უნდა იყოს მშპ-ს 2%-ზე ნაკლები და ა.შ. [ივანა კოტასოვა, 2]. „ზღვრული“ მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ჩამონათვალი საკმაოდ ამომწურავადაა განხილული ქართველი ეკონომისტების ნაშრომებში (იხ. როზეტა ასათიანის, თამაზ მალაკელიძის, იაკობ მესხიას, რამაზ ოთინაშვილის, ბესიკ ალადაშვილის და სხვათა პუბლიკაციები), ამიტომ აქ ამ საკითხებს დაწვრილებით არ განვიხილავთ.

მიუხედავად მრავალი ქვეყნის საერთო „ზღვრული“ მაჩვენებლების არსებობისა, ეკონომიკური საფრთხეების კონცეპტუალიზაციის პროცესში მხედველობაში იქნება მისაღები საქართველოს სპეციფიკა. მაგალითად, გასათვალისწინებელი იქნება საწარმოების დაბალი კონკურენტუნარიანობა, ფინანსური სისტემის გლობალურ რყევებზე დამოკიდებულება, ეროვნული ვალუტის კურსის ვოლატილობა, ბიუჯეტის

ხარჯების ყოველთვიური დისბალანსი, წმინდა ექსპორტის შემცირება (მიუხედავად ევროკავშირ-საქართველოს DCFTA შეთანხმებისა და ჩინეთ-საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებისა) და ა.შ.

დასკვნა

ამრიგად, სამხრეთ კავკასიის რეგიონში და მის მიმდებარედ არსებული კრიზისული მოვლენების პირობებში, ქვეყნის სტაბილური განვითარების ინტერესების გათვალისწინებით, შესაძლოა დადგეს ეკონომიკური რისკების გამანეიტრალებელი სამთავრობო გუნდის ჩამოყალიბების ამოცანა. ეს განპირობებულია იმით, რომ ჩვენს რეგიონში არსებული რთული გეოპოლიტიკური სიტუაციის პირობებში ეკონომიკურ რისკებზე, გამოწვევებზე, მუქარებზე საპასუხოდ საქართველოს არ გააჩნია სამთავრობო სტრუქტურა და მას არც ხშირი უწყებათაშორისო თათბირებისა და საბჭოების პერიოდული მოწვევის „ფუფუნება“ აქვს. ამის მიზეზია 2010 წლიდან ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ მიღებული ახალი კანონმდებლობით, ამ უწყებათაშორისო კოორდინაციის ორგანოს მხრივ ეკონომიკური საფრთხეებზე მუშაობის შეწყვეტა და ამ პრობლემატიკის ფაქტობრივად „ბედის ანაბარად“ დატოვება. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ რისკებზე დაფუძნებული მართვის გარკვეული გამოცდილება ზემოაღნიშნულ რეფორმამდე საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ჰქონდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Convergence criteria (Maastricht Treaty).

<https://www.insee.fr/en/metadonnees/definition/c1348>. (ნანახია 03.10.2018; 11:10).

2. How NATO is funded and who pays what, by Ivana Kottasová; @ivanakottasova. May 25, 2017. (ნანახია 01.10.2018, 12:59).

<https://money.cnn.com/2017/05/25/news/nato-funding-explained-trump/index.html>

Solomon Pavliashvili

Zurab Garakanidze

Givi Chubinidze

CONCEPTUALIZATION AND USE OF ECONOMIC RISKS ANALYSES

Summary

Before the forthcoming presidential elections, from politicians often heard of the calls for the optimization of the government, the need for a "small government". The modern economic security theory provides the ability successful using the "risk-driven" model of state management in Georgia. It is about analyzing socio-economic risks, which are before the country and management its economy by politically neutral system. Simply put, the essence of the model based on the risks of management is a periodic comparison of "marginal" and "actual" figures based on expert (technocratic) surveys.

That analysis of economic security indicators objectively excludes any politically motivation or subjective decision. Such an analysis is based on the existing national security concept of macroeconomic indicators and comparable to the marginal indicators established by expert surveys and not just how much of the universal healthcare or other subsistence programs subsidized by the left-center-right postulates.

A list of the above-mentioned "marginal" indicators of economic security should be established in the national security renewed concept. For example, many of the country's security concepts include general macroeconomic indicators such as GDP per capita, unemployment level, property differentiation of the population, indicators of perception of human constitutional rights, etc. Considering the specifics of Georgia, it is also desirable to identify potentially dangerous and

negative trends that may be subject to macroeconomic stability in the coming years. For instance, when the dependence rate of Georgia's energy imports is 70% -75%, it should be set to "marginal value" of this figure, for example, to the EU average - up to 54%; Or when consumption of electricity per person is 1.92-2.28 MW / h, we need to reach the "marginal value" of consumption, up to the average level of the EU - 4.4 MW / h, and so on.

We believe that the Parliament should monitor the Government by adopting a national security conception and approve the regulation on "State monitoring for National Security". In this paper these indicators of economic security should be listed on which the government should monitor their "marginal values" which should be approved by the government by the recommendations of the Ministry of Economic Development. These "values" will be based on the survey and examinations of the experts.

Based on the experience of developed countries, the Government will monitor the 55-60 criteria and indicator of economic security that will be presented within the framework of the renewed National Security Concept.

Thus, in the conditions of the crisis in the South Caucasus region and in the immediate vicinity of the crisis, the task of establishing a neutral government team to monitor the economic risks can take into account the interests of stable development of the country. This is due to the fact that in the difficult geopolitical situation in our region, currently Georgia does not have any leverage of economic risks, challenges, threats management. This is due according to the legislation adopted since 2010, National Security Council, the intergovernmental coordination body, stopped working on economic threats. In addition, it should be taken into account, that certain experience of risk management had the then National Security Council of Georgia, before the changing of legislation.

*Lia Totladze
Mamuka Khuskivadze*

THE TERM SPREAD AS LEADING ECONOMIC INDICATOR: CASE OF GEORGIA

***Annotation.** The role of financial sector in supporting economic growth and development is well acknowledged. The term spread (the difference between the yields on long-term and short-term Treasury securities) has been found useful for predicting economic variables as output growth, inflation, industrial production, consumption. The term spread is one of leading economic indicator according NBER methodology. Leading economic indicators are widely used in forecasting of economic activity. Many empirical studies find that the term spread predicts future economic activity. There is no universally theory as to why a relationship between the term spread and economic activity should be positive or negative. The article shortly explain how the term spread might predict future economic activity.*

This paper analyses some aspects of dynamics of the spread between short and long-term interest rates in countries with transition economies. In Georgia, the banking sector plays an important and dominant role in the financial sector, especially with respect to mobilization of savings and provision of credit. The research paper analyses term spread dynamics in Georgia and compare it with post-communist countries and transition economies spread dynamics.

***Keywords:** Forecasting, Leading Economic Indicators, Term Spread, Transition Economies.*

I. Introduction

For many years a system of leading economic indicators, first developed by the National Bureau of Economic Research (NBER), has been widely used in the United States to appraise the state of the business cycle. The Organization for Economic Cooperation and Development (OECD) also set up a working party to develop this type of analysis.

Georgia is country with transitional economy. Given the volatile nature of transformed economic, there is a need for businesses and government agencies to have access to an accurate leading indicator of transformed economic performance (In particular for Georgia).

The analysis of leading economic indicators helps policymakers evaluate the short-term direction of economic activity. Such type of analysis is well established in advanced economies, but it has received little attention in many emerging market and developing economies. This paper presents term spread features as one of leading indicators for a small open economy. The results show that, even with limited monthly observations, it is possible to establish meaningful economic and statistically significant relations between indicators from economic activity.[15].

II. Literature Review

The empirical evidence linking the nominal yield curve to changes in output with the theoretical relationship depends on the persistence of inflation. If inflation were a random walk, implying that shocks to inflation are permanent, then inflation shocks would have no impact on the slope of the nominal yield curve because expected inflation would change by an identical amount at all horizons. However, if inflation has little persistence, an inflation shock will affect near-term expected inflation more than long-term expected inflation, causing the slope of the nominal yield curve to change. Hence, the extent to which changes in the slope of the nominal yield curve reflect changes in the real yield curve depends on the persistence of inflation which, in turn, reflects the underlying monetary regime.

Much of the empirical literature has focused on estimating the precision with which the term spread forecasts economic activity, rather than on attempting to discriminate between the monetary policy and consumption-smoothing explanations.

Several studies find that the term spread has significant predictive power for economic growth independent of the information contained in measures of current and future monetary policy, suggesting that monetary policy alone cannot explain all of the observed relationship. Several studies find that the spread has forecast output growth less accurately since the mid-1980s, which some attribute to greater stability of output growth and other key macroeconomic data (e.g., D'Agostino, Giannone, and Surico, 2006) [17].

Stock and Watson (2003) examine the stability of the forecasting relationship between the term spread and output growth for the United States and other countries and consider both in-sample and out-of-sample forecasts. Like prior studies, Stock and Watson (2003) find that the term spread forecasts U.S. output growth less accurately after 1985. The study also finds that the spread forecasts output less accurately during 1985-99 than a simple autoregressive model. A recent study by Giacomini and Rossi (2006) reexamines the forecasting performance of the yield curve for output growth using forecast breakdown tests developed by Giacomini and Rossi (2009). Giacomini and Rossi (2006) show that output growth models are characterized by a breakdown of predictability. In particular, they find strong evidence of forecast breakdowns at the one-year horizon during 1974-76 and 1979-87.

As noted previously, a change in the relative responsiveness of monetary policy to output growth and inflation could affect how well the term spread predicts output growth. Bordo and Haubrich (2004, 2008) investigate the ability of the term spread to forecast U.S. output growth across different monetary regimes from 1875 to 1997. The authors examine periods distinguished by major changes in the monetary and interest rate environment, including the founding of the Federal Reserve System in 1914, World War II, the Treasury-Fed Accord of 1951, and the closing of the U.S. gold window and collapse of the Bretton Woods system in 1971. Bordo and Haubrich (2004, 2008) find that the term spread improves the forecast of output growth, as indicated by the mean squared forecast error, in three of the nine subperiods they consider: (i) the period preceding the establishment of the Federal Reserve System (1875-1913), (ii) the first 13 years after the collapse of the Bretton Woods system (1971-84), and, to a lesser extent, (iii) the 1985-97 period [18].

III. Empirical Analysis

Figure 1 shows the difference between the yields on 10-year and 3-month U.S. Treasury securities for 1953-2008. The shaded regions indicate recession periods as defined by the National Bureau of Economic Research. As Figure 1 shows, every U.S. recession since 1953 was preceded by a large decline in the yield on 10-year Treasury securities relative to the yield on 3-month Treasury securities, and several recessions were preceded by an inversion of the yield curve.




Figure 1. U.S. Term Spread and Recessions

Source: National Bureau of Economic Research, “Information on Recessions and Recoveries, the NBER Business Cycle Dating Committee, and Related Topics”;

Relations between spread and recessions are similar in case England and Germany.

For analysis we have discussed three Post-Communist transformation countries: Georgia, Latvia and Russia. For Georgia we investigate period from 2004 to 2016 years and used statistical data from National Bank of Georgia and National Statistics Office of Georgia. Figure 2 picture term spread dynamics for this period.




Figure 2. Spread between long-term and short-term yields for Georgia

Source: Authors calculations, based on data from National bank of Georgia statistical release.

The graph below shows term spread dynamic for Russia.




Figure 3. Spread between long-term and short-term yields for Russia

Source: Authors calculations, based on data from Russian Federal State Statistic Service release.

Term spread for Lithuania




Figure 4. Spread between long-term and short-term yields for Lithuania

Source: Authors calculations, based on data from Statists Lithuania release.

We compare term spread for three countries mentioned above. From the graphs it is well illustrated that in the case of Georgia and Latvia, the term spread is quite high at the early stage of transformation, and in the aftermath of the stabilization of economic development, this figure is reduced.

As regards Russia's statistical data, Spread is sometimes even negative. This has been detected with the peculiarities of the development of the Russian banking sector.

The evidence on the accuracy of the term spread in predicting economic activity comes from the estimation of linear models, such as the following linear regression:

$$\Delta Y_t = \alpha + \beta Spread + \gamma(L)Y_{t-1} + \varepsilon_t, \quad (1)$$

where ΔY_t – is the growth rate of output; *Spread* - is the difference between the yields on long-term and short-term Treasury securities; $\gamma(L)$ is a lagged polynomial, typically of length four (current and three lags, assuming quarterly data); ε_t - is an error term.

We allow for the possibility that the persistence of output growth means that past values of GDP growth are also useful predictors of cumulative growth. We based on statistical data about spread dynamic and GDP in Georgia built model:

$$\Delta Y_t = 25,1589 + 0,2026 Spread + 0,7559Y_{t-1} + \varepsilon_t \quad (2)$$

As we see there are evidence significant relation between time spread and GDP growth in Georgia. The model allows us to evaluate term spread prediction ability for economic activity for Georgia. As we see in the model independent variables are term spread and lagged indicator of output. Identification of the model was based on the Geostat and the National Bank of Georgiastatistical data. After testing procedure shows that the model is statistically significant.

IV. Conclusion

The literature on the relationship between the term spread and economic activity is large and rapidly expanding. Much of the literature examines empirically how well the term spread forecasts economic growth, with less emphasis on why the term spread predicts economic activity.

This study has objective into determine the degree to which the Georgian term spread can forecast real GDP growth. Our results suggest that the term spread has been useful for forecasting cumulative real GDP growth. More specifically, in models in which the term spread is the only regressor, there is some evidence to suggest that the term spread had predictive ability.

References

1. Bordo, Michael D. and Haubrich, Joseph G. "The Yield Curve as a Predictor of Growth: Long-run Evidence, 1875-1997." *Review of Economics and Statistics*, February 2008, 90(1), pp. 182-85.
2. Benati, Luca. "UK Monetary Regimes and Macroeconomic Stylized Facts." Bank of England Working Paper 290, Bank of England, March 2006; www.bankofengland.co.uk/publications/workingpapers/wp290.pdf.
3. Brock, P. L. and L. Rojas-Suarez (2000) "Understanding the Behaviour of Bank Spreads in Latin America," *Journal of Development Economics*, 63(1), 113–34.
4. Claessens, S., A. and L. Laeven (2004) "What Drives Bank Competition? Some International Evidence," *Journal of Money, Credit & Banking*, 36 (3) Part 2, 563-583.
5. National Bureau of Economic Research, "Information on Recessions and Recoveries, the NBER Business Cycle Dating Committee, and Related Topics"; www.nber.org/cycles/main.html.
6. Estrela A., Trubin Mary R. *The Yield Curve as a Leading Indicator: Some Practical Issues*. Federal Reserve Bank of New York. *Current Issues in Economics and Finance*. Vol.12, #5, 2006.
7. Estrella, Arturo. "Why Does the Yield Curve Predict Output and Inflation?". *Economic Journal*, July 2005, 115 (505), pp. 722-44.
8. Estrella, Arturo and Mishkin, Frederic S. "The Predictive Power of the Term Structure of Interest Rates in Europe and the United States: Implications for the European Central Bank." *European Economic Review*, July 1997, 41(7), pp. 1375-401.
9. Giacomini, Raffaella and Rossi, Barbara. "How Stable Is the Forecasting Performance of the Yield Curve for Output Growth?" *Oxford Bulletin of Economics and Statistics*, December 2006, 68(Suppl. 1), pp. 783-95.
10. KOGAN R., DASILVA, REJESKI J. DIFFERENCE BETWEEN ECONOMIC GROWTH RATES AND TREASURY INTEREST RATES SIGNIFICANTLY AFFECTS LONG-TERM BUDGET OUTLOOK. FEBRUARY 27, 2015. SDPP. [HTTP://WWW.CBPP.ORG/RESEARCH/FEDERAL-BUDGET/DIFFERENCE-BETWEEN-ECONOMIC-GROWTH-RATES-AND-TREASURY-INTEREST-RATES](http://www.cbpp.org/research/federal-budget/difference-between-economic-growth-rates-and-treasury-interest-rates).
11. Rendu de Lint, Christel and Stolin, David. "The Predictive Power of the Yield Curve: A Theoretical Assessment." *Journal of Monetary Economics*, October 2003, 50(7), pp. 1603-22.
12. Rosenberg, Joshua V. and Maurer, Samuel. "Signal or Noise? Implications of the Term Premium for Recession Forecasting." Federal Reserve Bank of New York. *Economic Policy Review*, July 2008, 14(1), pp. 1-11; [ww.newyorkfed.org/research/epr/08v14n1/0807rose.pdf](http://www.newyorkfed.org/research/epr/08v14n1/0807rose.pdf).
13. Sensier, Marianne; Artis, Michael J.; Osborn, Denise R. and Birchenhall, Chris. "Domestic and International Influences on Business Cycle Regimes in Europe." *International Journal of Forecasting*, April/June 2004, 20(2), pp. 343-57.
14. Totladze L. *Diffusion Index Based on Leading Economic Indicator a Forecasting Instrument (In Case Georgia)*. Geneva International Conference in Advanced Research. Geneva, 2017.
15. Totladze L. *Diffusion Index for Georgia: Selection Leading Economic Indicators*. *International Reviewed Scientific-Analytical Journal "Economisti"*, #2, 2016;

16. Venetis, Ioannis A.; Paya, Ivan and Peel, David A. "Re-Examination of the Predictability of Economic Activity Using the Yield Spread: A Nonlinear Approach." International Review of Economics and Finance, 2003, 12(2), pp. 187-207.

17. Wright, Jonathan, H. "The Yield Curve and Predicting Recessions." Finance and Economics Discussion Series No. 2006-07, Federal Reserve Board of Governors, February 2006; www.federalreserve.gov/pubs/feds/2006/200607/200607pap.pdf.

18. Wheelock David C., Wohar Mark E. Can the Term Spread Predict Output Growth and Recessions? A Survey of the Literature. Federal Reserve Bank of St. Louis Review, 91 (5, Part 1), 2009.

19. www.nbg.gov.ge

20. www.geostat.ge

*თეა ლაზარაშვილი
ეთერ კაკულია*

ტრანსეროვნული კომპანიების ზეგავლენა გარდამავალ ეკონომიკაზე

ანოტაცია. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითად ტენდენციას მისი გლობალიზაცია წარმოადგენს. სულ უფრო ძლიერდება ეროვნული ეკონომიკის გლობალურ ეკონომიკაზე გადასვლა, რაშიც გადამწყვეტ როლს ტრანსეროვნული კომპანიები ასრულებენ.

გლობალიზაციის ეპოქაში ტნკ-ების ფაქტორი სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს როგორც ეროვნულ, ისე მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში. პირდაპირი ინვესტიციები ხელს უწყობს ქვეყანაში დასაქმების ზრდასა და უმუშევრობის შემცირებას, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და საგარეო-სავაჭრო პოზიციების განმტკიცებას.

საკვანძო სიტყვები. ტრანსნაციონალური კომპანიები, გლობალიზაცია, გარდამავალი ეკონომიკა.

შესავალი

თანამედროვე ეტაპზე, გლობალიზაციის პროცესის გაღრმავების კვალობაზე, გასაღების ბაზრების, წარმოებისა და საკუთრების ინტერნაციონალიზაციის პირობებში, ტნკ-ებსა და ჩვეულებრივ კომპანიებს შორის ზღვარი რამდენადმე პირობითია. ამჟამად, გაეროს კლასიფიკაციით, ტნკ-ებს მიეკუთვნება ფირმები, რომელთაც საწარმოები აქვთ არანაკლებ ორ ქვეყანაში - მათ შორის ხორციელდება აქტიური ეკონომიკური თანამშროლობა (რესურსებისა და პასუხისმგებლობის ურთიერთგაცვლა); ცენტრალიზებულად ხორციელდება შეთანხმებული ეკონომიკური პოლიტიკა.

ტნკ-ების საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება ე.წ ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სამი მაჩვენებლის საშუალო მნიშვნელობას: უცხოური აქტივების წილს აქტივების საერთო მოცულობაში; საზღვარგარეთული გაყიდვების წილს გაყიდვების მთლიან მოცულობაში; საზღვარგარეთულ ფილიალებში მომუშავეთა წილს დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში. ტრანსნაციონალიზაციის ინდექსის ზრდასთან ერთად იზრდება საზღვარგარეთული ფილიალების როლი ტნკ-ების საქმიანობაში.

ტრანსნაციონალიზაცია ზრდის საშუალო მოგებასა და მისი მდგრადი მიღების საიმედოობას. ტნკ-ები დიდ გავლენას ახდენენ შრომის მსოფლიო ბაზრის ფორმირებაზე. ხელს უწყობენ განვითარებულ ქვეყნებში უკვე აპრობირებული ინსტიტუტების - შრომითი და ანტიმონოპოლიური საკანონმდებლო ნორმების, დაბერგვრის პრინციპების, კონტრაქტების დადების პრაქტიკისა და სხვათა წარმატებულ გადატანასა და დანერგვას განვითარებად ქვეყნებში. ისინი წარმატებით ახორციელებენ აგრეთვე ისეთ საწარმოო, საინვესტიციო და სავაჭრო ფუნქციებს, როგორცაა: ეკონომიკური ინტეგრაციის სტიმულირება, პროდუქციის საერთაშორისო წარმოება, განაწილება-რეგულირება, ქვეყნებს შორის მდგრადი საგარეო ეკონომიკური კავშირების შექმნა, გლობალური ეკონომიკის ფორმირება-განმტკიცება და სხვ.

დადებით მხარეებთან ერთად, ტნკ-ების საქმიანობას გააჩნია ნეგატიური ასპექტებიც, რომელთაგანაც აღსანიშნავია: შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში კაპიტალის მიმღები ქვეყნისათვის არაპერსპექტიული მიმართულების თავს მოხვევის შესაძლებლობა; მოძველებული და ეკოლოგიურად საშიში ტექნოლოგიების განვითარება; მათი დაბალი ხარისხისა და ფალსიფიცირებული საქონლის გამსაღებლად გადაქცევა; საინვესტიციო და საწარმოო პროცესების განვითარებაში რისკების ზრდა; შიდა ტრანსფერტული ფასების გამოყენებით მოგების დიდი ნაწილის ბაზირების ქვეყანაში გადაქაჩვა და სხვ.

მიუხედავად წინააღმდეგობრივი ხასიათისა, ტნკ-ებს მადომინირებელი ადგილი უკავია მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის შეუქცევად პროცესში. სამომავლოდ, ტრანსნაციონალიზაციის გაღრმავებასთან ერთად, სულ უფრო გაიზრდება მათი ადგილი და როლი გლობალურ წარმოებასა და ბაზრის ფორმირებასა და ფუნქციონირებაში.

ტრანსეროვნულ კომპანიებს მსოფლიოს გლობალური ეკონომიკის და ქვეყნების ფინანსური და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდაში წამყვანი ადგილი უკავია. თანამედროვე პირობებში ტრანსეროვნული კომპანიების საქმიანობამ უპრეცედენტო მასშტაბებს მიაღწია და დომინირებს საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობასა და ფინანსურ სფეროში.

მიმღებ ქვეყნებზე ტნკ-ების საქმიანობის გავლენის პრობლემებისა და განვითარების პროცესში მათი როლის შესახებ მრავალი კვლევა არის მიძღვნილი, სადაც სრულიად განსხვავებული შეხედულებებია. ზოგიერთი მკვლევარი აქცენტს აკეთებს ტნკ-ებისა და მიმღები ქვეყნების ინტერესთა სხვადასხვაობაზე. ტნკ-ები მოგების მიღების ძიების პროცესში ესწრაფვიან კაპიტალის აკუმულირებას, ხოლო მიმღები ქვეყნები ცდილობენ არ ჩამორჩნენ განვითარების პროცესს. ტნკ-ები არა მარტო ბიზნესით არიან დაკავებულნი, არამედ ერთვებიან მიმღები ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში და ზეწოლას ახდენენ მთავრობაზე, რათა უზრუნველყონ საკუთარი ბიზნესინტერესებისთვის მაქსიმალურად სასარგებლო გადაწყვეტილების მიღება.

განსხვავებული აზრი უკავშირდება მოდერნიზაციის თეორიას. ტნკ-ები გამოდიან ქვეყნებისათვის დამატებითი კაპიტალის მიმწოდებლად, რაც ძირითადად განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია.

აგრეთვე არსებობს შეხედულება, რომელიც ხაზს უსვამს ეროვნული ინსტიტუტებისა და ეროვნული ეკონომიკური ინტერესების მნიშვნელობას. თუ ქვეყანას შეეძლება სათანადოდ წარმოაჩინოს და დაიცვას საკუთარი ინტერესი და ეფექტიანად განახორციელოს თავისი ეკონომიკური პოლიტიკა, მაშინ შესაძლებელი იქნება ტნკ-ების საქმიანობით გამოწვეული უთანაბრობის დაძლევა.

ტნკ-ები აქტიურად განიხილავენ გარდამავალ ქვეყნებში ბიზნესის გაფართოების პოტენციურ შესაძლებლობებს. ისინი ითვალისწინებენ იმ ეკონომიკურ რეალობას, რომელიც გარდამავალი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი:

- დაბალი პოლიტიკური სტაბილურობა, სწრაფი ცვლილებები და მაღალი რისკი;
- ეკონომიკური და სოციალური დამახულობის გარკვეული დონე;
- არათანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკა;
- ნაკლებად განვითარებული ფიზიკური და ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა;
- საშუალო კლასის არარსებობა;
- სამუშაო ძალის განათლების დონის შეფასების სირთულე;
- კონტრაქტების შესრულების სირთულე.

მიუხედავად აღნიშნულისა, ეს ქვეყნები ტნკ-ებისათვის მიმზიდველია მომგებიანი ვაჭრობისა და ინვესტირების მზარდი შესაძლებლობების გამო. მათი მთავარი მიზანი მიმღები ქვეყნების ბაზრებზე მყარი პოზიციების დაკავებაა. ეს ნიშნავს არა მარტო ტნკ-ის ბაზრების გეოგრაფიულ გაფართოებას, არამედ შვილობილი კომპანიებისა და ფილიალების დაფუძნებას მოცემულ ქვეყანაში არსებული კონკურენტუნარიანობის წყაროების გამოყენების გზით.

ბაზრის ძიების მეორე მიზანი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ახალ რეგიონულ ბაზრებზე დამკვიდრებას უკავშირდება. მას შემდეგ, რაც კომპანია განამტკიცებს პოზიციებს მოცემული კონკრეტული ქვეყნის ბაზრებზე, შეიძლება განიხილოს რეგიონის მასშტაბით საქმიანობის წარმართვის საკითხი.

ტნკ-ების ინვესტიციები განსაკუთრებით გარდამავალი ქვეყნებისთვისაა მნიშვნელოვანი. წლების განმავლობაში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ტნკ-ებისთვის ყველაზე მიმზიდველი ქვეყნები იყო: პოლონეთი, ჩეხეთი, რუსეთი, უნგრეთი და სლოვაკეთი. გარდამავალი ეტაპის დასაწყისში ყველა ქვეყანა მეტ-ნაკლებად ჩამორჩებოდა საერთაშორისო ტექნოლოგიურ სტანდარტს, მაგრამ, ბევრი განვითარებადი ქვეყნისგან განსხვავებით, მათ არ მოუწიათ ნულიდან დაწყება. ზოგიერთმა ქვეყანამ მოახერხა, წარმატებით გამოეყენებინა უცხოური კომპანიების ინვესტიციების პოტენციური სარგებელი. გარდამავალ ქვეყნებში საბაზრო ინსტიტუტები და ინფრასტრუქტურა არასახარბიელოა, მაგრამ ისინი მდიდარია ადამიანისეული კაპიტალით.

უცხოური კომპანიების შემოსვლა ცვლის დარგისა და კონკურენციის სტრუქტურას. სხვა თანაბარ პირობებში ახალ საწარმოებში განხორციელებული პუი მეტ ზემოქმედებას ახდენს დარგის სტრუქტურასა და კონკურენციაზე, ვიდრე გაერთიანებები.

საქართველო, სხვა გარდამავალი ქვეყნების მსგავსად, არის რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი. მათ შორის გაეროს, ევროპის საბჭოს, სუამის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისა და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის.

1993 წლიდან საქართველომ, როგორც სახელმწიფომ, აქტიური თანამშრომლობა დაიწყო ისეთ ორგანიზაციებთან, როგორც მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ორიოდე წლის შემდეგ საქართველომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კარი შეაღო. საქართველო, რეგიონული პროექტების ფარგლებში, ჩართულია ისეთი ტიპის სახელმწიფოებრივ გაერთიანებებში, როგორცაა შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ორგანიზაცია, სუამი და სხვა. ეკონომიკური პროფილის საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობას თან სდევს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან ურთიერთობით საქართველომ საბაზრო ეკონომიკის განვითარება დაიწყო, გატარდა

რეფორმა, ქვეყანამ მიიღო ასეული მილიონობით შეღავათიანი კრედიტი, მაგრამ ამავე ორგანიზაციის წევრობით ქვეყანამ გარკვეული ვალდებულებები იკისრა, რომელთა შესრულება აუცილებელია.

აზიის განვითარების ბანკის განცხადებით, 2019 წელს საქართველოს ეკონომიკა 4,7 პროცენტით გაიზარდა და 2018 წლის საპროგნოზო მაჩვენებელს 0,2 პროცენტით გაუსწრებს.

ADB-ის მკვლევარების ინფორმაციით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის კლებას მიმოხილვის ავტორები 2019 წელს 8,5 პროცენტამდე ელოდებიან, ექსპორტითა და ტურიზმით მიღებული შემოსავლების ხარჯზე.

„პროგნოზების რისკს წარმოადგენს მოსალოდნელზე უფრო სუსტი საექსპორტო მაჩვენებელი, თუ საქართველოს წამყვან სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში განვითარებული ეკონომიკური მოვლენები უარყოფითი მოლოდინებით იქნება განპირობებული და პირიქით, საგარეო ბაზრებზე მზარდმა მოთხოვნამ შესაძლოა, უზრუნველყოს საქართველოში ეკონომიკის ზრდის კიდევ უფრო დაჩქარება“, – აღნიშნულია მიმოხილვაში³⁴.

Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, რომელიც ქვეყნების მდგომარეობას აფასებს 0-100 ბალიანი სკალით, საქართველო 2018 წელს მე-16 პოზიციაზეა 180 ქვეყანას შორის 76,2 ქულით. 2012 წელს საქართველო 34-ე პოზიციაზე იმყოფებოდა, 2018 წელს რჩება უმეტესად თავისუფალ ჯგუფში.

წინა წელთან შედარებით, 2018 წელს საქართველოს სარეიტინგო მდგომარეობა 12 ინდიკატორიდან შემდეგ 7 ინდიკატორში გაუმჯობესდა: საკუთრების უფლება, მთავრობის სამართლიანობა/კორუფციისგან თავისუფლება, გადასახადების ტვირთი, ბიზნესის თავისუფლება, შრომის თავისუფლება, მონეტარული თავისუფლება, ვაჭრობის თავისუფლება.

საქართველოს სარეიტინგო მდგომარეობა შემცირდა შემდეგ ინდიკატორებში: სასამართლოს ეფექტიანობა, მთავრობის დანახარჯები, ფისკალური სიჯანსაღე, საინვესტიციო გარემოს თავისუფლება, ფინანსური თავისუფლება.

შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის თავისუფალი მონაწილეობისკენ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია ვაჭრობის ლიბერალიზაცია. ვაჭრობის ლიბერალიზაციის სტრატეგია წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ ის უზრუნველყოფს ქვეყნის, როგორც მსოფლიო ბაზარზე საქონლისა და მომსახურების მიმწოდებლის შესაძლებლობების გაფართოებას, მისი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდასა და ბაზრებზე შეღწევის გაადვილებას.

ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკის განხორციელება ცალმხრივ და მრავალმხრივ საფუძველზეა შესაძლებელი. საქართველო მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის აქტიურ მონაწილეს წარმოადგენს, რასაც, ცხადია, მეტი უპირატესობა აქვს, რადგან ამ შემთხვევაში ვაჭრობის ლიბერალიზაცია ეყრდნობა ურთიერთდათმობებს.

ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკა მიზნად ისახავს ხელსაყრელი პოზიციების მოპოვებას გლობალურ ბაზარზე და, ამავე დროს, ისეთი ეკონომიკური მიზნების განხორციელებას, როგორებიცაა:

1. გარეშე ძალის დისკრიმინაციული ზემოქმედების აცილება;
2. კონკურენტუნარიანობის მოპოვება და შენარჩუნება;
3. ძირითადი საექსპორტო ბაზრების ხელმისაწვდომობა;

³⁴<http://bfm.ge/aziis-ganvitarebis-banki-saqartvelos-ekonomika-47-procentit-gaizrdeba/>

უნდა აღინიშნოს, რომ ექსპორტის ზრდის უწყვეტი ტენდენცია 2016 წლის სექტემბრიდან შეიმჩნევა. კერძოდ, ყოველი თვე წინა წლის ანალოგიურ თვესთან შედარებით მნიშვნელოვნად იზრდება.

გლობალურ ეკონომიკასთან ქვეყნის ინტეგრირების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია პირდაპირი ინვესტიციების მარაგი და მათი თანაფარდობა მშპ-სთან.

საქსტატის მიხედვით, 2017-2018 წლებში პუი-ის ყველაზე დიდი რაოდენობა აზერბაიჯანიდან შემოვიდა. ინვესტიციების მოცულობით აზერბაიჯანის შემდეგ თურქეთი, გაერთიანებული სამეფო, ნიდერლანდები და აშშ მოდიან.

სტატისტიკის ეროვნული სამსახური ყველაზე მაღალი ბრუნვის მქონე კომპანიების შესახებ წინასწარ ინფორმაციას ავრცელებს - 10 კომპანია, რომელსაც 2017 წელს ყველაზე დიდი ბრუნვა ჰქონდა. ეს კომპანიები ძირითადად ენერჯეტიკისა და აზარტული თამაშების ბიზნესში მოღვაწე კომპანიებია.

ტნკ-ები თავისი სტრუქტურით მაღალინტეგრირებული გაერთიანებებია, რომლებიც წარმოადგენენ საწარმოო, სავაჭრო და სამეცნიერო-კვლევითი პროფილის ტრანსეროვნულ ჯგუფებს.

თანამედროვე ეტაპზე, გლობალიზაციის პროცესის გაღრმავების კვალობაზე გასაღების ბაზრების, წარმოებისა და საკუთრების ინტერნაციონალიზაციის პირობებში, ტნკ-ებსა და ჩვეულებრივ კომპანიებს შორის ზღვარი რამდენადმე პირობითია. ამჟამად, გაეროს კლასიფიკაციით, ტნკ-ებს მიეკუთვნება ფირმები, რომელთაც საწარმოები აქვთ არანაკლებ ორ ქვეყანაში; მათ შორის ხორციელდება აქტიური ეკონომიკური თანამშრომლობა; ცენტრალიზებულად ხორციელდება შეთანხმებული ეკონომიკური პოლიტიკა.

დასკვნა

გლობალიზაციის ეპოქაში ტნკ-ების ფაქტორი სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს როგორც ეროვნულ, ისე მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში. პირდაპირი ინვესტიციები ხელს უწყობს ქვეყანაში დასაქმების ზრდასა და უმუშევრობის შემცირებას, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და საგარეო-სავაჭრო პოზიციების განმტკიცებას. ტრანსნაციონალიზაცია ზრდის საშუალო მოგებასა და მისი მდგრადი მიღების საიმედოობას. ტნკ-ები დიდ გავლენას ახდენენ შრომის მსოფლიო ბაზრის ფორმირებაზე, ხელს უწყობენ განვითარებულ ქვეყნებში უკვე აპრობირებული ინსტიტუტების - შრომითი და ანტიმონოპოლიური საკანონმდებლო ნორმების, დაბეგვრის პრინციპების, კონტრაქტების დადების პრაქტიკისა და სხვათა წარმატებულ გადატანასა და დანერგვას განვითარებად ქვეყნებში. ისინი წარმატებით ახორციელებენ აგრეთვე ისეთ საწარმოო, საინვესტიციო და სავაჭრო ფუნქციებს, როგორცაა: ეკონომიკური ინტეგრაციის სტიმულირება, პროდუქციის საერთაშორისო წარმოება, განაწილება-რეგულირება, ქვეყნებს შორის მდგრადი საგარეო ეკონომიკური კავშირების შექმნა, გლობალური ეკონომიკის ფორმირება-განმტკიცება და სხვ.

თანამედროვე ტნკ-ებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი თავისებურებები: ქვეყანათაშორისი უპირატესობების გამოყენება; კაპიტალის მოძრაობა ტნკ-ის ბაზრების ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისაგან დამოუკიდებლად; მაღალ-ტექნოლოგიურ და მეცნიერებატევად დარგებში შეღწევა, რომლებიც დიდ ინვესტიციებსა და მაღალკვალიფიციურ პერსონალს საჭიროებენ; მძლავრი საწარმოო ბაზის შექმნა; გლობალური საწარმოო-სავაჭრო პოლიტიკა; საქმიანობის დივერსიფიკაცია; ბიზნესის მონოპოლიზაცია; სტრატეგიული დაგეგმვა; კომპანიის შიდა ვაჭრობის გაძლიერება.

თანამდგომარეობა ეპოქის ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა აქციონერთა მიერ დირექტორების არჩევა, რომლებიც კორპორაციის ოპერატიული მართვისათვის მომავალში დაიქირავენ მენეჯერებს. სწორედ მენეჯერების ძირითადი ამოცანაა აქციონერთა კეთილდღეობის ამაღლება, რაც სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა ფირმის ჩვეულებრივი აქციების საბაზრო ფასების მაქსიმალურ ზრდას.

სამწუხაროდ, საქართველოში კორპორაციული სისტემის განვითარება ჩანასახოვან მდგომარეობაშია.

როგორც წესი, კორპორაცია როგორც სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციული ფორმა, ითვალისწინებს წილობრივ საკუთრებას, იურიდიულ სტატუსს და მართვის ფუნქციების თავმოყრას მენეჯერების ხელში, თანაც ეს უკანასკნელი დაქირავებულები არიან.

კორპორაცია ბიზნესის ისეთი სამართლებრივი ფორმაა, რომელიც განსხვავებული და განცალკევებულია მისი მფლობელი კონკრეტული პირებისაგან, თანაც ის იურიდიული პირია განსაზღვრული პასუხისმგებლობის ნიშნით. სწორედ ამიტომ, კორპორაციის პირობებს ჩვენს ქვეყანაში აკმაყოფილებს სააქციონერო საზოგადოებები და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა. ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი გლობალიზაციის პროცესში, ჟ. „ეკონომიკა“, 2004.
2. ასათიანი რ. გლობალიზაცია: ეკონომიკური თეორია და საქართველო, თბილისი, 2011.
3. გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება: გამოწვევები და შესაძლებლობები.
4. ხატიძე გ. ტრანსნაციონალური კორპორაციები და ადამიანის უფლებები, საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი, 2016.
5. ჯამაგიძე ლ. ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში, თბილისი, 2008.
6. ჯავახიშვილი რ. ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი გლობალიზაციაში, სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი, 2012.

*Tea Lazarashvili
Eter Kakulia*

TRANSNATIONAL COMPANIES INFLUENCE ON THE TRANSITION ECONOMY Summary

Globalization is main trend of modern world economy development. The transition to the global economy of the national economy is becoming stronger, where the transnational companies play the decisive role.

In the epoch of globalization, the factor of TNTs is becoming more and more important in the development of national and world economy. Direct investment promotes employment growth and unemployment reductions, improving product competitiveness and strengthening foreign trade positions.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები საქართველოში

ანოტაცია. საქართველო დიდი ხანია ჩამოცდა სასურსათო უსაფრთხოების ზღვარს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება ერთ სულ მოსახლეზე წლითიწლოებით მცირდება, ხოლო იმპორტი იზრდება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება დარღვეულია. ყველა ქვეყანა ცდილობს წინასწარ დაიჭიროს თადარიგი და საგანგებო სიტუაციებს მომზადებული შეხვდეს, ანუ კრიზისულ სიტუაციებში მინიმალურ დონეზე მაინც შეინარჩუნოს სასურსათო უსაფრთხოება. ეს პირველ რიგში ეხება ისეთ პროდუქტებს, როგორცაა ხორბალი, ბოსტნეული და ა.შ. ამ მხრივ საყურადღებოა საქართველოში მიმდინარე პროცესები. საქსტატის მონაცემებით 2003 წელთან შედარებით ნათესი ფართობები, შემცირდა დაახლოებით ორჯერ, ხორბლის წარმოება შემცირდა ოთხჯერ, 2003 წელს იწარმოებოდა 225 ათასი ტონა ხორბალი, ბოლო წლებში იგი 54 ათას ტონამდე შემცირდა, კარტოფილის წარმოება შემცირდა ორჯერ, ხილისა 50%-ით, ყურძნის 30%-ით, ჩაის 5-ჯერ, ბოსტნეულის 2,5-ჯერ, სამაგიეროდ, კარტოფილის იმპორტი გაიზარდა იმავე სიდიდით, ბოსტნეულის იმპორტი კი 10-ჯერ, ხორცის იმპორტი 2-ჯერ და დღესდღეობით სასურსათო ბაზარზე ხორცის 60% იმპორტირებულია. მცენარეული ცხიმების მთლიან მოცულობაში 85% არის იმპორტირებული, რაც შეეხება ყველაზე მნიშვნელოვანს – ხორბალს, მის იმპორტზე 92%-ით ვართ დამოკიდებულნი. ზოგადად მთელ სასურსათო პროდუქციაში იმპორტის წილი 76%-ია. ასევე, ქვეყანაში დიდი რაოდენობით შემოდის უხარისხო გენმოდირიცირებული პროდუქცია, რისი შემოწმების საშუალება სახელმწიფოს არ გააჩნია. ვინაიდან საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სურსათის უვნებლობის სამსახურის ფუნქციები შეზღუდულია, რის გამოც როგორც ადგილობრივი, ისე იმორტირებული პროდუქცია ხშირად ადამიანის ჯამრთელობისათვის საშიში ხდება.

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების კრიტიკული დონისათვის, რომლის ქვემოთაც იწყება სასურსათო და ეკონომიკური უსაფრთხოების შესუსტება და დაკარგვა, საიმპორტო მოწოდებისაგან დამოკიდებულების გაძლიერება, რაოდენობრივ გამოხატულებაში სავსებით რეალურია შემდეგი პარამეტრებით: 800 ათასი ტონა მარცვლეული, 240 ათასი ტონა კარტოფილი, 250 ათასი ტონა ბოსტნეული, 330 ათასი ტონა ხილი და კენკრა, 20 ათასი ტონა მცენარეული ცხიმები, 110 ათასი ტონა შაქარი, 85 ათასი ტონა ხორცი (ცოცხალი წონით), 580 ათასი ტონა რძე და 360 მილიონი ცალი კვერცხი. ეს დონე უნდა იქცეს სურსათის წარმოების ზრდის ტემპებისა და სასურსათო ბაზრის გაჯერებულობის ათვლის საზღვრად.

ამრიგად, სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგია უნდა დაეფუძნოს სურსათით ქვეყნის თვითუზრუნველყოფის პრინციპს, როგორც სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მტკიცე ეკონომიკური საფუძვლის უმნიშვნელოვანეს პირობას (საკმარისობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპებთან ერთად). თვითუზრუნველყოფაზე ყურადღების გამახვილება არ გულისხმობს ქვეყნის თვითიზოლაციას სასურსათო რესურსების ფორმირებაში. პირიქით, საუბარი მიდის ექსპორტისათვის წარმოების ზრდისა და იმპორტის სტრუქტურის სრულყოფის შესახებ, რაც შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობებისა და ბაზრის

ხელსაყრელი კონიუნქტურის გამოყენებასთან ერთად, ხელს შეუწყობს სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოების დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

* * *

უსაფრთხოება უმნიშვნელოვანესი ფასეულობაა. მისი უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის არსებობა და ნორმალური განვითარება. უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მონოპოლიური უფლება და მოვალეობაა. მსოფლიო პრაქტიკაში უსაფრთხოების ტერმინი მე-12 საუკუნიდან გამოიყენება და ადრეულ პერიოდებში იგი საფრთხისაგან დაცული ადამიანის მშვიდ სულიერ მდგომარეობას ნიშნავდა. თუმცა შუა საუკუნეებამდე აღნიშნული გაგებით უსაფრთხოების ცნება მყარად ვერ დამკვიდრდა მოწინავე ქვეყნების საზოგადოებრივ ლექსიკონში. მე-17 საუკუნიდან წამყვან ქვეყნებში წარმოიშვა მოსაზრება, რომ სახელმწიფოს მთავარი მიზანია საერთო კეთილდღეობა და უსაფრთხოება. აქედან მოყოლებული აღნიშნული ტერმინი ახალ შინაარსს იძენს, ხოლო უფრო მოგვიანებით, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია მთელ მსოფლიოში ვრცელდება.

ეროვნული უსაფრთხოების მრავალი განმარტება არსებობს. მათი შეჯერებით სახელმწიფოს უსაფრთხოების არსი განისაზღვრება საზოგადოებისა და ხელისუფლების ინსტიტუტების ისეთი მდგომარეობით, როდესაც უზრუნველყოფილია ეროვნული ინტერესების გარანტირებული დაცვა, ქვეყნის სოციალურად ორიენტირებული განვითარება, სახელმწიფოებრიობა და ტერიტორიული მთლიანობა შინაგანი და გარეგანი პროცესების ყველაზე უფრო არახელსაყრელ პირობებშიც კი.

ეროვნული უსაფრთხოება მოიცავს შემდეგ ქვესისტემებს: იდეოლოგიურ-კულტურული და ფსიქოლოგიური უსაფრთხოება; პოლიტიკური უსაფრთხოება; ეკონომიკური უსაფრთხოება; მეცნიერულ-ტექნოლოგიური უსაფრთხოება; ინფორმაციული უსაფრთხოება; სამხედრო უსაფრთხოება. უსაფრთხოების აღნიშნული ქვესისტემებიდან ცენტრალური ადგილი უჭირავს ეკონომიკურ უსაფრთხოებას, რომელიც გამოხატავს ეკონომიკური სისტემის უნარს, უზრუნველყოს ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების ნორმალური პირობები, ეროვნული მეურნეობის განვითარების მდგრადი მომარაგება რესურსებით და სახელმწიფოებრივი ინტერესების თანმიმდევრული განხორციელება.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა დროულად არ იქნა აყვანილი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რანგში. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაში ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის გამოკვლევას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. რაც შეეხება განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებს, მათ წინაშე აღნიშნული პრობლემა არ იდგა და, შესაბამისად, არ წარმოებდა კვლევები. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე ყურადღება გამახვილდა მხოლოდ საბაზრო რეფორმების დაწყებიდან საკმაო ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც მწვავე კრიზისული ხასიათი მიიღო ეკონომიკის განვითარებამ და მნიშვნელოვნად დაეცა მოსახლეობის ცხოვრების დონე.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიულ-გამოყენებითი საფუძვლების შემუშავება, უპირველეს ყოვლისა, უნდა განხორციელდეს დამოუკიდებლად, საკუთარი ეროვნული ინტელექტუალური ძალებით. იგი ის პრობლემა არ არის, რომელშიც სასურველ ეფექტს მოგვცემს საერთაშორისო საფინანსო ეკონომიკური ინსტიტუტების და უცხოელი ექსპერტების კონსულტაციები. რა თქმა უნდა, აქ არ

იგულისხმება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემების ირგვლივ დაგროვილი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების შესწავლა, განზოგადება და გამოყენება, თუმცა აქაც საჭიროა დიდი სიფრთხილე და შემოქმედებითი მიდგომა.

ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, უნდა შემუშავდეს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია (კონცეფცია), რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ამავე სახელწოდების პროგრამის შემუშავებას და ეს უკანასკნელი უნდა გახდეს ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურების განხილვის საგანი. ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების სახელმწიფოებრივი სტრატეგია-პროგრამის შემუშავების სამუშაოებში უნდა იქნეს მოზიდული ქვეყნის მოწინავე სამეცნიერო ინტელექტუალური ძალები და შესაბამისი სახელისუფლებო სტრუქტურების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. ამ ჯგუფის მუშაობას სათავეში უნდა ჩაუდგეს ქვეყნის პრეზიდენტი. ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა, მისი კონფიდენციალური ხასიათიდან გამომდინარე, უნდა დამტკიცდეს ქვეყნის უშიშროების საბჭოს მიერ ხოლო მისი ზოგადი პრინციპები და მიმართულებები შეიძლება საზოგადოებისათვის გამჭვირვალე გახდეს. უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციასა და პროგრამაში ცალსახად და მკაფიოდ უნდა იქნეს წარმოდგენილი ეკონომიკური უსაფრთხოების არსი. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გამოც, რომ დღემდე აღნიშნული კატეგორიის გაგებაში ერთიანი აზრი არ არის ჩამოყალიბებული მკვლევრებსა და სპეციალისტებს შორის და, შესაბამისად, რთულდება იმ საფრთხეების ხასიათის ფაქტორების განსაზღვრა, რომელთა საფუძველზე უნდა შემუშავდეს ეროვნულ ეკონომიკაზე მათი ნეგატიური ბლოკირების მიმართულების ღონისძიებათა კომპლექსი.

ეკონომიკური უსაფრთხოება თავის მხრივ მოიცავს გარკვეულ ქვესისტემებს: სანედლეულო უსაფრთხოება; ინდუსტრიული უსაფრთხოება; სასურსათო უსაფრთხოება; ინვესტიციური უსაფრთხოება; ინფორმაციულ-კომუნიკაციური უსაფრთხოება და ა.შ. ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემებიდან მთავარია სასურსათო უსაფრთხოება, რომელიც სასურსათო დამოუკიდებლობას, ანუ სურსათის ძირითად სახეებზე მოსახლეობის მოთხოვნილების საკუთარი რესურსებით დაკმაყოფილების უნარს გულისხმობს. სასურსათო უსაფრთხოება უწინარეს ყოვლისა გულისხმობს სურსათის უკმარისობის თავიდან აცილებას. ამასთან, სურსათის უკმარისობა განიხილება როგორც ადამიანთა ფიზიოლოგიური არსებობის საფრთხე. საერთოდ, სურსათის უკმარისობა ნიშნავს სურსათით მომარაგების დეფიციტს; სასურსათო უსაფრთხოების პირობებში სურსათით მომარაგება ისეთ ღონეზე უნდა იყოს, რომელიც უზრუნველყოფს აქტიური და ჯანსაღი ცხოვრების შესაძლებლობას. მაშასადამე, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ფუძემდებლური პირობაა სურსათის ისეთი საკმარისობა, რომელიც აშესაძლებლად აქცევს ადამიანთა აქტიურ და ჯანსაღ ცხოვრებას. ამით მიიღწევა ფიზიოლოგიური სასურსათო უსაფრთხოება.

საგულისხმოა, რომ საჭირო ოდენობისა და ასორტიმენტის სურსათით მომარაგება ჯერ კიდევ არასაკმარისი პირობაა სრული სასურსათო უსაფრთხოების მისაღწევად. ადამიანის სიცოცხლის დაცვის, მისი სრულფასოვანი ფიზიოლოგიური არსებობის შენარჩუნების პრობლემა გადაიჭრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შესაძლებელი იქნება არსებული სურსათის ფაქტობრივი მოხმარება. ეს, თავის მხრივ, მოითხოვს ისეთი ეკონომიკური პირობების შექმნას, მოსახლეობის

შესაძლებლობებისა და სურსათზე ფასების ისეთი დონის უზრუნველყოფას, როცა გარანტირებული იქნება მასზე ხელმისაწვდომობა.

ხელმისაწვდომობის ცნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კვებაზე ადამიანის უფლებასთან დაკავშირებით. გამოყოფენ მის ორ ასპექტს – ეკონომიკურსა და ფიზიკურს. ეკონომიკური ხელმისაწვდომობა ვარაუდობს, რომ სურსათის სრულფასოვანი რაციონის შექმნაზე გაწეული ფინანსური დანახარჯები ხასიათდება ისეთი დონით, რომელიც საფრთხის წინაშე არ დააყენებს და არ დაარღვევს სხვა ძირითად მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. ამასთან, იგი წარმოადგენს საკმარის კვებაზე ადამიანის უფლების რეალიზების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მაჩვენებელს. ფიზიკური ხელმისაწვდომობა ვარაუდობს საკმარისი კვების ხელმისაწვდომობას ყოველი ადამიანისათვის, ფიზიკურად უმწეო იმ პირთა ჩათვლით, როგორცაა ახალშობილი და უმცროსი ასაკის ბავშვები, ხანდაზმულები, ფიზიკური ნაკლის მქონენი და განუკურნებელი ავადმყოფები. მაგრამ კვებაზე ფიზიკური ხელმისაწვდომობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მასზე ფაქტობრივ ხელმისაწვდომობას. ამის მისაღწევად აუცილებელია კვებაზე უფლების შეხამება მისი რეალიზებისათვის საჭირო რესურსებზე საკუთარ ეკონომიკურ ხელმისაწვდომობასთან.

ამრიგად, ადამიანის ფიზიოლოგიური არსებობის საფრთხისაგან დაცვა, ამ საფრთხის ნეიტრალიზება და დაძლევა შესაძლებელია სურსათის საკმარის დონეზე უზრუნველყოფისა და მასზე ხელმისაწვდომობის სათანადო პირობების შექმნის გზით. სწორედ ეს ორი მთავარი პირობა – საკმარისობა და ხელმისაწვდომობა არის დაფიქსირებული საერთაშორისო დოკუმენტების უმრავლესობაში სასურსათო უსაფრთხოების განმარტებისას. ეროვნული სასურსათო უსაფრთხოება უკავშირდება საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების ძირითად პირობებს. აქაც სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის უმთავრესი ფაქტორებია სურსათის საკმარისობა და ხელმისაწვდომობა. თუმცა ამ შემთხვევაში სასურსათო უსაფრთხოება უფრო ფართოდ უნდა განიმარტოს. ეს, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია იმასთან, რომ სურსათის საკმარისობა და ხელმისაწვდომობა ეროვნულ დონეზე „მუშაობს“ აგრეთვე სახელმწიფოს ამოცანების გადაწყვეტაზე. ამიტომ ეროვნულ დონეზე სასურსათო უსაფრთხოება უნდა გულისხმობდეს აგრეთვე სახელმწიფოს მუდმივ მზადყოფნას, საგანგებო გარემოებებში (საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების გამწვავება, ომები, ეკონომიკური ბლოკადა, ანთროპოგენური თუ ბუნებრივი კატასტროფები და ა.შ.) არაორდინალური ზომების მიღებით (საბარათო სისტემის შემოღება და სხვა) შეინარჩუნოს სურსათით საკუთარი მოსახლეობის გარანტირებული (უფასოდ ან შეღავათიან ფასებში) უზრუნველყოფის მინიმალური დონე.

საგულისხმოა, რომ სასურსათო უსაფრთხოების ირგვლივ წამოჭრილ პოლემიკაში, ამ საკითხის განხილვის ადრეულ ეტაპზე, პრივალირებდა კონცეფცია, რომლის თანახმადაც ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ოპტიმალური საშუალება იყო დახმარება და იმპორტი. იმ ხანებში თვით-უზრუნველყოფა არ იყო აქტუალური თემა, რადგან მსოფლიო სასურსათო ბაზარზე სურსათის მიწოდება შედარებით მრავალფეროვანი არხებით ხდებოდა. მაგრამ შემდგომ, მსოფლიოს მოსახლეობის ზრდამ და ქვეყნების არათანაბარმა ეკონომიკურმა განვითარებამ გამოიწვია სასურსათო ბაზრის მონოპოლიზება. ამასთან, სურსათის ძირითად ექსპორტიორებსაც გაუჩნდათ გარკვეული პრობლემები საკუთარი მოსახლეობის გამოკვებაში, რამაც სურსათის მიწოდების არასტაბილური ტენდენცია წარმოშვა. ამან სურსათის იმპორტზე დამოკიდებულ

ქვეყნებს უზიძგა, შეექმნათ და აქტიურად განეხორციელებინათ თვითუზრუნველყოფის ეროვნული კონცეფციები.

თანამედროვე მსოფლიოში არსებობს ქვეყნები, რომლებმაც უკვე გადაჭრეს სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა საკმარისობის, ხელმისაწვდომობის და თვითუზრუნველყოფის თვალსაზრისით, მაგრამ ადამიანის აქტიური და ჯანსაღი ცხოვრებისათვის კვლავ მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს კვების პროდუქტების დაბინძურების საკმაოდ მაღალი ხარისხი. სურსათის ვარგისიანობა სულ უფრო აქტუალური თემა ხდება ეკოლოგიური სიტუაციის გამწვავებისა და სოფლის მეურნეობის მზარდი ქიმიზაციის პირობებში.

სასურსათო უსაფრთხოების კრიტერიუმი შემდეგია:

1. მოხმარებული სასურსათო პროდუქციის მთელი მოცულობის 75-80% უნდა იწარმოებოდეს სამამულო საქონელმწარმოებლების მიერ;

2. მოსახლეობა უნდა მოიხმარდეს ბიოლოგიურად სრულფასოვან პროდუქტს, კალორიულობის რეკომენდებული დონით – საქართველოს – ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მონაცემებით საქართველოში დღეღამური კვების რაციონის ენერგეტიკული ფასეულობა, მოხმარების რაციონალური ნორმის მიხედვით, არანაკლებ 2500 კკალ. უნდა შეადგენდეს.

3. სასურსათო მარაგების შექმნა უნდა განხორციელდეს მთელი მოხმარებული პროდუქციის მოცულობის 20%-ის დონეზე.

საქართველო დიდი ხანია ჩამოცდა სასურსათო უსაფრთხოების ზღვარს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება ერთ სულ მოსახლეზე წლითიწლოებით მცირდება, ხოლო იმპორტი იზრდება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება დარღვეულია.

ყველა ქვეყანა ცდილობს წინასწარ დაიჭიროს თაღარიგი და საგანგებო სიტუაციებს მომზადებული შეხვდეს, ანუ კრიზისულ სიტუაციებში მინიმალურ დონეზე მაინც შეინარჩუნოს სასურსათო უსაფრთხოება. ეს პირველ რიგში ეხება ისეთ პროდუქტებს, როგორცაა ხორბალი, ბოსტნეული და ა.შ. ამ მხრივ საყურადღებოა საქართველოში მიმდინარე პროცესები. საქსტატის მონაცემებით 2003 წელთან შედარებით ნათესი ფართობები შემცირდა დაახლოებით ორჯერ, ხორბლის წარმოება შემცირდა ოთხჯერ, 2003 წელს იწარმოებოდა 225 ათასი ტონა ხორბალი, ბოლო წლებში იგი 54 ათას ტონამდე შემცირდა, კარტოფილის წარმოება შემცირდა ორჯერ, ხილისა 50%-ით, ყურძნის 30%-ით, ჩაის 5-ჯერ, ბოსტნეულის 2,5-ჯერ, სამაგიეროდ, კარტოფილის იმპორტი გაიზარდა იმავე სიდიდით, ბოსტნეულის იმპორტი კი 10-ჯერ, ხორცის იმპორტი 2-ჯერ და დღესდღეობით სასურსათო ბაზარზე ხორცის 60% იმპორტირებულია. მცენარეული ცხიმების მთლიან მოცულობაში 85% არის იმპორტირებული, რაც შეეხება ყველაზე მნიშვნელოვანს – ხორბალს, მის იმპორტზე 92%-ით ვართ დამოკიდებულნი. ზოგადად, მთელ სასურსათო პროდუქციაში იმპორტის წილი 76%-ია.

ასევე, ქვეყანაში დიდი რაოდენობით შემოდის უხარისხო გენმოდირიცირებული პროდუქცია, რისი შემოწმების საშუალება სახელმწიფოს არ გააჩნია, ვინაიდან საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სურსათის უვნებლობის სამსახურის ფუნქციები შეზღუდულია, რის გამოც როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტირებული პროდუქცია ხშირად ადამიანის ჯამრთელობისათვის საშიში ხდება.

საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების კრიტიკული დონისათვის, რომლის ქვემოთაც იწყება სასურსათო ეკონომიკური უსაფრთხოების შესუსტება და დაკარგვა, საიმპორტო მოწოდებისაგან დამოკიდებულების გაძლიერება, რაოდენობრივ გამოხატულებაში სავსებით რეალურია შემდეგი პარამეტრები: 800 ათასი ტონა მარცვლეული, 240 ათასი ტონა კარტოფილი, 250 ათასი ტონა ბოსტნეული, 330 ათასი ტონა ხილი და კენკრა, 20 ათასი ტონა მცენარეული ცხიმები, 110 ათასი ტონა შაქარი, 85 ათასი ტონა ხორცი (ცოცხალი წონით), 580 ათასი ტონა რძე და 360 მილიონი ცალი კვერცხი. ეს დონე უნდა იქცეს სურსათის წარმოების ზრდის ტემპებისა და სასურსათო ბაზრის გაჯერებულობის ათვლის საზღვრად.

ამრიგად, სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგია უნდა დაეფუძნოს სურსათით ქვეყნის თვითუზრუნველყოფის პრინციპს, როგორც სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მტკიცე ეკონომიკური საფუძვლის უმნიშვნელოვანეს პირობას (საკმარისობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპებთან ერთად). თვითუზრუნველყოფაზე ყურადღების გამახვილება არ გულისხმობს ქვეყნის თვითიზოლაციას სასურსათო რესურსების ფორმირებაში. პირიქით, საუბარი მიდის ექსპორტისათვის წარმოების ზრდისა და იმპორტის სტრუქტურის სრულყოფის შესახებ, რაც შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობებისა და ბაზრის ხელსაყრელი კონიუნქტურის გამოყენებასთან ერთად, ხელს შეუწყობს სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოების დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ინოვაციები – ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი. // თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. თბილისი, თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014.
2. ამერიკის ეკონომიკა - ზოგადი საფუძვლების მიმოხილვა, ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო, 2010.
3. ვანიშვილი მ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა. თბილისი, საზოგადოება ცოდნა, 2003.
4. კოლუაშვილი პ. საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები. თბილისი, 2004.
5. მესხია ი. ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეპტუალური საკითხები. ჟ. „ეკონომიკა“, № 1-3, 1996.
6. Илларионов А. Критерии экономической безопасности. ж. "Вопросы экономики", № 10, 1998.
7. Сенчагов В.К. Экономическая безопасность: геополитика, глобализация, самосохранение и развитие (книга четвертая). Институт экономики РАН, Москва, ЗАО "финстатинформ", 2002.

Tengiz Kavtaradze

FOOD SAFETY PROBLEMS IN GEORGIA Summary

Georgia has long lost the food security margin. According to the National Statistics Office of Georgia (Geostat), the production of major agricultural products per capita decreases year by year and import increases, indicating that the country's food safety is violated.

Every country tries to seek the ways in advance and prepare for emergencies, ie, maintaining food security at minimum level in crisis situations. This is primarily related to products such as wheat, vegetables, etc. In this regard, the ongoing processes in Georgia are important. According to the Geostat data, compared to 2003, the average area of wheat was reduced twice, and wheat production - by four times, in 2003, 225 thousand tons of wheat was received in the last years it reduced to 54 thousand tons, potato production decreased twice, fruit - by 50%, the grapes - by 30%, tea - by 5 times, vegetable - by 2,5 times, but instead of potato imports increased by the same volume, the import of vegetables - 10 times, meat import - 2 times and now at food market 60% of meat is imported. 85% of the total volume of vegetable fats is imported, as to the most important, we depend on 92% of wheat imports. In general, the share of import is 76% in food production as a whole.

Large quantities of genetically modified, low quality products come into the country, and the state does not have the means to check. Since Georgia is the only country where the functions of the Food Safety Service are limited, a local and imported products are often dangerous for human health.

For the critical level of Georgia's food security, below which are beginning to decrease and loose of food and economic safety, strengthening of dependence on imported supply quite realistic are following parametres: 800 thousand tons of cereals, 240 thousand tons of potatoes, 250 thousand tons of vegetables, 330 thousand tons of fruits and berries, 20 thousand tons of plant fats, 110 thousand tons of sugar, 85 tons of meat (live weight), 580 thousand tons of milk and 360 million eggs. This level should be the point of increase in food production growth rates and food market surpluses.

Thus, the food security strategy should be based on the food security policy of the country as a vital condition for the solid economic basis of the sovereignty and independence of the state (together with adequacy and accessibility principles). Focusing on self-reliance does not mean the country's self-isolation in the formation of food resources. On the contrary, talking is about improving production, for export and export structure, which along with the advantages of International Labor Suppliers and the use of favorable markets, will facilitate the strengthening of the food security of the state.

ლინა დათუნაშვილი

ბიოტექნოლოგიები ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი ფაქტორი

ანოტაცია. ნაშრომში გაშუქებულია ეკონომიკური უსაფრთხოების ამაღლებაში ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგის - სოფლის მეურნეობის როლი ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. ნაჩვენებია ეკონომიკურ უსაფრთხოებასა და სასურსათო უსაფრთხოებას შორის მჭიდრო კავშირი, რამდენადაც სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა სხვა დარგების განვითარებასთან ერთად ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტიას წარმოადგენს. შესწავლილია ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების - მემცენარეობისა და მეცხოველეობის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები, როგორცაა: მემცენარეობაში მავნებლებით, ვირუსებითა და სარეველებით, ხოლო მეცხოველეობაში სხვადასხვა დაავადებით (თურქული, ლეიკოზი, ბრუცელიოზი, ღორის ჭირი, ქათმის ჭირი და სხვა) გამოწვეული დანაკარგები, რისი მიზეზიც არის მეცნიერების მიერ აღმოჩენილი მიკროოტოქსინების 300, ვირუსების, სოკოს და სხვათა 1600-მდე სახეობა, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებს სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხს.

გაშუქებულია XX საუკუნის მეორე ნახევარში მიღწეული ის მნიშვნელოვანი მეცნიერული სიახლეები და წარმატებები, რამაც ხელი შეუწყო მსოფლიოს აგრარულ რეგიონებში ბიოტექნოლოგიის განვითარებას. ნაშრომში განსაზღვრულია ბიოტექნოლოგიის, გენური ინჟინერიის, უჯრედული ინჟინერიის, ცხოველების იდენტური ორეულების (გენეტიკური ასლების) და ცხოველების სქესის რეგულირების მეთოდები. ვრცლად არის გაანალიზებული ბიოტექნოლოგიის როლი მავნებლების, დაავადებებისა და ჰერბიციდების მიმართ მდგრადი მცენარეების ახალი ჯიშების შექმნის თვალსაზრისით. ასევე მეცხოველეობაში პირუტყვის ძირითადი დაავადებების დიაგნოსტიკის, თერაპიისა და პროფილაქტიკისათვის გამოყენებული გენოინჟინერული შტამების, ვაქცინებისა და მონოკლონური ანტისხეულების გამოყენებით პირუტყვის დაავადებების შემცირების შესაძლებლობები.

ხაზგასმულია ბიოტექნოლოგიური მეთოდების გამოყენებით მიღებული რიგი დადებითი შედეგები, რომელიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობაში წარმოებული სასურსათო პროდუქციის მოცულობის ზრდასა და ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესებასთან, რაც გარკვეული ზომით უზრუნველყოფს სასურსათო და შესაბამისად, ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

ნაშრომში გაშუქებულია მსოფლიო საზოგადოების აზრი და შეხედულება ბიოტექნოლოგიური მეთოდებით მიღებული სასურსათო პროდუქციის შესახებ.

ეკონომიკური უსაფრთხოება - ღონისძიებათა სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური სისტემის დამოუკიდებლობას, თვითმყოფადობას, მის განვითარებას. მისი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ინტერესია მოსახლეობის კეთილდღეობისა და ცხოვრების დონის ამაღლება, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა და სხვა.

ეკონომიკური უსაფრთხოების ამაღლებაში განსაკუთრებული როლი ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას ენიჭება. ამ უკანასკნელის რეალიზაციის პირობას ქვეყნის ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგის – სოფლის მეურნეობის განვითარება წარმოადგენს.

სოფლისმეურნეობრივი წარმოების მთავარი ამოცანაა სამედიცინო ნორმით გათვალისწინებული ხარისხიანი მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ბიოლოგიურად სრულფასოვანი საკვები პროდუქტებით ქვეყნის მოსახლეობის უზრუნველყოფა.

ამ პრობლემას გააჩნია პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობა. ამათგან პირველი – ეს არის სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ხოლო მეორის – სოციალური მნიშვნელობის ასეთი ამოცანის გადაწყვეტა ობიექტურად მოითხოვს როგორც სოფლის მეურნეობის, ისე ქვეყნის მთლიანი აგროსამრეწველო კომპლექსის მდგრად განვითარებას, რაც პირდაპირ უკავშირდება ამ დარგში წარმოებული პროდუქციის მოცულობის გადიდებას – მემცენარეობის კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებას, ასევე მათი ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესებას. მთლიანობაში ყოველივე უშუალო კავშირშია ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ამაღლებასთან.

სხვადასხვა ქვეყანაში სოფლის მეურნეობა, მავნებლებისა და სარეველების გამო, ყოველწლიურად მეტ-ნაკლები ოდენობით კარგავს მარცვლეული კულტურებისა და კარტოფილის 35-40 პროცენტზე მეტს, ხოლო კოლორადოს ხოჭოსაგან მიყენებული ზარალი მილიონობით დოლარს შეადგენს. აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენს მეცნიე-

რების მიერ აღმოჩენილი მიკროტოქსინების 300, ვირუსის, სოკოსა და სხვადასხვა დაავადებების 1600-მდე სახეობა, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებენ სოფლის მეურნეობაში წარმოებული მემცენარეობის პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხს.

ანალოგიური მდგომარეობაა მეცხოველეობაში. მეხორცული და მერძეული მეცხოველეობის პროდუქტიულობის ასამაღლებლად აუცილებელია სიმინდის, სოიოს, რაპსისა და სხვა მარცვლოვანი და ზეთოვანი კულტურებისაგან მიღებული ცილებით მდიდარი საკვები, რომელთა გამოყენების შედეგად იზრდება რძის წველადობა, მცირდება ძროხების პროდუქტიულობის პერიოდი, რის გამოც მოკლე დროში ხდება ძროხების ხორცკომბინატში ჩაბარება. 70 სულამდე მცირდება 100 სული ძროხიდან ხბოს გამოსავალი, რაც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ სწრაფად ავამაღლოთ მეწველი ძროხების სულადობა ახალგაზრდა დეკეულების ხარჯზე [2].

საკმაოდ მაღალია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ფრინველის დაავადებებით გამოწვეული დანაკარგები მეცხოველეობაში. ისეთ დაავადებებს, როგორცაა თურქული, ცოფი, ლეიკოზი, ბრუცელოზი და სხვა, ბოლო პერიოდში დაემატა ღორის ჭირი, რომელიც პირველად აღმოაჩინეს ესპანეთში, შემდგომ კუნძულ მადაგასკარზე, ასევე საქართველოსა და სომხეთში. ჭეს დაავადება გავრცელდა რუსეთის სამხრეთ რეგიონებში და ყველგან დიდი ზიანი მიაყენა ღორის სულადობას. ასევე ქათმის გრიპით დაიღუპა ფრინველების (ქათამი, ინდაური) დიდი რაოდენობა საქართველოში.

ცნობილია ის ფაქტი, რომ ცხოველებისათვის საჭირო სხვადასხვა სახის საკვების იმპორტით ქვეყანაში შეიძლება შემოვიდეს და გავრცელდეს ექსპორტიორ ქვეყნებში უკვე არსებული დაავადებები, ისეთი, როგორცაა - ბლუტანგი, შმალენბერგის ვირუსი და სხვა, რომლებიც საშიშია იმის გამო, რომ ეს დაავადებები გადადის როგორც ცხოველზე, ისე ადამიანზე.

ამგვარად, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მემცენარეობის კულტურების სარეველების, ვირუსების, მავნებლებისა და სხვა დაავადებებისაგან დაცვა, ასევე პირუტყვის სულადობის ზრდის, ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების, ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის საჭირო იქნება მსოფლიოში დღეს გავრცელებულ ბიოტექნოლოგიურ მეთოდებზე ორიენტაციის აღება, რომელიც უნდა განხორციელდეს ამ მეთოდების გენეტიკასა და სელექციასთან გონივრული შეთანაწყობით, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს სასურსათო და შესაბამისად, ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

მსოფლიოში XX საუკუნის მეორე ნახევარში სხვადასხვა სფეროში მიღწეულმა მნიშვნელოვანმა მეცნიერულმა წარმატებებმა, ისეთმა, როგორცაა ფუნდამენტური გამოკვლევები ბიოქიმიასში, ბიოორგანულ ქიმიასა და მოლეკულურ ბიოლოგიაში, ასევე მემკვიდრეობითი ინფორმაციის გადაცემაში ნუკლეინის მჟავის გამოვლენამ, გენეტიკური კოდის გაშიფვრამ, მიკროორგანიზმების კულტივირების ტექნოლოგიის სრულყოფამ, მცენარეთა და ცხოველთა უჯრედისა და ქსოვილის შესწავლამ შექმნა წინა პირობა ელემენტარული მექანიზმებით უჯრედების მართვისთვის, რამაც ხელი შეუწყო ბიოტექნოლოგიის განვითარებას.

ბიოტექნოლოგია - ეს არის ბიოლოგიური პროცესებისა და აგენტების სამრეწველო გამოყენება მაღალტექნოლოგიური მიკროორგანიზმების ფორმის, უჯრედის კულტურის, მცენარისა და ცხოველის ქსოვილის სასურველი თვისების მიღების საფუძველზე, ეს მეთოდი სასარგებლო პროდუქტების შესაქმნელად ან რაიმე პროცესის საწარმოებლად ორგანიზმის, ორგანიზმის კომპონენტის ან სხვა ბიოლოგიური სისტემის გამოყენებას ითვალისწინებს.

ბიოტექნოლოგია (წარმოსდგება ბერძნულიდან ბიოს - სიცოცხლე, ტექჰნე – უნარი, ლოგოს – მოძღვრება) იმ მეთოდების ერთობლიობაა, რომელთა საშუალებით იღებენ ადამიანისათვის სასარგებლო საჭირო პროდუქტებს (სხვადასხვა წამლებს, ანტიბიოტიკებს, მონოკლონურ ანტისხეულებს და ა. შ.). ამ მიზნის მისაღწევად იყენებენ გენეტიკური (უჯრედული და გენური) ინჟინერიის მიღწევებს [1].

გენური ინჟინერია არის მიკროორგანიზმების გენოტიპის ხელოვნური, მიზანმიმართული შეცვლა, კლონირება და ახალ გენეტიკურ გარემოში მათი შეყვანა წინასწარდასახული თვისებების მქონე კულტურების მისაღებად.

გენური ინჟინერია მოიცავს სამუშაოების რიგ ეტაპს: პირველი ეტაპია გენის გამოყოფა, შემდეგ ხდება მისი გაერთიანება უჯრედის გენეტიკურ მასალასთან - დნმ-ის მოლეკულასთან, რომელიც შეძლებს აწარმოოს დონორის გენი სხვა უჯრედში (პლაზმიდაში ჩართვა). პლაზმიდის შეყვანა ბაქტერიის უჯრედის გენომში - რეციპიენტში. ბოლო ეტაპს წარმოადგენს პრაქტიკული გამოყენებისთვის აუცილებელი ბაქტერიის უჯრედის შერჩევა.

ამ დარგში კვლევები წარმოებს არა მარტო მიკროორგანიზმებზე, არამედ ადამიანებზეც (სხვადასხვა დაავადებების სამკურნალო პრეპარატების შესაქმნელად) [3].

გენური ინჟინერია ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის ახალი მიმართულებაა. ბუნებაში გენეტიკური მრავალფეროვნება გარკვეული საზღვრების პირობებში ყალიბდება. მაგ., მემცენარეობაში ყვავილი ტიტა შეიძლება შეჯვარდეს განსხვავებული ჯიშის ტიტასთან, და არა მაგ. სტაფილოსთან. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სახეობები ახლონათესაურ კავშირში არიან და ხერხდება მათი შეჯვარება, შთამომავლობა, როგორც წესი, უნაყოფოა. მეცხოველეობაში ცხენისა და ვირის შეჯვარებით მიღებული ჯორი შთამომავლობას ვერ იძლევა. გენური ინჟინერიის შემთხვევაში აღნიშნული ბარიერი დაძლეულია. ამ გზით შესაძლებელია გენის აღება და გადატანა მცენარეებში ბაქტერიებიდან, ვირუსებიდან, მწერებიდან და ცხოველებიდან.

უჯრედული ინჟინერია - ეს არის მეცნიერებასა და სელექციურ პრაქტიკაში არსებული და გამოყენებული მიმართულება, რომელიც სწავლობს სომატური უჯრედების ჰიბრიდიზაციის მეთოდებს, რომლებიც განეკუთვნება სხვადასხვა სახეობის ქსოვილებისა და მთლიანი ორგანიზმების კლონირების შესაძლებლობებს ცალკეული უჯრედისაგან.

ეს მეთოდი დაკავშირებულია ცალკეული უჯრედის ან ქსოვილის სპეციალურ ხელოვნურ გარემოში კულტივირებასთან. უჯრედული ინჟინერიის მეთოდით იქმნება მლაშე ნიადაგისადმი მედეგი და ყინვაგამძლე მცენარეები. ასე მაგალითად, სხვადასხვა რეგიონში არსებული მლაშე ნიადაგებისთვის სპეციალისტებს გამოჰყავთ მცენარეები, რომლებსაც სპეციალურ საკვებ გარემოს უქმნიან მცენარეების უჯრედების საკულტივაციოდ NaCl მარილის მაღალი შემცველობით და ამ გარემოში თესვენ ათასობით მცენარულ უჯრედს, რომელთაგან უმრავლესობა ილუპება მარილის მაღალი კონცენტრაციის გამო, მაგრამ გადარჩენილი ზოგიერთი მათგანისაგან, როგორც გარკვეული ზომით მარილგამძლე, შესაძლოა რეგენერირდეს მცენარეები. მოყვანილი მაგალითი უჯრედულ დონეზე სელექციის მაგალითია, როდესაც შერჩევას ექვემდებარება არა მცენარე, არამედ უჯრედები, რომელთაგან შემდგომ კვლავ წარმოიშობა მცენარეები.

მნიშვნელოვანია არახელსაყრელ გარემო ფაქტორებისადმი მდგრადი მცენარეების ჯიშების გამოყვანა გენური ინჟინერიის მეთოდით. ერთ-ერთ ასეთს მიეკუთვნება მცენარეების ყინვისადმი ამტანობის უნარის გამომუშავება, გაუძლონ ყინვის კრისტალების მიერ მათი ქსოვილის მექანიკურ დაზიანებას, რომელიც დაბალი ტემპერატურის დროს წარმოიქმნება. გარკვეული მიკროორგანიზმების უჯრედები

წარმოქმნის ზედაპირულ ცილას, რომელიც წარმოადგენს ყინულის კრისტალის ფორმირების ჩანასახს. სწორედ ისინი არიან პასუხისმგებელი ადრეული წაყინვების დროს მცენარის მგრძობიარე ქსოვილის დაზიანებაზე.

მეცხოველეობაშიც პერსპექტიულია უჯრედული ინჟინერიის მეთოდები. ამ მიმართულებით დიდი გამოცდილება დაგროვდა ცხოველების სომატიკური უჯრედების კულტივირებაში, *in vitro*; დამუშავებულია დაბალი ტემპერატურის დროს უჯრედის ხანგრძლივი შენახვის გზები, ასევე კულტივირების ოპტიმალური გარემო და რეჟიმი. მნიშვნელოვანია ადრეული ემბრიონის გაყოფის კარგად დამუშავებული მეთოდის გამოყენება. პირველი წარმატებული ცდა ემბრიონების გაყოფაზე 2-8 ბლასტომერის სტადიაზე განახორციელა ვილიარდმა (კემბრიჯი, დიდი ბრიტანეთი). ამ მეთოდით წინასწარ იხსნება გამჭვირვალე ზონა, ემბრიონი იკვეთება ორ ნაწილად, ერთი ნახევარი რჩება ადგილზე, მეორე გადააქვთ წინასწარ მომზადებულ ზონაში და ატარებენ ტრანსპლანტაციას. ცდების უმეტესობაში ემბრიონის შეგუება აღწევს თითქმის ნახევარზე მეტს (50-60%). შთამომავლობის გადიდების თვალსაზრისით ხდება თითოეული ემბრიონის ნაწილის ქირურგიული შეყვანა საშვილოსნოს რქაში იმ მხარეს, სადაც არის თავმოყრილი ყვითელი სხეული (მაკეობის 65%). ემბრიონის გაყოფა და მისი ერთი ნაწილის ტრანსპლანტაცია ძროხის საშოში - ეს არის ძროხა დონორის შთამომავლობის გადიდების ეფექტური მეთოდი. ეს მეთოდი წარმატებით ინერგება სანაშენო პრაქტიკაში. ძროხების გარდა, პირუტყვის მიღებულია ღორის ემბრიონის ნახევრების ტრანსპლანტაციით (რ. როუნტი, აშშ). რიგი გამოკვლევების მიხედვით აღნიშნული მეთოდით შთამომავლების რაოდენობა შეიძლება 30-35%-ით გაიზარდოს.

სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანია ცხოველების იდენტური ორეულების (გენეტიკური ასლების) მიღების შესაძლებლობა და ცხოველების სქესის რეგულირების მეთოდების დამუშავება. პირველი მეთოდი საშუალებას იძლევა ამაღლდეს კვლევების სიზუსტე და ცდების სანდო შედეგი იქნეს მიღწეული ცხოველების მცირე რაოდენობის პირობებში. ასევე იდენტური ტყუპების შემთხვევაში ერთ-ერთ მათგანზე შეიძლება ჩატარდეს ცდები და დადებითი შედეგების მიღების დროს მონაცემები გადატანილ იქნეს ტყუპის ცალზე. მეორე მეთოდით ხდება ცხოველების სქესის რეგულირების დამუშავება, იმ შემთხვევაში, თუ ერთი სქესის პირუტყვის ეკონომიკური მნიშვნელობა არსებითად მაღალია მეორე სქესის პირუტყვის ეკონომიკურ მნიშვნელობაზე, მაშინ ამ მეთოდის გამოყენება მესაქონლეობაში სასარგებლოა.

დღეისათვის მსოფლიოში ბიოტექნოლოგიის როლი სოფლისმეურნეობრივი წარმოების განვითარებაში მდგომარეობს სელექციის ტრადიციული მეთოდების შეთანაწყობასა და იმ ახალი ტექნოლოგიების დამუშავებაში, რომელიც ამ დარგის ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობას იძლევა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გენეტიკური და უჯრედული ინჟინერიის მეთოდების გამოყენებით შექმნილია მავნებლების, დაავადებებისა და ჰერბიციდებისადმი მდგრადი მცენარეების ახალი ჯიშები. დამუშავებულია გავრცელებული დაავადებებისაგან მცენარეების განკურნების მეთოდები და პრეპარატები. ტარდება გამოკვლევები მცენარეული ცილების ამინომჟავური შემადგენლობის გასაუმჯობესებლად. მუშავდება დაავადებებისა და მავნებლებისგან მცენარეთა დაცვის მიკრობიოლოგიური საშუალებები და მცენარეთა ზრდის ახალი რეგულატორები.

სოფლის მეურნეობაში პირუტყვის ძირითადი დაავადებების პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და თერაპიისათვის გამოიყენება გენოინჟინერული შტამები, ვაქცინები და მონოკლონური ანტისხეულები. საჯიშე საქმის განსავითარებლად იყენებენ ზრდის გენოინჟინერულ ჰორმონს, ასევე ტრანსპლანტაციისა და მიკრომანიპულაციის ტექნიკას

შინაური ცხოველების ემბრიონებზე. ცხოველების პროდუქტიულობის ასამაღლებლად იყენებენ საკვებ ცილას, რომელიც მიკრობიოლოგიური სინთეზით მიიღება.

გენეტიკური და უჯრედული ინჟინერიის დახმარებით შესაძლებელია მაღალ-პროდუქტიული ორგანიზმების ახალი ფორმების ხელოვნურად შექმნა. აღნიშნული მეთოდები განიხილება როგორც ბიოლოგიური მეცნიერების პრინციპულად ახალი მიმართულება.

ბოლო პერიოდში ბიოტექნოლოგიური მეთოდით შეიქმნა მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური საშუალებების ახალი თაობა, რომელიც კონკურენციას უწევს ქიმიური საშუალებებით მცენარეთა დაცვას. აღნიშნულმა გამოიწვია ბიოლოგიური საშუალებების გამოყენების მასშტაბური ზრდა მსოფლიოს მსხვილ აგრარულ რეგიონებში. მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური საშუალებები ხელს უწყობს მოსავლიანობის ზრდას, მემცენარეობაში დანაკარგების შემცირებას, მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემის დანერგვას და სხვა. ამჟამად ევროკავშირში მოქმედებს პროგრამა REACH, სადაც მითითებულია ქიმიკატების გამოყენებაზე მოთხოვნის გამკაცრება. მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის განვითარებას მივყავართ მემცენარეობაზე ქიმიური საშუალებების გავლენის მნიშვნელოვან შემცირებამდე.

ამგვარად, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ბიოტექნოლოგია წარმოადგენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დისციპლინათა შორისო სფეროს, რომელიც წარმოიშვა ბიოლოგიური, ქიმიური და ტექნიკური მეცნიერების კვეთაზე.

ბიოტექნოლოგიური მეთოდებისა და ხერხების გამოყენება პერსპექტიულია, მაგრამ რთულია, რაც განპირობებულია გამოყენებული ობიექტისა და მთლიანად პროცესის სირთულით, რადგან ნებისმიერი ბიოლოგიური ობიექტი - ეს არის დამოუკიდებელი, თვითკმარი სისტემა, რომელშიც რთულია რომელიმე ელემენტის შეცვლა ისე, რომ არ შეიცვალოს დანარჩენები, ამიტომ არ შეიძლება თვითნებურად მათი რეკომბინირებით ორგანიზმს მიეცეს ესა თუ ის სასურველი თვისება. არსებობს რიგი სადავო საკითხი, რაც დაკავშირებულია სხვადასხვა ორგანიზმის გენეტიკურ კოდში ჩარევაზე. გგმო-ს გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების მიღებაზე, რომელთა შესახებ დღეისათვის მათ უსაფრთხოებაზე საკმარისი მონაცემები არ გაგვაჩნია. სპეციალისტების აზრით, პერსპექტივაში გგმო-ს გამოყენება შესაძლებელი იქნება, ამასთან, აუცილებლად გამოკვლეული უნდა იყოს - კვლევის პროცესში ახლად მიღებული ორგანიზმების გენეტიკური მოდიფიცირება - გგმო-ს გავლენა ორგანიზმზე დინამიკაში (ორი-სამი თაობის პერიოდში) და გამოყენებული მეთოდები გარემო პირობების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები მატერიის ბუნებისათვის უცხოა, რომელმაც შეიძლება პროვოცირება მოახდინოს და გაუთვალისწინებელი შედეგი გამოიწვიოს, რაც მდგომარეობს იმაში რომ, ხვდება რა ბუნებაში, გგმო აღმოჩნდება იმ ვირუსების პირისპირ, რომლებიც თვითონ არიან სხვადასხვა დაავადებების გადამტანი და აღნიშნული თვისების გამო შეიძლება პროვოცირება გაუწიონ განსაკუთრებით საშიშ გენეტიკურ მუტაციას.

ბიოტექნოლოგიური მეთოდებით სასურსათო პროდუქციის წარმოების გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მსოფლიო საზოგადოების აზრი ორ ნაწილად არის გაყოფილი.

აკად. ვ. ს. შვეველუხას აზრით, `ტრანსგენური ტექნოლოგიები ვერ ცვლის მცენარის, ცხოველისა და მიკროორგანიზმების სელექციის ტრადიციულ ტექნოლოგიებს, არამედ მხოლოდ ავსებს მათ, ისინი შესაძლებლობას იძლევიან,

შევამციროთ ორგანიზმთა ახალი ფორმების შექმნის პერიოდი და 2-3-ჯერ ავამაღლოთ მათი მდგრადობა~ [4].

მეორე მხრივ, გენეტიკურად მოდიფიცირებულ კულტურებზე სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გაზიარება შესაძლებლობას აძლევს მკვლევარებს აღნიშნონ, რომ დღემდე მცირე ინფორმაციის გამო, ნაკლებად გაგვაჩნია ობიექტური მონაცემები ტრადიციულ მეთოდებთან მათი განსაკუთრებული უპირატესობის შესახებ, მაგრამ უკვე ცნობილია მრავალი ფაქტი გმო-ის უარყოფით გავლენაზე გარემო პირობებისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე, რაც გამოიხატება:

- ტრადიციული კულტურების გენეტიკურ დაბინძურებაში;
- ალერგიული რეაქცია ამ მეთოდით წარმოებულ პროდუქციაზე, განსაკუთრებით ბავშვებსა და ხანდაზმულებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სოფლის მეურნეობაში ბიოტექნოლოგიური მეთოდებით იზრდება სასურსათო და შესაბამისად ეკონომიკური უსაფრთხოება. ამასთან ამ მეთოდებით მიღებული გენეტიკურად მოდიფიცირებული მცენარეებისა და ცხოველების ფართოდ გავრცელების პრობლემა მოითხოვს მის თეორიულ შესწავლას და დეტალურ განაღვივებას, ასევე მეცნიერების სხვა სფეროებთან ინტეგრაციას და იმ რისკების შეფასებას, რომელსაც ადგილი აქვს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემო პირობებზე აღნიშნული მეთოდით წარმოებული სასურსათო პროდუქციის გამოყენების დროს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოგიჩაძე გ., სამედიცინო ტერმინოლოგიის ქართულ-ინგლისურ-რუსულ-ლათინური განმარტებითი ლექსიკონი / გ. გოგიჩაძე, ა. გედენიძე, ჯ. ჭუმბურიძე; [რედ.: ნოდარ ჭიჭინაძე, ალექსანდრე ქორელი]. _ თბ.; მერიდიანი, 2009. 496 გვ.; ბიბლიოგრ.: გვ. 394-395. – ISBN: 978-9941-10-174-8 [MFN: 138888].
2. ჩიკვაძე თ., ენციკლოპედია “საქართველო”, ტ.2, გვ. 608-609, თბ., 2012.
3. Zoovet. info>vet...biotekhnologii...selskom-khozyaistve
4. ekovse.ru>stat:/biotekhnologiva...selskoe-hozvaystvo
5. Сельскохозяйственная биотехнология: учебник / под редакцией В. С. Шевелухи. М.: Высшая школа, 1998.
6. scienceforum.ru>2017/2295/34625
7. cbio.ru>page/51/id/2854

Lina Datunashvili

BIOTECHNOLOGIES ARE ONE OF THE ECONOMIC FACTORS OF ECONOMIC SECURITY

Summary

The paper covers the role of agriculture as one of the main areas of national farming in economic security in providing food security for the country's population. A closer relationship between economic security and food security is shown, as far as food safety insurance guaranteed economic security with the development of other sectors. In national food security insurance there are also studied factors hampering the development of plant and animal growing _ the main areas of agriculture, such as the loses, caused by hazardous crops, viruses and weeds, in plant growing and livestock disease (Turkish, leukosis, brucellosis, pig bronchitis, chicken pills, etc.). The reason for this are microorganisms 300, viruses, mushrooms and 1600 others, discovered by scientists which significantly reduce the quantity and quality of the products produced in agriculture.

Important scientific innovations and successes achieved in the second half of the XX century have contributed to the development of biotechnology in the world's agricultural regions. The paper describes the methods of biotechnology, genetic engineering, cellular engineering, identical animals (genetic copies) and animal sex regulation methods. There are studied the role of biotechnology in terms of creating new varieties of sustainable plants against pests, diseases and herbicides. As well as the possibility of reducing cattle diseases by using genoengineering strains, vaccines and monoclonal antibodies for diagnostic, therapeutic and prophylactic of main diseases in livestock.

The positive results obtained by using biotechnological methods related to improving the volume of food products produced in agriculture and improving the quality of the product, providing a certain amount of food and therefore economic security are underlined.

The paper conveys the opinion and ideas of the world community on food products obtained by biotechnological methods.

Ната Давлашеридзе

ВЛИЯНИЕ ИННОВАЦИОННОГО ФАКТОРА НА ЭКОНОМИЧЕСКУЮ БЕЗОПАСНОСТЬ СТРАНЫ

***Аннотация.** В работе рассматривается роль инноваций в системе обеспечения экономической безопасности страны. Обращается внимание, что в современных условиях глобализации уровень экономической безопасности государства в значительной степени определяется эффективным функционированием реального сектора национальной экономики и напрямую зависит от степени разработки и внедрения инноваций во все сферы экономической жизни, что, в свою очередь, определяет перспективы развития (или наоборот — деградации) общества и экономики в целом. Подчеркивается, что в механизмах государственного управления инновационной сферой и создания благоприятного климата для развития науки и высоких технологий условно можно выделить такие основные составляющие деятельности государства: создание финансовых механизмов государственной поддержки инновационной деятельности, формирование инновационной инфраструктуры, а также косвенные методы регулирования. В частности, в борьбе с коррупцией может помочь технология блокчейна. Отмечается, что политика правительства Грузии в области инновационного развития принесла ощутимые результаты, Грузия значительно улучшила свои показатели заняв 59-ое место в мире в рейтинге «Глобального инновационного индекса» (Global Competitiveness Index, GCI) 2018 года улучшив показатель на 9 коэффициентов по сравнению с прошлым годом.*

***Ключевые слова:** экономическая безопасность, инновации, инновационная система, инновационная безопасность, инновационная экономика, система обеспечения экономической безопасности страны.*

Введение

Практика ведущих мировых держав, а также деятельность международных глобальных структур (МВФ, ВТО и др.) показала, что в условиях процессов глобализации и свободной конкуренции возрастает роль государства в области обеспечения его экономической безопасности. Под экономической безопасностью понимается такое состояние национальной экономики, которое обеспечивает стабильное и независимое развитие страны, защищенность от внутренних и внешних угроз и противодействие влиянию негативных факторов. Уровень экономической безопасности государства во многом определяется степенью его инновационного развития и поскольку сами инновации являются средством достижения высокой конкурентоспособности экономики и их следует трактовать как одну из главных частей экономической безопасности.

Инновационный фактор безопасности страны содержит следующие составляющие - воспроизводство национального научно-технического, технологического и производственного потенциалов; развитие приоритетных направлений науки и технологии; конкурентоспособность национальной экономики; экспортный контроль за распространением технологий и научных разработок; защиту прав интеллектуальной собственности; разведывательную и контрразведывательную деятельность в сфере технологий и научно-исследовательских и опытно-конструкторских работ, имеющих стратегическое значение, а также, создание финансовых механизмов государственной поддержки инновационной деятельности, формирование и **развитие инновационной инфраструктуры**, включая систему информационного обеспечения, систему экспертизы, финансово-экономическую систему, производственно-технологическую поддержку, систему сертификации и продвижения разработок, систему подготовки и переподготовки кадров, а кроме того **косвенные методы регулирования**, среди которых выделяются налоговое, таможенное, амортизационное регулирование и др. Косвенные методы стимулируют частных предпринимателей принимать такие управленческие решения, которые бы не противоречили целям государственной инновационной политики. Важнейшую роль играют налоговые льготы, используемые для поощрения тех направлений деятельности корпораций, которые желательны с точки зрения государства, в том числе льготы, направленные на стимулирование научно-технического прогресса, экспорта и деловой активности инновационного бизнеса.

В Законе Грузии «О порядке планирования и координации политики национальной безопасности», принятом в 4 марта 2015 года (статья 9 и статья 11), указывается, что сфера социально-экономической безопасности включает следующие направления:

- выявление, идентификация, оценка и прогнозирование социально-экономических угроз, рисков и вызовов;
- нейтрализация экономической и финансовой деятельности, содержащей угрозу государственным интересам Грузии;
- обеспечение соответствия регулирующих норм, связанных с объектами стратегического значения, целям и задачам национальной безопасности;
- оценка аспектов безопасности экономических проектов стратегического значения и разработка соответствующих механизмов безопасности;
- обеспечение соответствия внешнеэкономических отношений целям и задачам национальной безопасности;
- обеспечение безопасности информационного пространства Грузии и выявление, идентификация, оценка и прогнозирование связанных с ней угроз, рисков и вызовов;
- обеспечение защиты критических информационных систем;
- нейтрализация в киберпространстве действий, содержащих угрозу государственным интересам Грузии;
- развитие возможностей ведомств, вовлеченных в процесс обеспечения кибербезопасности развитие институциональной координации и международного сотрудничества в процессе обеспечения кибербезопасности;
- обеспечение безопасности систем электронного управления;
- повышение сознания общества в кибервопросах, формирование и развитие соответствующей образовательной базы;
- обеспечение физической, технической и программной защиты электронных средств обращения с информацией, содержащей государственную тайну.

Интерес представляет стратегия США в области экономической безопасности, которая заключающаяся в следующих инструментах:

1. Использование протекционистских мер по защите своего рынка от импорта и конкуренции в области инновационных технологий.

2. Препятствование приобретению интеллектуальной собственности в области инновационных технологий посредством: физической кражи, кибер-шпионажа, нарушения экспортного законодательства США, контрафакции и пиратства.

3. Не допускать выкачивание ценной открытой информации непосредственно из первоисточников научных инновационных идей (университеты, лаборатории, исследовательские центры), а также через скупку талантов из всех смежных областей: бизнес, финансы, экспертиза.

В США прямые бюджетные расходы инвестиционного характера структурируются через следующие составляющие:

- прямая поддержка научных исследований (приобретение государством высокотехнологичных разработок, представляющих собой общественные блага — инновации в результате интеллектуальной деятельности);
- создание государственных агентств (их миссией является защита национальных интересов, главная особенность финансируемых проектов — низкая экономическая эффективность);
- финансирование государственных лабораторий (700 в США).

К примеру, с целью обеспечения своей экономической и информационной безопасности, США запретили распространение продукции Huawei в стране. На сегодняшний день Huawei является второй по величине компанией среди технологических гигантов. Военный бюджет США, подписанный президентом Дональдом Трампом, вводит запрет на покупку и использование телекоммуникационного оборудования ZTE и Huawei госучреждениям. Санкции наложены и на развитие технологий, связанных с работой сетей пятого поколения. В конце ноября The Wall Street Journal сообщила о призывах администрации США к странам-союзницам, касающихся отказа от использования китайского оборудования. Эти предупреждения были доведены, в частности, до поставщиков беспроводных услуг в Германии, Италии и Японии. Отмечалось, что Вашингтон даже рассматривал вариант предоставления финансовой помощи для развития сетей связи без использования продукции Huawei и ZTE. Спецслужбы Новой Зеландии также не разрешили местной телекоммуникационной компании Spark New Zealand использовать для прокладки новой сети стандарта 5G оборудование Huawei Technologies Co. Ltd. ввиду «высоких рисков для безопасности государства». В августе аналогичное решение приняли власти Австралии. Япония также применила ограничения против китайских телекоммуникационных компаний. В декабре правительство Японии запретило госорганам закупать продукцию китайских компаний Huawei и ZTE по соображениям экономической и инновационной безопасности.

Действенная инновационная политика предполагает гибкое сочетание всех методов государственного воздействия на инновационные процессы.

Формами государственной поддержки научной и инновационной деятельности являются:

- прямое финансирование;
- предоставление индивидуальным изобретателям и малым внедренческим предприятиям беспроцентных банковских ссуд;
- создание венчурных инновационных фондов, пользующихся значительными налоговыми льготами;
- отсрочка уплаты патентных пошлин по ресурсосберегающим изобретениям;
- реализация права на ускоренную амортизацию оборудования;
- создание сети технополисов, технопарков и т. п.

Политика, проводимая в Грузии в данном направлении, принесла ощутимые результаты. Грузия значительно улучшила свои показатели заняв 59-ое место в мире в рейтинге *«Глобального инновационного индекса»* (Global Competitiveness Index, GCI) 2018 года улучшив показатель на 9 коэффициентов по сравнению с прошлым годом (в 2017 году страна занимала лишь 68-ое место). Этот прогресс стал возможен благодаря улучшению

сразу по 9-ти параметрам оценок. Рейтинговое очко Грузии составляет 35.05 из 100. Среди стран региона Грузия занимает 6-е место. Мировой рейтинг ГИ оценивает инновационность 126 стран по 80 разным критериям. Эти страны создают 96.3% мирового ВВП. Среди критериев есть такие, как политическая обстановка, образование, инфраструктура и бизнес-обстановка. Он состоит из 12 пунктов: качество институтов, состояние инфраструктуры, проникновение IT и современных коммуникаций, макроэкономическая стабильность, потребительский рынок, рынок труда, финансовая система, размер внутреннего рынка, здоровье, образование и навыки, динамика бизнес-развития, способность к инновациям.

У Грузии наилучший результат отмечается по институциональному критерию – 71.9 очков из рейтинговых 100 и 39-е место в мире. Именно этот критерий объединяет политическую обстановку в стране, влияние регуляций на эту сферу и бизнес-обстановку в стране.

В то же самое время наихудший результат Грузия получила по критерию «совершенствования бизнеса» (Business sophistication) – с 25.7 очками она заняла 91-е место. Причина заключается в том, что этот критерий оценивает, с одной стороны, возможности рабочей силы, а с другой стороны, насколько компании переобучают своих сотрудников. По этому подкритерию Грузия занимает 88-е место в мире, так как, только 10.5% компаний предлагает сотрудникам переобучение. Грузия занимает 105-е место в подкритерии, который оценивает коллаборацию учебных заведений и разных секторов по направлению науки. Грузия на 82-м месте в подкритерии, который отражает показатель (долю) интеллектуальной собственности в общем торговом обороте. В Грузии налоги на интеллектуальную собственность составляют только 0.2% общей торговли. А в подкритерии импорта ICT (Information Communication Technology) сервисов Грузия занимает 86-е место.

По критерию человеческого капитала Грузия владеет 30 очками из 100 рейтинговых и занимает 67-е место. В компоненте инфраструктуры у страны 41 очко и 71 место в мире.

В 2019 году у Грузии будет введен новый, основанный на цифровых технологиях Таможенный кодекс, который позволит эффективно интегрировать страну в глобальную экономику и в первую очередь, максимально будет учитывать интересы как предпринимателей, так и потребителей. Значительно будут упрощены новые правила оформления и формы декларирования. Создается возможность возвращения оплаченного налога на импорт, но главной прерогативой данного кодекса должна стать защита национальной экономики от импортной интервенции.

Одним из ярких примеров использования инноваций в государственном секторе является применение технологии блокчейн, основанной на распределенной базе данных. Правительства всего мира тщательно следят за ее развитием, оценивают возможности внедрения. Ожидается, что технология блокчейн существенно изменит ряд традиционных сфер путем обеспечения надежных транзакций, таких как голосование или перевод денежных средств. Блокчейн устраняет необходимость полагаться на посредников – банки, избирательные комиссии и т.д. Как отметил американским бизнесмен и филантроп **Николас Кери (Nicolas Cary)**, соучредитель Blockchain.com и YBUSA, тремя ключевыми плюсами технологии блокчейн является экономическая эффективность, надежность и прозрачность. Cary полагает, что технология блокчейна может улучшить общество через общие, прозрачные цифровые платежи и приложения. Технология блокчейн заняла третье место среди 10 новых технологий 2016 г. в рейтинге Всемирного экономического форума. Предполагается, что по меньшей мере 10% мирового ВВП будет храниться на блокчейн-платформах к 2025 г. Основные выгоды от внедрения технологии ожидаются в сокращении операционных расходов, сокращении времени расчетов, сокращении рисков, росте возможности получения дополнительных доходов.

В начале 2017 года началась практическая реализация пилотного проекта по кадастровому учету на базе блокчейна Национальным агентством публичного реестра Грузии совместно с компанией BitFury (крупнейшая в мире многопрофильная блокчейн-компания) и при участии перуанского экономиста и общественного деятеля Эрнандо де Сото, известного своими исследованиями теневой экономики и роли стандартизации и

формализации прав собственности. Проект помогал разрабатывать акселератор Blockchain Trust Accelerator (BTA) – это ведущая в мире платформа, которая поддерживает использование блокчейн-технологий для решения проблем влияния и управления.

В блокчейн-системе Национального агентства публичного реестра Грузии хранится почти 200 тысяч записей о правах на земельные участки, причем с одной стороны она надежно защищена от несанкционированного доступа, а с другой—любой желающий может просмотреть все эти записи. Таким образом Грузия стала первым государством в мире, внедрившим технологию **блокчейн** в системе регистрации земли. Это первый случай использования децентрализованной сети на государственной службе, что обеспечивает прозрачность и укрепляет доверие к основным институтам, что, в свою очередь, позволит искоренить коррупцию. Правительство Грузии планирует перевести на эту технологию и другие реестры и сервисы. Кстати и в других странах (Израиль, Эстония, Дубай, Украина и др.) ее уже начали использовать в тестовом режиме на государственном уровне.

О значении технологии Blockchain говорит и тот факт, что крупнейшая американская исследовательская лаборатория блокчейна **Cryptic Labs**, занимающаяся фундаментальными исследованиями в сфере блокчейна и криптографии, объявила в сентябре 2018 г., что Нобелевские лауреаты по экономике **Эрик Маскин (Eric S. Maskin)** и **Кристофер Писсаридес (Christopher Pissarides)** стали частью ее совета по экономике, чтобы консультировать компании блокчейна по вопросам теории игр и макроэкономики. Эта лаборатория играет роль катализатора в процессе внедрения блокчейна в глобальную экономику. Компания также занимается экспертной деятельностью, консультируя заинтересованные стороны по безопасности, совместным исследованиям и подбору кадров по США и Европе.

Доктор Маскин, закончивший Гарвард, будет специализироваться на теории игр и дизайне самого механизма. Его основной задачей будет создание базы для различных компаний, на основании которой они смогут сами распоряжаться собственными блокчейнами. Кристофер Писсаридес назвал технологию блокчейн «самым захватывающим событием последних лет на финансовых рынках». При этом он добавил, что технология еще недостаточно изучена, и поэтому сложно говорить о необходимости полного перехода на блокчейн. «Я надеюсь, что мои знания в макроэкономике помогут компаниям улучшить способы применения блокчейна, сделать их более безопасными и доступными, а также изучить возможные последствия для торговли, финансовых рынков и экономики», считает Писсаридес.

Однако далеко не все Нобелевские лауреаты позитивно настроены по отношению как к криптовалютам, так и к технологии блокчейн. **Пол Кругман (Paul Krugman)**, лауреат нобелевской премии по экономике 2008 года, утверждает что биткоин является угрозой нормальному развитию мировой финансовой системы, более того, он вовсе может стереть прогресс в мировой финансовой системе. Кругман является ярким противником крипты уже давно. Он ещё в 2013 году публично назвал выпуск цифровых активов «дьявольским процессом» в статье «Bitcoin – это зло» («Bitcoin Is Evil»), опубликованной в New York Times. Он утверждает, что ведущая криптовалюта BTC представляет собой угрозу глобальной экономике, а сам цифровой актив называет "мыльным пузырем". Лауреат премии 2017 года **Ричард Талер (Richard Thaler)** согласен с мнением Кругмана, а **Юджин Фама (Eugene F. Fama)** (лауреат нобелевской премии по экономике 2013 г.) уверен, что цифровые активы никогда не заменят фиатных валют и обладают преимуществами только для преступников. Нобелевский лауреат 2001 года **Джозеф Стиглиц (Joseph Stiglitz)** совместно с такими авторитетными американскими экономистами, как **Нуриэль Рубини (Nouriel Roubini)** и **Кеннет Рогофф (Kenneth Rogoff)**, выступил против биткоина, заявив, что криптовалюта будет «отрегулирована до забвения» по мере того, как правительства по всему миру пытаются побороть отмывание денег. Также и нобелевский лауреат 2013 года **Роберт Шиллер (Robert J. Shiller)** называл биткоин “гламурным веянием“, “общественным движением” и одной из самых неудачных попыток преобразования денег. Пик интереса к

ICO (Initial Coin Offering) проектам от блокчейн стартапов пришелся на 2017 год, однако, пыл инвесторов заметно охладился в 2018 году. Главным образом это произошло из-за статистических данных: согласно отчету организации Autonomous Research, более 80% ICO проектов оказались мошенниками. Инвесторы отреагировали на эту информацию: в августе 2018 года размер финансирования, полученного в ходе проведения ICO, достиг минимального показателя за 16 месяцев. Безусловно, негативной тенденции также способствует падение курса всех ведущих криптовалют, в частности, Bitcoin подешевел на 65% по сравнению с рекордными показателями декабря прошлого года.

Но несмотря на данные тенденции, глава МВФ **Кристин Лагард** (Christine Lagarde) в статье «Регуляторный подход к финтеху: защита от возникающих рисков, без подавления инноваций», опубликованной в бюллетене официального форума валютных и финансовых институтов (OMFIF) (ноябрь 2018), рассуждая о плюсах и минусах криптовалют и блокчейн-технологий, считает, что для более эффективной работы необходимо знать преимущества новых технологий и определять их риск. Так, технология блокчейн позволяет быстрее и дешевле производить транзакции, а смарт-контракты обеспечивают большую безопасность. Однако те же технологии используются и в незаконных целях. «G20 согласна с оценкой совета по финансовой стабильности (FSB), что криптовалютные активы не несут угрозы для стабильности, хотя они могут представлять угрозу в будущем», - добавила она. Ранее Лагард заявляла, что криптовалютное регулирование является «неизбежным» ввиду незаконной деятельности, с которой связан криптовалютный мир. Кроме того, по мнению главы МВФ, регулирование этого сектора – это глобальная проблема, которая не может быть решена отдельно на уровне государств. Решать ее нужно только сообща, поэтому МВФ уже в ближайшем будущем изучит эту проблему более внимательно, отмечала Лагард. Ранее глава МВФ предложила бороться с криптовалютами с помощью блокчейна. По ее мнению, официальные органы могут использовать блокчейн и другие распределенные технологии для регулирования криптовалют и решения проблемы их незаконного использования.

Заключение

Стирание в определенной степени границ национальных рынков, образование единых мировых рынков товара и капитала, международная стандартизация правил, механизмов регулирования, функционирование трансграничных конгломератов, глобальных инвесторов, трансграничных потоков капитала — это можно воспринимать не только как «здоровые» тенденции мировой экономики, но и как угрозу собственной экономике.

Анализ данной темы позволил сделать выводы о том, что основная задача развития инновационной системы современной Грузии, с целью обеспечения ее экономической безопасности, требует проведения структурной модернизации экономики страны, технико-технологического перевооружения производств, разработки мер борьбы с теневой экономикой, криминализацией и коррупцией, выработки нового соответствующего законодательства в сфере экономической и инновационной деятельности.

Использованная литература

1. <http://www.bsu.ru/content/page/16174/o-poryadke-planirovaniya-i-koordinacii-politiki-nacionalnoi-bezopasnosti.pdf>
2. https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_gii_2018-profile14.pdf
<http://www.matsne.gov.ge>
3. <http://forbes.ge/news/4313/%D0%93ruzija-prodvinulas--v-indekse-global-nyh-innovacij>
4. <https://gita.gov.ge/>
5. <https://sputnik-georgia.ru/economy/20181210/243393453/Premer-rasskazal-o-novym-Tamozhennom-kodekse-Gruzii.html>
6. <https://crypticlabs.org/cryptic-labs-adds-two-nobel-laureates-in-economics-to-spearhead-economics-advisory-board/>

7. <https://ethereumworldnews.com/krugman-bitcoin-300-years-2018/> Paul Krugman: Bitcoin Will “Set the Monetary System Back 300 Years”. July 31, 2018.

8. <https://www.omfif.org/>

Nata Davlasheridze

INFLUENCE OF AN INNOVATIVE FACTOR ON ECONOMIC SAFETY OF THE COUNTRY

Summary

In the article the role of innovations in the system of ensuring economic security of the country is considered. The attention is paid that in modern conditions of globalization the level of economic security of the state substantially is defined by effective functioning of the real sector of national economy and directly depends on extent of development and introduction of innovations to all spheres of economic life that, in turn, defines the prospects of development (or on the contrary — degradations) societies and economies in general. It is emphasized that in mechanisms of state management of the innovative sphere and creation of favorable climate for development of science and high technologies it is conditionally possible to underline main components of activity of the state: creation of financial mechanisms of the state support of innovative activity, formation of innovative infrastructure and also indirect methods of regulation. Particularly, blockchain technology can help in the struggle against corruption. It is noted that the policy of the government of Georgia in the field of innovative development brought notable results, Georgia considerably improved the indicators having taken the 59th place in the world in the rating of "The global innovative index" (Global Competitiveness Index, GCI) 2018 having improved an indicator on 9 coefficients in comparison with last year.

გიორგი ბრეგვაძე

ხორბლის წარმოება - სასურსათო უსაფრთხოების გარანტი

ანოტაცია. მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების კომიტეტის (CFS) განმარტების მიხედვით, სასურსათო და კვების უსაფრთხოება „არსებობს მაშინ, როდესაც თითოეულ ადამიანს ნებისმიერ დროს აქვს ფიზიკური სოციალური და ეკონომიკური წვდომა საკმარისი რაოდენობის უვნებელ და ხარისხიან სურსათზე. ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება არის უნარი, უზრუნველყოს სურსათზე საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნილებანი.

მარცვლეულით ქვეყნის უზრუნველყოფას კი უმთავრესი როლი ენიჭება სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრაში. მსოფლიოში სასურსათო უსაფრთხოების ორი მთავარი მაჩვენებელია და ორივე დაკავშირებულია მარცვლეულთან. ერთი, ქვეყანაში მოწეული მარცვლეულის საერთო რაოდენობა, მეორე - ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული მარცვლეული.

საკვანძო სიტყვები: ხორბალი, მარცვლეული, თვითუზრუნველყოფა, მოსავალი, იმპორტი.

საქართველო ხორბლის წარმოების პირველად კერას წარმოადგენს, რაც დასტურდება იმ ფაქტებით, რომ მსოფლიოში ცნობილი ხორბლის 27 სახეობიდან საქართველოში აღმოჩენილი და აღწერილია 14 სახეობა. მათ შორის 5 ენდემურია, რომელიც მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის აღმოჩენილი. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენდემური ჯიშებისთვის უმეტესად დამახასიათებელია დაბალი

მოსავლიანობა, რაც კომერციული თვალსაზრისით ერთ-ერთი მიზეზია მათი წარმოებიდან თანდათანობით გაქრობისა და გადაშენების საშიშროების წარმოქმნის, უნიკალური ჯიშობრივი და ხარისხობრივი თვისებების გამო, ისინი მდიდარ გენეტიკურ მასალას წარმოადგენენ და მნიშვნელოვანია სამეცნიერო კვლევებისათვის, თუმცა არსებობს მაღალი საშუალო მოსავლიანობის ცალკეული შემთხვევებიც.

საქართველო ხორბლის ნეტო იმპორტიორი ქვეყანაა და შესაბამისად დიდი რაოდენობით ხორციელდება იმპორტი. ხორბლით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი დაბალია. 2017 წ. იგი 15% შეადგენდა.

ცხრილი 1

ხორბლის ბალანსი

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
მარაგი წლის დასაწყისში	35	85	95	201	95	54	114	95
ადგილობრივი წარმოება	48	97	81	81	48	126	127	98
იმპორტი	797	677	970	743	651	647	552	603
სულ რესურსები	880	859	1146	1025	794	827	793	796
თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი %	6	13	9	12	7	18	19	15

ცხრილი შედგენილია საქსტატის მონაცემების მიხედვით

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ადგილობრივი წარმოება მეტად არასტაბილურია. შესაბამისად, ძალზე დიდია იმპორტი. ფაქტობრივად თვითუზრუნველყოფა მცირეა. მხედველობაში მისაღებია, რომ ეს მონაცემები გათვლილია საქართველოში მკვირდი მოსახლეობის რაოდენობაზე, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში ტურისტების რაოდენობამ უკვე 8 მილიონს გადააჭარბა. არადა ეს კატეგორიაც წლის განმავლობაში არანაკლებ ცომეულს მოიხმარს. ყველა მკვლევარი, ვისაც ამ სფეროსთან აქვს შეხება, ერთ საქმეში თანხმდება, საჭიროა საქართველოში მეტი ხორბლის მოყვანა, თვითუზრუნველყოფის გაზრდა.

ხორბლის ძირითადი მწარმოებელი რეგიონებია კახეთი, ქვემო ქართლი და შიდა ქართლი. ადგილობრივი ხორბალი ბაზარზე ძირითადად ხელმისაწვდომია ივლისის და აგვისტოს თვეში. ივლისის ბოლომდე ხორბლის მოსავლის აღება მთავრდება კახეთსა და ქვემო ქართლში, ხოლო შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში - აგვისტოში. საქართველოში ხორბლის საჰექტარო მოსავლიანობა დაბალია არასაკმარისი ცოდნის, დაბალხარისხიანი სათესლე მარცვლის გამოყენებისა და აგროტექნიკური ღონისძიებების დროულად გაუტარებლობის გამო.

ნათესი ფართობების დინამიკა ბოლო წლებში კლებადი ტენდენციით ხასიათდება. ფართობების შემცირებას ქვეყანაში რამდენიმე მიზეზი აქვს.

მიმდინარე წლები სოფლის მეურნეობისათვის გარდამავალ პერიოდს წარმოადგენს. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ქცევა უფრო მეტად მიმართულია შემოსავლების ოპტიმიზაციისაკენ. შესაბამისად იცვლება ტენდენცია, რომლის მიხედვითაც მოსახლეობა კუთვნილ მიწაზე თესავდა ტრადიციულ კულტურებს იმისგან დამოუკიდებლად, შეესაბამებოდა თუ არა მიწის თვისებები დათესილ კულტურას. ბოლო წლებში შეიმჩნევა მოსახლეობის მხრიდან შემოსავლების ოპტიმიზაციის მიზნით კულტურების ჩანაცვლება, ახალი კულტურების გავრცელება და შესაბამისად ტრადიციული კულტურების ნათესი ფართობების კლება. ყველაზე მეტად შემცირდა სიმინდის ნათესი ფართობი, რომელიც ბოლო წლებამდე მთლიანი ნათესი ფართობების თითქმის ნახევარს შეადგენდა.

ქვეყანაში იზრდება დაინტერესება სასათბურე ტექნოლოგიების მიმართულებით, ბოლო 4-5 წლის მანძილზე თითქმის გაორმაგდა სათბურების რაოდენობა, რაც ნაწილობრივ ღია გრუნტის ნათესი ფართობების ჩანაცვლებას და მათ შემცირებას ახდენს

ერთ-ერთი დეტერმინანტი ნათესი ფართობების შემცირებისათვის შესაძლებელია იყოს ფერმერების მხრიდან პროდუქტიულობის ზრდისკენ მიმართული ქმედებები. ერთწლიანი კულტურების მაღალი პროდუქტიულობის უზრუნველსაყოფად საჭიროა შესაბამისი სათესლე მასალა, მაღალი ხარისხის სასუქები და პესტიციდები და სოფლის მეურნეობის მომსახურების ისეთი კომპონენტები, რაც ფერმერებისათვის მეტ დანა-ხარჯებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, შესაძლებელია ნათესი ფართობების შემცირება, რაც, მაღალი პროდუქტიულობის ხარჯზე, ფერმერებისათვის უფრო მომგებიანი იქნება, ვიდრე მეტ ფართობზე დაბალი პროდუქტიულობის შემთხვევაში იქნებოდა. პროდუქტიულობის ზრდის მაგალითები სახეზე გვაქვს. მაგალითად, ხორბლის შემთხვევაში, რომელიც მუდმივად 2 ტონაზე ნაკლები იყო, ბოლო 2015 და 2016 წლებისათვის 2,6 ტონა შეადგინა.

როგორც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი კახა ლაშხი აღნიშნავს, ბოლო წლებში ხორბლის ნათესები თითქმის სამჯერ შემცირდა, გაუარესდა მოსავლიანობა, ამკარაა, რომ ქვეყანაში ამ კულტურის როლი და მნიშვნელობა ჯეროვნად არ არის შეფასებული და გაცნობიერებული. ხორბალი ქვეყნის უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის მთავარი განმსაზღვრელი კულტურაა. მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა ის არის, რომ კრიტიკულ მომენტებშიც კი მარცვლეულს მოსახლეობის ფიზიკური არსებობის შენარჩუნება შეუძლია. მარცვალი ადვილად შესანახია, რაც მისი დიდი უპირატესობაა, იოლია სტრატეგიული რეზერვების შექმნაც, ამასთან, იგი პირდაპირ უკავშირდება მეცხოველეობის პროდუქტის წარმოებას. ხორბალი ერთწლიანი კულტურაა და დათესვის პირველსავე წელს იძლევა მოსავალსაც და ფინანსურ შედეგსაც.

გაეროს სასურსათო და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია - FAO-ის პროგნოზით, მარცვლეულის წარმოება 2596 მილიონ ტონას მიაღწევს, რაც 2016 წლის რეკორდულ მოცულობას 9 მილიონით ჩამოუვარდება. FAO-ს პირვლადი პროგნოზები დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე, ასევე, ფერმერების ფასების მიმართ მგრძობიარე გადაწყვეტილებებზე, თუ რომელი მარცვლეული დათესონ.

2016 წელთან შედარებით შესაძლებელია წარმოება შემცირდეს მცირედით ავსტრალიაში, კანადასა და შეერთებულ შტატებში, რადგან ფერმერების გამო მცირდება ნათესები. ამას ემატება არამდგრადი კლიმატური პირობებიც, გლობალური დათბობიდან გამომდინარე. თუმცა ვარაუდობენ, რომ შესაძლებელია გაიზარდოს წარმოება ბრაზილიასა და არგენტინაში, ასევე სამხრეთ აფრიკაში.

ამერიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2019 წლისათვის მარცვლეულის მსოფლიო ბაზრის განვითარების პროგნოზს აქვეყნებს. ექსპერტების გათვლებით, ახალ სეზონზე ხორბლის წარმოება 736 მილიონი ტონა იქნება, რაც 3%-ით ჩამორჩება წინა წლის მაჩვენებელს. წარმოების შემცირება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პირველად ფიქსირდება.

გარდა ამისა, ვარაუდობენ, რომ აღნიშნულ კულტურაზე მოთხოვნა წინა წელთან შედარებით 5,23 მილიონი ტონით გაიზარდება. ექსპერტთა აზრით, თუ აღნიშნული პროგნოზი გამართლდება, მსოფლიო მოხმარება წარმოებას 12.6 მილიონი ტონით გადააჭარბებს.

მარცვლეულის წარმოებაში ყველაზე დიდი შემცირება (18 მილიონი ტონა) რუსეთშია მოსალოდნელი, თუმცა რუსეთის ფედერაცია მაინც უმსხვილეს მწარმოებლად რჩება და ის 67 მილიონ ტონა მარცვლეულს მიიღებს. შემცირება ასევე მოსალოდნელია ევროპის ქვეყნებში, რომლებზეც, ჯამში, 145 მილიონი ტონა მარცვლეული მოდის და ავსტრალიაში ხორბლის მცირე მოსავლიანობის მიზეზად ექსპერტები გვალვას ასახელებენ.

ექსპერტთა ვარაუდით, 2019 წლის სეზონის ბოლოს მსოფლიო ხორბლის რეზერვები 261 მლნ ტონამდე დაეცემა, რაც 5 პროცენტით ნაკლებია 2017/18 წლების მაჩვენებელზე. ეს მსოფლიო მარაგების შემცირებას გამოიწვევს რასაც ადგილი ჰქონდა 2007/08 წელს. ლოგიკურია, რომ მომავალ სეზონზე 2019/20 წლებში მარცვლეულის კულტურაზე ფასები მოიმატებს.

მეტად საინტერესო გამოკვლევები ჩაატარეს ამერიკელმა მეცნიერებმა ხორბლის მოსავლიანობის შესწავლის საქმეში და მეტად არაოპტიმისტური დასკვნები გააკეთეს. საქმე ისაა, რომ მსოფლიოს მოსახლეობა იზრდება, მაგრამ მსოფლიოში ხორბლის რაოდენობა, რომლის მოყვანა ფერმერებს მიწის ერთ ჰექტარზე შეუძლიათ, უცვლელი რჩება, ახალი გამოკვლევების თანახმად, ეს ხდება იმის გამო, რომ აგრონომებმა და მკვლევარებმა ხორბლის მცენარის მაქსიმალურ ნაყოფიერებას უკვე მიაღწიეს. გამოკვლევების ავტორები აღნიშნავენ, რომ მსოფლიოში მნიშვნელოვანი მარცვლოვანი კულტურის უფრო მაღალი მოსავლიანობის მიღება ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით, მხოლოდ ძალზე მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიღწევის გამო თუ მოხდება.

ჰანს იაპიმ ბრაუნი, რომელიც ამ კვლევის ერთ-ერთი ავტორია, თვლის, რომ სელექციონერებმა ძალისხმევა უნდა გაზარდონ, რადგან 2050 წლისათვის ხორბალზე გლობალური მოთხოვნა 50-70 პროცენტით გაიზრდება. ეს ნამდვილი გამოწვევა იქნება, რადგან ხორბალი ძალიან მგრძობიარე მცენარეა და ტემპერატურის ზრდა მას დიდ საფრთხეს შეუქმნის. თუ გლობალური დათბობის გამო ტემპერატურა გაიზარდა, მაშინ ხორბლის მოსავლიანობა 20-25 პროცენტით შეიძლება შემცირდეს. ამდენად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხორბლის გენეტიკური პოტენციალი შენარჩუნდა, მზარდი მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილება ძალზე გართულდება, რადგან კლიმატის ცვლილება მომდევნო ათწლეულების მანძილზე მოსავლიანობას დიდი სირთულეების წინაშე დააყენებს.

დასკვნა

ჩვენი აზრით, ხორბლის წარმოების მსოფლიო გლობალური პერსპექტივების გათვალისწინებით, საჭიროა საქართველოს მთავრობამ ფერმერთა ხელშეწყობისა და დახმარებისთვის იზრუნოს მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რათა მათ შეძლონ სწორი და დროული აგროქიმიური საშუალებების ჩატარება და რაც შეიძლება მეტი მოსავლის მიღება. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს მეცნიერული კვლევების გაგრძელებას ქართული ხორბლის სელექციის მიზნით, რათა მივიღოთ მაღალმოსავლიანი, გარემო პირობებს შეგუებული და მაღალხარისხოვანი ხორბალი. ასევე საჭიროა პურის ფასებზე ზედამხედველობა, ვინაიდან ის მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ერთ-ერთი მთავარი პროდუქტია. ეს კი უნდა მოხდეს არა ფასების დაწესებით, არამედ საგადასახადო და საბაჟო შეღავათების, ასევე დენის, გაზის, წყლის, საწვავის, ვალუტის კურსის სწორი და სამართლიანი რეგულაციების გზით. ტურისტული ნაკადის ზრდასთან ერთად, ჩვენს ქვეყანაში უფრო მეტად გაიზრდება ხორბალსა და ფქვილზე მოთხოვნა და არასათანადო მიწოდების შემთხვევაში ფასები აუცილებლად გაიზრდება.

საჭიროდ მიგვაჩნია, ვინაიდან ჩვენ ჯერ კიდევ იმპორტირებულ ხორბალს მოვიხმართ, ქართველმა ხორბლის იმპორტიორებმა, მოძებნონ ხორბლის იმპორტის ახალი წყაროები და გზები. აბრეშუმის გზის ამოქმედებასთან დაკავშირებით შესაძლებელია ხორბლის შემოტანა ჩინეთიდან, ინდოეთიდან, ყაზახეთიდან, რომლებიც ხორბლის დიდი იმპორტიორები არიან. თუმცა რუსეთი და უკრაინაც არ უნდა დაიკარგოს.

ცალკე შესწავლის და ლაბორატორიული კვლევის საკითხია ხორბლის, ფქვილის და პურის ხარისხი და შემაღენლობა, რასაც აუცილებლად დროულად უნდა მიექცეს ყურადღება, რადგან ბაზარზე არ მოხვდეს იაფი გენმოდირებული ან სხვა ნივთიერებებით და შემაღენლობით დაბინძურებული ფქვილი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.
2. საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. „სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა“, თბ., 2017.
3. BPI „ადგილობრივი ხორბლის 91% საკვებად უვარგია“, 2015 წელი, 11 აგვისტო, reasonans.daily.com
4. Hi magazine “2019 წელს ხორბალზე მოთხოვნა მიწოდებას გადააჭარბებს“, 2018, 9 ნოემბერი.

George Bregvadze

WHEAT PRODUCTION – THE MAIN GUARANTOR OF FOOD SECURITY

Summary

The paper deals with problems of wheat production in Georgia, Global problems are analyzed, which is done in grain production. The grain and the main wheat production is the main guarantor of food security.

Кетеван Кураташвили

СОЦИАЛЬНАЯ СПРАВЕДЛИВОСТЬ – НЕОБХОДИМОЕ УСЛОВИЕ ЭКОНОМИЧЕСКОЙ БЕЗОПАСНОСТИ В ГОСУДАРСТВЕ

Аннотация. Исследование теоретических проблем экономической безопасности в государстве имеет принципиальное значение, ибо без решения проблем обеспечения экономической безопасности государства невозможно эффективное функционирование общества и государства в интересах народа.

Вместе с тем, необходимым условием обеспечения экономической безопасности является достижение и утверждение социальной справедливости в экономике, ибо достижение и утверждение социальной справедливости в экономике, так же, как и в обществе и в государстве в целом, представляет собой необходимое условие эффективного функционирования экономики и реализации интересов народа, так как без защиты равноправия каждого человека перед законом не представляется возможным обеспечение экономической безопасности и эффективного функционирования, как экономики, так и общества и государства.

Следует особо отметить, что решение проблемы социальной справедливости в экономике имеет принципиальное значение и в связи с необходимостью правовой адаптации с Европейским Союзом.

Таким образом, достижение и утверждение социальной справедливости является необходимым условием обеспечения экономической безопасности в государстве.

***Ключевые слова:** Социальная справедливость, Экономическая безопасность в государстве, Проблемы эффективного функционирования общества и государства.*

Введение

Постановка проблемы. Достижение и утверждение социальной справедливости в экономике, так же, как и в обществе и в государстве в целом, представляет собой необходимое условие эффективного функционирования экономики и реализации интересов народа, ибо без защиты и обеспечения равноправия каждого человека перед законом, невозможно обеспечение экономической безопасности и эффективное функционирование, как экономики, так и общества и государства.

Решение проблемы социальной справедливости в экономике имеет принципиальное значение и в связи с необходимостью правовой адаптации с Европейским Союзом.

Исходя из вышеизложенного, актуальность темы исследования не подлежит сомнению, что подтверждается и имеющимися проблемами в реальной жизни общества.

Анализ последних исследований. Анализ имеющихся научных исследований приводит к обоснованному выводу о том, что несмотря на безусловную актуальность проблем экономической безопасности в государстве, необходимым условием решения которых является достижение и утверждение социальной справедливости, как в экономике, так и в обществе и в государстве в целом, в отмеченных научных трудах не уделяется должное внимание данным проблемам.

Вместе с тем, решение проблем экономической безопасности во взаимосвязи с необходимостью достижения и утверждения социальной справедливости, является важным направлением научных исследований, которые будут способствовать эффективному функционированию общества и государства.

Цель и задачи исследования. Целью научного исследования является обеспечение экономической безопасности путем достижения и утверждения социальной справедливости, без чего не может быть обеспечена экономическая безопасность и безопасность общества и государства в целом.

Задачей научного исследования является обоснование необходимости обеспечения экономической безопасности путем достижения и утверждения социальной справедливости – как необходимого условия экономической безопасности, так же, как и безопасности общества и государства в целом.

Научная новизна. Главной новизной научного исследования является рассмотрение достижения и утверждения социальной справедливости – как необходимого условия экономической безопасности, так же, как и безопасности общества и государства в целом, что, вместе с тем, принципиально важно в связи с необходимостью правовой адаптации с Европейским Союзом.

Изложение основного материала

Рассматривая проблемы экономической безопасности государства, принципиально важно обратить внимание на то, что государство призвано служить интересам народа, а потому обеспечение экономической безопасности необходимо рассматривать именно с точки зрения необходимости обеспечения реализации интересов народа.

Притом, исследование теоретических проблем экономической безопасности в государстве имеет принципиальное значение, ибо без решения проблем обеспечения экономической безопасности государства невозможно эффективное функционирование общества и государства в интересах народа.

Вместе с тем, важно обратить внимание на то, что необходимым условием обеспечения экономической безопасности является достижение и утверждение социальной справедливости в экономике, ибо достижение и утверждение социальной справедливости в

экономике, так же, как и в обществе и в государстве в целом, представляет собой необходимое условие эффективного функционирования экономики и реализации интересов народа, так как без защиты равноправия каждого человека перед законом [1, Статья 7; 2, Статья 14; 3, Статья 3; 4, Статья 1; и др.] не представляется возможным обеспечение экономической безопасности и эффективного функционирования, как экономики, так и общества и государства в целом.

Важно обратить внимание также на то, что решение проблемы социальной справедливости в экономике имеет принципиальное значение и в связи с необходимостью правовой адаптации с Европейским Союзом.

Право Европейского Союза, как известно, служит, прежде всего, необходимости правового обеспечения защиты прав, свобод и интересов каждого человека.

Следовательно, государства, стремящиеся к цивилизованному развитию с объективной необходимостью должны учитывать и отражать это в своих национальных законодательствах, что приведет к адаптации национальной правовой системы с правом Европейского Союза.

Таким образом, активизация государственной власти в направленности Европейской интеграции и инновации необходимо рассматривать как необходимое условие эффективного функционирования экономики, общества и государства, и как важный фактор достижения высокого качества жизни народа.

Именно Европейская интеграция и инновации должны представлять собой основное направление фундаментальных исследований в экономической теории и в общественных науках в целом, но Европейскую интеграцию и инновации, в соответствии с созданной профессором Альфредом Кураташвили – Философией социальной цели [5; и др.], следует рассматривать не как самоцель, а как необходимые средства, которые должны быть нацелены на реализацию интересов каждого человека – на реализацию интересов народа, на достижение высокого качества жизни каждого члена общества.

Именно обращая внимание на принципиальную значимость интеграции с Европейским Союзом, профессор Альфред Кураташвили отмечает, что «государства при определении политической ориентации не должны перемешивать между собой цель и средства, что нередко имеет место, т.е. средство (и вообще средства) государства не должны объявить целью и не должны превратить в самоцель» [6, с. 37].

Далее он отмечает, что «интеграция в Евросоюз должна быть не целью, а она должна рассматриваться только как необходимое средство реализации интересов человека – интересов народа» [2, с. 38].

Следовательно, исходя из приоритетности интересов человека, деятельность государственной власти в любой сфере общественной жизни – должна быть нацелена именно на реализацию интересов народа.

Притом, здесь имеется в виду деятельность государственной власти в Истинно человеческом обществе и государстве [7; 8; 9; и др.], или деятельность государственной власти, идущей по пути строительства Истинно человеческого общества и государства, т.е. имеется в виду деятельность государственной власти, которая руководствуется верховенством интересов народа [10; и др.].

Считаю необходимым обратить здесь особое внимание на то, что решение проблем Европейской интеграции и инноваций, и вообще эффективное функционирование экономики, общества, государства и человечества в целом, достижение высокого качества жизни каждого человека, невозможно без внедрения созданной опять-таки профессором Альфредом Кураташвили – Теории сбалансированности прав и ответственности должностных лиц [11; и др.], ибо решение проблемы социальной справедливости в экономике, в обществе и в государстве, не может быть достигнуто без наличия юридической ответственности должностных лиц, сбалансированной с их правами.

Вместе с тем, следует особо отметить, что решение проблемы социальной справедливости в экономике имеет принципиальное значение, так как без решения данной

проблемы не представляется возможным обеспечение экономической безопасности и эффективное функционирование, как экономики, так и общества и государства в целом, а также не представляется возможным адаптация национальной правовой системы с правом Европейского Союза.

Именно решение проблемы социальной справедливости в экономике, в обществе и в государстве должно быть главным направлением по обеспечению экономической безопасности, так же как и безопасности общества и государства в целом.

Выводы

Исходя из всего вышеизложенного, подтверждается, что исследование теоретических проблем экономической безопасности в государстве имеет принципиальное значение, ибо без решения проблем обеспечения экономической безопасности государства невозможно эффективное функционирование общества и государства в интересах народа.

Принципиально важно отметить, что необходимым условием обеспечения экономической безопасности является достижение и утверждение социальной справедливости в экономике, ибо достижение и утверждение социальной справедливости в экономике, так же, как и в обществе и в государстве в целом, представляет собой необходимое условие эффективного функционирования экономики и реализации интересов народа, так как без защиты равноправия каждого человека перед законом не представляется возможным обеспечение экономической безопасности и эффективного функционирования, как экономики, так и общества и государства.

Исходя из всего вышеизложенного, подтверждается также тот бесспорный факт, что решение проблемы социальной справедливости в экономике имеет принципиальное значение и в связи с необходимостью правовой адаптации с Европейским Союзом.

Следовательно, именно решение проблемы социальной справедливости в экономике, в обществе и в государстве должно быть главным направлением по обеспечению экономической безопасности, так же как и безопасности общества и государства в целом.

Использованная литература

1. Всеобщая декларация прав человека от 10 декабря 1948 года. Права человека: Сборник международных документов. – М.: Издательство «Юридическая литература», 1998. http://www.un.org/ru/documents/decl_conv/declarations/declhr.shtml

2. Конституция Грузии. Принята 24 августа 1995 года. <https://matsne.gov.ge/ru/document/view/30346>

3. Конституция Германии. Основной закон Федеративной Республики Германии, 23 мая 1949 г. <http://worldconstitutions.ru/?p=155>

4. Конституция Французской Республики. От 4 октября 1958 года. <http://lawers-ssu.narod.ru/subjects/constzs/france.htm>

5. Кураташвили Альфред А. Философия социальной цели. Принципиально новое научное направление – исходная теоретическая основа формирования и функционирования истинно человеческого общества и государства (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2003. – 352 с.

6. Кураташвили Альфред А. Интеграция в Европейский Союз: цель или средство?! (на грузинском языке). Проблемы науки, общества и государства. *Материалы Международной XXVII научной конференции* (22.02.2017). Тбилиси: Международное издательство “Прогресс”, 2017. – 78 с.

7. Кураташвили Альфред А. Теория истинно человеческого – классического (образцового) – общества. Труды Грузинского технического университета, 1998, №3 (419). Тбилиси: “Технический университет”, 1998.

8. **Кураташвили Альфред А. Социально-экономическая теория будущего – истинно человеческого общества.** Известия Академии наук Грузии. Серия экономическая. Том 7, 1999, №1-2. Тбилиси: "Мецნიერება", 1999.

9. **Кураташвили Альфред А. Альтернативное представление об ориентации общества и государства.** Bulletin "Medicine, Science, Innovation and Business New" ("Новости медицины, науки, инновации и бизнеса – голос профессионалов и бизнесменов США, СНГ и других стран мира"). Volume 6, Number 10 (60), October, 1999. New York, USA.

10. **Кураташвили Альфред А. Теория верховенства интересов народа. Принципиально новое научное направление и системообразующая теория управленческого права, правовой системы истинно человеческого общества и социально-экономических наук в целом** (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2003. – 336 с.

11. **Кураташвили Альфред А. Теория сбалансированности прав и ответственности должностных лиц. Принципиально новое научное направление – необходимая научная основа защиты интересов человека и социально-экономического прогресса** (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2003. – 256 с.

Ketevan Kuratashvili

**SOCIAL JUSTICE - NECESSARY CONDITION
FOR ECONOMIC SECURITY IN THE STATE
Summary**

The study of theoretical problems of economic security in the state is of fundamental importance, since without solving the problems of ensuring the economic security of the state, effective functioning of society and the state in the interests of the people is impossible.

At the same time, the achievement and affirmation of social justice in the economy is a prerequisite for ensuring economic security, since the achievement and affirmation of social justice in the economy, as well as in society and in the state as a whole, is a necessary condition for the effective functioning of the economy and the realization of interests of people as far as without the protection of each person before law it's not possible to ensure economic security and effective functioning of both the economy and society and the state.

It should be particularly noted that the solution of the problem of social justice in the economy is of fundamental importance also in connection with the need for legal adaptation with the European Union.

Thus, the achievement and approval of social justice is a prerequisite for ensuring economic security in the state.

*კეთევან ქველაძე
მედეა მელაშვილი
ნუნუ ქისტაური*

ეკონომიკური უსაფრთხოება ტურიზმის განვითარებაში

ანოტაცია. წარმოდგენილ სტატიაში განხილულია ისეთი აქტუალური პრობლემა ეკონომიკის განვითარებისათვის, როგორცაა უსაფრთხოება და ტურიზმი, როგორც ეკონომიკურ დარგებს შორის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგი. ტურიზმის უსაფრთხოების შესწავლა ეკონომიკურ ასპექტში ტურიზმის განვითარების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, რადგანაც ტურიზმს შეუძლია მოახდინოს როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური გავლენა უშუალოდ ადამიანზე და მთლიანად

ეკონომიკაზე, გარემოზე. ტურიზმის უსაფრთხოება არის მნიშვნელოვანი ამოცანა ტურისტულ საქმიანობაში ჩართული ყველა მონაწილისათვის. მოგზაურობის დროს წარმოქმნილი საფრთხე იწვევს არა მარტო მომხდარის გამო პირდაპირ ზიანს, არამედ უარყოფით ეკონომიკურ შედეგსაც, ისეთს, როგორცაა ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნის დაცემა. მიღებულმა ეკონომიკურმა ზარალმა კი შეიძლება გამოიწვიოს მთლიანად ტურისტული ინდუსტრიის კრახი, რაც ასევე უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე.

სტატიაში ასევე განხილულია ტურიზმის ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვისა და მისი მდგრადი განვითარების ზოგადი ასპექტები.

საკვანძო სიტყვები: უსაფრთხოება, ეკონომიკა, ტურისტული უსაფრთხოება, მდგრადი განვითარება, უსაფრთხოების სტანდარტები, დაცვა.

ტერმინს “უსაფრთხოება” სამეცნიერო ლიტერატურა განმარტავს, როგორც პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დაცულობას შიდა და გარე საფრთხეებისაგან. უსაფრთხოების ერთიანი სისტემის ყველა შემადგენელ ნაწილს შორის მაინც გადამწყვეტი, წამყვანი როლი აკისრია ეკონომიკურ უსაფრთხოებას. იგი არის ყველა სხვა დანარჩენი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საფუძველთა საფუძველი, რომელიც განაპირობებს სახელმწიფოს წარმატებულ განვითარებას. ეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების ერთიანი სისტემის შემადგენელი ნაწილია, რომელიც მოიცავს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფას, საზოგადოებაში სოციალური თანხმობის მიღწევას, ეკოლოგიური კატასტროფებისაგან დაცვას და ქვეყნის რეგიონების, სხვა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების შესაძლო ფარგლებში თანაბარ განვითარებას.

თანამედროვე პირობებში ეროვნული ეკონომიკის ეკონომიკური უსაფრთხოების მხრივ სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტურიზმის ინდუსტრიას, რადგანაც იგი მიმართულია ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისაკენ. ტურიზმის უსაფრთხოება არის მნიშვნელოვანი ამოცანა ტურისტულ საქმიანობაში ჩართული ყველა მონაწილისათვის. მოგზაურობის დროს წარმოქმნილი საფრთხე იწვევს არა მარტო მომხდარის გამო პირდაპირ ზიანს, არამედ არასასურველ ეკონომიკურ შედეგსაც, ისეთს, როგორცაა ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნის დაცემა. მომხდარი საგანგებო სიტუაციის დონიდან გამომდინარე ეკონომიკური ზარალი და ტურისტების ნდობის აღდგენაზე გაწეული დანახარჯები შეიძლება იმდენად დიდი იყოს, რომ გამოიწვიოს მთლიანად ტურისტული ინდუსტრიის კრახი.

ტურიზმი უნდა განვიხილოთ როგორც რთული კომპლექსური სისტემა, რომლის უსაფრთხო განვითარება ითვალისწინებს ისეთი სამი კომპონენტის ინტეგრაციას, როგორცაა ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური უსაფრთხოება, სადაც ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს უსაფრთხოების ყოველმხრივი კომპლექსური სისტემის ნაწილს, რომელსაც შეუძლია მოახდინოს როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური გავლენა უშუალოდ ადამიანზე, მთლიანად ეკონომიკასა და გარემოზე.

ტურისტული სფეროს ეკონომიკური უსაფრთხოების ქვეშ იგულისხმება არსებული რესურსების ყველაზე ეფექტური გამოყენება საფრთხეთა თავიდან ასაცილებლად, წარმოდგენილ ნეგატიურ მოვლენებთან წარმატებით დასაპირისპირებლად, სტაბილური ფუნქციონირებისა და განვითარების უზრუნველსაყოფად, ანუ

ტურიზმის ეკონომიკური უსაფრთხოება არის კომპლექსური ცნება, რომელიც შედგება უამრავი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული ფაქტორებისგან. ამასთან, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ უსაფრთხოება არის მთავარი სამომხმარებლო თვისება, რომელიც ობიექტურად და რეალურად უნდა გააჩნდეს ტურისტულ მომსახურებას. ყველა დანარჩენი თვისების რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ გარანტირებული უსაფრთხოების შემთხვევაში.

სამეცნიერო ეკონომიკურ ლიტერატურაში ტურიზმის ინდუსტრიაში ეკონომიკური უსაფრთხოება განისაზღვრება შემდეგი ძირითადი ურთიერთდამოკიდებული ელემენტებისაგან:

1. პიროვნების ეკონომიკური უსაფრთხოება - სიცოცხლის, ჯანმრთელობის უსაფრთხოება, პირადი და ქონების ხელშეუხებლობა, ხარისხიანი სამედიცინო დახმარება, დაზღვევა, სრული ინფორმირება და ა.შ.;

- ტურისტული ორგანიზაციის პერსონალის უსაფრთხოება;

- ტურისტული რეგიონის ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოება.

2. ტურისტული ორგანიზაციის ეკონომიკური უსაფრთხოება - ფინანსური, მატერიალური, ინტელექტუალური რესურსების, საკადრო უსაფრთხოება.

3. ტურისტული რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოება:

- რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური, გეოგრაფიული, პოლიტიკური, ინფორმაციული, სოციალურ-ეკოლოგიური უსაფრთხოება, მისი დაცვა ბიოლოგიური, კრიმინოგენული, სამხედრო-პოლიტიკური, ტექნოლოგიური, ტექნოლოგენური ფაქტორებისაგან.

4. ქვეყნის ტურისტული დარგის უსაფრთხოება:

- სასტუმრო და კვების ინდუსტრიის, ტრანსპორტის, გასართობი, სპორტული, საქმიანი, შემეცნებითი, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის საექსპურსიო ორგანიზაციების, ტუროპერატორების ერთობლივი მიმდინარე მდგომარეობა;

5. საერთაშორისო დონეზე ტურიზმის ინდუსტრიის ეკონომიკური უსაფრთხოება:

- იმპორტზე დამოკიდებულება (ტურისტების შესვლა-გასვლა), შიდა ტურისტული ნაკადების მაჩვენებელი, მოსახლეობის ცხოვრების დონე, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, უმუშევრობის დონე, მშპ-ს ზრდის მაჩვენებელი, კონკურენტუნარიანობა, სახელმწიფო ვალი და ა.შ.

ტურიზმის ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის დამახასიათებელია უსაფრთხოების ობიექტები და სუბიექტები.

ტურიზმის სფეროში უსაფრთხოების ობიექტებია: შრომითი რესურსები, ტურისტული და სასტუმრო ორგანიზაციების ძირითადი და საბრუნავი ფონდები; ფინანსური რესურსები; საწარმოო-სამეურნეო სტრუქტურები; ტურისტული რეგიონები; სასტუმრო და ტურისტული საწარმოები; საზოგადოება; ტურისტი და ასევე ბუნებრივი სიმდიდრეები (სასოფლო-სამეურნეო მიწები, ტყეები, მდინარეები, ტბები, ზღვები, შელფები, სასარგებლო წიაღისეული და ა.შ.).

უსაფრთხოების სუბიექტებია: დარგობრივი სამინისტროები და უწყებები; მომსახურებათა მომხმარებელთა გაერთიანებები; პროდუქტების, სამუშაოების და მომსახურებათა მწარმოებლები, გამსაღებლები და შუამავლები; სადაზღვეო ორგანიზაციები; საბანკო ორგანიზაციები; საბაჟო და საგადასახადო სამსახურები და ა.შ..

დღეისათვის არსებული მეთოდებით ტურიზმის სფეროში უსაფრთხოების გაზომვა და რაიმე კანონზომიერების დადგენა შეუძლებელია მხოლოდ კონკრეტულ ობიექტზე, მისი ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით. ერთი ტიპის ობიექტებისთვისაც კი შეუძლებელია იდენტური ღონისძიებების გატარება. ყოველ

შემთხვევაში აუცილებელია მხოლოდ კონკრეტული მიდგომა. ყოველად გამორიცხულია საერთო, კომპლექსური სქემების შედგენა და გამოყენება, ანუ ყოველი ობიექტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ინდივიდუალური მიდგომით შეიძლება. მხოლოდ ეს იძლევა მაქსიმალურ ეფექტს.

ტურიზმის უსაფრთხოების შემთხვევაში უნდა განვასხვაოთ:

- ტურიზმის, როგორც ეკონომიკის დარგის უსაფრთხოება;

- ტურისტების, როგორც ტურისტული მომსახურების მომხმარებელთა სუბიექტების უსაფრთხოება; ტურიზმის განვითარება პირდაპირ უკავშირდება ტურისტების პირად უსაფრთხოებას. მათი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების დაცვას. იმ რეგიონებში, სადაც ასე არ ხდება ტურისტული ბაზარი ვერ განვითარდება.

- დესტინაციის უსაფრთხოება, რომელიც შეიძლება ტურისტმა მიაყენოს კონკრეტულ ობიექტს ან მთლიან ობიექტს (მაგ., რაიმე ინფექციის შემოტანა უცხოეთიდან, მექანიკური ზიანი).

თითოეული ამ მიმართულებით არსებობს ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ზრდის უსაფრთხოების დონეს.

პირველ მიმართულებას შეიძლება მიეკუთვნოს უსაფრთხოების ღონისძიებათა კომპლექსი, მიმართული ტურისტული პროდუქტის შემუშავებაზე, წარმოებაზე, ექსპლუატაციასა და რეალიზაციაზე.

მეორე მიმართულება ითვალისწინებს ღონისძიებათა კომპლექსს, მიმართულს სახიფათო ან საგანგებო სიტუაციაში ჩავარდნილ ტურისტთა გადასარჩენად. აქ აღსანიშნავია ის, რომ აუცილებელია ტურისტთა წინასწარი ინფორმირება შესაძლო სახიფათო სიტუაციების შესახებ, ეს მიმართულება ითვალისწინებს ასევე ტურისტების დაზღვევას ავადმყოფობის ან ტრავმების შემთხვევაში.

მესამე მიმართულება შეიძლება გაძლიერდეს სოციალურ-ორგანიზაციული ღონისძიებებით, ასევე ქვეყანაში ინფექციურ დაავადებათა შემოტანის ასაცილებელი სანიტარული და საკარანტინო ღონისძიებებით.

ტურიზმში უსაფრთხოება უნდა ხორციელდებოდეს ყველა მიმართულებით. მსოფლიო პრაქტიკაში ფართოდაა ცნობილი შემთხვევები, როცა ბუნებრივი, სოციალური, ეპიდემიოლოგიური ან სხვა საფრთხეების უგულვებლყოფის გამო უბედური შემთხვევა მოხდა. აღსანიშნავია, რომ მომხდარის აღმოფხვრა უფრო ძნელი და შედარებით ძვირია, ვიდრე მისი პრევენცია.

ბოლო წლებში მსოფლიოში ადგილი აქვს მოგზაურთა რაოდენობის ზრდის ტემპის მატების ტენდენციას მეზობელ უსაფრთხო ქვეყნებში, შორეულ ქვეყნებთან შედარებით. ზოგიერთი ექსპერტი ამას მსოფლიოში ტერორიზმის საფრთხის ზრდით ხსნის. სწორედ ტერორიზმის გახშირებულმა შემთხვევებმა გამოიწვია დასავლეთ ევროპაში ტურისტების რაოდენობის კლება. მაგ. ბოლო 2-3 წლის განმავლობაში, მსოფლიოს ნომერ პირველ ტურისტულ ქვეყანაში – საფრანგეთში უცხოელი ტურისტების 4%-იანი კლება დაფიქსირდა პარიზისა (2015 წ. 13 ნოემბერი) და ნიცის (2016 წ. 14 ივლისი) საზარელი ტერორისტული აქტების გამო. ტურისტების რაოდენობა ბელგიაში 13%-ით შემცირდა ბრიუსელის ტერორისტული აქტის შედეგად. კაიროსა და სხვა ქალაქებში გახშირებული ტერორისტული აქტების შემდეგ ტურისტების რაოდენობამ ეგვიპტეში 42%-ით იკლო. მასობრივმა არეულობებმა და ტერორისტულმა აქტებმა სტამბულისა და თურქეთის სხვა ქალაქების უსაფრთხო იმიჯის აღქმა მთლიანად შეცვალა, რაც სასტუმროების დატვირთვის მაჩვენებელზე აისახა [7]. ტურიზმში ეკონომიკური უარყოფითი შედეგები, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია ტურისტულ რეგიონში მოგზაურობაზე მოთხოვნილების შემცირების

გამო. ამ შემთხვევაში ეკონომიკურ ზარალთან ერთად იმდენად დიდია დანახარჯები მომხმარებელთა ნდობის აღდგენაზე, რომ შეიძლება რეგიონში ტურიზმის კრაზამდეც მიგვიყვანოს.

ტრანსპორტი ტურისტული მომსახურების ერთ-ერთი წამყვანი სფეროა. მასზე მოდის ტურზე გაწეული დანახარჯების 40-60%. ტრანსპორტზე დიდადაა დამოკიდებული ტურისტის პირადი უსაფრთხოება, მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ამიტომ სატრანსპორტო უსაფრთხოება მწვავე პრობლემაა და მისი ეფექტური გადაწყვეტის აქტუალობა ყოველწლიურად იზრდება.

ტურიზმში, როგორც საერთოდ ცხოვრებაში, აბსოლუტური უსაფრთხოება (არც პირადი, არც ეკონომიკური) არ არსებობს. ყოველთვის რჩება გარკვეული რისკი, მაგ., ბოლო დროს განვითარებული ე.წ. „ექსტრემალური“ სახეობის ტურიზმის შემთხვევაში სწორედ „რისკი“ იზიდავს ამ სახის მოგზაურობათა მოყვარულებს. სწორედ ამის გამო, განსაკუთრებით იზრდება უსაფრთხოების დაცვის მნიშვნელობა. ამ მიმართულებით გაზრდილი რისკის სიტუაციებში აუცილებლად უნდა ხდებოდეს მოსალოდნელი (თუნდაც უახლოეს რამდენიმე წუთში) სამიშროების პროგნოზირება. რათა რეალურად იქნეს შეფასებული სიტუაცია და თავიდან იქნეს აცილებული პანიკა. ტურიზმში გაჩნდა ახალი ტერმინი - „რისკის მართვა“, რომელიც სამეცნიერო კვლევების საგნად იქცა ბოლო წლებში. ტურიზმში რისკის მინიმალიზაცია არის ეკონომიკური უსაფრთხოების გაზრდის ერთ-ერთი პირველი მიმართულება. ტურისტულ რისკებს შეუძლია ტურისტული აქტივობის დონის და ტურისტული საქმიანობის ეკონომიკური შედეგების ძირეული კორექტირება.

ტურისტული რისკების მინიმიზაციის პროცესი აუცილებლად უნდა განვითარდეს შესაძლო ზიანის სახეობებსა და სიდიდესთან ურთიერთკავშირში. ტურისტული რისკის რაოდენობრივი სიდიდე განისაზღვრება როგორც მატერიალური და ფინანსური დანაკარგების შესაძლო სიდიდე, რომელიც შესაძლოა გაჩნდეს ტურისტულ საწარმოში ტურისტებთან მათი ურთიერთობისას.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ ყველაზე სანდო შეიძლება აღმოჩნდეს წინასწარი დაცვის ყველაზე უბრალო საშუალებები და მეთოდები. ცნობილია, რომ ტრავმატიზმისა და საგანგებო სიტუაციების წარმოქმნის საფუძველში დევს ორგანიზაციულ-ფსიქოლოგიური მიზეზები: პროფესიული მომზადების დაბალი დონე; არასაკმარისი აღზრდა; უყურადღებობა; დაღლილობა; მძიმე ფსიქიკური მდგომარეობა (შიში, პანიკა).

ტურცენტრებში უნდა ფუნქციონირებდეს სამედიცინო და სამაშველო სამსახურები, რომლებსაც შეუძლიათ ტურისტებს სასწრაფო დახმარება გაუწიონ. დანაშაულთა თავიდან აცილება (პრევენცია) განსაკუთრებულ როლს ასრულებს ნებისმიერი ტურისტული ცენტრის დადებითი იმიჯის შენარჩუნებაში; მრავალენოვანი საინფორმაციო სამსახური უნდა იყოს ყველა ტურისტულ რაიონში; მაჩვენებლების სისტემა და სიმბოლოები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, რათა გასაგები იყოს უცხოელი ტურისტისთვის; ტურმომსახურებმა უნდა გაიარონ სპეციალური კურსები უცხოელ ტურისტებთან, ასევე სხვადასხვა რელიგიისა და კულტურის მიმდევრებთან ურთიერთობისათვის; უნდა ხდებოდეს სასტუმროთა საკაბელო ტელევიზიის საინფორმაციო ვიდეომასალების დემონსტრირება სხვადასხვა ენაზე; ამასთან ერთად ტურისტების უსაფრთხოების ამაღლებას უნდა ემსახურებოდეს ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა ტურიზმის დარგში. ეს შესაძლებელს ხდის უსაფრთხოების სტანდარტების შემუშავებას ტურიზმის ცალკეული სახეობების მიხედვით და შეიძლება საფუძველად დაედოს ტურიზმის უსაფრთხოების კანონს.

დღეს ტურიზმი განიხილება როგორც მდგრადი განვითარების ღია სისტემა. მდგრადობა კი უსაფრთხოების საფუძველია. ამიტომ მისი ყველა ტურისტული ცენტრისა და დესტინაციების მდგრადი განვითარების პრინციპებში უნდა ჩაიდოს ისეთი ეკონომიკური მექანიზმები, რომლებიც ერთი მხრივ მიმართულია ბუნებრივი რესურსების ეფექტური გამოყენებისა და გარემოს დაცვისაკენ, მეორე მხრივ კი – არა მარტო ადამიანთა დღევანდელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, არამედ ასევე ადგილობრივი კულტურის თვითმყოფადობის დაცვის და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებისაკენ.

ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობის და პარტნიორობის ახალი ფორმის დანერგვა, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პროფკავშირების, საფინანსო დაწესებულებების, ოჯახური, ახალგაზრდული, კულტურული, სპორტული და ეკოლოგიური მოძრაობების, ასევე, რა თქმა უნდა, ტურინდუსტრიის სპეციალისტების მხარდაჭერა და ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების სწორი სტრატეგიის ფორმირების დასახვა. გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის 2016-2017 წლების სამ პრიორიტეტს შორის უმთავრესი უსაფრთხო მოგზაურობის ხელშეწყობა და პოპულარიზაციაა.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ დღეისათვის ტურიზმის სფეროს უსაფრთხოების სწორი სტრატეგიის შერჩევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც ცალკეული ტურისტული დესტინაციისათვის, ასევე მთლიანად დარგის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რომელთა გადაწყვეტა ტურისტული ინდუსტრიის შემდგომი განვითარების საფუძველია.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რადგანაც თვით ტურისტული სისტემა ურთულესი ორგანიზმია, მისი უსაფრთხოებაც არანაკლებ რთულ სისტემას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, ტურიზმის სფეროს უსაფრთხოების კომპლექსური ეფექტური სისტემის ფორმირება ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ამოცანაა. ტურისტული უსაფრთხოების ყველა შემადგენელი ნაწილის დონის ამაღლებისადმი კომპლექსური მიდგომა საშუალებას იძლევა, გაიზარდოს ყოველი ტურისტული დესტინაციის მიმზიდველობა, ამით კი - დარგის შემოსავლიანობა და, საბოლოო ანგარიშში გაიზარდოს, ქვეყნის ბიუჯეტი. ამასთან ერთად, ტურიზმის ინდუსტრიის ეკონომიკური უსაფრთხოების განვითარების უზრუნველყოფის პრობლემების აქტუალობისა და დამუშავების ხარისხის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, რომ ისინი გახდნენ სპეციალური სამეცნიერო კვლევების ობიექტები, სადაც თეორიული ასპექტები დაუკავშირდება პრაქტიკულს და მიმართული იქნება მთლიანად ტურისტული დარგის ფუნქციონირების ეფექტების ზრდისკენ, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში მოემსახურება საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Экономическая безопасность. StudFiles.net>preview/5841906/page:2/
2. Экономическая безопасность ohrana-bgd.ru>bgdobsh/bgdobsh1_23.html
3. Экономическая безопасность сферы туризма... cyberleninka.ru>Грнти>...-bezopasnost-sfery...
4. Теоретические аспекты безопасности в туризме... vuzlit.ru>353131...aspekty_bezopasnosti_turizme
5. Белоногов, А. Г., Автореферат диссертации по теме "Формирование системы обеспечения экономической безопасности сферы туризма", Санкт-Петербург, 2010.

6. *ХАРЛАМОВА А.Ю.*, ПРОБЛЕМЫ ОЦЕНКИ ЭКОНОМИЧЕСКОЙ БЕЗОПАСНОСТИ В СФЕРЕ ТУРИЗМА, Южно-Уральский государственный университет (г. Челябинск), «Управление инвестициями и инновациями». 2016. № 1.

7. ტურისტების უსაფრთხოება - Forbes Georgia forbes.ge/news/2714/turizmis-efeqti-2017

Ketevan Kveladze
Medea Melashvili
Nunu Kistauri

ECONOMIC SECURITY IN TOURISM DEVELOPMENT

Summary

In modern conditions, in terms of economic security of the national economy becomes more important to the tourism industry, as it aims to meet the demands of human beings and raise the level of life of the population. Tourism security is an important task for all participants involved in tourism activities. Tourism is a complex of inter determinant factors and events that can be generated during the interaction of three major tour agents: territory the area of tourism managers (territory owners and tour operators) and the tourists themselves.

The tourism safety study in economic aspect is an important task in the development of tourism as far as, tourism can promote both positive and negative impact on people, economics, and environment. The economic security of tourism is a complex notion consisting of numerous interconnected and interconditioned factors. Methods available in the field of tourism can measure the security and determine any regularity only on a particular object, taking into account the individual characteristics. Even for one type of objects, it is impossible to carry out such activities.

Safety in tourism should be carried out at all levels. It is noteworthy that the eradication of the incident is difficult and relatively expensive than its prevention.

In recent years the world has a tendency to increase the number of travelers in neighboring countries in comparison to distant countries. Some experts explain this by the increase of threat to terrorism in the world. Economic adverse consequences in tourism are primarily due to the decrease of demand for travel in the tourist region. In this case, economic losses and expenditures on restoring customer trusts are so great that it can lead to tourism collapse in the region.

The economic security of the regional tourism market is determined by the legal contractual relations of local tourism industry. Violation of contracts always leads to decrease in tourist flows, deterioration of quality of service, etc.

Transport is one of the leading spheres of tourist services. It is 40-60% of the expenses incurred on tour. The personal safety of the tourist, his life and health depends on the transport. That is why transport safety is an acute problem and the efficiency of its effective solution is increasing year by year.

In traveling, as the absolute safety in everyday life (neither personal nor economic) does not exist. There is always some risk. Minimizing risk in tourism is one of the first ways to increase economic security. Tourist hazards can basically correct the tourism activity level and the economic results of tourism business. The problems of minimizing tourist risks must necessarily develop in the relationship with possible types of damage and level.

The formation of a complex system of tourism security is one of the main tasks of state policy in this field. Complex approach to the level of tourism security increases the attractiveness of every tourist destination, thus increasing the income of the sector and the country's budget finally.

Today tourism is considered as an open system, directed towards sustainable development. Sustainable tourism will easily deal with negative events and increase efficiency of positive events. Sustainability is the basis for security. The safe development of the sector includes integration of three components, such as economic, ecological and social security. Development of tourism is directly related to the personal safety of tourists. Their life, health and property protection. In those regions where it is otherwise the tourism market is not going to happen.

In the sustainability field such economic mechanisms should be used that are directed towards effective use of natural resources and environment protection on the one hand, and on the other, not only to satisfy today's demands but also to take into consideration the interests of future generations.

Due to the above, since the tourism system itself is a very complicated organism, its security requires no less complicated system. Consequently, formation of a complex system of tourism security is one of the main tasks of state policy in this field. The actuality and insufficient degree of elaboration of security problems of economic safety development of tourism industry requires that they have become the object of special scientific research, where the theoretical aspects will be connected with practical and directed at the growth of effects of Tourist sector as a whole and in the long run will serve sustainable development of economy based on the market principles.

*ნუნუ ქისტაური
მედეა მელაშვილი
ქეთევან ქველაძე*

ეკონომიკური უსაფრთხოება და მასზე მოქმედი ფაქტორები

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია დღევანდელი დროის ისეთი პრობლემური საკითხი, როგორცაა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება, როგორც სახელმწიფოს უსაფრთხოების მთლიანი სისტემის უმნიშვნელოვანესი სექტორი, ასევე მისი შეფასების ინდიკატორთა სისტემა, რომელიც მოიცავს: მოსახლეობის ცხოვრების დონეს, ინფლაციის დონეს, უმუშევრობის დონეს, ჩრდილოვანი ეკონომიკის დონეს და სხვ. განსაკუთრებით გამოყოფილი და განხილულია ჩრდილოვანი ეკონომიკა, როგორც დღევანდელი დროის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა.

ნაშრომში ასევე განხილულია ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედი საგარეო ფაქტორები, მათი გავლენა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდაზე, მისი ეკონომიკური განვითარების სტაბილურობასა და მდგრადობაზე.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოების შიდა და გარე ფაქტორები, ჩრდილოვანი ეკონომიკა.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს უსაფრთხოების მთლიან სისტემასთან. იგი უნდა განვიხილოთ, როგორც სახელმწიფოს მიერ გატარებული ყველა თავდაცვითი ღონისძიების ერთობლიობა, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს ქვეყანაზე ნეგატიური შიდა და გარე ფაქტორების გავლენა. ეკონომიკური ინტერესების დაცვასთან ერთად, მოიცავს თავდაცვით, ეკოლოგიურ, ინფორმაციულ პოლიტიკას და სხვ. მისი აქტუალობა განსაკუთრებით იზრდება ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური და სხვა პროცესებისა და მოვლენების მწვავე კრიზისულ, ე.წ. გარდამავალ პერიოდში.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საბაზრო რეფორმების პერიოდში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფორმის უარყოფამ და საბაზრო თვითრეგულირების როლის უზომოდ განდიდებას ეს ქვეყნები მიიყვანა მეტისმეტად გახანგრძლივებულ ეკონომიკურ და ტრანსფორმაციულ კრიზისამდე, ამასთან ერთად კი არა მარტო ეკონომიკური, არამედ ეროვნული უსაფრთხოების დასუსტებამდე. მსოფლიო პრაქტიკა

კი აჩვენებს, რომ ის ქვეყნები, რომლებიც ვერ ახერხებენ ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, თითქმის ყოველთვის ხდებიან სხვა, უფრო ძლიერ ქვეყნებზე არა მარტო ეკონომიკურად, არამედ პოლიტიკურად დამოკიდებულნი. ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევა მხოლოდ სამართლებრივი მეთოდებით შეუძლებელია. აუცილებელია ამ პრობლემის გადაწყვეტისადმი იმგვარი კომპლექსური მიდგომა, რაც ხვს საუკუნის მოთხოვნებს უპასუხებს.

ეკონომიკური უსაფრთხოება შედგება სხვადასხვა კომპონენტებისაგან: ბუნებრივი რესურსების ტიპი და რაოდენობა; ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და ტერიტორიების თავისებურება; სახელმწიფო მართვის თავისებურება; საწარმოო სფეროს პოტენციალი; სასოფლო-სამეურნეო კომპლექსის განვითარება; სოციალურ-დემოგრაფიული მდგომარეობა და სხვ. იმ ქვეყნებს, რომლებიც ლიდერობენ ეკონომიკური განვითარების მხრივ, თითქმის ყველა ეს კომპონენტი გააჩნიათ, რაც მათი ეკონომიკური უსაფრთხოების საფუძველს წარმოადგენს. თუმცა უნდა ითქვას, რომ უსაფრთხოების მაღალი დონის მისაღწევად სულაც არ არის აუცილებელი ყველა ჩამოთვლილი კომპონენტის არსებობა. ზოგიერთ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანას არ გააჩნია სახარბიელო გეოგრაფიული მდებარეობა ანდა მდიდარი ბუნებრივი რესურსები, მაგრამ ეს მათი „ნაკლი“ სხვა ფაქტორებით კომპენსირდება: წარმოების მაღალი დონე, ინოვაციურობა და ა.შ.

ეკონომიკური უსაფრთხოების ობიექტებია როგორც ეკონომიკური სისტემა კომპლექსში, ასევე მისი ცალკეული ელემენტი: ბუნებრივი სიმდიდრე, საწარმოო და არასაწარმოო ფონდები, უძრავი ქონება, ფინანსური რესურსები, სამეურნეო სტრუქტურები და სხვ., ხოლო მისი სუბიექტებია: საკანონმდებლო სტრუქტურები, სახელმწიფო და მისი ინსტიტუტები (სამინისტროები, უწყებები, სამსახურები და სხვ.), სახელმწიფო და კერძო სექტორის დაწესებულებები.

გამოყოფენ ეკონომიკური უსაფრთხოების სამ ძირითად შემადგენელს:

- სამეურნეო დამოუკიდებლობა, რაც ძირითადად ნიშნავს ეროვნული რესურსების სახელმწიფო კონტროლს;
- სახელმწიფო ეკონომიკის მდგრადობა და სტაბილურობა, რაც ძირითადად ნიშნავს ქონების (მის ყველა ფორმებში) დაცვას, გარანტიების და საიმედო პირობების შექმნას სამეწარმეო აქტიურობისათვის, ბრძოლას კრიმინალთან და სხვ.;
- თვითგანვითარების და პროგრესის შესაძლებლობა. ეს მეტად მნიშვნელოვანია დღევანდელი განვითარებადი საზოგადოებისათვის და ნიშნავს ინვესტიციების ჩადებისათვის კლიმატის შექმნას წარმოების მუდმივი სრულყოფისათვის.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დონე მრავალი ფაქტორით განისაზღვრება: ქვეყნის გეოპოლიტიკური და გეოგრაფიულ-ეკონომიკური მდებარეობა და, ამასთან, ადგილობრივი და უცხოური რესურსების ხელმისაწვდომობა; ქვეყნის ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური სიძლიერე და მისი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში; სტრატეგიული მნიშვნელობის მატერიალურ სიმდიდრეთა არსებობა, რომელიც საკმარისი იქნება ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის ფორს-მაჟორული სიტუაციის შემთხვევაში, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ქვეყნის ინსტიტუციური სისტემის ორიენტაცია ინდუსტრიული ინოვაციური ეკონომიკის შექმნის ხელშეწყობაზე, რომელზეც ეროვნული უსაფრთხოების ხარისხია დამოკიდებული; სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტების მიმართვა იმ დარგებისა და საწარმოებისაკენ, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას.

მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების ხარისხი დიდწილად და დამოკიდებული ეკონომიკაში ინოვაციებზე და კონკურენტუნარიანობის ზრდაზე დაფუძნებული ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მიღებაზე. რადგანაც ინოვაცია და კონკურენტუნარიანობა ერთად აღებული და არა ცალ-ცალკე უნდა განიხილებოდეს, როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების მოდერნიზაციის და გაძლიერების მნიშვნელოვანი რესურსი. სწორედ ინოვაცია იძლევა ახალ შესაძლებლობებს ეკონომიკური უსაფრთხოების ოპტიმალური ფორმირებისათვის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე.

ძალიან ხშირად ინოვაციის განმარტებისას იხმარება ტერმინი “ტექნიკური სრულყოფა”. თუმცა ჩვენ ვთვლით, რომ ეს მიდგომა არაა სრულყოფილი, რადგანაც ნაკლებად (ანდა საერთოდ) არ ითვალისწინებს ცვლილებებს ადამიანურ პოტენციალში, კერძოდ, საგანმანათლებლო კუთხით, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია “ახალი ეკონომიკის” ანუ “ცოდნის ეკონომიკის” პირობებში. ქვეყანაში ინოვაციურობის მაღალი დონე ხელს უწყობს ეკონომიკური უსაფრთხოების განვითარებას. მაგრამ ამ ასპექტით ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ აქცენტი გაკეთდეს არა იზოლაციონურობაზე და მხოლოდ საკუთარ სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებზე, არამედ უცხოური გამოცდილების გამოყენებაზე. აუცილებელია ეკონომიკის ყველა სექტორის ინოვაციური აქტიურობის გაზრდა, როგორც ტრადიციულის, ასევე ახალი სახეობების. თანამედროვე ეკონომიკური უსაფრთხოება პირდაპირ კავშირშია და განისაზღვრება ინოვაციური ციკლის სხვადასხვა სტადიების პირდაპირი და უკუკავშირის ერთობლიობით: ცოდნის მწარმოებლების და მომხმარებლების, ფირმების, ბაზრის, სახელმწიფოს და ა.შ., როგორც ნაციონალურ საზღვრებში, ასევე გლობალურად. გასათვალისწინებელია ის, რომ ძირითადი ეფექტი მიიღწევა არა უშუალოდ ინოვაციების პირველადი დანერგვის, არამედ უფრო მეტად ინოვაციური პროდუქტების და მომსახურებათა ფართოდ გავრცელების და გამოყენების გზით.

ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებელთა (ინდიკატორთა) სისტემა, რომლის დანიშნულებაცაა წინასწარ განსაზღვროს მოახლოებული ეკონომიკური საფრთხე, მოიცავს ისეთ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, როგორცაა: მოსახლეობის ცხოვრების დონე, ინფლაციის დონე და ტემპი, უმუშევრობის დონე, ეკონომიკური ზრდა, ბიუჯეტის დეფიციტი, სახელმწიფო ვალი, ქვეყნის ოქროს რეზერვების შემადგენლობა, ჩრდილოვანი ეკონომიკის დონე, შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, ერთობლივი ეროვნული პროდუქტი. მათი საშუალებით შესაძლებელია უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პროცესების შეფასება, ქვეყნის რესურსული პოტენციალის, მისი ეფექტურად გამოყენების, ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის, სუვერენიტეტის, სოციალური სტაბილურობის და ა.შ. გაანალიზება.

ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორთა სისტემაში მითითებულია ე.წ. ჩრდილოვანი ეკონომიკა, რომელიც განსაკუთრებულ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ. მისი მასშტაბები დღეს იმდენად დიდია, რომ სპეციალისტები მას ეკონომიკაზე უარყოფითი ზეგავლენის მქონე მოვლენათა შორის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად თვლიან. მან პრაქტიკულად გლობალური მასშტაბები მიიღო, რადგან ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სფერო მოიცვა და მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებობს. განვითარებულ ქვეყნებში ჩრდილოვანი ეკონომიკის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად ასახელებენ გადასახადების მაღალ დონეს. მაგალითად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩვეულებრივი მოქალაქის თვიური შემოსავლების 40-50% გადასახადების დაფარვაზე მიდის. ამ ქვეყნებში მშპ-ში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი საშუალოდ 5-10%-ია, თუმცა იტალიაში, ესპანეთში, საბერძნეთში 20-30%-მდეც აღის. განვითარებად

ქვეყნებში იგივე მაჩვენებელი 5-35%-ს შორის მერყეობს. 2017 წლის მონაცემებით ზოგიერთ ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მშპ-ში ამგვარია: აშშ – 7.8%, შვეიცარია – 7.6%, იაპონია და ჩინეთი – 10-10%, გერმანია – 14.9%, ავსტრია – 9%, საფრანგეთი – 14.9 და ა.შ. მისი გამომწვევი მიზეზები მრავალნაირია: ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური, კრიმინალური და სხვ. განსაკუთრებით მწვავედ არის ის ფესვგადგმული პოსტსაბჭოურ ქვეყნებში. ამ ქვეყნებში ამ მოვლენის სიცოცხლისუნარიანობის ზრდის მრავალი მიზეზია, მათ შორის:

- მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციისა და სიღარიბის ზრდა, რაც სოციალური მშვიდობისა და საზოგადოებრივი თანხმობის მოშლას იწვევს;

- ინსტიტუციური მოწყობისა და წესრიგის სისუსტე, რაც არაეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის, კორუფციის გაბატონების, ფინანსური და საბანკო სისტემების პოტენციალის უკმარისობის სახით ვლინდება;

- ეკონომიკის სტრუქტურული დეფორმაცია, რაც წარმოების ეფექტიანობის, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის, მსოფლიო მეურნეობაში მონაწილეობის დაბალი დონით, საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის მაღალი დონით, საგარეო ვალის მომსახურების გაძნელებით, ინფორმაციული სექტორის ჩამორჩენილობით გამოიხატება;

- ქვეყნების რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უთანაბრობის გაღრმავება;

- საზოგადოებისა და სამეურნეო საქმიანობის კრიმინალიზაცია.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება მრავალ სფეროს აერთიანებს, რომელთა შორის წამყვანია: სახელმწიფო თავდაცვა, შიდა, საგარეო, სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური, ენერგეტიკული, ინფორმაციული უსაფრთხოებები, მართლწესრიგი და სხვ. თანამედროვე პირობებში, განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული ეკონომიკისა და მისი წამყვანი დარგების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა საერთაშორისო არენაზე. ქვეყნის მეურნეობის ტრადიციული დარგების დაცვასა და განვითარებასთან პარალელურად, ქვეყნის მდგომარეობა საგარეო სფეროში პირდაპირ ზემოქმედებს მისი ეკონომიკის, ცალკეული დარგის და თითოეული საწამოს განვითარებაზე. ამ კუთხით პირველ პლანზე წამოიწვევს ისეთი საკითხები, როგორცაა: საგარეო საფრთხეების და რისკების გამოვლენა, იდენტიფიცირება, შეფასება და პროგნოზირება; სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ეროვნული უსაფრთხოების მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად განხორციელება; საგარეო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში ჩართული უწყებების შესაძლებლობათა მაქსიმალური განვითარება და სხვ.

როგორც სხვადასხვა მეცნიერ-ეკონომისტის ნაშრომებშია მითითებული ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედი გარე ფაქტორები შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

- პოლიტიკური: საერთაშორისო და რეგიონული უსაფრთხოების საერთაშორისო ინსტიტუტების განვითარების დონე; ქვეყნის მონაწილეობა საერთაშორისო ორგანიზაციებში; საერთაშორისო ტერორიზმი და ტრანსნაციონალური ორგანიზაციული დანაშაული; საერთაშორისო კონფლიქტები; სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების ფუნქციონირება და სხვ.;

- ეკონომიკური: სავაჭრო-ეკონომიკური; სავალუტო-საფინანსო; მარკეტინგული; სამრეწველო-ეკონომიკური ფაქტორები; იმპორტზე დამოკიდებულება;

- სოციალურ-დემოგრაფიული: მსოფლიო მიგრაციული ნაკადების მიმართულება; კვალიფიციური კადრების გადინება უცხოეთში, ე.წ. „ტვინების გადინება“ და სხვ.

ყოველივე ზემოთქმული ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მოქმედი შიდა და საგარეო ფაქტორები, ერთად აღებული, სახელმწიფო უსაფრთხოების მთლიანი სისტემის უმნიშვნელოვანეს სეგმენტს წარმოადგენს. ისინი კონკურენტუნარიანობის ზრდის, ეკონომიკური მდგრადობის და განვითარების უპირველეს ამოცანათა რიგში დგას. მხოლოდ სახელმწიფოს ხელეწიფება თავდაცვით ღონისძიებათა მწყობრი სისტემის გონივრული გატარებით მინიმუმამდე დაიყვანოს ქვეყნის ეკონომიკაზე მოქმედ ფაქტორთა უარყოფითი გავლენა და ამით ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების სტაბილურობას და მდგრადობას მიაღწიოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეკონომიკური უსაფრთხოება გლობალიზაციის ეპოქაში - #5(17), 2001 <http://aaf.ge/index.php?menu=1&jurn=0&rubr=10&mas=3365>
2. Понятие экономической безопасности государства и ее место в системе национальной безопасности <https://moluch.ru/archive/137/38388/>
3. Внешние факторы экономической безопасности страны <http://mylektsii.ru/8-69040.html>
4. Факторы обеспечения экономической безопасности <http://economylit.online/teoriya-economiki/vopros-103-factoryi-obespecheniya-26273.html>
5. Экономическая безопасность государства: внешние и внутренние факторы: <https://megapredmet.ru/1-31033.html>
6. Факторы, влияющие на экономическую безопасность государства <https://helpiks.org/2-14698.html>
7. Факторы экономической безопасности <http://center-yf.ru/data/stat/factory-ekonomicheskoy-bezopasnosti.php>

*Nunu Kistauri
Medea Melashvili
Ketevan Kveladze*

ECONOMIC SECURITY AND THE FACTORS ACTING ON IT

Summary

The work is dedicated to the current problem of today's as economic security, which is the most important segment of the state security system. It is a very wide and multi-purpose issue and includes a combination of defense, ecological, information and other factors. The paper deals with the system of its assessment indicators, which include economic indicators such as: the living standards, the level of inflation and the rate of unemployment, the economic growth, the budget deficit, the state debt, "Shadow Economy" level, income per capita, and so forth. And through which it is possible to assess the country's most important economic indicators, its competitiveness and the purpose of which is to determine the forthcoming economic threat.

The paper discusses a global phenomenon, such as the "shadow economy", which covered almost all areas of the economy of the world. The reasons of strengthening this phenomenon are indicated and is noted that the fight against it is the primary task of strengthening the economic security of the country.

Economic subjects and facilities are separately allocated and its main constituents are: economic dependence, sustainability and stability of the country's economy, the possibility self-development and progress.

It is noted that in modern conditions, it is especially important to ensure the competitiveness of the national economy in the international arena. External factors operating on the economic security of the country can be grouped as follows: political, economic, socio-demographic. To minimize their harmful influence is one of the most important economic tasks of the state.

მარინე ცუცქირიძე

ბიზნესის უსაფრთხოების და ტექნოლოგიური განვითარების გლობალური ასპექტები

ანოტაცია. განხილულია ეროვნული ეკონომიკის, ძირითადად ბიზნესის სექტორის ტექნიკური, საწარმოო და ინტეგრაციული უსაფრთხოების გლობალური საკითხები. ფირმათა ინტეგრაციული ურთიერთობებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთან ურთიერთკავშირში გადმოცემულია ბიზნესის ტექნოლოგიური განვითარების, თავდაცვითი და ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების წარმოებისა და გამოყენების ასპექტები; გაანალიზებულია ბიზნესის საწარმოო და მომსახურების სისტემებში, აგრეთვე ევრომეწარმეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის რეალიზაციის, თავდაცვითი და ორმაგი ტექნოლოგიებით – როგორც ბიზნესისათვის ძირითადი ინოვაციური რესურსებით მისი საქმიანობის წარმართვის პრობლემები.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესის უსაფრთხოება, გლობალიზაცია, ტექნოლოგიური განვითარება, კონკურენტუნარიანობა, ორმაგი ტექნოლოგია.

შესავალი

გლობალიზაციის პირობებში საწარმოთა შორის ინტეგრაციული ურთიერთკავშირებისა და კონკურენტული კომპანიების ინტერესების არეთა გაფართოება ძირითადად დამოკიდებულია ბიზნესის უსაფრთხოებასა და ამისათვის აუცილებელ მაღალი ტექნოლოგიების, მათ შორის თავდაცვითი და ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიის გამოყენების შესაძლებლობაზე. ასეთი ტექნოლოგიების განვითარება და ბიზნესის სისტემაში მათი გამოყენება ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბებისათვის. იგი განაპირობებს ეროვნული ეკონომიკისა და ბიზნესის უსაფრთხოებას, საბაზრო გარემოს გაუმჯობესებას.

ევროინტეგრაციული გარდაქმნების გავლენით ხორციელდება ტექნოლოგიური განვითარების პროცესებში ინტეგრაცია. იგი ბიზნესის საწარმოო და მომსახურების სისტემებში მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას განაპირობებს. ბიზნესისათვის ამ ტექნოლოგიების როლის შეფასება ძირეულად უკავშირდება მისი უსაფრთხოებისა და თავდაცვის უახლესი სისტემების გამოყენებას; კერძოდ, აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭირო ორმაგი ტექნოლოგიით, როგორც აქტიური ინოვაციური რესურსის საფუძველზე, სამრეწველო ბიზნესის განვითარებას.

ტექნოლოგიური განვითარების და მასთან დაკავშირებული თავდაცვითი და ორმაგი ტექნოლოგიების მნიშვნელობას განაპირობებს სამომხმარებლო დანიშნულების პროდუქციის წარმოებისა და მომსახურების სისტემის უსაფრთხოების აუცილებლობა. ტექნოლოგიების ეს ორმაგი დანიშნულება საწარმოო, მომსახურებისა და საბაზრო სექტორებში არსებულ ობიექტებზე განაპირობებს ბიზნესის

შემოსავლების ზრდასთან დაკავშირებული უსაფრთხოების სისტემის ფუნქციონირებას.

ამრიგად ბიზნესის უსაფრთხოება შესაძლებელია მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებით:

1. თავდაცვითი და ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიებით საწარმოო საკუთრების დაცვისათვის სხვადასხვა ფორმებში.

2. საბაზრო პროცესებში მონაწილეობისა და ადმინისტრაციულ ვალდებულებათა კომპიუტერული ტექნოლოგიებით შესრულების დროს.

3. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძველზე ბიზნესის კონფიდენციალური ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვისათვის.

4. ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების გზით ინოვაციური ბიზნესის განვითარების პროცესის წარმართვაში.

5. ინოვაციური გამომთვლელი, ძირითადად კომპიუტერული ტექნოლოგიების გზით ბიზნესის ტექნოლოგიური განვითარების მიზნების შესრულებისათვის და სხვა.

აღნიშნულ მიმართულებებს ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უკავია ეფექტიანი ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და ბიზნესის ტექნოლოგიური განვითარების პროცესის, მისი საბაზრო საკითხების მოწესრიგებისა და ინოვაციური ბიზნესის განვითარებისათვის თანამედროვე ვითარებაში.

* * *

ეროვნული ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს ბიზნესის უსაფრთხოებისა და მისი ტექნოლოგიური განვითარების პრობლემათა გადაწყვეტა წარმოადგენს. ბიზნესის უსაფრთხოების გლობალურ ასპექტებს შორის ძირითადია ფირმათა საბაზრო სტრატეგიის, მისი ფინანსური სისტემის უსაფრთხოებისა და კონკურენტული ინტერესების დაცვა. ამისათვის აუცილებელია ბიზნესის ორგანიზაციის უსაფრთხოების დაცვის ეფექტიანი ინსტრუმენტების გამოყენება.

უსაფრთხოების სისტემა აქტიურად ზემოქმედებს წარმოების პროცესში და მის ორგანიზებულობას განაპირობებს. იგი გულისხმობს ბიზნესისათვის აუცილებელი ფინანსური და საბაზრო საქმიანობის სიზუსტესა და ეფექტიან ორგანიზაციას, რაც ფირმათა ძირითადი მიზნების მისაღწევადაა გამიზნული. ამით ბიზნესის უსაფრთხოება მოიცავს სიტუაციებს, რომლითაც გამორიცხულია ფირმათა საქმიანობის გადასინჯვა, საბაზრო პროცესების შეფერხება, ფინანსური რესურსების გადახარჯვა, ასევე აღნიშნულთან დაკავშირებული ინფორმაციის განადგურება. იგი უკავ შირდება ამ პროცესებს და განაპირობებს ბიზნესის ობიექტების დაცვას პროდუქტებისა და მომსახურების დატაცება-მითვისებისაგან. ამ მიზნით კი გამოიყენება თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიები და ინოვაციური ტექნიკის საშუალებანი.

ამრიგად ბიზნესის უსაფრთხოების სისტემა ძირითადად შედგება: 1. კომპანიების ფინანსური უსაფრთხოების, 2. ორგანიზაციული უსაფრთხოების, 3. ინფორმაციული უსაფრთხოების, 4. ფირმათა მთლიანობის დაცვის, 5. კონფიდენციალურობის შენარჩუნების, 6. სახელმწიფოსათვის მიზანშეწონილი ეკონომიკური პოლიტიკის ბიზნესში გატარებისათვის საჭირო ღონისძიებებისაგან.

გლობალიზაციის ვითარებაში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება სავალუტო კურსისა და გადაზიდვის ტარიფების და გადასახადების

განაკვეთების საფუძველზე, რაც ზოგიერთ შემთხვევაში საწარმოებში არსებული წარმოების, ფინანსებისა და კომერციის სფეროში წინააღმდეგობათა წარმოქმნის მიზეზს წარმოადგენს. იგი ფირმის საკუთრების უსაფრთხოების დაცვისათვის აუცილებელი სახელმწიფო პოლიტიკით შეიძლება იქნეს დაძლეული. ბიზნესის სისტემის განვითარების პროცესებში წარმოების, ფინანსური და კომერციული საქმიანობის წარმართვა და ამ დროს წარმოქმნილი საბაზრო წინააღმდეგობების დაძლევა საწარმოთა ეკონომიკური უსაფრთხოების მთავარ საკითხს წარმოადგენს. იგი სახელმწიფოს მიერ ბიზნესის სექტორების ეკონომიკური რეგულირებით შეიძლება იქნას მოწესრიგებული. ამისათვის საჭიროა საწარმოო და მომსახურების სექტორებისათვის აუცილებელი ინფორმაციული სივრცის არსებობა. ბიზნესის ინფორმაციული უსაფრთხოების საჭიროებას განაპირობებს: 1. საწარმოთა საკუთრება სხვადასხვა ფირმებში; 2. პოლიტიკური მოვლენები და საქმიანობა ეკონომიკური ურთიერთკავშირების შეზღუდვის ან შეწყვეტისათვის; 3. ურთიერთგანსხვავებული სამეურნეო საქმიანობის ფორმებით გამოწვეული არაჯასადი კონკურენცია. მათ შორის ძირითადს ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალურ ასპექტებთან მიმართებაში არაკეთილსინდისიერი კონკურენცია წარმოადგენს. იგი შემდეგი სახისაა: 1. როდესაც ერთი კომერციული ორგანიზაცია წარმოადგენილია მეორის მომხმარებლის სახით; 2. კომერციული საწარმოს დისკრედიტებული რეპუტაცია გამოწვეულია არასწორი ინფორმაციის გავრცელებით; 3. მომხმარებლის არასწორი საბაზრო ორიენტაციის მიზნით არაკორექტული და არასამართლიანი საბაზრო აღნიშვნებია გამოყენებული. ამის ძირითად უარყოფით შედეგებს წარმოადგენს ეკონომიკური უსაფრთხოების დაუცველობა და ამით გამოწვეული სამართლებრივი პასუხისმგებლობა. აღნიშნულის გამომწვევი მიზეზია შემდეგი გარემოებანი: მომხმარებელთა მოსყიდვა და კონკურენტების მიერ საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება; ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის დაშლა კომერციულ და ინფორმაციულ საიდუმლოებათა გამჟღავნების გზით; კომერციული ინფორმაციის დაუცველობა; ფასების წინასწარგანზრახული შემცირება კონკურენციის დასაძლევად; პროდუქტების საბაზრო რეკლამების, საქონლისა და მომსახურების, ასევე კომერციული საქმიანობის სხვა ფორმების კონკურენტების შესახებ ინფორმაციის გადაღება. თანამედროვე ბიზნესის უსაფრთხოებისათვის ასევე მნიშვნელოვანია მსოფლიო ეკონომიკის კრიზისული გამოვლინებები.

ერთ-ერთ ძირითადს ბიზნესის უსაფრთხოების დაცვასთან მიმართებით წარმოადგენს მისი შემოსავლების გადიდებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელება: კომერციულ და სამრეწველო გადაწყვეტილებათა გამჟღავნებისაგან ფირმის დაცვა; სამართლიანი კონკურენციისათვის ეკონომიკური ზემოქმედების გაძლიერება; პერსონალის, ხელმძღვანელებისა და კომერციულ გადაწყვეტილებათა შესახებ ინფორმაციის შენახვისა და გამოყენებისათვის მედიის, კორუფციული ურთიერთკავშირებისა და სახელმწიფო ორგანიზაციების დახმარებით ბიზნესის პარალიზების შეუძლებლობა. აღნიშნულით შესაძლებელია ბიზნესის ობიექტების დაცვა კონკურენტებისაგან, ფირმათა ოფისების, საწარმოო და დამხმარე ნაგებობების გამარცხისაგან, მატერიალური და ფინანსური სახსრების დატაცებისაგან, ასევე დასაქმებულთა გათავისუფლებისაგან და კონკურენტებისაგან მათი დაცვა.

ბიზნესის უსაფრთხოების ასეთი სისტემის საფუძველს მისი ტექნოლოგიური განვითარება წარმოადგენს. ეს პროცესი დამყარებულია ინოვაციური ტექნოლოგიების ბიზნესის სისტემაში გამოყენებაზე, კერძოდ ფირმათა საწარმოო,

ფინანსური და ინფორმაციული უსაფრთხოების მიზნით გამოყენებული ტექნოლოგიები: თავდაცვის ტექნიკური საშუალებები, საწარმოო ტექნოლოგიები, ავტონომიური თავდაცვის სისტემები, თავდაცვის მექანიზმები, რომლებიც საჭიროა სამუშაოს შესრულების დროს წარმოქმნილი რიტუალების მართვის მიზნით; უსაფრთხოების სამსახურის ორგანიზების საშუალებანი და სხვ.

ტექნოლოგიების განვითარება მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ეკონომიკური, ასევე მისი ბიზნესის სისტემის განვითარებისათვის. ამიტომ განსაკუთრებული ადგილი უკავია მეცნიერებატევადი ტექნიკისა და ტექნოლოგიების წარმოებას შორის ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების გამოყენებას ბიზნესის ობიექტებთან უსაფრთხოებისა და თავდაცვითი ტექნიკით უზრუნველყოფის მიზნით.

ტექნოლოგიური განვითარების პროცესი საქართველოში განაპირობებს მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებას ბიზნესის საქმიანობის ყველა სფეროში და მის უსაფრთხოებას, თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას და მის ინოვაციურ აქტიურობას; მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლებელი ხდება ეკონომიკის სამოქალაქო და თავდაცვის საშუალებათა წარმოების სექტორებში, რაც ეროვნული ეკონომიკის მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარებისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

ბიზნესის უსაფრთხოების სისტემების შემადგენელ ელემენტებს შეიძლება წარმოადგენდეს:

1. სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივი დაცვა. იგი ფირმის ვალდებულებების, უფლებებისა და საქმიანობის წარმართვისათვის საჭირო პირობების ერთობლიობაა, რომლის შემადგენლებია, საკუთრების უფლება პატენტზე, ლიცენზიასა და ფირმის საკუთრებაზე, ადრიცხვის რეგისტრაციის, შეთანხმებების, ხელშეკრულებების, დადგენილებათა და სხვა დოკუმენტები.

მეწარმეობის უსაფრთხოების დაცვის ასეთი სისტემის დანერგვა აუცილებელია, რადგან ნორმატიული და სამართლებრივი ბაზა მოცემული ელემენტებისათვის არასტაბილურია და მოითხოვს თავდაცვას.

2. მეწარმეთა უსაფრთხოება. სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეები ანუ სუბიექტებია მეწარმეები და მათ მიერ გამოყენებული მატერიალური, ფინანსური და ინფორმაციული რესურსები. უსაფრთხოებასთან დაკავშირებით რესურსების შემადგენლებია ფირმის მომსახურე პერსონალი, საწარმოში დასაქმებულები და აქციონერები.

3. ინფორმაციული და კომერციული უსაფრთხოება. იგი მოიცავს მეწარმეთა ინფორმაციული რესურსების უსაფრთხოების მიზნით გამოყენებულ ინტელექტუალურ საკუთრებას.

4. ფირმაში დასაქმებულთა უსაფრთხოების დაცვა. ასეთია უსაფრთხოების ტექნიკის, შრომის ეკოლოგიისა და სანიტარული მდგომარეობის, საქმიანი ურთიერთობების, მომუშავეთა პირადი უსაფრთხოების დაცვა.

ფირმათა საბაზრო საქმიანობის უსაფრთხოებისა და თავდაცვისათვის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს მისი ხარისხიანად დაცვის მოთხოვნა, რაც ზოგიერთი კრიტიკული შემთხვევისათვის აუცილებელია.

მათ შორის ძირითადს ბიზნესის ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემა და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიები წარმოადგენს. აქედან აღსანიშნავია ფირმების საქმიანობის გარეისტიემური თავდაცვის ტექნიკური საშუალებანი, ბიზნესის ობიექტების ტერიტორიული დაცვისთვის საჭირო ინოვაციური ტექნიკა. ბიზნესის ობიექტების ტერიტორიული დაცვისათვის გამოიყენება ელექტრონული

სისტემები, ნაგებობების დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოებისათვის საჭირო დანადგარები. ელექტრონული თავდაცვის ელემენტარული სისტემა შედგება მთვლელების, გადამცემებისაგან, მათი სიგნალებისათვის გამოყენებული მიკროპროცესორებისაგან, ელექტრონული გასაღებებისა და ბიომეტრიული დანადგარებისაგან: ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის მიზნით კი გამოიყენება მისი გადამტანი დანადგარები, მაგნიტური ლენტები და ფლეშები. უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება დახშული სისტემით – მექანიკური რადი-ომართვადით, კოდურით და მიკროპროცესორულით. ასევე გამოიყენება ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვისათვის განკუთვნილი სხვა მექანიზმებიც: ხელსაწყოები, დოკუმენტები, სისტემური ბლოკები, ფაილ-სერვისები, რომლებითაც ხორციელდება ორგანიზაციის ტერიტორიიდან ფირმის ინფორმაციის გატანისაგან თავდაცვა.

ფირმის ინფორმაციული უსაფრთხოებისა და თავდაცვისათვის გამოიყენება აგრეთვე აპარატული საშუალებანი, რომლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს გამომთვლელ ტექნიკაში ასეთივე შემაერთებელი ელემენტებითა და სისტემებით შინაგანი დაცვის უზრუნველყოფა. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმაციის უსაფრთხოებასთან მიმართებაში.

ბიზნესის ობიექტების ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის შემდეგ მექანიზმს წარმოადგენს თავდაცვის პროგრამული საშუალებანი. მათ შორის მთავარია იდენტიფიკატორები, კოდები, პაროლები და სხვა, კონფიდენციალური და მიზანდასახული მონაცემები, ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვისათვის აუცილებელი ავტომატიზაციის საშუალებანი. მათგან ძირითადია მონაცემთა შენახვისა და გაშიფვრის სისტემები, რაც განაპირობებს აღნიშნული ინფორმაციის საიმედოებას და უსაფრთხოებას.

ბიზნესის სისტემის განვითარებისა და ინტეგრაციული პროცესების გააქტიურების ვითარებაში მნიშვნელოვანია ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარების შედეგად წარმოქმნილი მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება. ამავე დროს ამ მიზნის მისაღწევად საჭიროს და სახელმწიფოებრივ საკითხს წარმოადგენს „ორმაგი ტექნოლოგიის" და ასეთივე ტექნიკის წარმოება, რაც ბიზნესის საწარმოო არეთა გაფართოებისათვის ძირითადია.

გლობალიზაციის ვითარებაში განსაკუთრებით ძლიერდება ტექნოლოგიური განვითარების პროცესების ინტეგრაციისადმი ინტერესი როგორც საწარმო, ასევე სოციალური დარგებისა და მომსახურების სფეროს მიმართ, რაც მოითხოვს ბიზნესის საქმიანობის გარდაქმნას მისი ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მიმართულებით, იგი განაპირობებს ფირმათა საწარმოო პოტენციალის გაუმჯობესებას, მეწარმეთა ინოვაციური აქტიურობის ამაღლებას, ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიის გამოყენების, კომერციალიზაციის პრობლემის გადაწყვეტას და ამით ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოებთან ურთიერთკავშირში გლობალიზაციის საკითხების გადაჭრას. მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება ბიზნესის ობიექტების ფუნქციონირების შედეგების, ასევე მისი პროდუქციის საბაზრო მოთხოვნის ამაღლებისათვის საჭირო წინაპირობას და ინოვაციური პროცესების რეალიზაციის ძირითად მექანიზმს წარმოადგენს სამრეწველო ფირმებისა და მისი საბაზრო სექტორებისათვის. იგი საჭიროებს სახელმწიფოს მმართველობის სისტემის მიერ რეგულირებას. ბიზნესის სისტემებისათვის სამეცნიერო-საწარმოო და ინოვაციური პროცესების სახელმწიფოთაშორისი რეგულირების მიზანია ფირმათა ტექნოლოგიური სრულყოფა და ეროვნულ წარმოებათა, მათ შორის თავდაცვის დარგების კონკურენტუნარიანობის ამაღლება სახელმწიფოს

განვითარების პრიორიტეტებთან ურთიერთშესაბამისობაში. ამისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების ბიზნესის დარგებში გავრცელების პროცესების სახელმწიფოებრივ რეგულირებას; ეფექტიანი ეროვნულ-ბათაშორისი ტექნოლოგიების გავრცელების, როგორც შემადგენელი ნაწილის როლის ამაღლებას, ბიზნესის თავდაცვითი უსაფრთხოების უზრუნველყოფას; ორმაგი ტექნოლოგიების გავრცელების ორგანიზაციას ბიზნესის სამრეწველო სექტორში, რაც აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სახელმწიფოთა მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთთანამშრომლობის მისაღწევად.

ამ მიმართულებით გლობალიზაციის პრობლემათა გადაწყვეტა საშუალებას იძლევა, მიღწეული იქნეს ინოვაციური პროცესების მაღალი ეფექტიანობა როგორც ბიზნესის საქმიანობაში, ასევე ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში.

დასკვნა

1. გლობალიზაციის პროცესში ბიზნესის უსაფრთხოების და მისი ტექნოლოგიური განვითარების პრობლემების გადაჭრას განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. იგი განაპირობებს ბიზნესის ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური უსაფრთხოების, ასევე მისი ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვას, თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიების, მათ შორის საბაზრო პროცესებისათვის აუცილებელი თავდაცვითი და ორმაგი დანიშნულების ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებას.

2. ბიზნესის უსაფრთხოების გლობალურ ასპექტებს შორის ერთ-ერთ ძირითადს წარმოადგენს ფირმათა საბაზრო სტრატეგიის, მისი ფინანსური სისტემის უსაფრთხოებისა და კონკურენციის ინტერესების დაცვის, ბიზნესის ორგანიზაციული უსაფრთხოების სისტემისათვის აუცილებელი ეფექტიანი ინსტრუმენტების გამოყენება.

3. ბიზნესის უსაფრთხოების სისტემა ძირითადად შედგება: 1) კომპანიების ფინანსური უსაფრთხოების; 2) ორგანიზაციული უსაფრთხოების; 3) ინფორმაციული უსაფრთხოების; 4) ფირმათა მთლიანობის დაცვის; 5) კონფიდენციალურობის შენარჩუნების; 6) სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ბიზნესში გატარებისათვის საჭირო ღონისძიებებისაგან.

4. კომპანიების ინფორმაციული უსაფრთხოების საჭიროებას განაპირობებს: 1) საწარმოთა საკუთრება სხვადასხვა ფორმებისათვის; 2) სამეურნეო საქმიანობის ურთიერთგანსხვავებული ფორმებით გამოწვეული არაჯანსაღი კონკურენცია; 3) პოლიტიკური მოვლენები და ამით გამოწვეული ეკონომიკური ურთიერთკავშირების შეზღუდვა ან შეწყვეტა; 4) კომერციული საწარმოს დისკრედიტაცია გამოწვეული არასწორი ინფორმაციით და სხვ.

5. ბიზნესის უსაფრთხოების სისტემის დაცვასთან მიმართებაში მთავარია მისი შემოსავლების გადიდებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელება: კომერციულ და სამრეწველო გადაწყვეტილებათა გამჟღავნებისაგან დაცვა; სამართლიანი კონკურენციისათვის ეკონომიკური ზემოქმედების გაძლიერება; კომერციული ინფორმაციის დაცვა თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით და სახელმწიფო ორგანიზაციების დახმარებით ბიზნესის დაცვა მისი საქმიანობის დარგების პარალიზებისაგან.

აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელია ბიზნესის ობიექტების დაცვა კონკურენტების მიერ განადგურებისაგან. ბიზნესის უსაფრთხოების ასეთი სისტემის ფუნქციონირების საფუძველს ეკონომიკის ტექნოლოგიური განვითარების პრინ-

ციპები წარმოადგენს. იგი თანამედროვე ინოვაციური ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელი წინაპირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რამაზი, ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ზოგიერთი ტენდენციის შესახებ, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“, თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2018.

2. ბერულავა გიორგი, ეკონომიკური ზრდის ინოვაციური და ინსტიტუციური წინაპირობის შესახებ, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“, თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2018.

3. მენქიუ გრ., ეკონომიკის პრინციპები, თბილისი, „დიოგენე“, 2000.

4. პაპავა ვლადიმერი, თაფლაძე თამარი, რატომ არ არის ინფორმაცია წარმოების ფაქტორი? საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“, თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2018.

5. ცუცქირიძე მარინე, ბიზნესის განვითარების ტენდენციური და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების საკითხები, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“, თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2018.

Marine Tsutskiridze

GLOBAL ASPECTS OF BUSINESS SECURITY AND TECHNOLOGICAL DEVELOPMENT

Summary

The paper deals with the aspects of technical, production and market security of business and the usage of high technologies for the protection of information safety. Considering the demands of globalization it mainly focuses on technical and information security issues, the global aspects of using defense and dual-use technologies in business activities for this purpose; as well as the modern trends of production of innovative techniques and technologies and market integration. This confirms the expediency of participation of business enterprises in the European scientific and technological researches and their European integration, which is necessary to increase the efficiency of its market results. To some extent, the paper considers the issues of assessment of business innovation and technological development levels. It is a precondition for the use of defensive and dual-use technologies for business purposes. In this regard much emphasis is put on dual-use defense technologies, which can be used for defensive purposes., i.e. for manufacturing military equipment for business enterprises, as well as in civil industry in order to produce social security tools.

On the example of companies and commercial organizations the paper discusses the importance of the use of dual-use technologies in business. For this purpose, I analyze the fundamentals of business information security during the current global transformations, in particular, the protection of the technological safety of the company is investigated using computer innovations, reliable storage devices, and protective innovative techniques needed for transmission. This is necessary for the protection of information about the companies' activities, for hiding information from competitors about the market processes in protect order to protect the safety of business and service systems of the firm in the market processes..

When analyzing business security problems, there is a major focus on defensive and dual-use technologies, which is important for promoting high technology usage in the business system of production and for increasing their competitiveness as well as the revenue and market efficiency. This is a prerequisite for the development of Euro-entrepreneurship, the economic security of Georgia, technological improvement of business and the formation of innovative business in times of globalization.

*მედეა მელაშვილი
ქეთევან ქველაძე
ნუნუ ქისტაური*

ეკონომიკური უსაფრთხოების ინფორმაციული ფაქტორები

ანოტაცია. ნაშრომი ეძღვნება ეკონომიკის ისეთ მნიშვნელოვან სექტორს, როგორცაა ეკონომიკური უსაფრთხოება და კერძოდ, ინფორმაციული უსაფრთხოება. დღეს ინფორმაცია თვითონ გახდა მომგებიანი საქონელი და უმნიშვნელოვანესი საშუალება საქმიანი ურთიერთობების ყველა სფეროში. აქ განხილულია ე.წ. „საინფორმაციო რევოლუციის“ რამდენიმე საფეხური და ძირითადი ტენდენციები.

ნაშრომში განხილულია ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც აუცილებლად წაყენება ინფორმაციას და რომელთა უგულვებელყოფას მივყავართ ინფორმაციული უსაფრთხოების ძირითადი პრინციპების დარღვევამდე, აღნიშნულია, რომ ინფორმაცია თავისთავად ნაკლებად დაცული რესურსია და ამიტომ მეტისმეტად მნიშვნელოვანია მისი დაცვის გაძლიერების ღონისძიებების და საინფორმაციო უსაფრთხოების სრული კომპლექსის დაცვა.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური უსაფრთხოება, ინფორმაციული უსაფრთხოება, საინფორმაციო უსაფრთხოება, ინფორმაციის კონფიდენციალობა, ინფორმაციული „მეკობრეობა“.

როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ქვეყნის თავისუფლების, სტაბილურობის შენარჩუნებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს. ეროვნული უსაფრთხოების სისტემის შექმნა ყოველი სახელმწიფოს ამოცანაა, რადგან იგი ხელს უწყობს მდგრადი ეკონომიკის ჩამოყალიბებას. ამდენად, ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის ფორმირება სახელმწიფოს ეროვნულ პრიორიტეტთა რიცხვს განეკუთვნება.

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გადაწყვეტილებათა მიღება დიდწილად დამოკიდებულია სამეურნეო სუბიექტის მდგომარეობის, ფუნქციონირების მიმართულებების და განვითარების პერსპექტივების შესახებ არსებულ ინფორმაციაზე, მის სისრულეზე, საიმედოობასა და დროულობაზე.

ინფორმაციამ დიდი ხანია დაკარგა მატერიალურ ფასეულობათა წარმოების უბრალო დამატებითი რესურსის როლი. იგი თვითონ გახდა მომგებიანი საქონელი და მნიშვნელოვანი საშუალება საქმიანი ურთიერთობების ყველა სფეროში. მან თვითონ შეიძინა მნიშვნელოვანი მატერიალური წონა, რაც გამოიხატება მისი გამოყენების შედეგად მიღებული მოგების ან ინფორმაციის მფლობელისადმი „საინფორმაციო ბოროტმოქმედთა“ ქმედებით მიყენებული ზარალით. ძირითადი მოთხოვნები, რომელიც დგას ნებისმიერი ინფორმაციისადმი, არის: სარგებლიანობა და საიმედოობა; ოპერატიულობა და ნამდვილობა; სისრულე და განახლებადობა.

ინფორმაციის შეგროვების, გადამუშავების, ანალიზის და ადგილამდე მიტანის ტექნოლოგიების შექმნა და ინდუსტრიად გადაქცევა ბალებს მთელ რიგ სიძნელეებს, რაც უკავშირდება ინფორმაციის სტატუსის დადგენის და საიმედოდ შენახვის უზრუნველყოფას (აქტუალობა, სისრულე, არაწინააღმდეგობრიობა, კონფიდენციალობა).

საერთოდ საფრთხეები, და მათ შორის ინფორმაციულიც, შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: შემთხვევითი და განზრახული. პირველის წყარო შეიძლება იყოს შეცდომები პროგრამულ უზრუნველყოფაში, აპარატების მწყობრიდან გამოსვლა, მომხმარებელთა ან ადმინისტრაციის არასწორი ქმედებები და სხვ.

განზრახული თავის მხრივ შეიძლება იყოს პასიური და აქტიური. პასიური, როგორც წესი, მიმართულია საინფორმაციო რესურსების არასანქცირებული გამოყენებისაკენ, მაგრამ, ამასთან, გავლენას არ ახდენს მათ ფუნქციონირებაზე. მაგალითად, ინფორმაციის უკანონო მოსმენა, გადაწერა და სხვ. რაც შეეხება აქტიურ საფრთხეებს, მათი მიზანია ინფორმაციის ფუნქციონირების ნორმალური პროცესის დარღვევა პროგრამულ და ინფორმაციულ რესურსებზე მიზანმიმართული ზემოქმედებით. მაგალითად, კავშირგაბმულობის ხაზების განადგურება ან რადიოაქტიური ჩახშობა, კომპიუტერების მწყობრიდან გამოყვანა, მონაცემთა ბაზებში ცრუ ინფორმაციის შეყვანა და სხვ. აქტიური საფრთხეების წყარო შეიძლება იყოს კონკრეტული ბოროტმოქმედი, ზიანის შემცველი პროგრამები, ვირუსები, „ტროიანული“ პროგრამები და სხვ., რომლებსაც შეუძლიათ დაბლოკონ არა მარტო რაიმე სისტემის ნაწილი, თუნდაც მთელი სისტემა, არამედ საერთოდ მთლიანად გაანადგურონ დაგროვილი ინფორმაცია.

საინფორმაციო რესურსების როგორც მფლობელის, ასევე მომხმარებლისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის კონფიდენციალობის მკაცრად დაცვას. კონფიდენციალური საინფორმაციო მომსახურებები საინფორმაციო ბაზრის საკმაოდ დიდი სეგმენტია, რომელსაც თავისი წესები, შესაძლებლობები, მოთხოვნები, შეკვეთები და შემსრულებლები, სტრუქტურა და პირობები გააჩნია. მხედველობაშია მისაღები, რომ კონფიდენციალურ ინფორმაციას ფასეულობა მხოლოდ კონკრეტული და უშუალოდ დაინტერესებული მომხმარებლისათვის გააჩნია. კონფიდენციალური ინფორმაციის შესაძლო დაკარგვამ შეძლება გამოიწვიოს უზარმაზარი მატერიალური დანაკარგები სამეურნეო სუბიექტების მხრივ და ისინი საერთოდ გაქრობის საშიშროების წინაშე დააყენოს. თანამედროვე პირობებში ინფორმაციის კონფიდენციალობა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა სახის საფრთხეებისაგან (ფიზიკური, ტექნიკური, ინტელექტუალური) კომპლექსური დაცვით.

კონფიდენციალობასთან პირდაპირ კავშირშია საინფორმაციო უსაფრთხოების განსაკუთრებული ფორმა ე.წ. „ეკონომიკური დაზვერვა“, რაც ნიშნავს კონკურენტების ინფორმაციული კონფიდენციალობის დარღვევას, ანუ ეს არის კონკურენტების საქმიანობის მიზანმიმართული შესწავლა და იმ ინფორმაციის უკანონო მიღება,

რომელიც სამეურნეო ფასეულობას წარმოადგენს. სხვის საიდუმლოებებზე ნადირობა ფუნდამენტური კვლევების და საკონსტრუქტორო სამუშაოების საწარმოებლად საკუთარი საშუალებების ეკონომიის და კონკურენტის საქმის კურსში ყოფნის, მისი მიღწევების გამოყენების და სხვ. საშუალებას იძლევა. ეს პრობლემა განსაკუთრებით მძიმედ დგას დღეს, როდესაც კონკურენცია ეკონომიკის უკლებლივ ყველა სფეროში იმდენადაა გამწვავებული, რომ რომელიმე სუბიექტის გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამოაშკარავება მისი სრული კრახის მიზეზი შეიძლება გახდეს. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ამის წინააღმდეგ კარგად მუშაობს მონაცემთა ბაზების, სხვადასხვა კითხვარების შექმნა ცნობილი ასოციაციების მიერ, რომლებიც თავისი სფეროს ბიზნესლიდერები არიან, და ისინი სწორედ ამ მეთოდით სარგებლობენ. რაც მეტია და ღიაა ამდაგვარი მონაცემები, მით ნაკლებია „სადაზვერვო“ ბაზარი, მით უფრო ძლიერად იქნება დაცული ნამდვილად ღირებული ინფორმაცია. ყოველივე აქედან გამომდინარე, საინფორმაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრინციპები შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ:

- ინფორმაციის გამოყენების კანონიერება;
- ინტეგრაცია კომუნიკაციების საერთაშორისო სისტემებთან;
- ეკონომიკური ეფექტურობა და რეზულტატების შედეგიანობა.

საინფორმაციო სისტემების სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია არა მარტო ინფორმაციის გამოყენების მეთოდების და ხერხების სრულყოფა, არამედ მასთან ერთად ინფორმაციის არასანქცირებული გამოყენების მეთოდების და ხერხების სრულყოფაც, მაგალითად, როგორცაა ე.წ. „მეკობრული ვერსიების“ გამოყენება. ბოლო დროს სულ უფრო იზრდება კომპიუტერულ დანაშაულობათა რიცხვი. აშშ-ის სპეციალისტების შეფასებით, კომპიუტერულ დანაშაულთა მიერ გამოწვეული ზარალი წელიწადში 35%-ით იზრდება, რაც 3.5 მლრდ დოლარს უდრის (შედარებისათვის, ამერიკელი ექსპერტების შეფასებით, ერთი ჩვეულებრივი კომპიუტერული დანაშაულის ზარალი საშუალოდ 560 ათასი დოლარია, ბანკის გაქურდვის დროს კი მხოლოდ 19 ათასი დოლარი). 1983 წელს აშშ თავდაცვის სამინისტრომ გამოუშვა „ნარინჯისფერი წიგნი“ — „სანდო კომპიუტერული სისტემების შეფასების კრიტერიუმები“ (“Trusted Computer System Evaluation Criteria (TCSEC)”), რითაც საფუძველი ჩაეყარა საინფორმაციო უსაფრთხოების შესახებ ცოდნის სისტემატურ ფორმირებას სახელმწიფო უწყებათა გარეთ. მის საფუძველზე 2012 წელს აშშ-ში გამოიცა წლიური ანგარიში: „კომპიუტერული დანაშაულები და უსაფრთხოება: პრობლემები და ტენდენციები“ (Issues and Trends: Computer Crime and Security Survey), სადაც ხაზგასმული იყო კომპიუტერულ დანაშაულთა რიცხვის სწრაფი ზრდა. ამ კვლევით გამოკითხულთა 39% გახდა ამგვარი დანაშაულის მსხვერპლი; რესპონდენტთა 28%-ის საინფორმაციო სისტემა იქნა გატეხილი გარე დამნაშავეების მიერ; ინტერნეტის გამოყენებით შეტევის მსხვერპლი გახდა 77%; ხოლო 59% ადასტურებს ინსაიდერების დანაშაულს. დღეს საინფორმაციო უსაფრთხოების საფრთხეთა შორის ყველაზე გავრცელებული მეთოდებია ჰაკერული შეტევები, ვირუსული ეპიდემიები და სპამი (ელექტრონული წერილის ტიპი, რომელიც იგზავნება პიროვნების ან კომპანიის მიერ, მიმღების დაუკითხავად და სურვილის გარეშე. მსგავსი წერილები უმეტესწილად სარეკლამო ხასიათისაა და მათი ძირითადი მიზანი საკუთარი პროდუქციის პოპულარიზაციაა).

2017 წელს სპამის მიერ მიყენებული ზიანი მთელ მსოფლიოში 130 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა. მსოფლიო Email შეტყობინებებში სპამის წილი 2007 წელს 88.5%, 2012 წელს - 75.2%, ხოლო 2017 წელს 39.2% იყო. ნათლად ჩანს მნიშვნელოვანი კლების ტენდენცია, რასაც ვერ ვიტყვით ჰაკერული შედეგების მხრივ. განასხვავებენ ჰაკერების 3

ტიპს: „შავი ჰაკერები“, ე.წ. კიბერდამნაშავეები, IT სპეციალისტები, რომლებიც არალეგალურად ტეხავენ კომპიუტერულ სისტემებს და პროგრამებს; „რუხი ჰაკერები“, აზიანებენ კონკრეტულად რომელიმე ინტერნეტ სერვისს; „თეთრი ჰაკერები, IT სპეციალისტები, რომლებიც „შავების“ მსგავსად ტეხავენ კომპიუტერულ სისტემებს და პროგრამებს, ოღონდ სხვების შეცდომების და მიყენებული ზარალის გამოსწორების მიზნით. ამ უკანასკნელებს „ეთიკურ ჰაკერებსაც“ კი უწოდებენ. 2017 წელს მოხდა ცნობილი ჰაკერული შეტევა Parity Wallet-ის სერვისებზე, რის შედეგადაც ფირმის კრიპტო-საფულედან გატანილ იქნა 71 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტი კრიპტოვალუტა. „თეთრი ჰაკერების“ დახმარებით ფირმამ მოახერხა და შეინარჩუნა დარჩენილი 176 მლნ დოლარი, რაც უახლოეს მომავალში დასაკარგად იყო განწირული.

საერთოდ, როგორც იტყობინება ანტივირუსული პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელი Symantec, 2017 წელს ჰაკერული შეტევების შედეგად ინტერნეტ-მომხმარებლებმა 172 მლრდ აშშ დოლარი დაკარგეს. ეს არის მსოფლიოს 20 ქვეყნის 978 მლნ მოქალაქე. როგორც IBM იტყობინება 2017 წელს მთელ მსოფლიოში მოხდა 2.9 მლრდ კერძო ინფორმაციის გაჟონვის შემთხვევა, ხოლო ერთი ასეთი შემთხვევა კომპანიებს საშუალოდ 3.62 მლნ აშშ დოლარის წაგების ფასად დაუჯდათ.

როგორც აღვნიშნეთ, ინფორმაცია თავისთავად ნაკლებად დაცული რესურსია და ამიტომ მეტისმეტად მნიშვნელოვანია მისი დაცვის თუ გაძლიერების ღონისძიებები, საინფორმაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სრული კომპლექსის დაცვა. მაგალითად, სათანადო ყურადღება არ ექცევა, თუმცა არცთუ ისე უმტკივნეულოა შიდა დამრღვევების ე.წ. „ინსაიდერების“ საქმიანობა – უყურადღებობა, საინფორმაციო რესურსების და IT დანადგარების მოპარვა, ფინანსური თაღლითობა კორპორაციული საინფორმაციო სისტემების გამოყენების გზით და სხვ. სტატისტიკა აჩვენებს რომ საინფორმაციო ბოროტმოქმედთა 80% სწორედ ინსაიდერები არიან. მაგალითად, სატელეკომუნიკაციო დარგში მოქმედ კომპანიებში მათ საქმიანობაზე ფინანსური დანაკარგების 90% მოდის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის ფორმირება სახელმწიფოს პრიორიტეტთა რიცხვს განეკუთვნება. ეკონომიკური უსაფრთხოება უნდა განვიხილოთ, როგორც სახელმწიფოს მიერ გატარებული ყველა თავდაცვითი ღონისძიების ერთობლიობა, რომლებსაც მინიმუმამდე დაჰყავს ქვეყანაზე ნეგატიური საშინაო და საგარეო ფაქტორების გავლენა. იგი აუცილებელია მდგრადი ეკონომიკური განვითარების, კონკურენტუნარიანობის ზრდის უზრუნველსაყოფად. ამ მიზნების მისაღწევად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინფორმაციულ უსაფრთხოებას, როგორც ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სისტემის უმნიშვნელოვანეს სეგმენტს და რომლის გამართული და ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა დიდ ძალისხმევას მოითხოვს, რაც მხოლოდ სახელმწიფოს ხელეწიფება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Информация и экономическая безопасность <https://studfiles.net/preview/518765/>
2. Информационная составляющая экономической безопасности хозяйствующих субъектов и ее значение для обеспечения устойчивого развития национальной экономики. https://vuzlit.ru/1462694/informatsionnaya_sostavlyayuschaya_ekonomicheskoy_bezopasnosti_
3. Понятия экономической и информационной безопасности. Ключевые вопросы ИБ <http://www.intuit.ru/studies/courses/13845/1242/lecture/27496>
4. Виды угроз безопасности в экономических информационных системах <https://cyberpedia.su/13xa459.html>
5. Информационная безопасность экономических систем

*Medea Melashvili
Ketevan Kveladze
Nunu Kistauri*

ECONOMIC SECURITY INFORMATION FACTOR Summary

The work is dedicated to such an important sectors of economy, such as economic security and, in particular, information security. Today the information has become profitable goods and the most important means in all areas of business relations. The formation of the economic security system belongs to the national priorities of the state. Here is discussed Several steps and main trends of "information revolution"

The paper deals with the basic requirements that will be used to inform the information and which lead to disregard for violation of basic principles of information security. Here it is noted that the information itself is less protected resource and therefore it is of utmost importance to safeguard the full protection of its protection measures and information security.

Information resources are very important for both the owner and the user to strictly safeguard the confidentiality of information. Confidential information services - a fairly large segment of the information market that has its rules, capabilities, requirements, orders and artists, structure and conditions. Possible loss of confidential information can lead to enormous material losses on economic subjects and they will be threatened to disappear altogether.

Rapid development of information technologies has simultaneously increased their security risks, which has resulted in unauthorized so-called In the widely distributed "pirate" versions, breaking confidentiality of information, so called Improvements in the "Information Intelligence" methods. It is known today that the most common methods of information security threat are: hacker attacks, viral epidemics and spam. No less dangerous "Insiders" activities, which according to statistics, account for 80% of information crimes. According to the annual report published in the US: "Computer Crimes and Security: Problems and Trends", 90% of respondents confirm their information security violations, 78% emphasize these violations The resulting financial losses received; 49% mentioned the value of the losses, which amounted to 640 million dollars.

ციცინო თეთრაული ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი პრობლემები

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია ეკონომიკური უსაფრთხოების არსი და მნიშვნელობა ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის გლობალიზაციის პირობებში, დახასიათებულია ეკონომიკური უსაფრთხოების შიდა და გარე ფაქტორები, სტრატეგია და კრიტერიუმები. გაანალიზებულია პოსტსაბჭოთა ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მექანიზმის თავისებურებები და მეთოდები. გადმოცემულია ინოვაციების როლი და მნიშვნელობა თანამედროვე ეკონომიკის განვითარებაში. გამოქვლილია სახელმწიფოს მიერ გადადგმული პოზიტიური ნაბიჯები ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის საქმეში.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, ეკონომიკური უსაფრთხოება, გენმოდირიცირებული პროდუქტი, "შოკური თერაპია", გლობალიზაცია.

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მეტად მძიმე და მტკივნეული პროცესი

აღმოჩნდა `პოსტსაბჭოთა` ქვეყნებისთვის. მათ დარჩათ მძიმე მემკვიდრეობა, მოშლილი ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა, დეფიციტური ბიუჯეტი, ინფლაცია და ა.შ. საქართველო დიდი გამოწვევების წინაშე დადგა, მაგრამ მალევე გააკეთა თავისი არჩევანი - დასავლური ორიენტაცია.

ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ქვეშ იგულისხმება ის ფაქტორები და პარამეტრები, რომელიც ზარალს აყენებს საერთო ეროვნულ ინტერესებს და არღვევს ქვეყნის ეკონომიკას. განასხვავებენ ეკონომიკური უსაფრთხოების გარე და შიდა ფაქტორებს. ქვეყნის ნორმალური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური უსაფრთხოების ყველა პარამეტრის დაცვა. გლობალიზაციის პირობებში მსოფლიოს ქვეყნები ახალი გამოწვევების წინაშე დადგნენ. ინოვაციური ეკონომიკის გარეშე შეუძლებელია წარმატების მიღწევა ნებისმიერი ქვეყნისათვის, საჭიროა ქვეყანამ განავითაროს პრიორიტეტული დარგები და სწორად განსაზღვროს ეკონომიკური პოლიტიკა.

კაცობრიობის განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლამ, რომელიც გლობალიზაციის სახელს ატარებს, მსოფლიოს ქვეყნები ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. გლობალიზაციის პროცესი უშუალოდ ზემოქმედებს ცალკეული ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ეროვნული ეკონომიკის განვითარების დონის ამალღება წარმოუდგენელია გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის გარეშე. გლობალიზაციის პირობებში ის ქვეყნები აღწევენ დიდ წარმატებას, რომლებიც ამუშავებენ და რეალიზაციას უკეთებენ ქვეყნისათვის მისადაგებულ ინოვაციურ პოლიტიკას. ინოვაციის შინაარსში იგულისხმება შექმნილი სიახლის პრაქტიკაში გამოყენება, მისი დანერგვა. ი. შუმპეტერის განმარტებით "ინოვაცია არის კომერციალიზებული გამოგონება". თანამედროვე ეკონომიკას უკვე ინოვაციურ ეკონომიკას უწოდებენ, გლობალიზაციის ეპოქაში ინოვაციების განხორციელების გარეშე ეკონომიკური ზრდის მიღწევა შეუძლებელია ნებისმიერი ქვეყნისათვის. ინოვაციური ეკონომიკა ცოდნაზე და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე დაფუძნებული ეკონომიკაა. XXI საუკუნეში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს, ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში ყოველი სიახლე ელვის სისწრაფით ვრცელდება მსოფლიოს თითქმის ნებისმიერ წერტილში. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები სულ უფრო მეტ ფინანსებს დებენ ინოვაციებში. მაგალითად, 2016 წლის მონაცემებით, აშშ-ს მთლიანი შიდა პროდუქტი შეადგენდა 14,24 ტრილიონ დოლარს, აქედან 0,40 ტრლნ დოლარი ჩაიდო ინოვაციებში, ჩინეთმა - მშპ-ის 8,46 ტრლნ დოლარიდან ინოვაციებში ჩადო 0,14 ტრლნ დოლარი, ხოლო იაპონიამ - მშპ-ის 4,38 ტრლნ დოლარიდან 0,15 ტრლნ. მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, განვითარებადი და პოსტსაბჭოთა ქვეყნები არასახარბილოდ გამოიყურებიან ინოვაციური პოლიტიკის მხრივ.

საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ პოსტსაბჭოთა ქვეყნები ძალიან რთულ და არახელსაყრელ სივრცეში აღმოჩნდნენ, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მეტად მძიმე პროცესი აღმოჩნდა. მათ წილად ხვდათ მოშლილი ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა, დეფიციტური ბიუჯეტი, მაღალი ინფლაცია, საწარმოო რესურსების დეფიციტი, უმუშევრობის ზრდა და სხვა ნეგატიური მოვლენები. პოსტკომუნისტური ქვეყნებიდან არც საქართველო იყო გამონაკლისი. საბჭოთა კავშირის დაშლამ საქართველოს ეკონომიკას დიდი დაღი დაასვა. მოიშალა ეკონომიკური ურთიერთობები, დიდი იყო ბიუჯეტის დეფიციტი, ადგილი ჰქონდა

ფასების სწრაფ ზრდას, ამას ემატებოდა ის ფაქტი, რომ სამანეთო ზონის მოშლის შემდგომ, საქართველო იძულებული იყო, შემოეღო ფულის ნიშნები - კუპონები, რამაც სწრაფი ტემპით იწყო გაუფასურება და საქართველო ჰიპერინფლაციის წინაშე აღმოჩნდა. არსებული მდგომარეობიდან გამოსვლა ხელისუფლებამ საკუთარი ეროვნული ვალუტის შემოღებით მოახერხა, 1995 წელს მიმოქცევაში შემოვიდა ეროვნული ვალუტა - ლარი, რამაც ინფლაციის პროცესი შეაჩერა, მაგრამ ქვეყანაში მაინც ბევრი პრობლემა რჩებოდა, რომელიც გადაწყვეტას საჭიროებდა. ვინაიდან ქვეყანაში წარმოების დონე დაბალი იყო და ეროვნული ვალუტის გამყარება ვერ ხერხდებოდა სამამულო წარმოების პროდუქციით, საჭირო გახდა ეროვნული ვალუტის სხვა ხერხებით გამყარება, კერძოდ ლარის მიბმა დოლარზე. ამგვარად დოლარი აღმოჩნდა ლარის ხერხემალი, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ბალტიისპირეთის ქვეყნებმა სხვებთან შედარებით უფრო მალე მიაღწიეს ეკონომიკურ სტაბილურობას.

ჩვენმა ქვეყანამ გააკეთა თავისი არჩევანი - დასავლური ორიენტაცია. ამას ხელი შეუწყო ევროპის მიერ საქართველოს აღიარებამ, რაც საგარეო კურსის მხარდაჭერაში გამოიხატა. სტაბილურ ეკონომიკურ გარემოში ცხოვრება ყველა ქვეყნის ადამიანის ოცნებაა, რადგან იგი უზრუნველყოფს წარმატების შესაძლებლობებს და საზოგადოებას იცავს არასასურველი მოულოდნელობებისაგან. ამ ოცნების ახდენა პოსტსაბჭოთა საქართველოსათვის ადვილი არ არის. მაგრამ აქ უნდა გავიხსენოთ გ. მენქიუს სიტყვები 'არც ყველაზე მდიდარი ქვეყნებისათვის არის სრულად გარანტირებული მათი შემდგომი აყვავება და არც ეკონომიკური აუტსაიდერები არიან განწირულნი სამუდამო სიღატაკისთვის'. მაგალითად, 100 წლის წინათ, საშუალო იაპონელის შემოსავალი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საშუალო ინგლისელის, გერმანელის, ამერიკელის შემოსავალს. მაგრამ მკვეთრი ეკონომიკური ზრდის წყალობით, იაპონია ისე დაწინაურდა, რომ ერთ-ერთ ზესახელმწიფოდ გადაიქცა. ტექნიკური პროგრესისა და ინოვაციური პოლიტიკის წყალობით, იაპონიამ ბევრი მოწინავე ქვეყანა უკან ჩამოიტოვა.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება ნიშნავს მისი ეკონომიკური განვითარების ისეთ დონეს, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების რეალიზაციას, პიროვნებისა და საზოგადოების არსებობისათვის ღირსეული პირობების შექმნას და წინ აღუდგება ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების შემაფერხებელ მუქარებს. განასხვავებენ ეკონომიკური უსაფრთხოების შინაგან და გარეგან ფაქტორებს, ეროვნული უსაფრთხოების შიდა ფაქტორებია: ქვეყნის ენერგეტიკული უზრუნველყოფა; ინსტიტუციური მოწყობა და წესრიგი, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა; ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი; ბუნებრივი ფაქტორები - ქვეყნის უზრუნველყოფის დონე საკუთარი ბუნებრივი რესურსებით, მათი მოპოვების სახიფათო პირობები; ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და გამოთანაბრების ტენდენცია; საფინანსო-საკრედიტო ფაქტორები - საბანკო სისტემისა და შესაბამისი ბაზრის მდგომარეობა, კრედიტების მიღების პირობები, დისციპლინა უნაღდო ანგარიშსწორების სფეროში და ა.შ., შრომითი რესურსების გამოყენების ფაქტორები - სამუშაო ძალის გამოყენების სტრუქტურა, უმუშევრობის დონე; მეცნიერულ-ტექნიკური ფაქტორები - ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა, უახლესი მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ათვისება და განვითარება, ინოვაციური პოლიტიკის გატარება.

ეკონომიკური უსაფრთხოების გარე ფაქტორებს მიეკუთვნება: ქვეყნის მონაწილეობა საერთაშორისო ეკონომიკაში; ქვეყნის ეკონომიკის მიმზიდველობა და

კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზრებზე, სამუშაო ძალისა და ინტელექტუალური პოტენციალის მიგრაცია, ე.წ. “ტვინების გადინების” პროცესი; გარღვევა საგარეო ვალის სიდიდესა და მისი მომსახურების შესაძლებლობებს შორის; საზღვრების დაცულობა და კონტრაბანდის კონტროლი. ზემოთ აღნიშნული საფრთხეების პრევენცია და დაძლევა საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა როგორც მიმდინარე, ისე გრძელვადიან პერიოდში.

90-იანი წლების დასაწყისში ეკონომისტების წინაშე დაისვა ურთულესი კითხვა, თუ როგორ უნდა მომხდარიყო მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, თანაც ამ გადასვლის თეორიის არარსებობის პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესიდან 28 წელი გავიდა, ამ გადასვლის ერთიანი, ბოლომდე ჩამოყალიბებული თეორია არც დღეისათვის არსებობს. პოსტ-კომუნისტური საქართველოს ეკონომიკა ახლაც გარდამავალ ეკონომიკად მოიხსენიება. პოსტკომუნისტური ქვეყნის ეკონომიკურ რეფორმებში შეიძლება გამოვყოთ ორი სტრატეგია “შოკური თერაპია” და გრადუალიზმი (gradual-თანდათანობითი). “შოკური თერაპიის” მეთოდი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად იქნა გამოყენებული დასავლეთ გერმანიის რეფორმებისათვის, მეორედ კი პოსტკომუნისტურ პოლონეთში, ხოლო შემდგომ მეტ-ნაკლები წარმატებით სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. პოლონეთში შემუშავდა “ბალცეროვიჩის გეგმა”, უნგრეთში - “კუპას გეგმა”, იუგოსლავიაში - “მარკოვიჩის გეგმა”. თანდათანობითი რეფორმების კლასიკურ მაგალითს ჩინეთი წარმოადგენს, სადაც შერბილებული ფორმით შენარჩუნდა კომუნისტური პარტიის რეჟიმი. ჩინური რეფორმის წარმატება აიხსნება შიდა ინვესტიციების მაღალი ხვედრითი წილით მთლიან შიდა პროდუქტში თავისუფალი ეკონომიკური ზონების მეშვეობით, უცხოეთში მცხოვრებ გამოცდილ ჩინელთა ეროვნულ ფერმებში მენეჯერებად მიწვევით, მსხვილ სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებულთა დაბალი დონით. ჩინეთში გრადუალისტური მიდგომის წარმატება განაპირობა ამ ქვეყნის სპეციფიკურმა თავისებურებებმა, რაც არ ადასტურებს გრადუალიზმის უპირატესობას. პოსტსაბჭოთა სივრცეში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გრადუალისტური მიდგომის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია უზბეკეთი. მართალია, ჩინეთისაგან განსხვავებით, უზბეკეთში არ შენარჩუნებულა კომუნისტური რეჟიმი, მაგრამ მის სანაცვლოდ შეიქმნა არანაკლებ ავტორიტარული ტიპის მმართველობითი სისტემა, ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ უზბეკეთი არის ძალიან მდიდარი ქვეყანა (ოქრო, ნავთობი, ხორბალი, ბამბა), რაც ქვეყნის აღმავლობისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. აქედან გამომდინარე, მის წარმატებას მხოლოდ გრადუალისტურ მეთოდს ვერ მივაწერთ, “შოკური თერაპიის” მეთოდს ყველაზე დიდი წარმატება იმ ქვეყნებში მოაქვს, სადაც რეფორმამდელი (შოკამდელი) ეკონომიკური მდგრადობა იმდენად მძიმეა, რომ მოსახლეობა მზადაა, გადაიტანოს ყველაფერი არსებული პრობლემების დასაძლევად, “შოკური თერაპიის” მეთოდის წარმატებით განხორციელება ემყარება პარადოქსს “რაც უარესი - მით უკეთესი”, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საყოველთაოდ აღიარებული მოსაზრება რომლის თანახმადაც, განვითარებული ქვეყნები უნდა დაეხმარონ პოსტკომუნისტურებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სირთულეების დაძლევაში, შეიძლება რეალურად ამ ქვეყნებისთვის რეფორმების მუხრუჭი აღმოჩნდეს, რადგან დახმარებამ (სხვისი ხელის შემყურეობამ) შეიძლება შეასუსტოს და სტიმული დაუკარგოს საბაზრო გარდაქმნებს, ხოლო მთავრობებმა კი რადიკალური რეფორმების განხორციელება გადადონ და დროში გაწელონ. ამიტომ რეფორმატორ მთავრობათა ფინანსური მხარდაჭერა პარალელურად მიბმული უნდა იყოს ეკონომიკურ რეფორმებთან. აქვე შეიძლება

პარალელი გავავლოთ საქართველოსა და ხორვატიას შორის, იგი საქართველოსავით პატარა ქვეყანაა, მასაც კარგი გეოგრაფიული მდებარეობა და მდიდარი ბუნებრივი ლანდშაფტი გააჩნია (ჩვენსავით). ხორვატიამ გამოიარა ომი დამოუკიდებლობისათვის 1991-1995 წლებში, რითაც ქვეყანა ძალიან დაზარალდა. ამჟამად ხორვატია ერთ-ერთი მდიდარი ქვეყანაა ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებს შორის. საერთაშორისო სავალუტო ფონდის კლასიფიკაციით, ხორვატიას მზარდი, განვითარებადი ეკონომიკა აქვს და ადამიანის განვითარების ინდექსის ძალიან მაღალი მაჩვენებელი. ქვეყანამ დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ომის დასრულებისთანავე აიღო ევროპული კურსი. ააღორძინა ტურიზმი, ხორვატიის მომსახურების სფეროში ტურიზმი დომინანტია და ქვეყნის მშპ-ის 20%-ს აწარმოებს, ტურიზმის დადებითი ეფექტი ქვეყნის მთლიან ეკონომიკაზე აისახება. განავითარა ინფრასტრუქტურის წარმოება, კულტურა, განათლება, სპორტი, მისი დიდი სპორტული წარმატება ფეხბურთის წლებანდელ მსოფლიო ჩემპიონატზეც გამოვლინდა, 2003 წლიდან ხორვატიის საგარეო პოლიტიკა ფოკუსირებული იყო მთავარ მიზანზე - გამხდარიყო ევროკავშირის წევრი, რასაც მიაღწია კიდეც და 2013 წელს გახდა ევროკავშირის წევრი ქვეყანა. ამ პატარა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ სწორი და თანმიმდევრული პოლიტიკურ-ეკონომიკური რეფორმებით მოკლე დროში დიდ წარმატებას მიაღწია.

ჩვენს ქვეყანასაც დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნდა და ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ტურიზმის განვითარებისა და აღორძინებისათვის, საქართველოს უკვე მილიონობით ტურისტი სტუმრობს, ბევრად მეტი, ვიდრე მთლიანად მისი მოსახლეობაა. მაგრამ გასაკეთებელი კიდეც ბევრია (ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, აგროტურიზმი და სხვ.), რათა კიდეც უფრო მიმზიდველი გავხადოთ ჩვენი ქვეყანა. ხორვატიის მაგალითი სტიმულის მომცემია ჩვენი ქვეყნისთვის.

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მისი მაჩვენებლების ზღვარს, რომელთა ქვემოთ იწყება ნეგატიური პროცესები და საფრთხის ქვეშ დგება პიროვნებისა და საზოგადოების ნორმალური არსებობა და განვითარება. საბაზრო ეკონომიკა - ეს სხვა არაფერია, თუ არა საბაზრო სტრატეგიითა და საბაზრო მექანიზმებით მართული ეკონომიკა. იგი არავითარ შემთხვევაში არ არის უმართვადობით თავაშვებული ეკონომიკა, რომელიც ყველას და ყველაფერს გადათელავს. იგი თავისუფალია მართვის მბრძანებლობითი უხეში მექანიზმისა და მმართველობითი ბიუროკრატიისაგან. ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა ობიექტური აუცილებლობაა და არა ვინმეს ნებასურვილი, მაგრამ აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ რა ზომით და რა ფარგლებში უნდა ჩაერიოს სახელმწიფო ეკონომიკაში. ამ მხრივ თანაბრად საზიანოა ორი უკიდურესობა: 1) ეკონომიკაში ჩარევის ზომების გადამეტება, “ცხვირის ჩაყოფა” ისეთ სფეროებში, რომელსაც წარმატებით არეგულირებს თვითონ საბაზრო მექანიზმი და 2) მხოლოდ საბაზრო მექანიზმის იმედზე ყოფნა იმ სფეროებში, სადაც სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია. სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია კონკურენციის დაცვაა. კონკურენციის “უხილავი ხელი”, რომელიც არეგულირებს საბაზრო ეკონომიკას, მონოპოლისგან არ არის დაცული. დრამა იმაშია, რომ კონკურენცია თვითონ წარმოშობს თავის ანტიპოდს - მონოპოლის “პირმშოს”, რომელსაც შეუძლია გაანადგუროს “მშობელი”. თუ სახელმწიფო არ დაეხმარა, მონოპოლისტი თვითონ კარნახობს ფასს, რაც საშუალებას აძლევს, მაღალი მოგება მიიღოს არა ტექნოლოგიების სრულყოფით, არამედ იოლი გზით - ფასის მომატებით. ამიტომ კონკურენციის დაცვის მეთოდია ანტიმონოპოლისტური ღონისძიებები და კანონმდებლობა, რომელიც ან საერთოდ კრძალავს მონოპოლიების არსებობას

(ზოგიერთ დარგში), ან ზღუდავს მონოპოლიების ისეთ საქმიანობას, რომელიც ზიანს აყენებს კონკურენციას და პროგრესს, ამიტომ წინა მთავრობის დროს ანტიმონოპოლური სამსახურის გაუქმება იყო არასწორი ნაბიჯი, რაც ახლანდელი მთავრობის მიერ გამოსწორდა. ქვეყნისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, დემოკრატიზაციას, საბაზრო ეკონომიკის თანდათანობით სრულყოფის პროცესს. ცხოვრების დონისა და შემოსავლების მიხედვით საქართველო ჯერჯერობით ისევ ღარიბი ქვეყნების ჯგუფშია, მაგრამ განათლების დონით, ანუ ადამიანისეული კაპიტალით, იგი საშუალოდ განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების ჯგუფს განეკუთვნება. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი საზღვარგარეთ არის გასული, ისინი უცხოეთში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ. ჩვენი ვალთა ისეთი გარემოს შექმნა რომ ჩვენი ინტელექტუალური პოტენციალი მაქსიმალურად გამოვიყენოთ და შევანელოთ ე.წ. “ტვინების გადინების” პროცესი. ჩვენი საუკუნე ცოდნის საუკუნედაა მიჩნეული, ვინაიდან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ინოვაციური ეკონომიკა ცოდნაზე და ინტელექტზეა დაფუძნებული. ცოდნისა და განათლების გარეშე კი გლობალური კონკურენციის პირობებში ქვეყანა წარმატებას ვერ მიაღწევს. საქართველო უძველესი ისტორიისა და კულტურის ქვეყანაა, შოთა რუსთაველის ქვეყანაა, გელათისა და იყალთოს აკადემიები ჯერ კიდევ წინა საუკუნეებში არსებობდა. ამიტომ განათლება, მეცნიერება, კულტურა ჩვენი პრიორიტეტებია და მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ქვეყნის აღორძინებისათვის. გლობალიზაციამ სახელმწიფოები გლობალური გამოწვევების წინაშე დააყენა. გლობალიზაციის დადებითი ეფექტია უპირველეს ყოვლისა გასაღების ბაზრის გაფართოებაში, რაც ქვეყანას აძლევს დიდ შესაძლებლობებს, გააფართოვოს შიდა და გარე ბაზარი ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების გამოყენებით. ბაზრის გაფართოება კი გადამწყვეტ როლს თამაშობს ინვესტიციების მოცულობის ზრდაში. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, არ შეიძლება არ იქნეს გამოყენებული ქვეყნის მსოფლიო მნიშვნელობის გეოპოლიტიკური მდებარეობის რესურსები. ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი ის ძირითადი სატრანსპორტო არტერიებია, რომლებითაც საქართველო უკავშირდება შავი ზღვისპირეთის ნავსადგურებს, ჩრდილოეთ კავკასიას, აზერბაიჯანს, მთელ მსოფლიოს დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით. ეს სატრანსპორტო დერეფანი უდიდეს პერსპექტივების უსახავს საქართველოს.

ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითად სტრატეგიულ მიმართულებად აღიარებულია კონკურენტული ბაზრის შექმნა და დაცვა, რისთვისაც აუცილებელია მოქნილი კანონმდებლობის შემუშავება და ანტიმონოპოლური პოლიტიკის გატარება, პრიორიტეტული დარგების გამოყოფა და მხარდაჭერა, ეროვნული ვალუტის გამყარება, საკუთრების დაცვა, სამამულო პროდუქციის გასაღების ბაზრების დაცვა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც მეტად საჭირობოროტო საკითხია და მთავრობის მხრიდან ყურადღებას საჭიროებს. გენმოდინფიცირებული პროდუქტები ჩვენს ბაზარზე არ არის დიფერენცირებული ნატურალური პროდუქტებისაგან, რაც დიდ საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. დადგენილია, რომ გენური ინჟინერიით წარმოებული პროდუქტები ბევრ საშიშ დაავადებებს იწვევს. ასეთი პროდუქტებით უხვად მარაგდებიან მესამე მსოფლიოს ქვეყნები. აღნიშნული საკითხი დასარეგულირებელია, ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საზოგადოების სოციალურ დაცვას და ისეთ მწვავე თემას, როგორც არის უმუშევრობა. უმუშევრობა ქვეყანაში წლების მანძილზე გადაუჭრელ პრობლემად რჩება სოციალურად დაუცველ პირთათვის, რომელნიც სოციალურ დახმარებას იღებენ.

მთავრობამ მეტად სწორი გადაწყვეტილება მიიღო იმის შესახებ, რომ თუ სოციალურად დაუცველი პირი დასაქმდება და მუშაობას დაიწყებს, მას ერთი წლის განმავლობაში არ შეუწყდება სოციალური დახმარება. აღნიშნული კონტინგენტი სამსახურს აღარ ეძებდა იმის შიშით რომ არსებული დახმარება არ დაეკარგა და იქმნებოდა “მოჯადოებული წრე”. ეს ახალი გადაწყვეტილება კი ადამიანს სტიმულს აძლევს, რომ დასაქმდეს და მუდმივად არ იყოს მიზმული სახელმწიფოს დახმარებაზე. სულ ცოტა ხნის წინ სახელმწიფომ ინოვაციების განვითარების კუთხით მეტად სასარგებლო ნაბიჯი გადადგა, კერძოდ კახეთის რეგიონში გაიხსნა ტექნოპარკი. აუცილებელია ქვეყანაში შემუშავდეს სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნიკური და საინფორმაციო პოლიტიკა. ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე განისაზღვროს ინოვაციური მიმართულებები და პრიორიტეტები ქვეყნის პოტენციალის გათვალისწინებით. ა. მედსონმა დაადგინა, რომ განათლებაში ჩადებული ინვესტიციების 1%-ით ზრდა იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 35%-ით ზრდას. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ განათლება და მეცნიერული ცოდნა ქმნის დამატებით ღირებულებას, რაც ქვეყნის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია. 2011 წელს ევროკომისიამ მიიღო ახალი პროგრამა “ჰორიზონტი 2020” სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების ჩარჩო-პროგრამა, რომელმაც მოქმედება დაიწყო 2014 წლიდან. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 80 მილიარდ დოლარს, პროგრამა მოიცავს 3 პრიორიტეტულ მიმართულებას, ესენია: 1) მოწინავე მეცნიერება (Excellent Science), რაც მოიცავს მხარის დაჭერას: ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერებისათვის ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად ევროპის კვლევითი საბჭოს ხაზით. თანამედროვე კვლევისადმი პერსპექტიულ დარგებში და მომავლის რადიკალურად ახალი ტექნოლოგიების შემუშავებისადმი; მარია კიურის პროგრამის ჩარჩოში საკადრო პოტენციალის სრულყოფისადმი; აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ მარია კიურის ორჯერ მიენიჭა ნობელის პრემია, პირველად ფიზიკის დარგში 1903 წელს (ცოლ-ქმარ პიერ და მარია კიურებს), მეორედ ქმრის სიკვდილის შემდეგ 1911 წელს ქიმიკაში.

1995 წელს “ზანკ დე ფრანსმა” გამოუშვა 500 ფრანკიანი კუპიურები ფიზიკოსების - პიერ და მარია კიურების გამოსახულებით. მარია კიური მიჩნეულია მსოფლიოს ყველა დროის გამოჩენილ ქალად. ჩინეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქის ტამარი მოხატულია `კაცობრიობის კეთილისმყოფელთა სურათებით. ნიუტონის, დეკარტეს, ბუდას და ჩინეთის გამოჩენილ იმპერატორთა გვერდით არის მარია კიურის პორტრეტიც. მსოფლიო ყველა დროში მიაგებდა პატივს გამოჩენილ ადამიანებს; 2) ინდუსტრიული ლიდერობა (Leadership in enabling and industrial technologies) - ინვესტირება ისეთ ახალ და სამრეწველო ტექნოლოგიებში, როგორცაა: საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მიკრო და ნანოელექტრონიკა, ფოტონიკა, ნანოტექნოლოგიები; ახალი მასალები; ბიოტექნოლოგიები; წარმოების ეფექტიანი პროცესები; კოსმოსი; 3) სოციალური გამოწვევები (Societal challenges) - კვლევებისა და ინოვაციების შედეგების ამაღლება შემდეგ სფეროებში: ჯანდაცვა, დემოგრაფიული ცვლილებები და კეთილდღეობა; კვების პროდუქტები, სოფლის მეურნეობა, ეკოსისტემები და ბიოეკონომიკა; ეკოლოგიურად სუფთა, ინტელექტუალური ტრანსპორტი; კლიმატის გავლენა, რესურსების გამოყენების ეფექტიანობა, ნედლეული, ევროპის ქვეყნებში პროგრესული საზოგადოების მოწყობა, რაც უზრუნველყოფს თავისუფლებას, უსაფრთხოებასა და ყველასათვის თანაბარ შესაძლებლობებს. პროგრამის ასოცირებული წევრებია: ისრაელი, საქართველო, სომხეთი, ალბანეთი, მაკედონიის რესპუბლიკა, ჩერნოგორია, ნორვეგია, სერბია, თურქეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მოლდოვა, შვეიცარია, ტუნისი.

ქვეყნის უსაფრთხოებისათვის უმნიშვნელოვანესია შიდა ბაზრის დაცვა და პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება. რეგიონებში ინფრასტრუქტურის განვითარება და სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, რაც ხელს შეუწყობს შრომითი რესურსების ადგილზე დამაგრებას. აღსანიშნავია რომ ქვეყანაში წარმატებით მოქმედებს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ, რაც ქვეყნისთვის მეტად სასარგებლო და მასშტაბური პროექტია, მან ბევრი სიკეთე მოუტანა აღნიშნულ რეგიონებს. ფონდ “ქართუს” დაფინანსებით ხორციელდება საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტი, რაც ინოვაციური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტია, მაღალსიჩქარიანი და იაფი ინტერნეტი ხელმისაწვდომი იქნება ყველა რეგიონისთვის. ქვეყანაში წარმატებით მოქმედებს საყოველთაო უფასო ჯანდაცვის პროექტი, რამაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე იხსნა, ასევე ცეკეპატივის ელიმინაციის პროგრამა, რომელმაც უამრავი ადამიანი განკურნა. სკოლის მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან უფასო სახელმძღვანელოებით. მთავრობა ძალისხმევას არ იშურებს ქვეყანაში ეკონომიკური ფონდის გასაუმჯობესებლად, ისეთი ღარიბი და პატარა ქვეყანა, თანაც “პოსტ საბჭოთა” როგორც ჩვენია, რამდენიმე წელიწადში ნამდვილად ვერ დაეწევა განვითარებულ ქვეყნებს, თანაც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ჩვენ ისევ გარდამავალი ეკონომიკის ეტაპზე ვიმყოფებით, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან სწორი, თანმიმდევრული, ეროვნულ ეკონომიკაზე მორგებული ისეთი რეფორმების გატარება, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას შეუწყობს ხელს, შექმნის სამუშაო ადგილებს, განავითარებს მცირე ბიზნესს და ა.შ. ზემოთ მოვიყვანეთ მაგალითი, თუ როგორ მიაღწია წარმატებას პატარა პოსტსაბჭოთა ქვეყანა ხორვატიაში. აქვე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ახალი აღთქმა და ფსალმუნები 1992 წელს ქართულად დაიბეჭდა ხორვატიაში, ზაგრებში “გრაფიჩკი ზავოდ პრვატსკი” (Printed in Croutia by GZH Zagreb). ხორვატიაში მაღალ დონეზეა განვითარებული ტიპოგრაფია, მრავალი წიგნი და ჟურნალი გამოდის ყოველწლიურად. აქვთ რამდენიმე უმსხვილესი კომპანია და საგამომცემლო საქმიანობით ლიდერია რეგიონში. იმართება წიგნის ბაზრობები. ხორვატია 2001 წელს მიუერთდა, საყოველთაოდ ცნობილ “ბოლონიის პროგრამას”, საქართველო - 2005 წელს. ცალკე აღნიშვნის ღირსია საქართველოს უდიდესი წარმატება წლევეანდელი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, სადაც საქართველომ ღირსეულად წარმოაჩინა თავისი ლიტერატურა, ხელოვნება, ქვეყნის მიღწევები თითქმის ყველა დარგში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ ნამდვილი ფურორი მოახდინა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ქვეყნის ცნობადობა და რეიტინგი მსოფლიო დონეზე. აღნიშნული ფაქტი ხელს შეუწყობს კიდევ უფრო მეტ ვიზიტორთა მოზიდვას და ტურიზმის აღმავლობას ქვეყანაში.

ქვეყნის ცხოვრებაში ხშირად წამოიჭრება ხოლმე კითხვა, რომელი საქმეებია პრიორიტეტული ერისთვის - საშინაო თუ საგარეო? ამ საკითხთან დაკავშირებით გვახსენდება დიდი მამულიშვილის ნიკო ნიკოლაძის სიტყვები. მისი აზრით, `ერისთვის (განსაკუთრებით მცირერიცხოვანი ერებისთვის) უფრო პრიორიტეტული საშინაო პრობლემების მოგვარებაა, რადგან უმნიშვნელოვანეს საგარეო და ეკონომიკურ საკითხებს მსოფლიოში სულ 5-6 ქვეყანა წყვეტს, დანარჩენებს კი სტატისტიკის როლი აქვთ განკუთვნილი, მათ შორის - ჩვენც, მხოლოდ შინაგანი საქმეების გონივრულად და დამაკმაყოფილებლად მოგვარება უზრუნველყოფს გარედან მოსალოდნელ საშიშროებათა გამკლავებას და მოგვიტანს საგარეო დიდებას. თუკი ჩვენს საკუთარ სახლში არ დავაკმაყოფილებთ აუცილებელ მოთხოვნებს, თუკი ხელს მივყოფთ საკუთარი ინტერესების სისტემატურ იგნორირებას, მაშინ ეს გარემოება ადრე თუ გვიან სამხედრო წარმატებებზეც კი უდავოდ დამასუსტებელ გავლენას იქონიებს. თუ სხვის

იმედსა და დახმარებაზე დავამყარებთ ქვეყნის მომავალს და ხელს და ჭკუას არ გავანძრევთ, ევროპის სახელმწიფოები საქართველოს ან ალჟირივით დაიმონებენ, ანდა ინდოჩინეთივით ძარცვას დაიწყებენ, დიდი მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ევროპულ განათლებას. მან შვეიცარიაში ყოფნის დროს დაამთავრა ციურიხის უნივერსიტეტი (იქამდე პეტერბურგის უნივერსიტეტი) და დაიცვა დისერტაცია ისეთ ზოგადსაკაცობრიო თემაზე, როგორცა “განიარაღება და მისი ეკონომიკური და სოციალური შედეგები”, რისთვისაც მიენიჭა ციურიხის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი, აღნიშნული ნაშრომი კი ცალკე წიგნად გამოვიდა ჟენევაში ფრანგულ ენაზე. ნ. ნიკოლაძე წერდა - “მხარში რომ ამოუდგე ევროპულ ქვეყნებს, იგივე გზა უნდა გაიარო, რაც გაიარეს სხვებმა - ევროპული განათლებისა და მეცნიერების დანერგვა, თავაუღებელი შრომა. ევროპული წესი და ცხოვრება, ევროპული მეცნიერება ჩვენ სამაგალითოდ უნდა მიგვაჩნდეს”. აქვე ნ. ნიკოლაძეს მოჰყავს პატარა ქვეყნების - შვეიცარიისა და ჰოლანდიის მაგალითი, თუ როგორ მიაღწიეს ამ პატარა ქვეყნებმა დიდ წარმატებას თავდაუზოგავი შრომით, ცოდნითა და თავისი ქვეყნის სიყვარულით. ჰოლანდიელებმა დაჭაობებული მიწებიც კი წალკოტად აქციეს. ნ. ნიკოლაძის მოსაზრებები საუკეთესო რჩევებია ჩვენი დღევანდელი და არასოდეს დაკარგავს აქტუალობას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არც გლობალიზაცია - “ახალი მსოფლიო წესრიგი” - გუშინ არ დაწყებულა. მასზე საუბარი ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე დაიწყო 1921 წელს დაარსდა “საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭო” (The Council of Eoreign Relations), რომელშიც გაერთიანდნენ დასავლეთის ყველაზე გავლენიანი ადამიანები. მისი დამაარსებელი იყო ამერიკელი უმსხვილესი ბანკირი მორგანი. საბჭოს ამოცანა იყო “პლანეტარული მასშტაბის ამერიკული სტრატეგიის შემუშავება და სრულიად მსოფლიო ხელისუფლების შექმნა (საბოლოო მიზანი)”. 50-იანი წლებიდან საბჭოს მთავარ ფიგურად გადაიქცა როკფელერი. შემდეგ შეიქმნა შვილობილი სტრუქტურები. 1954 წელს ბილდბერგის კლუბი (The Bild enbergers) და 1971 წელს სამმხრივი კომისია (Trilateralis) ამ პროცესების აქტიური მხარდაჭერი იყო ზბიგნევ ბჟეზინსკი, აშშ-ის პრეზიდენტთა მრჩეველი ნაციონალური უსაფრთხოების დარგში. იგი ერთ-ერთ თავის სტატიაში (“ნიუ-იორკ მეგზინ”) წერდა: “ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს მსოფლიო მისწრაფვის ერთიანობისაკენ, რომელსაც ესოდენ დიდხანს ველოდით... ახალი მსოფლიო ღებულობს გლობალური მთლიანობის ფორმას... დასაწყისში ეს განსაკუთრებით შეეხება მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგს”. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ რომ ერთდოლარიან კუპიურაზე პირამიდის ქვეშ დატანილია წარწერა: “ახალი მსოფლიო წესრიგი” („Novus Ondo Seclorum“) დოლარი დიდი ხანია ასრულებს მსოფლიო ფულის ფუნქციას.

გლობალიზაცია მართლაც თავისი მასშტაბებით გლობალური თემაა და ვრცლად ვერ შევხებით. დიდი ხანია აზრი ორადაა გაყოფილი გლობალისტებსა და ანტი-გლობალისტებს შორის. ზემოთ შევხეთ გლობალიზაციის დადებით მხარეებს, თუმცა “მედალს ორი მხარე აქვს” და აღნიშნული პროცესი პატარა და განვითარებადი ქვეყნისთვის უფრო დიდი გამოწვევაა, ვიდრე დიდი განვითარებული ქვეყნებისთვის. ღია ეკონომიკის პირობებში ქვეყანა გლობალური ფერხულიდან ვერ ამოვარდება და იზოლაციაში ვერ მოექცევა. მაგრამ ახლა უფრო მეტადაა აუცილებელი ქვეყნის ეროვნულ იდეოლოგიის განმტკიცება და შენარჩუნება, მასზე მორგებული ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. ქვეყანამ ნამდვილად უნდა მოძებნოს ისეთი “ოქროს შუალედი”, რომელიც არც გლობალიზაციის პროცესიდან ამოაგდებს და თვითმყოფადობას შეუნარჩუნებს. აქვე მოვიყვანთ ანტიგლობალურ პროგნოზს, რომელიც მეტად არასახარბიელოა, მაგრამ ყველა აზრს აქვს არსებობის უფლება:

“გლობალიზაციის თეორია იხსნის თავის ინგლისურენოვან ნიღაბს და ჩნდება მონდეალიზმი - სინთეზური რელიგია. იგი ქადაგებს ერთიანი კაცობრიობის რწმენას, რომელიც წარმოადგენს საერთო პლანეტარულ, უნიტარულ, ბიოლოგიურ პოპულაციას და თეორიულად არგუმენტირებული და “დამტკიცებულია” ამ პოპულაციის ერთი ცენტრიდან მართვის, ანუ მსოფლიო ხელისუფლების აუცილებლობა. და ეს იქნება ისე, როგორც ყველა ხვდება, “რჩეული ხალხის” ძალაუფლება, რომელიც თავის მისიას ელის” - წერს ბერდიაკონი აბელი (სემიონოვი). აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ ინოვაციების საუკუნეში ნანოტექნოლოგიები ისეთი მასშტაბების მძლავრი იარაღია ადამიანის ხელში, რომელსაც, როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, შეუძლია თვისებრივად შეცვალოს ყველაფერი, მთელი პლანეტაც კი და თუ კეთილ მიზნებს არ მოხმარდა, შეიძლება ადამიანთა მასობრივი განადგურების იარაღად იქცეს. გამოწვევები ბევრია და საფრთხეებიც. თვითგადარჩენის და თვითშენახვის ინსტინქტი ადამიანში ყველაზე ძლიერია, თავის გადარჩენისთვის ბრძოლა კი მუდმივი. სტატეის დავამთავრებთ ნიკო ნიკოლაძის სიტყვებით: “კერძო პირსაც, საზოგადოებასაც, ერსაც, თავისი ცხოვრება, ბედი და იმედი მარტო საკუთარ შრომასა და ღონეზე უნდა ჰქონდეს დაფუძნებული. მარტო ეს სამირკველია შეურყეველი, მარტო მასზე შენდება მტკიცედ საკუთარი შენამედიც და სხვისი დანახმარიც”.

დასკვნა

გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია ინოვაციების გარეშე. გლობალური კონკურენციის პირობებში ქვეყანა ახალი გამოწვევების წინაშე დგას. ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა და სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., ინოვაციები - ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული მთავარი ფაქტორი, კონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი. 2014.
2. პაპავა ვ., არატრადიციული ეკონომიკისი. თბილისი. 2011.
3. თეთრაული ც., ეკონომიკური განვითარების ზოგადი ტენდენციები. ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი. 2016.
4. ბერდიაკონი აბელი (სემიონოვი), გლობალიზაციის ანტიქრისტიანული არსი. როგორ გადავიტანოთ ღვთის რისხვა. გამომცემლობა “აცხოვნე სული შენი”. თბილისი, 2008.
5. თეთრაული ც., ხორვატიის ინოვაციური პოლიტიკა. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული ტ. IX. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი. 2016.

THE MAIN PROBLEMS OF ECONOMIC SECURITY
Summary

In the modern world economy, the level of development of the national economy is unimaginable without integration into the global economic space, which puts all countries on new challenges. The work deals with the peculiarities and difficulties of transition to the market economy in the post-soviet countries. Although nearly 30 years have passed, this transformation model is not yet developed. The paper describes methods of transition to the market economy. Experiences of other countries are presented on this path, such as the achievements of Croatia - a small country like ours, which in the 90s was very damaged, but despite this it was able to step up and become a member of the EU; It is called innovative economy of the modern economy is called because it is impossible to reach sustainable economic development without innovations. As great the challenges are, more are threats, so economic security is directly related to the stable development of the country and the strengthening of statehood. The economic security is influenced by internal and external factors which are of great importance for the economic development of the country. Economic security strategy developed in all advanced countries. The country has achieved significant success in the field of tourism, but the government has implemented a number of useful projects in terms of economic development. The Universal Free Health Care saved the lives of many people; The government has adopted the law for the development and rehabilitation of high mountainous regions; The project of universal Internetization is funded by `Cartu~ Foundation. TechnoPark has been opened in the Kakheti region; Georgia has a triumph at the Frankfurt Book Fair, which has increased the international rating and recognition of our country. It is necessary to support the education and science on behalf of government, since the XXI century is a century of knowledge, and the development of innovative economics is impossible without education, knowledge and science.

ლია დვალიშვილი
ეკოლოგიური და სასურსათო უსაფრთხოების საყოველთაო პრობლემები

ანოტაცია. ნაშრომში მიმოხილულია ეკონომიკური უსაფრთხოების არსისა და მნიშვნელობის, ასევე ეკოლოგიური და სასურსათო უსაფრთხოების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შესახებ. მითითებულია ამ პრობლემათა სიმწვავისა და საზოგადოებაზე ზემოქმედების მასშტაბებზე.

ვრცლად მიმოხილულია ადამიანის ბუნებაში ჩარევის მოცულობასა და მის შედეგებზე, ზოგადად გლობალურ პრობლემებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირსა და გლობალურ გარემოში საზოგადოების საქმიანობის შედეგებზე.

გამოკვეთილია სასურსათო პრობლემის არაერთგვაროვნება, „მწვანე რევოლუციის“ დადებითი და უარყოფითი მხარეების არსებობა.

განხილულია ბუნებრივი რესურსების წარმოებაში სულ უფრო მეტი რაოდენობით ჩართვის შედეგად ექსტერნალიების საზოგადოებრივ განვითარებაზე უარყოფითი გავლენის შესახებ.

აღნიშნულია XXI საუკუნეში საზოგადოების მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობების შესახებ, თუ რაზე უნდა გაკეთდეს განსაკუთრებული აქცენტი.

მითითებულია, როგორ უნდა რეგულირდეს ეკოლოგიური და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, როგორ უნდა შეფასდეს ეკონომიკური უსაფრთხოება და რას უნდა ითვალისწინებდეს ეკოლოგიური და სასურსათო დისბალანსის ლიკვიდაცია, ეკოლოგიური და სასურსათო წონასწორობისკენ სწრაფვა.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური უსაფრთხოება, ეკოლოგიური უსაფრთხოება, სასურსათო უსაფრთხოება, ექსტერნალიები, მდგრადი განვითარება, ეკოლოგიური კვალი, მწვანე რევოლუცია, ეკოლოგიური წონასწორობა, ალტერნატიული ტექნოლოგიები, გლობალური პრობლემები.

* * *

ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა ნებისმიერ პერიოდში იყო საზოგადოების ყურადღების ცენტრში, მაგრამ განსაკუთრებულ აქტუალობას XXI საუკუნეში იძენს, რასაც მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების მთელი კომპლექსი განაპირობებს.

ეკონომიკური უსაფრთხოება ქვეყნის სტაბილური განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. იგი იცავს ქვეყნის ეკონომიკას იმ შიდა და გარე ნეგატიური ფაქტორებისაგან, რომლებიც საფრთხეს უქმნის ეკონომიკის მდგრად განვითარებას, რესურსული და ტექნოლოგიური პოტენციალის შენარჩუნებას.

დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და უდიდეს გავლენას ახდენს თავდაცვით, ეკოლოგიურ, ინფორმაციულ, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ, სოციალურ, სასურსათო, დემოგრაფიულ, ინვესტიციურ, საგარეო და ა.შ. უსაფრთხოებაზე და მათთან ერთად ქმნის ეროვნულ უსაფრთხოებას. შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული უსაფრთხოების საერთო სისტემაში განმსაზღვრელი ადგილი ეკუთვნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია არის ქვეყნის სტრატეგია მდგრადი და მუდმივად განვითარებადი ეკონომიკით, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკური მთლიანობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის განმტკიცებას, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობისათვის სათანადო პირობების შექმნას, რესურსული პოტენციალის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე განვითარებას. ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია უკავშირდება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანებს და ეყრდნობა ქვეყნის განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ მოდელს.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე უდიდეს გავლენას ახდენს ბუნებათსარგებლობის პრობლემები, ეკოლოგიურთან ერთად დიდია სასურსათო უსაფრთხოების გავლენაც.

ეკოლოგიური და სასურსათო უსაფრთხოება უკავშირდება არა მხოლოდ საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესების დაცვას იმ შიდა და გარე უარყოფითი ეფექტებისაგან, ექსტერნალიებისაგან, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ქვეყნის ეკონომიკური სისტემის მყარ ფუნქციონირებას, არამედ უარყოფით გავლენას ახდენს დემოგრაფიულ პროცესებზე.

გლობალური მნიშვნელობის ეს პრობლემები მსოფლიოს ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილები და ზოგადსაკაცობრიო პრიორიტეტული მიმართულებებია. მათი სიმწვავე კიდევ უფრო გააძლიერა საზოგადოების გარემოზე ზემოქმედების ამჟამინდელმა მასშტაბებმა, რამაც რეალური საფრთხის წინაშე დააყენა მსოფლიოს განვითარება.

თანამედროვე ეტაპზე აქტუალური გახდა და ფართოდ გავრცელდა გამოთქმა „გლობალური პრობლემების“ ეპოქა.

გლობალურ პრობლემებს საკაცობრიო მნიშვნელობა აქვს და უდიდეს გავლენას ახდენს მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. მსოფლიო მეურნეობას

გააჩნია აუცილებელი რესურსები კაცობრიობის იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც ადამიანის ცხოვრების და საქმიანობის პირობებს ეხება და მათ აწმყოსა და მომავალს საფრთხეს უქმნის.

ზოგიერთი შეფასების შესაბამისად, კაცობრიობის თითქმის 300 პრობლემას გლობალური ხასიათი აქვს.

ეკონომიკური უსაფრთხოების უმთავრეს გლობალურ პრობლემებს შორისაა ეკოლოგიური და სასურსათო პრობლემები.

თანამედროვე მსოფლიოში არსებული ეკოლოგიური ვითარება გასცდა პრობლემის არსს და უკვე კრიზისულია. დღევანდელი ეკოლოგიური კრიზისი საზოგადოების მოთხოვნებსა და ბიოსფეროს რესურსულ-ეკოლოგიური შესაძლებლობების ღრმა შეუსაბამობაში ვლინდება.

კაცობრიობა თავისი არსებობის განმავლობაში მჭიდრო კავშირშია ბუნებასთან და მუდმივად იყენებს მის რესურსებსა და სიმდიდრეებს: სითბოსა და ტენს, ნიადაგს, ხეტყეს, წყალს, სასარგებლო წიაღისეულს და სხვ.

ადამიანის ბუნებაში ჩარევამდე „ეკოლოგიური ჰარმონია“ იყო. ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ ადამიანი დაიწყებდა აზროვნებას, შრომის იარაღების დამზადებას. მისმა არასწორმა შრომითმა საქმიანობამ ეს წონასწორობა დაარღვია, რასაც ბუნებამ სხვადასხვა სტიქიებითა და კატაკლიზმებით უპასუხა.

ათასწლეულების განმავლობაში ადამიანი მუდმივად ავითარებდა თავის ტექნიკურ შესაძლებლობებს, ძლიერდებოდა და ფართოვდებოდა მისი ბუნებაში ჩარევის მასშტაბები და, ამასთან, ყურადღების მიღმა რჩებოდა ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორცაა ბიოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება.

თანამედროვე მსოფლიოს ეკოლოგიური პრობლემა, სიმწვავესთან ერთად, მეტად მრავალმხრივიცაა. ფაქტობრივად, ის მატერიალური წარმოების თითქმის ყველა დარგში და პლანეტის თითქმის ყველა რეგიონში ვლინდება. ძირითადი ეკოლოგიური პრობლემების რიცხვს მიეკუთვნება: კლიმატის შეცვლა; ოზონის შრის ამოწურვა; ტოქსიკური დაბინძურება; ნიადაგის მჟავიანობის გაზრდა; ქალაქებში გარემოს ხარისხის გაუარესება; საფრთხის შექმნა ბიომრავალფეროვნებისა და კულტურული ლანდშაფტებისათვის; წყლის, ტყის და თევზის რესურსების ხარისხის და ოდენობის ამოწურვა; ნიადაგის დეგრადაცია (ეროზია, გაუდაბნობა, დამლაშება).

გარემომცველი ბუნება ნამდვილად „დაავადდა“. მაგალითად, კატასტროფული მასშტაბები მიიღო ტყეების განადგურების პროცესმა. დღეისათვის მსოფლიო ტყეების ნახევარი გაჩეხილია, დარჩენილი ტყეების 30% არადაამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. დედამიწაზე ხე-ტყის ჭრა რეკორდული სიჩქარით მიმდინარეობს: წუთში დაახლოებით 20-30 ჰა ტყე იჭრება, რაც 18-ჯერ აღემატება ტყის ბუნებრივ ნამატს. 1950-იანი წლებიდან გლობალური მოთხოვნა წყალზე 3-ჯერ გაიზარდა; გრუნტის წყლების მოცულობა და ხარისხი უარესდება, რაც წყლის გაუმართლებლად მაღალი ამოქაჩვით, სასუქების და პესტიციდების ჩადინებით და სამრეწველო ნარჩენების გაჟონვით აიხსნება. მსოფლიოში მოსახლეობა, რომელიც წყლის რესურსების დეფიციტს განიცდის, 0.5 მლრდ ადამიანს შეადგენს, 2025 წლისათვის მათი რიცხვი შესაძლოა 2.4-3.4 მლნ ადამიანამდე გაიზარდოს. მყარი საწვავის მოხმარების შედეგად ნახშირორჟანგის დონე დღეს 18%-ით უფრო მეტია, ვიდრე 1960 წელს და 31%-ით მეტი, ვიდრე 1750 წელს (ანუ სამრეწველო რევოლუციის დასაწყისში) იყო (1850 წლამდე ატმოსფეროში ნახშირორჟანგის შემცველობა მილიონში 280 იყო. 2004 წლისათვის ეს ციფრი 337-მდე გაიზარდა, 2010 წლისათვის კი დაახლოებით 540-970-ს მიაღწია. ეს ტენდენცია უარყოფითად მოქმედებს დედამიწის კლიმატზე. ჰაერში

ნახშირორჟანგის შემცველობის მომატება ხელს უწყობს დედამიწის გრძელტალღოვანი გამოსხივების შემცირებასა და მისი ტემპერატურის მომატებას).

რეგიონული და გლობალური დათბობა იწვევს ყინულის მასების დადნობას და ოკეანეების ფართობების ზრდას, რის შედეგად ზღვის დონე 10-12 სმ-ით იწვევს. ცოცხალ ორგანიზმებში გროვდება მდგრადი ორგანული და ტოქსიკური დაბინძურება. მრავალი სახეობა სამუდამოდ გაქრა, მთლიანად ეკოსისტემები განიცდის დეგრადაციას.

ყოველ საათში ჩვენს პლანეტაზე დაახლოებით 700 ჰა ნაყოფიერი მიწის გაუდაბნობა ხდება, დაახლოებით 2000 ბავშვი კვდება შიმშილით, 55 ადამიანი იწამლება და კვდება პესტიციდებითა და სხვა ქიმიური ნივთიერებებით, 1000 კაცი იღუპება დაჭუჭყიანებული წყლით, 2000 ტ მჟავური წვიმა მოდის ჩრდილოეთ ნახევარსფეროში (1852 წელს შოტლანდიელმა ქიმიკოსმა რობერტ ანგუს სმითმა მანჩესტერში (ინგლისი) პირველმა უჩვენა, რომ არსებობს კავშირი მჟავე წვიმასა და დაბინძურებულ ატმოსფეროს შორის. ეს პროცესი ბუნებრივ წვიმასთან შედარებით წვიმის წყლის მჟავიანობის მომატებას გულისხმობს. მჟავური წვიმების შედეგად ნადგურდება და იღუპება მცენარეები და ცხოველები), მცენარეული და ცხოველური სამყაროს 5-6 სახეობის წარმომადგენელი ქრება.

დედამიწაზე ყოველ წუთს 20 ჰა ტროპიკული ტყე ნადგურდება, 5500 ტ ნავთობი გამოიყენება, 50 ტ ნაყოფიერი ნიადაგი ნადგურდება არასწორი სამეურნეო გამოყენების შედეგად, ატმოსფეროში 12000 ტ ნახშირორჟანგი გამოიყოფა.

ცნობილია, რომ ჩვენი პლანეტის მოსახლეობის დაახლოებით მეხუთედი მომწამვლელი აირებით გაჭუჭყიანებული ჰაერით სუნთქავს. ძირითადად ეს არის მხუთავი აირები: ნახშირორჟანგი, გოგირდის ორჟანგი და სხვ. შედეგად, მოიმატა გულისა და ფილტვების დაავადებებმა, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოზარდებში.

ბოლო საუკუნის განმავლობაში საგრძნობლად მოიმატა კანის კიბოთი დაავადებულ ადამიანთა რიცხვმა, რაც დაზიანებული ოზონის შრიდან გამომავალი მავნე ულტრაიისფერი სხივების შედეგია.

გარდა ამისა, საზოგადოებრივი და ბუნებრივი სისტემები ძალზე მგრძნობიარეა ბუნებრივი და ანთროპოგენური სტიქიური უბედურებებისა და კატასტროფების მიმართ.

კაცობრიობის განვითარების პერიოდში არაერთი ეკოლოგიური კატასტროფა დაფიქსირდა, რომლებთანაც მილიონობით ადამიანის მსხვერპლი და უდიდესი ნგრევაა დაკავშირებული. ეკოლოგიური კატასტროფების დიდი ნაწილი ბუნებრივი წარმოშობისაა და ადამიანი, მიუხედავად თანამედროვე ტექნიკისა, მათ შეჩერებას ვერ ახერხებს.

ტექნოგენური კატასტროფები სახეს უცვლის გარემოს და ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას. არცთუ იშვიათად, მათი ზემოქმედებით ბუნებრივ გარემოში კრიტიკული სიტუაცია იქმნება და შეუქცევადი პროცესები ვითარდება. ტექნოგენური კატასტროფების რიცხვი და გამოვლინების მასშტაბები განსაკუთრებით XX ს-ის 50-იანი წლებიდან გაიზარდა.

პლანეტის მოსახლეობა წელიწადში თითქმის 1.6%-ით იზრდება. კიდევ უფრო მაღალია სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპები, დაახლოებით 3.3-3.5%-ით წელიწადში, ანუ 2-ჯერ უფრო მეტი მოსახლეობის ზრდის ტემპებთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება ის დარგები, რომლებიც ყველაზე მეტ გავლენას ახდენს ჩვენი პლანეტის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. ესენია: ნავთობგადამუშავება და ნავთობ-ქიმია, ენერგეტიკა, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის დარგები და ატომური ინდუსტრია,

რომლის განვითარების თანამდევი პრობლემა რადიაქტიური ნარჩენების დამარხვაა, ასევე ეკოლოგიურად ყველაზე „საიმედო“ დარგი - სოფლის მეურნეობა, სადაც „მწვანე რევოლუციის“ მეთოდების ფართო გამოყენებამ მთელ რიგ განვითარებად ქვეყნებში მნიშვნელოვნად გაამწვავა ეკოლოგიური ვითარება, თვით ეკოლოგიურად ყველაზე „სუფთა“ რეგიონებშიც კი.

დედამიწაზე სულ უფრო მეტად იზრდება ტექნოსფეროს ზეწოლა ბიოსფეროზე, სულ უფრო მეტად მცირდება ბუნებრივი ლანდშაფტები; სახემეცვლილი და მთლიანად გარდაქმნილი ლანდშაფტების საზღვრები კი ფართოვდება. ამ პროცესმა თითქმის მთელი დედამიწა მოიცვა და ისტორიაში არნახული ტემპებით ვითარდება.

მოსახლეობის დინამიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული მთელ რიგ გლობალურ პრობლემებთან, უპირველეს ყოვლისა კი, სიღარიბის, სასურსათო და ეკოლოგიურ პრობლემებთან.

თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილი ჯანსაღი ცხოვრებისათვის აუცილებელი ძირითადი პირობების უკმარისობას განიცდის. თითქმის 1.3 მლრდ ადამიანი ცხოვრობს აბსოლუტური სიღატაკის პირობებში, 840 მლნ ადამიანი კვების პროდუქტების და თითქმის 1.4 მლრდ ადამიანი სასმელი წყლის უკმარისობას განიცდის.

გლობალურ პრობლემებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს და ისინი ერთ მთლიან „ჯაჭვს“ ქმნიან. შეუძლებელია რომელიმე ერთი მათგანის გადაწყვეტა მეორის გარეშე და ა.შ.

ადამიანთა საზოგადოების საქმიანობას გლობალურ გარემოში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს და ეკოლოგიურ პრობლემებს ზრდს. მოსახლეობის ცხოვრება და საქმიანობა იწვევს გლობალური კლიმატის შეცვლას, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არაგანახლებადი რესურსების დაკარგვას, ბუნებრივი გარემოს დაბინძურების ზრდას.

ეკოსისტემებზე ანთროპოგენური წნეხის შეფასებისათვის შემოღებული ცნება „ეკოლოგიური კვალი“ შესამჩნევად განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნებში, რასაც ინდუსტრიალიზაციის დონე და მოხმარების მოდელები განაპირობებს. საშუალო სტატისტიკური ადამიანის „ეკოლოგიური კვალი“ მაღალი შემოსავლის ქვეყანაში თითქმის 6-ჯერ მეტია, ვიდრე დაბალი შემოსავლების ქვეყანაში და გაცილებით მეტია იმ „კვალზე“, რომელსაც ტოვებს ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში.

მსოფლიოს „ეკოლოგიური კვალი“ - ეს არის ფუნქცია მოსახლეობის რიცხვიდან, მოსახლეობის ერთ სულზე რესურსების საშუალო მოხმარებიდან და გამოყენებული ტექნოლოგიის ენერგოტევადობიდან (3, გვ. 219).

მეცნიერთა გარკვეული ნაწილის აზრით, დღეს კაცობრიობას უფრო მეტად უნდა აწუხებდეს არა ფინანსური თუ იპოთეკური კრიზისი, არა სეპარატიზმი თუ ადამიანთა უფლებები, არამედ ჩვენი სამყაროს ნომერ პირველი პრობლემა - ეკოლოგიური კრიზისი. მის მიზეზად ზოგიერთი ექსპერტი ადამიანთა რაოდენობის ზრდას ასახელებს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დემოგრაფიული პრობლემა დაკავშირებულია იმასთან, რომ დედამიწის მოსახლეობის ზრდა წინ უსწრებს ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას, რის გამოც მძაფრდება სასურსათო და სხვა პრობლემები, რომლებიც მრავალი ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლეს უქმნის საფრთხეს.

საყურადღებოა ისიც, რომ ექსპერტები, რომლებიც ხაზს უსვამენ მოსახლეობის ზრდით გარემოზე მიყენებულ საშიშროებას, არც იმას უშვებენ მხედველობიდან, რომ ეს ზრდა გაცილებით მეტ საფრთხეს შეიცავს მდიდარ ქვეყნებში, სადაც მოხმარების მაჩვენებელი შეუდარებლად მაღალია, ვიდრე ღარიბებში. ამასთან ერთად მოსახლეობის

ზრდა იმ მხრივაც სახიფათო, რომ მისი ზრდის ტემპები წინ უსწრებს სურსათის წარმოების მოცულობების ტემპებს.

დედამიწის მზარდი მოსახლეობისათვის სურსათის შესაძლო უკმარისობის პრობლემა პირველად დააყენა ინგლისელმა მღვდელმა რობერტ მალთუსმა. მან შენიშნა, რომ მოსახლეობა იზრდება გეომეტრიული პროგრესიით მაშინ, როცა სურსათის წარმოება იმავე პროპორციით არ იზრდება.

ბოლო წლებში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოსახლეობის ზრდამ სურსათის წარმოების ზრდა გამოიწვია, მაგრამ სურსათის პრობლემა ჯერაც არ არის გადაწყვეტილი. თითქმის 800 მლნ ადამიანი ქრონიკულად ვერ ღებულობს საკმარის საკვებს, 2 მლრდ ადამიანს არ აქვს საკმარისი სასურსათო უსაფრთხოება.

თანამედროვე სასურსათო პრობლემა არაერთგვაროვანია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი სურსათის უკმარისობა და შიმშილია კვების პროდუქტების დეფიციტი ყოველთვის არსებობდა კაცობრიობის ისტორიაში, მაგრამ ის განსაკუთრებით XX საუკუნის 70-იანი წლების პირველ ნახევარში გამწვავდა. ამ დროიდან მიიღო სასურსათო პრობლემამ გლობალური პრობლემის „სტატუსი“, თუმცა მაშინ იგი მხოლოდ განვითარებად ქვეყნებს ეხებოდა.

სასურსათო პრობლემა მდგომარეობს კალორიული და რაციონალური კვების უკმარისობაში, რომელსაც მსოფლიო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი განიცდის.

ყოველწლიურად პლანეტის მოსახლეობა დაახლოებით 90 მლნ ადამიანით იზრდება. რესურსები კი, რომლებიც საკვები პროდუქტების წარმოების ზრდისათვისაა საჭირო, პირიქით, მცირდება. ამიტომ მუდმივად მზარდი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა ერთ-ერთი უმთავრესი გლობალური პრობლემაა.

ჩვენი პლანეტის მოსახლეობის ზრდის ფონზე მისი სასურსათო უზრუნველყოფის გაუმჯობესება თანამედროვე ცივილიზაციის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს, ამიტომ საზოგადოების მთელი ძალისხმევა მიმართულია სასიცოცხლო მარაგის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლის გაზრდისაკენ.

ადამიანი კვების პროდუქტების ძირითად ნაწილს აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, ოკეანეები, ზღვები და მდინარეები იძლევა თევზსა და ზღვის სხვა პროდუქტებს, მცირე, მაგრამ ბევრი ქვეყნისათვის სურსათის მნიშვნელოვან ნაწილს ტყე იძლევა. ძირითადი პრობლემები დაკავშირებულია ამ სამი ძირითადი წყაროს რაოდენობრივ შემცირებასთან, ხარისხობრივ გაუარესებასა და გამოფიტვასთან. კაცობრიობამ უნდა შეიმუშაოს ღონისძიებათა კომპლექსი ამ პრობლემის - პლანეტის სასურსათო რესურსების განვითარებისათვის. სასურსათო პრობლემის გადაჭრა მხოლოდ მოსახლეობის ზრდისა და სურსათის წარმოების ტემპების გათანაბრებითაა შესაძლებელი.

მსოფლიო თანამეგობრობა სასურსათო პრობლემის გადასაჭრელად იყენებს როგორც ექსტენსიურ, ისე ინტენსიურ გზებს. ექსტენსიური გზა მოითხოვს მნიშვნელოვან რესურსებს, ახალი სასოფლო-სამეურნეო და სხვ. სავარგულების ათვისებას, მაშინ, როდესაც ინტენსიური გზა ეყრდნობა სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს აგრარულ სექტორში: აგროტექნიკური კულტურის გაზრდა, მცენარეების მაღალმოსავლიანი სახესხვაობების, შინაური ცხოველების და ფრინველების მაღალპროდუქტიული ჯიშების გამოყვანა, მექანიზაცია, ქიმიზაცია, მელიორაცია, აკვა და მარიკულტურების განვითარება და სხვ., რაც არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პროდუქტიულობის ზრდას იწვევს.

ამერიკელი მეცნიერის, ნობელის პრემიის ლაურეატის ნორმან ბელოუს იდეის - „მწვანე რევოლუციის“ წყალობით, მთელ მსოფლიოში სურსათის წარმოებამ

მოსახლეობის ზრდას გაუსწრო. სოფლის მეურნეობაში სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების ფართო და მასობრივი დანერგვის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა, რაც ახალი ჯიშების გამოყვანასა და მათ ფართო გავრცელებასთან არის დაკავშირებული. აგროკულტურაში არსებული მარცვლეულისა და მოპოვებული მოსავლის უდიდესი ნაწილი გენური ინჟინერიის შედეგადაა მოპოვებული. ცალკე კვლევის საკითხია ის, თუ რამდენად სთავაზობს გენმოდულიზაცია პროდუქცია მომხმარებელს მაღალი წარმოებისუნარიან პროდუქციას, რამდენად აკმაყოფილებს ის თანამედროვე მრეწველობის მოთხოვნებს. საზოგადოებაში დღეს ფართოდაა დამკვიდრებული აზრი გენმოდულიზაცია პროდუქციის საფრთხის შესახებ. თუმცა მეცნიერთა გარკვეული ნაწილის აზრით, არ არსებობს მეცნიერული დასტური, რომ ასეთი ტიპის პროდუქცია კანცეროგენურია. თუმცა ფაქტია ის, რაც ზემოთ იქნა აღნიშნული - „მწვანე რევოლუციის“ მეთოდების ფართო გამოყენებასთან დაკავშირებით ეკოლოგიური ვითარების გამწვავება.

გარემოს დაცვა და ეკოლოგიურად სუფთა სურსათის წარმოება სოციალური მნიშვნელობის პრობლემები და მაკროეკონომიკური რეგულირების მნიშვნელოვანი სფეროა.

თანამედროვე პირობებში ბუნებრივი რესურსების წარმოებაში სულ უფრო მეტი რაოდენობით ჩართვის შედეგად იზრდება ექსტერნალიების უარყოფითი გავლენა საზოგადოებრივ განვითარებაზე. ეს მოვლენა სახელმწიფოს მხრიდან აქტიურ ჩარევას ითხოვს, რადგან ექსტერნალიები არღვევს წონასწორობას საზოგადოებას, ეკონომიკასა და ბუნებას შორის.

ეს მოვლენა განსაკუთრებით ეხება საქართველოს, სადაც ახალი ტექნოლოგიების ხელმიწვდომლობის, მწირი სამეწარმეო გამოცდილების გამო ადგილობრივ ბუნებრივ რესურსებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე, დაბალი საინვესტიციო შესაძლებლობები მოძველებული ტექნოლოგიის გამოყენებას განაპირობებს. ასეთი ტექნოლოგიები ხელს უწყობს გარემოს დაბინძურებასა და ეკოლოგიური კატასტროფების წარმოქმნას. საყურადღებოა ეკოლოგიურად საშიში, სხვადასხვა დანიშნულების საქონლის იმპორტიც.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში სურსათის ნახევარზე მეტი შემოდის საზღვარგარეთიდან. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოსახლეობისათვის მიწოდება ძირითადად იმპორტის ხარჯზე ხორციელდება. გამომდინარე იქიდან, რომ კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია, სასურსათო უსაფრთხოებაც დამოკიდებული ხდება მასზე. სწორედ იმპორტზე დამოკიდებულების გაზრდამ წამოსწია წინა პლანზე სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა. კვების პროდუქტების ხარისხზე ხომ მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოსახლეობის ჯანმრთელობა.

ეკონომიკური უსაფრთხოების საზომ ერთეულად მიჩნეულია, რომ უნდა გამოვიყენოთ ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემომცველი სამყაროს შეფასების მაჩვენებლები. ადამიანის ჯანმრთელობის მთავარ მაჩვენებელს წარმოადგენს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. სიცოცხლის ხანგრძლივობა სხვადასხვა ქვეყანაში დამოკიდებულია არა მხოლოდ მედიცინის განვითარებაზე, არამედ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონესა და გარემომცველი სამყაროს მდგომარეობაზე. საქართველოში 2015 წლის ოფიციალური მონაცემების საფუძველზე მამაკაცის სიცოცხლის ხანგრძლივობა 69 წელია, ქალის კი - 77 [6, გვ. 295], შეფასებითი მონაცემების საფუძველზე მამაკაცის - 67 წელი, ქალის - 76 [6, გვ. 327].

საქართველოში სასურსათო მინიმუმის კალათაში სურსათის კალორიულობა შეფასებულია 2300 კკალ-ის დონეზე, რაც საგრძნობლად ნაკლებია საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმაზე (2450 კკალ).

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესების დაცვა მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსათვის.

ბოლო წლების გამოცდილებამ საქართველოში ნათლად დაგვანახა სასურსათო უსაფრთხოების ფართო სპექტრი.

დღეს საქართველოში უკიდურესად რთული პრობლემების წინაშე აგრარული სექტორი. სუსტია სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ეცემა მიწების ნაყოფიერება, უარესდება სოფლის მეურნეობის გენოფონდი.

რაც შეეხება გარემოს მდგომარეობას, აუცილებელია დასაშვებ ნორმაში მოექცეს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება მომწამლველი აირებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ავტომანქანების ტექნიკური გაუმართაობის აღკვეთას. საქართველოში ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროდ ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი რჩება. კერძოდ, ნახშირჟანგის გაფრქვევათა 87%; აზოტის ჟანგეულების 70%; გოგირდის დიოქსიდი 50%; აქროლადი ორგანული ნაერთების 40% სწორედ სატრანსპორტო საშუალებებიდან ხვდება ატმოსფერულ ჰაერში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ასევე წყლის რესურსების დაცვას დაბინძურებისაგან.

გარემოს დაბინძურება ნარჩენებითა და ქიმიური ნივთიერებებით საქართველოში ასევე ერთ-ერთი გარემოსდაცვითი პრობლემაა. პრობლემა კომპლექსურია და მოიცავს გარემოს დაბინძურებას საყოფაცხოვრებო ნარჩენებით მოუწესრიგებელი ნაგავსაყრელებიდან, ასევე სახიფათო და აკუმულირებული ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკითხს. გარემო ასევე ბინძურდება სამთო-მოპოვებითი და გადამამუშავებელი წარმოებების აკუმულირებული ნარჩენებისა და შლამებისაგან, ასევე ვადაგასული სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატების, განსაკუთრებით პესტიციდებისაგან, რომელთა ნარჩენები დიდი რაოდენობითაა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე საბჭოთა მემკვიდრეობიდან დარჩენილი. ნარჩენების მართვის სფეროს გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკისა და პრაქტიკის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, რესურსეფექტურობას და ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილებას და შემცირებას, მეორე მხრივ, ნარჩენების გაცალკევებულად შეგროვებას, ხელმეორედ გამოყენებას და რეციკლირებას.

გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად კარგი იქნებოდა ადამიანთა შეგნების ამაღლებაც, რათა არ დააბინძურონ გარემო სხვადასხვა სახის ნაგვით. ეს გარემო ხომ ჩვენი არსებობის - სიცოცხლის გარანტია. ამ ნაგავს ბუნება დიდი ხნის მანძილზე ვერ ამუშავებს.

ეკოლოგიური და სასურსათო უსაფრთხოების თავიდან აცილებისა და ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენისათვის მიზანშეწონილია როგორც საკანონმდებლო-ადმინისტრაციული მეტოდეების, ისე ეკონომიკური მექანიზმის გამოყენება. სახელმწიფომ კი, როგორც საზოგადოების ინტერესების დამცველმა, უნდა დაადგინოს ეკონომიკური განვითარების ეკოლოგიური და სასურსათო წარმოების საზღვრები.

ის გარემოება, რომ ექსტერნალიები ამჟამად არ არის გათვალისწინებული წარმოების დანახარჯებში, მიუთითებს მთლიანი ეროვნული პროდუქტისა და მთლიანი შიდა პროდუქტის არასრულყოფილებაზე. ამ მაჩვენებლებში, რომლებიც საზოგადოების კეთილდღეობის უნივერსალურ საზომადაა მიჩნეული, არ არის

გათვალისწინებული ეკონომიკური საქმიანობის და ეკონომიკური ზრდის პროცესში წარმოქმნილი ე.წ. „ბიოლოგიური კაპიტალის“ დანაკარგები. მეტიც, ეკოლოგიური დაბინძურების, მასთან დაკავშირებული კატასტროფების აღკვეთისათვის გაწეული ხარჯები აისახება მათში, როგორც ეკონომიკური ზრდის კომპონენტები.

მდგრადი განვითარების პრინციპმა, შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვნად შეცვალა დამოკიდებულება განვითარების, კეთილდღეობისა და სხვა საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ. თუ ადრე ქვეყნის კეთილდღეობა ძირითადად მშპ-ს ან ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის რაოდენობით განისაზღვრებოდა, ახლებური მიდგომით ეს არასაკმარისია. მიჩნეულია, რომ ეს მაჩვენებლები უფრო ეკონომიკური აქტივობის ინდიკატორებია და არა საზოგადოების განვითარების საერთო დონის კრიტერიუმები. მასში არ აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობა, გარემოს მდგომარეობა, ბუნებრივი რესურსების გამოყენება, სოციალური და ფსიქოლოგიური მაჩვენებლები. ამიტომ ბოლო დროს დიდი ყურადღება ექცევა ისეთ მაჩვენებელს, როგორცაა საზოგადოების განვითარების ინდექსი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემოღებული ადამიანის განვითარების ინდექსი, ეკონომიკურთან ერთად, ითვალისწინებს სოციალური ხასიათის პარამეტრებს.

სხვადასხვა ზემოქმედებაზე ბუნებრივი კომპლექსების რეაქციის თავისებურებები (მაგალითად, კლიმატური სტრუქტურების ან ეკოსისტემების ტრანსფორმაციის ტემპები) განსაზღვრავს სოციალური, ეკონომიკური და სხვა ბუნებრივი სისტემების მომავალს.

იმის გააზრება, რომ მსოფლიოს ქვეყნები მხოლოდ საკუთარი რესურსებით ვერ შეძლებენ თავის დაცვას გარემოს არახელსაყრელი ცვლილებებისაგან, გავლენას ახდენს გეოპოლიტიკასა და გლობალურ მართვაზე.

The best way to avoid the Information leakage from the banks is choosing the correct defense strategy. Before deciding on the strategy (defend, transfer, mitigate, accept, or terminate) for a specific vulnerability, the organization must explore all the economic and noneconomic consequences of the vulnerability facing the information asset. This is an attempt to answer the question, “What are the actual and perceived advantages of implementing a control as opposed to the actual and perceived disadvantages of implementing the control?” Risk control involves selecting one of the five risk control strategies for each vulnerability. The flowchart in Figure 2 shows the process of deciding how to proceed with one of the five strategies. As shown in the diagram, after the information system is designed, question is arising whether the protected system has vulnerabilities that can be exploited. If the answer is yes and a viable threat exists, it’s possible to begin examining what the attacker would gain from a successful attack. To determine if the risk is acceptable or not, you estimate the expected loss the organization will incur if the risk is exploited.

So, defense information security and correctly determine the possible risks, which threaten banks requires a lot of hard work and responsibility because that is what determines the quality of our customers' confidence in the bank. Financial strength of banks depending on information security is a determining factor of economic security, which finally determines the economic security of country.

References:

[1] Tatul Melsik Mkrtchyan, State Economic Security System and Its Components, 4th Int'l Conference on Research in Humanities, Sociology & Corporate Social Responsibility (RHCSR'15) Sept. 25-26, 2015 Penang (Malaysia).

BANK TRANSACTIONS SECURITY AND ITS INFLUENCE ON ECONOMIC SECURITY OF COUNTRY

Summary

Security is of vital importance to an organization. The security issue is as important for banks to secure their information, because they are the main money suppliers in the economy. A successful organization should have the following multiple layers of security in place to protect its operations: Physical security, Personnel security, Operations security, Communications security, Network security, Information security.

To protect banks information security it's important to identify its information assets. After identified the organization's information assets and the threats and vulnerabilities, it can be evaluated the relative risk for each of the vulnerabilities. This process is called **risk assessment**. Risk assessment assigns a risk rating or score to each information asset.

Banks information leak avoiding strategies can be grouped as follows: defend, transfer, mitigate, accept, and terminate. Correctly chosen strategy will determine the sustainability of the bank.

ელგუჯა კონჯარია

მცირე ბიზნესის არსი და მნიშვნელობა

ანოტაცია. მეცნიერულად დასაბუთებულია და პრაქტიკულად დადასტურებული, რომ ადამიანთა საზოგადოების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს პირადი ინტერესების, პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის დაუოკებელი სწრაფვა.

მცირე ბიზნესის აწყობის დროს მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს არა მისგან მიღებული ფულის რაოდენობის დათვლას, მისთვის კრედიტების გამოყოფას, არამედ, იმას, თუ როგორია ამ საწარმოების მართვის ხასიათი სწორედ ეს აძლევს მცირე ბიზნესის მფლობელს იმის გარანტიას, რომ დახარჯული ყოველი ერთი ლარი აუცილებლად მოგებით დაუბრუნდება. უფრო მეტიც, მცირე ბიზნესში საწარმოს ბევრი მფლობელი გულწრფელად არის დარწმუნებული, რომ პროცენტით მიღებული სესხი კარგი მართვის პირობებში მოგებით იქნება უკან დაბრუნებული.

საკვანძო სიტყვები: კონკურენცია, გადასახადები, სუბსიდია, რისკი, მოგება.

მცირე ბიზნესი საბაზრო ეკონომიკური სისტემის არსებითი და განუყოფელი ნაწილია. მცირე ბიზნესის შესწავლა და მისი უპირატესობის პრაქტიკული რეალიზაცია მეტად საინტერესოა. მცირე ბიზნესი წვრილი და მცირე საწარმოთა (მეწარმეთა) ერთობლიობაა. დასახელებული ტერმინები ორივე შემთხვევაში საწარმოთა პარამეტრების ზომაზე მიუთითებს.

განსაკუთრებული როლი აკისრია მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს ადგილობრივი ლოკალური რესურსების გამოყენებასა და მათი საერთო სახალხო ინტერესების გათვალისწინებაში. დიდი საწარმოები, გამომდინარე თავისი მასშტაბებიდან, მცირე ზომის რესურსებისთვის ვერც მოიცლის. ის უბრალოდ არაეფექტიანი იქნება მისთვის. ამგვარ ეკონომიკურ პოტენციალს წარმატებით ითვისებს მცირე ბიზნესი.

მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს აქვს მთელი რიგი სხვა უპირატესობანიც, რომელთა რეალიზაციაც მნიშვნელოვან ადგილსა და როლს უნარჩუნებს მათ სახელმწიფოს ეკონომიკურ სისტემაში, მათ შორის ძირითადია:

- ლოკალური მატერიალური და შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენება;
- სწრაფი რეაგირება სამომხმარებლო ბაზრის ცვლილებების მიმართ;
- კონკურენციული მექანიზმის დამკვიდრება;
- მოქნილობა და ოპერატიულობა თავის საქმიანობაში;
- მცირე სამეურნეო დანახარჯებით დიდი ეფექტის მიღება;
- სწრაფი მატერიალური წარმატების დიდი შანსი;
- სამეწარმეო სულისკვეთების შენარჩუნება და ბიზნესის კულტურის განვითარება;

- ადგილობრივი პირობების თავისებურებებზე ადაპტაციის დიდი უნარი და სხვა.

ნებისმიერი საზოგადოება მოძრაობის, მატერიალური წარმოების გარეშე წარმოუდგენელია, სწორედ წარმოების პროცესში იქმნება მატერიალური დოვლათი, ადამიანთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც საზოგადოების არსებობის საფუძველია. საქმიანი ურთიერთობა თანამედროვე საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. დღევანდელ პირობებში შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება კომერციის, წარმოების, ფინანსური ინსტიტუტების და სხვა საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის გარეშე. ყველა ეს ცნება თანამედროვე ადამიანის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. საქმიანი ურთიერთობები, რომელიც ამ სფეროში წარმოიშობა, ბიზნესად იწოდება [ცაავა, 1999, 483]

ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არაერთი პრობლემაა, რომლებიც ვლინდება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის ეკონომიკაში.

ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს მცირე საწარმოთა განვითარება, რაც განაპირობებს საბაზრო კონკურენციული გარემოს განვითარებას, სამომხმარებლო ბაზრის შევსებას საქონლითა და მომსახურებით, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მესაკუთრეთა ფართო წრის ფორმირებას.

მცირე მეწარმეობის ადგილი და როლი ცივილიზებულ საბაზრო ეკონომიკაში განისაზღვრება შემდეგი ფუნქციებით:

მცირე ბიზნესი გვევლინება ეკონომიკის მნიშვნელოვან სექტორად. მცირე ბიზნესის საწარმოები უფრო მდგრადია გარე ცვლილებებთან. მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ეკონომიკის საერთო დაცემის პერიოდში სწორედ მცირე ბიზნესისგან იქნა გაწეული მხარდაჭერა ქვეყნის ეკონომიკისთვის, როდესაც საჭირო იყო ახალ საბაზრო პირობებთან ადაპტაცია. მსხვილმა სახელმწიფო საწარმოებმა ვერ გაუძლეს კონკურენციას, მოხდა მათი დაშლა და პრივატიზება. ამდენად, მცირე ბიზნესი ავლენს თავის მოქნილობას, სიცოცხლისუნარიანობას, ახასიათებს რა ბაზრის მოთხოვნაზე სწრაფი რეაგირების უნარი, სპეციალიზაციის მაღალი ხარისხი, პერსპექტიული მიმართულებით რესურსების მობილიზაციის შესაძლებლობა [ჩიხლაძე, 2009, 49]

• მცირე ბიზნესი მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ეკონომიკის ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით. თანამედროვე პირობებში ინოვაციები მიჩნეულია ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტად როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო დონეზე.

• მცირე ბიზნესს აქვს დიდი სოციალურ-ეკონომიკური როლი. ამ მხრივ შეიძლება გამოვყოთ მისი შემდეგი უპირატესობები:

- მესაკუთრეთა რიცხვის ზრდა, რაც განაპირობებს საშუალო კლასის ფორმირებას და წარმოადგენს დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური სტაბილურობის უმთავრეს გარანტს:

- ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხვის გაზრდა, რაც ზრდის მოქალაქეთა შემოსავლებს და ათანაბრებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების კეთილდღეობაში არსებულ დისპროპორციებს;

- ყველაზე ენერგიულ, საქმის შემძლე ინდივიდთა წარმოჩენა, რომლებსაც მცირე ბიზნესი ხდება თვითრეალიზაციის პირველი საფეხური;

- შედარებით დაბალი დანახარჯებით ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, განსაკუთრებით მომსახურების სფეროში;

- პროფესიათა შეთავსების უზრუნველყოფა;

- სახელმწიფო სექტორიდან გამოთავისუფლებული, ასევე სოციალურად სხვებზე დამოკიდებული მოსახლეობის ჯგუფების (ლტოლვილები, ინვალიდები, ახალგაზრდები, ქალები) წარმომადგენელთა სამუშაოზე მოწყობა.

მცირე ბიზნესი, გამომდინარე მისი მასშტაბებიდან ხშირად უდიდესი სირთულეების წინაშე დგება. უმრავლეს შემთხვევაში ასეთი სირთულეები კონკურენციულ ბრძოლაში დამარცხების მიზეზი ხდება. ამდენად მცირე ბიზნესის ქსელის შესანარჩუნებლად აუცილებელია, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა მოიცავდეს ისეთ ღონისძიებათა კომპლექსს, რომლებიც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს, ადვილად გადალახონ მათ წინაშე მდგომი დაბრკოლებანი. სახელმწიფო დღენიადაგ უნდა ზრუნავდეს მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა ქსელის შენარჩუნებისთვის.

ისმება კითხვა: ვისგან უნდა იცავდეს სახელმწიფო მცირე ბიზნესს? როგორი ფორმებით უნდა იცავდეს? რატომ უნდა იცავდეს და ა.შ.

პირველ კითხვაზე პასუხი მარტივია. კონკურენციულმა ბრძოლამ არ იცის დიდი და პატარა. იგი სუსტს და უსუსურს ანადგურებს, იმის მიხედვით, თუ რა როლს ასრულებს საზოგადოებისთვის, საბაზრო გარემოს სრულყოფისა და თვით კონკურენციული ბრძოლის შენარჩუნებისთვის. კონკურენციულ ბრძოლაში მეტწილად იმარჯვებენ მსხვილი სამეურნეო სუბიექტები, რადგან მათ უფრო მეტი ფინანსური შესაძლებლობა აქვთ.

დახმარების ერთ-ერთი ფორმა მცირე ბიზნესის მიმართ ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებაა. მსოფლიოს თითქმის ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის ბიუჯეტში გადასახდელების შეღავათიანი განაკვეთებია დადგენილი ან, უმრავლეს შემთხვევაში, ასეთი სამეურნეო სუბიექტები საერთოდ გათავისუფლებულნი არიან გადასახადებისგან [მესხია, 2011, 180]

მიუხედავად არსებული შეღავათებისა, მცირე ბიზნესი საქართველოში მაინც ვერ ახერხებს თავის ღირსებათა რეალიზაციას, რისი ძირითადი მიზეზიც ისევ და ისევ სახელმწიფოს არასწორი ეკონომიკური პოლიტიკისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სისუსტის ბრალია.

სახელმწიფო აუცილებელია მცირე ბიზნესს ეხმარებოდეს:

- ორგანიზაციული კუთხით, რაც იმას ნიშნავს, რომ დამწყებ მეწარმეს არ უნდა ჰქონდეს საკუთარი საქმის ორგანიზებისთვის ბიუროკრატიული შეფერხებანი. მისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს პოპულარულ ენაზე გამოცემული სათანადო ლიტერატურა;

- ეკონომიკური კუთხით, რაც იმას ნიშნავს, რომ მცირე ბიზნესი სახელმწიფოს მხრიდან უნდა იღებდეს სხვადასხვა ხასიათის ფინანსურ დახმარებებს, სუბსიდიებს, შეღავათიან კრედიტებს. გარდა ამისა, მცირე ბიზნესს საშუალება უნდა ჰქონდეს, ადვილად მიუწვდეს ხელი სხვადასხვა რესურსზე. სახელმწიფომ მცირე ბიზნესი უნდა დაიცვას მსხვილი ბიზნესისგან. დაუწესოს შეღავათიანი საგადასახადო განაკვეთები და ამით გაუადვილოს კონკურენციულ ბრძოლაში მონაწილეობა.

თანამედროვე პირობებში მცირე ბიზნესის განვითარების და ბაზარზე პოზიციების გამყარებისათვის მნიშვნელოვან შიდა ფაქტორს წარმოადგენს მართვის სიტემის სრულყოფა. მან უნდა მოიცვას პროგნოზირების, დაგეგმვის, აღრიცხვის, ანალიზისა და კონტროლის პროცესები.

ნებისმიერი ბიზნესი გულისხმობს წარმოების, მარკეტინგის, ფინანსებისა და პერსონალის მართვას. მსხვილ კომპანიებში მართვის ფუნქციები დელეგირებულია სხვადასხვა დონეებს შორის, ხოლო მცირე საწარმოში პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს მეწარმე, რადგან მხოლოდ მან იცის მართვის ყველა სფეროში თავისი უპირატესობების შესახებ. ყოველი ასეთი უპირატესობა საბოლოო ჯამში საშუალებას იძლევა, მცირე ბიზნესი გახდეს მასშტაბის მიუხედავად ეფექტიანი. ამიტომაც მეწარმემ უნდა განიხილოს მართვის ყველა სფეროს უპირატესობები ტიპურ მომენტებში. მარკეტინგული სტრატეგია აუცილებელია რეალიზაციის პროცესის მართვისთვის. ეს არის შეთანხმებულ ღონისძიებათა ერთობლიობა ბაზრის სეგმენტის არჩევისას. მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს მცირე მეწარმის მთავარ ამოცანაზე, რაც მდგომარეობს ეფექტიანობის ამაღლებისთვის მარკეტინგული უპირატესობების გამოყენებაში [შენგელაია, 2007, 117]

საკუთარი საქმის დაწყება ხდება იდეით, სიახლეებით, გამოცდილებითა და სურვილით. როგორც წესი, ეს ეხება საწარმოო საქმიანობის მხარეს, მაგრამ ხშირად დამწყები მეწარმე არ ფლობს ბუღალტრულ აღრიცხვას, დაბეგვრას, დაკრედიტებას. ამ შემთხვევაში საჭირო ხდება კონსულტანტის მომსახურება, მასთან ერთადაც ფინანსური სქემების გამოძებნა და შერჩევა.

ასევე მნიშვნელოვანია პერსონალთან დაკავშირებული უპირატესობანი:

- მართვის არავრცელი აპარატი
- თანამშრომელთა ურთიერთშენაცვლების მაღალი დონე.

შეზღუდული რესურსები მცირე ბიზნესს აიძულებს, მოიზიდოს საუკეთესო სპეციალისტები. მაშინაც კი როცა ასეთი სპეციალისტების ნაკლებობაა. მეწარმე დაიქირავებს მას, ვისაც შეუძლია საწარმოს სიახლეების სწრაფად გათავისება.

ცხოვრებისეული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ყველა მსურველი ვერ გახდება ბიზნესმენი. ესეც ერთგვარი ხელოვნებაა და ვინც უხვადაა დაჯილდოებული საამისო თვისებებით, წარმატებები მას აუცილებლად სხვაზე მეტი ექნება. მეწარმე-ბიზნესმენი უნდა იყოს:

- ინიციატივიანი, მუდამ სიახლისკენ მსწრაფი, კომერციის ნიუანსებში საფუძვლიანად გარკვეული. ბაზრის კონიუნქტურაში ღრმად ჩაწვდომისა და სწორი ორიენტაციის უნარის მქონე.

ბაზარზე მყარად იმკვიდრებს ადგილს და კონკურენციულ ბრძოლაში გამარჯვება გარანტირებული აქვს იმ მეწარმეს, რომლის პროდუქცია მაღალხარისხოვანი, მოდური, ესთეტიკურად მიმზიდველი და იაფია.

- გაბედული, ზომიერად რისკიანი. ბიზნესი თავისი ბუნებით აზარტულ თამაშს წააგავს, სადაც მოსალოდნელია არა მარტო მოგება, არამედ წაგებაც. ამიტომ ბიზნესში, ჩვეულებრივ, წარმატებას აღწევს ის მეწარმე, რომელიც წინასწარ გააზრებულად

შეარჩევს საქმიანობას და ისე გააკეთებს მის ორგანიზაციას, რომ რისკის დონე არ აღემატებოდეს გონივრულობის ზღვარს.

- მტკიცე ნებისყოფიანი, დასახული მიზნის შესრულებისთვის შეუპოვარი მებრძოლი. ჩვეულებრივ, მაღალ წარმატებებს აღწევს ის მეწარმე, რომელსაც ხასიათსა და გუნებას კი არ გაუფუჭებს პირველივე სიძნელეები, დაბრკოლებები, არამედ განაწყობს მას მაქსიმალური მობილიზებისა და შესაძლებლობების ოპტიმალური გზების მოსაძიებლად. მეწარმე უნდა იყოს ბუნებით ოპტიმისტი, ორგანიზებულად წინმსწრაფი, თავის მეწარმეობრივი საქმიანობის სასურველ საბოლოო შედეგებში იმთავითვე დარწმუნებული და თვითდაჯერებული.

- გულწრფელი, პატიოსანი და სანდო პარტნიორი. ეს ისეთი თვისებაა, რომელთა გარეშეც არ არსებობს ნორმალური ბიზნესი. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მეწარმეები ხელმძღვანელობენ არა მარტო დაწერილი, არამედ დაუწერელი კანონებითაც, რომელთაც „თამაშის წესებს“ უწოდებენ. მათ იციან, რომ ამ წესების დარღვევას გარდაუვლად მოსდევს თამაშიდან გაძევება. კლიენტებსა და პარტნიორებთან სახელის გატეხას, როგორც იტყვიან, თავის გატეხა სჯობს. მაგალითად, მეწარმის მიერ სხვა ფირმის სასაქონლო ნიშნის მითვისება, გადასახადებისგან თავის არიდება, შემოსავლის გადამალვა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა, კლიენტის მოტყუება და ა.შ. ითვლება ყველაზე დიდ ზნეობრივ და მოქალაქეობრივ ცოდვა-დანაშაულად და ისჯება როგორც ბიზნესის სამყაროში პრესტიჟის დაკარგვით, ისე სისხლის სამართლის წესით.

- დაუზარელი, შრომისმოყვარე. პროფესიული სპეციფიკიდან გამომდინარე, იგი უნდა იყოს დაუღალავი, სისტემატურად მოძრავი, როგორც იტყვიან, მოუსვენარი, სხვანაირად მისი ბიზნეს საქმიანობა ნორმალურად ვერ წარიმართება.

- ადამიანებთან ურთიერთობაში ზომიერი, თავაზიანი და მეგობრული. ბიზნესის წარმატებაში ამ თვისებებს, შეიძლება ითქვას, ლომის წილი უდევს. იგულისხმება მეწარმის ურთიერთობა მომწოდებლებთან, კლიენტებთან, პარტნიორებთან, ბანკირებთან და ა.შ.

- ქველმოქმედი, გულმოწყალე. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მდიდარი ბიზნესმენი, როგორც წესი, თავმდაბალი, ღიმილიანი და გულუხვი. ამას ის აკეთებს არა იძულებით, არამედ ნებაყოფილობით თავისი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე.

უპოვართა და გაჭირვებულთა მიმართ გულმოწყალება სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მეწარმე თავის ქონებას ფლანგავდეს.

- ბიზნესმენი უნდა იყოს საიდუმლო შემნახველი. ფირმის საიდუმლოება შეიძლება დაკავშირებული იყოს მეცნიერულ-ტექნიკურ პროცესებთან, მართვასთან, ფინანსებთან, საქონლის რეალიზაციასთან და ა.შ. იმისთვის, რომ თავი დაიცვას კონკურენტებისგან, მეწარმე უფრთხილდება აგრეთვე ამა თუ იმ სახეობის პროდუქციის დამზადებისას ორიგინალური ტექნოლოგიისა და ქიმიური შემადგენლობის (ფორმულის) საიდუმლოებას.

- მგრძობიარე და ალღოიანი. ბიზნესმენი უნდა იყოს არაორდინალური, ორიგინალური პიროვნება. ირგვლივ მყოფებისგან იგი განსხვავებულად უნდა იქცეოდეს. ნამდვილი მეწარმე ცდილობს მივიდეს იქ, საიდანაც სხვები გამორბიან, შრომობს, როცა სხვებს სძინავთ, მგზავრობს, როცა სხვები სადილობენ გეგმავს, როცა სხვები ერთობიან. იგი თითქმის არ განასხვავებს ერთმანეთისგან სამუშაო და გამოსასვლელ დღეს.

ამრიგად, ბიზნესი არის წინასწარ გააზრებული საქმიანობა, ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელსაც მოაქვს ინდივიდის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის გარკვეული შემოსავალი. მცირე ბიზნესი თავისი მოცულობით ეკონომიკის ერთ-ერთ უმსხვილეს სექტორს წარმოადგენს. იგი, როგორც ბიზნესსისტემის, ასევე მთელი ეკონომიკური სისტემის ფორმირების, განვითარებისა და სტაბილურობის ერთ-ერთი აუცილებელი წყაროა. მცირე ბიზნესის განვითარება პასუხობს მოქნილი შერეული ეკონომიკის ფორმირების ზოგად მსოფლიო ტენდენციებს, საკუთრების სხვადასხვა ფორმებისა და მათი ადეკვატური მეურნეობის მოდელების შეთანაწყობას, რითაც რეალიზდება კონკურენციული საბაზრო მექანიზმისა და მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოების სახელმწიფო რეგულირების რთული სინთეზი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მესხია ი., 2011. ბიზნესის საფუძვლები, თბილისი, „უნივერსალი“ გვ. 180.
2. შენგელაია თ., 2007, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, თბილისი „ლოი“ გვ. 117.
3. ჩიხლაძე ნ., 2009, ეკონომიკა და მართლმადიდებლები, თბილისი, „ინოვაცია“ გვ. 49.
4. ცაავა გ., 1999, ფინანსები, ფულის მიმოქცევა, საფინანსო ინჟინერია, კრედიტი, თბილისი, გვ. 483.

Elguja Konjaria

ESSENCE AND IMPORTANCE OF SMALL BUSINESS

Summary

Small business of production is famous as unique and the most popular in economic and social science.

To work out and realization of arrangement in small business is important of regional and national economic .

The developing of small business answers the tendency of flexible economics' formation, different forms' fee and their models' coordination which helps to realize marketing and big middle and small business realization.

Small business was popular in all old culture especially in among Arabian, Egyptian Greek Finland and Roman,

In the sphere of market economics the role of small business is important, which is good at fighting with monopoly, which reaches the possibility of changeable of socio-economic.

The item of small business promotes establishing of goods and services marketing. it is the first source in marketing system, functioning in all economic sphere.

Small business is so important, that only unimportant part can exist without it.

Small business carries out many economic and social goals. Fax transferring.

Except of fax transferring in budget, small business carries out the developing of economic sector, create new job, provides compete.

Small business is the most important tax attire, it participates in all levels' budget formation.

Besides that small facilities transfer money from their income, new vacation, it also promotes transferring of natural person's income.

მენეჯერი-ლიდერის ეფექტური მიდგომის უპირატესობა
შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში

ანოტაცია. ისტორია, მეცნიერული კვლევები, პრაქტიკული ცხოვრებისეული გამოცდილება ცალსახად ადასტურებს, რომ ადამიანმა მხოლოდ მაშინ შეიძლება მიაღწიოს თავის მიზნებს და მაქსიმალურად გამოავლინოს უნარ-ჩვევები, როცა ის სათანადოდაა მოტივირებული და მას საამისოდ რეალური სტიმული აქვს. რასაკვირველია, არასწორია იმის მტკიცება, რომ მომუშავეთა შრომითი ქცევა, დისციპლინა და შრომის შედეგები მხოლოდ მათი მოტივირებით განისაზღვრება, მაგრამ ეს ოდნავადაც არ ამცირებს ადამიანთა მოტივირების განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

რთულია, ადამიანს გაუღვიძო მონდომება, მთლიანად დაუთმოს ენერჯია თავის საქმიანობას. იმ მეთოდებმა, რომლებიც აღიარებული იყო გასული საუკუნის პირველ ნახევარში და ასახვდა იმ პერიოდის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, თანდათანობით დაკარგა თავისი ძალა. „მართო“ მოტივაცია თუ წარმოდგენა არ გაქვს მომუშავეს პრიორიტეტულ მოთხოვნილებებზე, ინტერესებზე, თუ რით იღებს იგი სიამოვნებას (ხელფასით თუ სასურველი სამუშაოთი), ეს შეუძლებელია.

ორგანიზაცია საზოგადოებრივი სისტემაა, ხოლო ყოველი მომუშავე - პიროვნება. ყოფილ საბჭოთა კავშირში ფსიქოლოგები მართვის პრობლემების მიმართ ინტერესს დიდხანს არ გამოხატავდნენ, რადგან ითვლებოდა, რომ ხელმძღვანელებისთვის საკმარისი იყო, კეთილსინდისიერად შეესრულებინათ მთავრობის გადაწყვეტილებები. წარსულის გავლენათა წნეხის მნიშვნელოვანი შემცირება არის მომავლის მენეჯმენტის აუცილებელი პირობა, ეს კი შესაძლებელია არა დოგმებზე დაყრდნობით, არამედ ახალი ფორმებისა და მეთოდების მიებით. ვიკ ფერერმა, ტრედუნიონების კონგრესის გენერალურმა მდივანმა, ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იან წლებში თქვა: „ახლა მრეწველობაში გვჭირდება არა ბოსები, არამედ ლიდერები“.

საკვანძო სიტყვები: მოტივაცია, სტიმული, წახალისების ფორმები, მენეჯმენტი, მენეჯერი-ლიდერი, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, ორგანიზაციის ეფექტიანობა.

შესავალი

წარმატებული ორგანიზაციების მენეჯერები განუწყვეტლივ მუშაობენ წახალისების ფორმების შერჩევასა და მისი ეფექტიანობის შენარჩუნებაზე. რთულია, ორგანიზაციას მოარგო ისეთი მეთოდი, რომელიც წარმატებულს გახდის მას და შეუნარჩუნებს სტაბილურობას, რადგან წახალისების ფორმის გამოყენების ფორმულირება არ არსებობს და, ამასთან, ის ყველასთვის სხვადასხვაგვარია. ამიტომაც, რომ მენეჯერებს და მმართველ რგოლს რეგულარულად უწევს ამ მოდელის აღმოჩენასა და, შესაბამისად, მის რეგულაციაზე ზრუნვა. „არათუ გენიოსებს, არამედ უბრალო ადამიანებსაც სჭირდებათ წახალისება, იმედის მიცემა და შემოქმედების სურვილის გაღვივება“ [ჯონ კოლერი] [6].

თანამედროვე მიდგომებმა კიდევ უფრო გაამყარა მოსაზრება იმის შესახებ, რომ შრომის ნაყოფიერების გაზრდა მხოლოდ ანაზღაურებით არ არის შესაძლებელი, აქ აუცილებელია მუშაკთა ფსიქოლოგიაში გარკვევა, რადგან, ადამიანი განიხილებოდეს, როგორც რობოტი გარკვეული დავალებების შესასრულებლად - მოძველებულია, მაგრამ თუ მენეჯერები დაინტერესდებიან, თავიანთ ორგანიზაციებში ძირითადი თანამდებობები ეფექტური ლიდერებით შეავსონ, რომლებიც შეძლებენ, ხელი შეუწყონ

ორგანიზაციაში მომუშავე თითოეულ წევრს, გამოთქვას დამოუკიდებელი და კრიტიკული აზრი, ამით ისინი მიზანს მიაღწევენ. როცა ლიდერები ენთუზიაზმით სავსენი და აქტიურები არიან, მათ შესაძლოა უფრო მეტი ენერგიით აავსონ დაქვემდებარებულები და გადასცენ ეფექტურობის, კომპეტენციის, ოპტიმიზმისა და მხიარულების გრძნობა [1].

წამყვანი ქვეყნების გამოცდილება და ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამყარებული მოსაზრებები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ როგორ შეიძლება მენეჯერი-ლიდერის ეფექტურობა მიდგომამ გაზარდოს ორგანიზაციაში შრომის ნაყოფიერება. **მიჩიგანის უნივერსიტეტის კვლევების** შედეგად განისაზღვრა ლიდერობის ქცევის ორი განზომილება, რომელსაც **დაქირავებულზე და წარმოებაზე ორიენტირებული** ეწოდა.

დაქირავებულზე ორიენტირებული ლიდერები ისინი არიან, რომელთაც პირადად აინტერესებთ დაქირავებულთა საჭიროებები და თანხმდებიან ინდივიდუალურ განსხვავებებზე ორგანიზაციის წევრებს შორის.

წარმოებაზე ორიენტირებული ლიდერები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სამუშაოს ტექნიკურ ან სამსახურებრივი ამოცანის მხარეებს, მათი ძირითადი საზრუნავია თითოეული ჯგუფის ამოცანების შესრულება და ჯგუფის წევრებს ამ მიზნის მიღწევის საშუალებებად იყენებენ.

თუ ჩვენ, თუნდაც ამ კვლევების შედეგებს დაქირავებულსა და წარმოებაზე ორიენტირებული ლიდერის სახით, გამოვიყენებთ და გავითვალისწინებთ, რომ ორგანიზაციებისთვის თითოეული ადამიანი ძალიან მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იგი არის იდეებისა და ინფორმაციის ამოუწურავი წყარო, რომ ისინი საკუთარი ან მათი მონაწილეობით შემუშავებული იდეების სწორად და ეფექტიანად განხორციელებისაკენ თავდადებით ისწრაფვიან, დავამსხვრევთ ჯერ კიდევ ახლო წარსულში არსებულ თეორემას, რომელიც ადამიანს ორგანიზაციაში განიხილავდა მხოლოდ როგორც მიზნების მიღწევის ერთ-ერთ საშუალებას და რესურსს. ჩვენ ამ მიდგომების ანალიზით სრულებით არ ვცდილობთ, ვიფიქროთ ხელმძღვანელებზე, როგორც მსახურზე. პირიქით, ჩვენ განწყობილნი ვართ, ხაზი გავუსვათ უფრო მეტად მის მაღალ სოციალურ მდგომარეობას, ვიდრე პასუხისმგებლობას, ყოველივე ეს კი მიმართულია მენეჯერი-ლიდერის ჩამოყალიბებისაკენ, რომელიც ეყრდნობა პრაქტიკულ აზროვნებას და იღებს გადაწყვეტილებას არა მხოლოდ თავისი, არამედ გუნდის ინტერესების გათვალისწინებითაც. როგორც **ციცერონი** წერდა: „იღბალი, ბედი მხოლოდ მათ მხარეზეა, ვინც ეყრდნობა თავის ინტელექტს და პრაქტიკულ აზროვნებას” [6].

თანამედროვე, კომფორტული, გამართული ორგანიზაციების ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია უამრავი ფაქტორის და პრინციპის გათვალისწინება, მრავალი პრობლემისა და სიძნელის გადაჭრა, რომელზე დაყრდნობითაც საუკეთესო ორგანიზაციების ეფექტიანი ფუნქციონირება იქნებოდა შესაძლებელი, ეს კი მენეჯერი-ლიდერის სწორ მიდგომაზეა დამოკიდებული: „ლიდერის, ხელმძღვანელის მიერ სწორი გადაწყვეტილების მიღების ნამდვილი ხელოვნება, - წერდა **ჩესტერ ბერნარდი**, - არაეფექტური, არასწორი მოქმედების ურყოფაში გამოიხატება” [6].

თანამედროვე მენეჯმენტი გულისხმობს დამძიმებულ სტრუქტურათა გადახედვას და დიდ ორგანიზაციათა მარტივ და მოქნილ ერთეულებად გარდაქმნას. მართვისადმი ახლებური მიდგომები მოითხოვს ადამიანურ შესაძლებლობათა რადიკალურ მობი-

ლიზაციას. მართვა უნდა ხორციელდებოდეს მაღალი საზოგადოებრივი იდეების რეალიზებით, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს, რომლებიც განსხვავდებიან სხვებისგან ტალანტით, ნოვატორული იდეებით, იღებენ პროგრესულ გადაწყვეტილებებს ყოველდღიურ ცხოვრებაში. იმისათვის, რომ შევძლოთ, ჩვენი ორგანიზაციები ვაქციოთ სამოქმედო ასპარეზად მათთვის, ვინც მასში მუშაობენ, საჭიროა ვიცოდეთ მთავარი მოტივაცია, რაც ამოქმედებს ადამიანებს:

1. სხვაზე ზრუნვისთვის საკმარისი სიყვარული;
2. მათში ჩადებული ნიჭი და უნარი;
3. თავისუფლება, რომელიც ყველა მათგანს დაბადებისთანავე ეძლევა.

ეს ძალები აიძულებს ადამიანებს, ეძებონ ის ფუნქცია (საქმე) საზოგადოებაში, რომლის შესრულებაც მათ ყველაზე უკეთ შეუძლიათ და აკეთონ რაც შეიძლება მეტი ამ ფუნქციის საუკეთესო ხარისხით შესასრულებლად, ამასთან ერთად, დაშვებული შეცდომების გაანალიზებით შეძლონ სწავლის ხარისხის ამაღლება და საზოგადოებისათვის კიდევ უფრო მეტი სარგებლის მოტანა. თითოეული ადამიანის ასეთი მოტივაცია თვითორგანიზებადსა და თვითგანვითარებადს ხდის საზოგადოებას და განაპირობებს იმას, რომ ადამიანები ხშირად ისე, რომ თვითონ ვერც კი აცნობიერებენ, ემსახურებიან საზოგადოებას და ზრუნავენ მასზე. ეს აძლევს მათ საშუალებას, დაიხარჯონ, გამოიყენონ ნიჭი და უნარები, რომელიც მიეცათ, იზრუნონ მათზე, ვინც უყვართ.

ადამიანის ფსიქოლოგია და ადამიანთა ქცევა სხვადასხვაგვარია. ადამიანები ორგანიზაციის ძირითადი ძალა, მისი განვითარებისა და აყვავების ძირითადი რესურსია. ორგანიზაციის წარმატებები იქ მომუშავე ადამიანთა დამსახურებაა, მათი შესაძლებლობებისა და გონიერების შედეგია. პიროვნების შესწავლა და მისი რესურსის ეფექტურად გამოყენება ნებისმიერი საწარმოს მიზანს წამოადგენს, როდესაც უპირატესობა ენიჭება ცოდნას, გამოცდილებას, ინიციატივას, მიღწეულია ბალანსი გამოცდილებასა და ახალი იდეების განხორციელებას შორის უკეთესი საბოლოო შედეგების მისაღწევად.

ჯერ კიდევ ახლო წარსულში თუ ადამიანები ორგანიზაციაში ითვლებოდნენ მიზნების მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად და რესურსად, ხოლო მათთან ერთად, ორგანიზაციები მოიაზრებოდა მანქანა-დანადგარების, მეთოდების, ტექნოლოგიების, კაპიტალის თუ ინფორმაციის გაერთიანებად, ანუ იმ კომპონენტებად, რომლებიც სხვადასხვა დროს მიიჩნეოდა მათი წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორებად, თანამედროვე ორგანიზაციაში ადამიანის როლი ძირეულად შეიცვალა. დღეს, როდესაც ყველა სხვა რესურსი (ტექნიკური საშუალებები, ფინანსური რესურსები და ა. შ.) თითქმის იდენტური ან ადვილად ხელმისაწვდომია ყველასთვის, როდესაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ხდება ორგანიზაციების მოქნილობა (ანუ მათი უნარი, ჩაიფიქრონ და განახორციელონ ცვლილებები) ახალ-ახალი კონკურენტული უპირატესობების მოსაპოვებლად, თითოეული ადამიანი ხდება უმნიშვნელოვანესი რესურსი ნებისმიერი ორგანიზაციისთვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისთვისაც კონკურენტული ბრძოლა გაუთავებელ, დამქანცველ მარათონად გადაიქცა, ხშირ შემთხვევაში გადასარჩენადაც კი. და აი რატომ: დღევანდელ სწრაფად ცვალებად გარემოში ორგანიზაციების მოქნილობა და ცვლილებების განხორციელების უნარი უფრო მეტად მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე თვითონ ამ ცვლილებების შინაარსი. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ორგანიზაციის მიერ ერთბაშად მიღებული და აღსრულებული გადაწყვეტილებები (რაოდენობა, ხარისხი და ურთიერთკოორდინირებულობა).

ის ორგანიზაციები, რომლებიც უფრო მეტ გადაწყვეტილებას იღებენ და აღასრულებენ, ახერხებენ ფეხდაფეხ გაყვანენ დროს და გაასწრონ კონკურენტებს, გახდნენ უფრო საინტერესო მომხმარებლებისთვის და უფრო საჭირო საზოგადოებისთვის. ხოლო ის, თუ რამდენად ახერხებს ადამიანი ორგანიზაციის გამოყენებას თავისი შესაძლებლობების რეალიზაციისთვის, განსაზღვრავს ამ ორგანიზაციის ხარისხს. ნათელია, რომ სხვადასხვა დონის ორგანიზაციებს შორის განსხვავება სწორედ ამ ორგანიზაციაში დასაქმებულ განსხვავებული თვისებებისა და უნარების მქონე ადამიანებშია [2].

ადამიანის რესურსი ამოუწურავია, თუმცა ის რესურსი, რომელსაც ისინი თავისი ორგანიზაციისთვის იყენებენ, ძირითადად ლიმიტირებულია და ძალიან ახლოს არის იმ სარგებელთან, რომელსაც ისინი ორგანიზაციისგან იღებენ. ადამიანები ქმნიან იმდენს ან დაახლოებით იმდენს, რასაც აქედან იღებენ და კმაყოფილდებიან ამით. დღეს, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია, რომ ადამიანებმა ბევრად უფრო მეტი აკეთონ, ვიდრე აკეთებენ, თუნდაც მესხედი იმისა, რაც შეუძლიათ. ეს არის ყველაზე დიდი რეზერვი ნებისმიერი ორგანიზაციის მომავალი განვითარებისათვის [7].

თანამედროვე ორგანიზაცია განიხილება, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური გაერთიანება, ამიტომაც მასში უმნიშვნელოვანესია ყველაფერი, რაც აერთიანებს ადამიანებს და მოაწესრიგებს მათ ურთიერთქმედებებს, ამიტომ, როდესაც ორგანიზაციული კულტურის პრიორიტეტებსა და მისი კომპონენტების მთლიანობაზე ვსაუბრობთ, პრინციპული და გამჭოლია სისტემური მიდგომის არსებობის აუცილებლობა. თანამედროვე ორგანიზაციაში დასაქმებული უნდა განიხილებოდეს არა როგორც მართვის ობიექტი, არამედ, როგორც პიროვნება. მისი ქცევა, მიუხედავად მენეჯერის ზემოქმედებისა, ბევრადაა დამოკიდებული საკუთარი შეგნების, ინტერესების, სურვილების, ცოდნის, ჩვევების, ჯგუფური ფაქტორებისა და სხვა ინდივიდუალურ თვისებებზე.

მცდარია წარმოდგენა იმაზე, რომ ორგანიზაციაში შესაძლებელია მაქსიმალური შედეგების მიღწევა, როდესაც მხოლოდ ცალ-ცალკე, ინდივიდუალურად უდგები თითოეულ მუშაკს და აიძულებ მას სათანადოდ იმუშაოს. რადგან სისტემა განიხილება, როგორც ერთი მთლიანი, ფუნქციურად ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტების ერთობლიობით და არა ნაწილ-ნაწილ, ამიტომ, ლოგიკურია, რომ ერთის ცვლილება გავლენას მოახდენს მეორეზე, ხოლო სხვების და მთელი სისტემის პირობების ცვლილება აისახება თითოეულზე. მართვაში არ განიხილება არავითარი „უჯრედები“, არავითარი „ერთეულები“, რომელიც შეიძლება იყოს ამოგდებული მართვის სისტემიდან და არ იყოს სრულყოფილი. სწორედ ეს ხდის თანამედროვე მიდგომას მოქნილს, ის ასახავს გუნდის ყველა წევრს შორის აუცილებელ თანასწორობას, მისი ჰარმონიულობა სწორედ, რომ ამ ელემენტების, უჯრედების, მიდგომების, ერთობლიობასა და სინთეზშია, რომელიც სრულყოფას მათი ერთობლივი შესრულებით განიცდის [2]. ამის რეგულაცია საკმაოდ რთულია და არ არის მარტივი. სწორედ ასე მოქმედებდა **ალექსანდრე დიდის** ხელმძღვანელობით საბერძნეთის არმია. როგორი სავალალო, არასაიმედოც არ უნდა ყოფილიყო მდგომარეობა, მის ჯარს მაინც შეეძლო მასზე უფრო მრვალრიცხოვან არმიაზე გამარჯვების მიღწევა. ამ წარმატების გასაღები იყო მოქმედების ერთიანობასა და ნდობაში - „ჩიტი ფრთებს ატარებს, ფრთები კი - ჩიტს“. ნდობის ფაქტორი უმთავრესია სწორი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. „არ არსებობს იმაზე საჭირო და იმაზე საშური თვისება, ვიდრე სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარია“, - წერდა **ნაპოლეონი**. პირადი მაგალითით ალაფრთოვანონ და

გაიყოლიონ ხალხი, მათთან ერთად მიაღწიონ საერთო თანხმობას გადაწყვეტილებების მიღებისას ეს ქარიზმატული ლიდერების დამახასიათებელი თვისებაა.

ლიდერობასა და ხელმძღვანელობას შორის განსხვავება დიდია. მმართველობა - ეს მეცნიერებაა. მენეჯერი საჭიროა, ლიდერი - აუცილებელი. კარგი სისტემა ქმნის ეფექტურ მენეჯერებს. ჩვენ უნდა ვიპოვოთ ისეთი მენეჯერები, რომლებიც წარმოადგენენ არა მარტო კვალიფიციურ სპეციალისტებს, არამედ ისეთ ხელმძღვანელებს, რომლებსაც შეუძლიათ ადამიანების აღფრთოვანება [6].

დასკვნა

მთავარი მიზეზი, რის გამოც თანამედროვე პრინციპებზე აგებული ორგანიზაციები აღწევენ წარმატებას ისაა, რომ ადამიანებს მოსწონთ მუშაობა გარემოში, სადაც მაქსიმალურად ახერხებენ თვითრეალიზებას და მინიჭებული აქვთ თავისუფლება, შეუძლიათ, საკუთარ შეცდომებზე ისწავლონ და შექმნან ცხოვრებაში რაიმე საინტერესო და მნიშვნელოვანი.

✓ ცნობილია, რომ ადამიანები აღწევენ უფრო მეტს, როდესაც წყვეტენ ამოცანებს არა ძალდატანებით, არა დასჯის შიშით, არამედ სურვილისა და მრწამსის მიხედვით, მოვალეობის გრძნობითა და პასუხისმგებლობის შეგნებით. ყველაზე მარტივი და იოლია აიძულო, ამისათვის არ არის საჭირო მმართველობითი ოსტატობა. ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხვას აუცილებლობას, რომ გარკვეულ პირობებში მენეჯერმა გამომჟღავნოს სიმტკიცე, ნებისყოფა, კატეგორიული მოთხოვნა. მაგრამ არ შეიძლება გატაცება ადმინისტრირებით. როგორც ვინსენტ ვან გოგი ამბობდა: „თუკი შინაგანი ხმა გეუბნება, რომ ვერ დახატავ, მაშინ უსათუოდ დახატე და ხმა გაჩუმდება“. წარმატებულ ადამიანებს აქვთ შინაგანი ხმის ადეკვატურად მოსმენის კარგი უნარი, ამიტომ კეთილსინდისიერი სამუშაოს მიმართ განწყობის შექმნა ფსიქოლოგიურად უფრო თავაზიანი საშუალებებითაა შესაძლებელი.

✓ ფსიქოლოგიის პოზიციიდან, საწარმოს ორგანიზაციულ კულტურაში მენეჯმენტის ძირითადი ამოცანაა ისეთი პირობების შექმნა, რომლის დროსაც თითოეულ მუშაკს ექნება კეთილსინდისიერი მუშაობისა და თავისი თავის მართვის სურვილი, სურვილი, განახორციელოს თვითკონტროლი, საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნელობა, შესასრულებელი სამუშაოს სრულყოფის გზების მოძიება. ქვეყნიერება ჯერ კიდევ ამოუცნობი ფენომენია და საინტერესოა, რადგან ხვალისდელი დღე სავსეა მიღწევებით თუ აღმოჩენებით. ყოველდღიური რუტინა, ერთფეროვანი ცხოვრება რომ არ დაეძლიათ ჩვენს წინაპრებს, ქვეყნიერება არ განვითარდებოდა. ორგანიზაციაში საჭიროა, ყველა თანამშრომელს მიეცეს თავისუფალი აზროვნების მეტი საშუალება, თითოეული იდეა განიხილოს და ჩაითვალოს უკეთესი მიღწევების წინაპირობად. ორგანიზაციის წევრებმა ყველა საკითხთან დაკავშირებით უნდა შეძლონ საკუთარი სუბიექტური აზრის გამოხატვა.

✓ თუკი ჩვენ აღარ ვდაობთ იმაზე, რომ ადამიანები, პირველ რიგში, მზად არიან, დაემორჩილონ მას, ვინც იცის რა აკეთოს, მაშინ ლოგიკურია, მენეჯერი, რომელიც თავისი ბუნებით ლიდერიცაა, შეძლებს დანერგოს ისეთი მიდგომები, რომელიც ორგანიზაციის ეფექტიანობის ამაღლებაზე და შრომის ნაყოფიერების გაზრდაზე დადებით ზეგავლენას მოახდენს. იმისათვის, რომ საკუთარ თავზე ავიღოთ პასუხისმგებლობა და პირნათლად, სანიმუშოდ შევასრულოთ მოვალეობები, იქნება ეს ორგანიზაციის თუ ქვეყნის მასშტაბით, საჭიროა ცოდნა, გამოცდილება და ინტელექტი. ხელმძღვანელმა უნდა შეძლოს, რომ თავი გაართვას, დაძლიოს ძირითადი მიზნებისა და მიმართულებების განსაზღვრისას წარმოშობილი შესაძლო ეჭვიანობა და

დაუჯერებლობა. დღეს მსოფლიოში მართვის არსი მიზანმიმართულად, ნათლად და შეუცვლელად ლიდერობის მხარეზე იხრება. ნებისმიერმა ორგანიზაციამ, იმისათვის, რომ კრიზისს გადაურჩეს, სწრაფად და დროულად უნდა მოახდინოს რეაგირება მუდმივად ცვალებად პირობებზე, გამოიმუშაოს კრიტიკული სიტუაციიდან რაციონალურად გამოსვლის უნარი.

✓ რადგან არსებობს განსხვავება მმართველობას, ადმინისტრირებას, დაგეგმვას, კონტროლსა და ლიდერობას შორის, კარგ ლიდერს შეუძლია ლიდერობის ყველა ამ თვისების ეფექტურად გამოყენება ხელმძღვანელის ფუნქციების დაურღვევლად. ის ფლობს საიდუმლოებას, თუ როგორ შექმნას ადამიანებს შორის კეთილგანწყობა და სამსახურებრივი ენთუზიაზმი, მოიპოვოს მათი მხარდაჭერა დაკისრებული ამოცანების წარმატებით შესასრულებლად. როგორც ჩესტერტონმა აღნიშნა, „თავმდაბალი ადამიანები ყოველთვის საიმედონი არიან“, სწორედ ესაა საწინდარი იმისა, რომ მენეჯერი-ლიდერი ეფექტური მიდგომით, შეძლებს ორგანიზაციაში შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, რადგან ეფექტური ხელმძღვანელობა ნიშნავს საქმის ისე კეთებას, რომ საჭირო მოვლენები საჭირო დროს ხდებოდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. George, "Trait and State Affect," p. 162.
2. ვანიშვილი თ.ა. მართვის თანამედროვე მოდელის ფორმირება და ორგანიზაციული ქცევის რეგულირების პრინციპები (მონოგრაფია). საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2017.
3. <http://www.up-pro.ru/encyclopedia/povyshenie-proizvoditelnosti.html>.
4. <https://www.gd.ru/articles/3575-proizvoditelnost-truda>.
5. ციციშვილი რ. სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ., 2014.
6. ადაირი ჯ. ლიდერობის ფსიქოლოგია. თბ., 2014.
7. ვანიშვილი თ. კონფლიქტური და სტრესული სიტუაციების მართვა ორგანიზაციაში. ჟურნალი „ეკონომიკა“, № 9-10, თბ., 2017, გვ. 154-165.
8. ვანიშვილი თ. პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება ორგანიზაციულ კულტურასა და მენეჯმენტში. ჟურნალი „ეკონომიკა“, № 7-9, თბ., 2015, გვ. 154-156.
9. ვანიშვილი თ., გეგელია თ. მართვის თანამედროვე მოდელის დანერგვა ორგანიზაციებში „მეხუთე დონის მენეჯერი“-სა და „ახალი ტიპის ლიდერი“-ს თვისებების გათვალისწინებით. დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია. შრომები № 1-2, 2016, გვ. 38-48.

Tamar Vanishvili

THE ADVANTAGE OF EFFICIENT APPROACH OF A MANAGER-LEADER IN INCREASING THE LABOUR PRODUCTIVITY

Summary

History, scientific researches, practical life experience clearly demonstrates that people can only achieve their goals and maximize their skills when it is properly motivated. When it has a real incentive, of course, it is wrong to argue that workers' labor behavior, discipline and labor outcomes are determined only by their motivation, but it does not even reduce the special importance of motivating of people's.

It is difficult for someone to wake up to fully share the energy in his activity. Those methods, which were recognized in the first half of the last century, are reflecting the socio-economic state of that period, gradually will lost its power. "Only" by motivation if you do not have any idea on the priority of the worker's needs, on his interests, how does it get pleasure (dye salary or desirable work), it is impossible.

The organization is a social system, and every worker is the person. In the former Soviet Union, psychologists did not express their interest in managing problems, because it was considered that for the leadership it is enough to bona fide fulfill government decisions. A significant reduction in the impact of past influences is the essential condition for future management, but it is not possible based on dogmata, but in search of new forms and methods. **Vik Ferrer**, the Secretary General of the Trade Unions Congress, said still in the 60-es of the 20th century: "We need not be bosses in the industry now, but leaders.

ფატი შენგელია

ლიდერის როლი კომპანიის საქმიანობაში

თანამედროვე სწრაფად ცვალებად მსოფლიოში დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციების მოქნილობას და ცვლილებებისადმი ადაპტაციის უნარს. დღევანდელ ეტაპზე ნებისმიერ კომპანიას შეუძლია უახლესი მანქანა-დანადგარების შეძენა, ინოვაციების დანერგვა, მაგრამ წარმატების მისაღწევად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანურ რესურსებს. ნებისმიერი კომპანიის წარმატების თუ წარუმატებლობის განმსაზღვრელი იქ დასაქმებული ადამიანების კვალიფიკაციის დონე და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობაა. პირველ რიგში კომპანიაში უნდა გამოიკვეთოს ლიდერი, რომლის გარშემოც შეიკრიბება გუნდი და ადვილად გაუმკლავდება გამოწვევებს. ლიდერის მრავალი განმარტება არსებობს, ანტიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის აზრით, ლიდერობა იმ ადამიანს შეეძლო ვისაც თანდაყოლილი სწრაფვა ჰქონდა ცოდნის დაუფლებისკენ, ახასიათებდა სიმართლის სიყვარული, სამართლიანობა და კეთილშობილება. ასეთად პლატონს ფილოსოფოსები მიაჩნდა, რომლებიც, მისი აზრით, ჭკრეტენ მარადიულობას, რომელიც არ წარმოშობს უსამართლობას. ლიდერობის იდეის ახლებური გააზრება ნიკოლო მაკიაველის სახელთანაა დაკავშირებული. მან განსაზღვრა ლიდერობის ხასიათი და ფუნქციები, მისი აზრით, ადამიანის ქცევას ორი მთავარი მოტივი უდევს საფუძვლად: შიში და სიყვარული, სწორედ ეს ორი მოტივი უნდა გამოიყენოს მმართველმა ხელისუფლების განხორციელებისთვის. ლიდერის მრავალი განმარტება არსებობს, განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

„ლიდერი ის ადამიანია, რომელსაც ჯგუფის სხვა წევრებთან შედარებით შეუძლია ჯგუფის ან ინდივიდის ფუნქციონირებაზე ძლიერი ზემოქმედება მოახდინოს, რის შედეგადაც ჯგუფი ან ინდივიდი ორიენტირებულია მიზნის დასახვასა და მიღწევაზე“³⁷.

„ლიდერობა არის პროცესი, როცა ინდივიდი გავლენას ახდენს ინდივიდთა ჯგუფზე საერთო მიზნის მისაღწევად“³⁸.

„ლიდერობა - ეს არის ადამიანთა გარკვეული ჯგუფის დასახული მიზნის მისაღწევად გაძლიერების ცოდნა და უფლება“³⁹.

„ლიდერობა - ეს არის კომუნიკაციური ქცევა/აქტი, რომლის უმთავრესი მიზანია ჯგუფისა და ორგანიზაციული მიზნების თანხვედრა მოახდინოს“⁴⁰.

³⁷ [Http://4motivi.com/](http://4motivi.com/) ლიდერობის თეორიები/

³⁸ პიტერ გ. ნორტჰაუსი „ლიდერობა, თეორია და პრაქტიკა, V გამოცემა, 2010, გვ.19.

³⁹ [Http://4motivi.com/](http://4motivi.com/) ლიდერობის თეორიები/

ლიდერებს ირჩევენ ჯგუფის წევრები და, შესაბამისად, ისინი უფლებამოსილი არიან, ფლობდნენ კანონიერ ძალაუფლებას. ხშირად მათ კომპანიებში უჭირავთ წამყვანი თანამდებობები, რომლითაც ახერხებენ სხვების ეფექტურად მართვას. ნებისმიერი კომპანია, მისი სტრატეგიიდან გამომდინარე, ცდილობს ლიდერის დახმარებით გადაწყვიტოს ბევრი მენეჯერული ამოცანა: სტრატეგიის რეალიზებაზე პასუხისმგებლობა, ქვეშევრდომების პრობლემების გადაწყვეტა, მოლაპარაკების წარმოება, არბიტრის როლში გამოსვლა, კონსენსუსის მიღწევა.

სტრატეგიის რეალიზების პროცესში ლიდერმა ექვსი მენეჯერული როლი უნდა შეასრულოს:

- საქმის კურსში ყოფნა;
- კორპორაციული კულტურის მხარდაჭერა, რომელიც შეესაბამება სტრატეგიას და ორგანიზაციის მაღალ დონეზე ფუნქციონირების საშუალებას იძლევა;
- ორგანიზაციის ისეთ მდგომარეობაში ყოფნა, რომელიც პასუხობს ცვალებად პირობებს, ინოვაციების დანერგვას;
- სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის დროს კონსენსუსის უზრუნველყოფა და დაპირისპირების თავიდან აცილება;
- ეთიკური ნორმების მაღალ დონეზე შენარჩუნება;
- სტრატეგიული მოქმედებების კორექტირება⁴¹.

მეცნიერებმა ჩამოაყალიბეს ლიდერობის რამდენიმე თეორია, რომელიც დაყოფილია სამ ჯგუფად. ესენია: ნიშნის თეორიები, ქცევის თეორიები და სიტუაციური თეორიები.

ნიშნის თეორიის თეორეტიკოსების აზრით, ლიდერობის ამოსავალი წერტილი თავად ლიდერის ინდივიდუალური მახასიათებლებია. ამ მიდგომას „დიდი პიროვნების“ თეორიასაც უწოდებენ. ამ სტერეოტიპის მიხედვით „დიდი პიროვნება“ განსხვავდება ჩვეულებრივი ადამიანებისაგან. ამ თეორიის მიხედვით ლიდერის ძირითადი მახასიათებლებია: ინტელექტი, დომინანტობა, თვითდარწმუნებულობა, აქტივობის და ენერჯის მაღალი მაჩვენებელი და კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად საჭირო ცოდნა.

ნიშნის თეორიებში ერთ-ერთი გამორჩეული და საინტერესოა ქარიზმატული ლიდერის ცნება. ეს ფენომენი პირველად გერმანელმა სოციოლოგმა მაქს ვებერმა აღწერა. ქარიზმატული ლიდერისთვის, მისი აზრით, ზებუნებრივი და ზეადამიანური თვისებებია დამახასიათებელი. საზოგადოებას განსაკუთრებული მოწიწება და პატივისცემა ახასიათებს ამ ტიპის ლიდერებისადმი.

ქარიზმატულ ლიდერებს მიეკუთვნება სტალინი და ჰიტლერი, საქართველოში ზვიად გამსახურდია. ქარიზმატულ ლიდერებს უფრო მეტად ახასიათებდათ მიზნის მიღწევისა და ძალაუფლების მოტივაციები.

ქცევითი თეორიები ყურადღებას ამახვილებს ლიდერების ქცევით ტიპებსა და სტილზე და აგრეთვე მათი ფუნქციების შესწავლაზე. კურტ ლევინმა, თავისი კვლევის საფუძველზე, გადაწყვეტილების მიღების სტილთან დაკავშირებით გამოყო სამი ლიდერის ტიპი: ავტორიტარული, დემოკრატიული, ლიბერალი.

ავტორიტარული სტილის ლიდერი პრობლემის გადაჭრისას თვითონ გასცემს მითითებას და დანარჩენები ასრულებენ ამ მითითებას, დემოკრატიული სტილის

⁴⁰ [Http://4motivi.com/](http://4motivi.com/) ლიდერობის თეორიები/

⁴¹ არტურ ა. ტომპსონი უმცო., ა.ჯ. სტრიკლენდი III, სტრატეგიული მენეჯმენტი, კონცეფციები და ბიზნეს-სიტუაციები, 2010, 585 გვ.

ლიდერი მოითხოვს პრობლემის გადასაჭრელად დანარჩენი ჯგუფის წევრებისგან თანამონაწილეობას და მათგან წამოსული იდეებისა და წინადადებების გაზიარებას. ლიბერალური სტილის ლიდერი სრულ თავისუფლებას აძლევს ჯგუფის წევრებს მათ ქმედებაში.

ლიდერობის პრობლემის კვლევა მიჩიგანის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი აზრის კვლევითი ცენტრისა და ოჰაიოს შტატის უნივერსიტეტში თითქმის ერთდროულად მიმდინარეობდა. კვლევის მიზნები აქაც იგივე იყო: ლიდერების ქცევითი მახასიათებლების გამოვლენა. მიჩიგანის უნივერსიტეტშიც მკვლევარებმა გამოავლინეს ქცევის ორი მახასიათებელი: „ორიენტაცია თანამშრომლებზე“ და „ორიენტაცია წარმოებაზე“.

ლიდერები, რომელთა ქცევა ორიენტირებულია თანამშრომლებზე, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პიროვნებათშორის ურთიერთობას და გულწრფელად ინტერესდებიან თანამშრომლებით, ცდილობენ თითოეულ მათგანს ინდივიდუალურად მიუდგნენ.

ლიდერები, რომლებიც ორიენტირებული არიან წარმოებაზე ძირითად ყურადღებას ამახვილებენ მუშაობის ტექნიკურ ასპექტებზე, მათთვის მთავარია დასმული ამოცანების შესრულება და თავის თანამშრომლებს მხოლოდ მიზნის მიღწევის საშუალებად განიხილავენ.

მიჩიგანის უნივერსიტეტის მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს თანამშრომლებზე ორიენტაციას, როცა ლიდერები თანამშრომლებზე ორიენტაციის დემონსტრირებას ახდენენ, როგორც წესი, უზრუნველყოფენ ჯგუფის შრომის მაღალ ნაყოფიერებას.

ლიდერობის სტილის ორგანოზომილებიანი ხედვა დაამუშავეს რობერტ ბლეიკმა და ჯეიმს მუტონმა. მათ წარმოადგინეს ეგრეთ წოდებული მმართველობითი გისოსი, რომლის საფუძველზე დევს ორი სტილი: „ზრუნვა ადამიანებზე“ და „ზრუნვა წარმოებაზე“. არსებითად, ეს ორი სტილი შეესაბამება „ყურადღებიანობას“ და „მანიცირებელ სტრუქტურას“, რომელიც ოჰაიოს უნივერსიტეტის მკვლევარებმა შემოგვთავაზეს, ასევე მიჩიგანის უნივერსიტეტის მკვლევარების შემოთავაზებულ „თანამშრომლებზე ორიენტაციისა“ და „წარმოებაზე ორიენტაციის“ კატეგორიებს. მმართველობით გისოსზე ყოველი ღერძის გასწვრივ მოცემულია ცხრა პოზიცია, რომელიც ერთობლიობაშია ლიდერის სტილის აღსაწერად. ეს მოდელი ასახავს არა მიღწეულ შედეგებს, არამედ ლიდერის აზროვნებაში დომინირებად ფაქტორებს, რომელიც გარკვეულ მიმართებაშია შედეგების მიღწევასთან. ეს თეორია უბრალოდ აღწერს მმართველობით სტილს, მაგრამ არ შეიცავს სასარგებლო ინფორმაციას ლიდერობის არსებით საკითხებზე.

ლიდერის ეფექტურობის პროგნოზირება გაცილებით ძნელია, ვიდრე ლიდერისთვის დამახასიათებელი პიროვნების რამდენიმე ნიშნის დადგენა ან კიდევ ეფექტური ლიდერობის მოდელის კონსტრუირება. ამიტომ მკვლევარებმა ყურადღება გადაიტანეს სიტუაციურ ფაქტორზე.

ყველაზე დიდი პოპულარობა მოიპოვა ოთხმა სიტუაციურმა თეორიამ:

- ფიდლერის მოდელი;
- ლიდერსა და ხელქვეითს შორის გაცვლის თეორია;
- გზა-მიზანი თეორია;
- ლიდერის მიერ გადაწყვეტილების მიღების თეორია.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ფრედ ფიდლერმა შექმნა პირველი საკმარისად სრული ლიდერობის მოდელი, რომელიც გვეუბნება, რომ ჯგუფის ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება ლიდერის და ხელქვეითების ურთიერთობის სტილი მისი კონტროლისა და ამ ჯგუფზე ზეგავლენის ხარისხს. ფიდლერი ვარაუდობდა, რომ ლიდერობის საბაზო სტილი, რომელიც დამახასიათებელია ნებისმიერი ადამიანისთვის, წარმოადგენს ადამიანის, როგორც ლიდერის საკვანძო ფაქტორს. მას შემდეგ, რაც საბაზო სტილი გარკვეულია, აუცილებელია დავრწმუნდეთ, რომ ლიდერი შეესაბამება არსებულ სიტუაციას. ფიდლერმა გამოყო სამი სიტუაციური ფაქტორი:

- დამოკიდებულება ლიდერსა და ხელქვეითს შორის. ხელქვეითების დარწმუნებულობის, ასევე ნდობისა და პატივისცემის ხარისხი ლიდერის მიმართ.

- ამოცანის სტრუქტურა. თანამშრომლებს შორის ამოცანების განაწილების და არასტრუქტურირების ხარისხი.

- თანამდებობრივი უფლება-მოვალეობანი. კონტროლის ხარისხი ძალაუფლების ისეთ ცვლადებზე, როგორცაა სამუშაოზე მიღება და სამუშაოდან დათხოვნა, საწარმო დისციპლინა, სამსახურებრივი დაწინაურება და ხელფასის მომატება.

ფიდლერი ამტკიცებდა, რომ რაც უფრო კარგია დამოკიდებულება ხელქვეითსა და ლიდერს შორის, მით უფრო კარგად არის სტრუქტურირებული სამუშაო და რაც უფრო დიდია ლიდერის უფლებამოსილება, მით უფრო დიდია მისი ზეგავლენა.

ლიდერსა და ხელქვეითს შორის გაცვლის თეორია

ამ თეორიას საფუძვლად უდევს თანამშრომლებისადმი განსხვავებული მოპყრობის ფაქტი, ყოველი ლიდერი განსხვავებულ ურთიერთობას ამყარებს ხელქვეითების გარკვეულ მცირე ჯგუფთან, რომელიც მის „შიდა ჯგუფს“ წარმოადგენს. ამ ჯგუფის წევრებისადმი ლიდერს აქვს განსაკუთრებული დამოკიდებულება, მათ უფრო მეტ დროს უთმობს ვიდრე სხვა თანამშრომლებს, მათ უფრო მეტ პრივილეგიებს აძლევს. დანარჩენი თანამშრომლები ლიდერისთვის წარმოადგენს „გარე ჯგუფს“. ლიდერი მათ ნაკლებ ყურადღებას აქცევს და იშვიათად აჯილდოვებს. ლიდერსა და „გარე ჯგუფს“ შორის ურთიერთობა მხოლოდ ფორმალური წესებით მიმდინარეობს.

„გზა-მიზნის“ თეორია

ეს თეორია დღეს ძალიან პოპულარულია. ამ თეორიის ავტორია რობერტ ჰაუზი. ეს ლიდერობის სიტუაციური თეორიაა, რომელიც იყენებს ოჰაიოს უნივერსიტეტის ძირეულ ელემენტებს და მოლოდინის მოტივაციურ თეორიას.

გზა-მიზნის თეორიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სწორედ ლიდერი უნდა დაეხმაროს თანამშრომლებს მიზნის მიღწევაში, ასევე უნდა უზრუნველყოს ხელმძღვანელობა და მხარდაჭერა, რომ თანამშრომლების მიზნები შეესაბამებოდეს შესაბამისი ჯგუფის ან ორგანიზაციის მიზნებს. ტერმინის „გზა-მიზანი“ გამოყენება იმ რწმენით არის განპირობებული, რომ ეფექტური ლიდერი თავის თანამშრომლებს უჩვენებს მიზნის მიღწევის გზას და უმსუბუქებს მათ ამ გზის გავლას დაბრკოლებების აღმოფხვრის გზით.

ამ თეორიის თანახმად, ლიდერის ქცევა მისაღებია მისი ხელქვეითებისთვის იმ ზომით, რა ზომითაც მისი ქცევა განიხილება, როგორც კმაყოფილების უშუალო წყარო.

ჰაუზმა გამოყო ლიდერის ქცევის ოთხი მოდელი:

- დირექტიული ლიდერი;
- მზრუნველი ლიდერი;

- ლიდერი პარტნიორი;
- შედეგზე ორიენტირებული ლიდერი.

დირექტიული ლიდერი თავის თანამშრომლებს აგრძნობინებს თუ რას მოელის თითოეული მათგანისაგან, გეგმავს მათ სამუშაოს და აძლევს კონკრეტულ რეკომენდაციას დავალების შესასრულებლად. დირექტიულ ლიდერობას უფრო მაშინ მივყავართ შრომით კმაყოფილებამდე, როცა შესრულებული ამოცანები უფრო ორაზროვანი და დამუხბულია და ნაკლებად შედეგიანია მაშინ, როცა ეს ამოცანები დაწვრილებით სტრუქტურირებული და დაგეგმილია.

მზრუნველი ლიდერი გამოირჩევა თანამშრომლების პრობლემებისადმი მეგობრული განწყობითა და გულისხმიერებით. ეს მოდელი უკავშირდება ოპაიოს უნივერსიტეტის მკვლევარების მიერ შემოთავაზებულ ყურადღებიანობის კატეგორიას. მზრუნველი ლიდერობა მაშინ უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერებასა და თავდაჯერებულობას, როცა თანამშრომლები ასრულებენ სტრუქტურირებულ ამოცანებს.

ლიდერი პარტნიორი გადის კონსულტაციას ყველა თანამშრომელთან და ითვალისწინებს მათ წინადადებებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

შედეგზე ორიენტირებული ლიდერი ისახავს მაღალ მიზნებს და თვლის, რომ მისი თანამშრომლები სრულად დაიხარჯებიან ამ მიზნების შესასრულებლად. ლიდერს, რომელიც ორიენტირებულია შედეგებზე, შეუძლია თავის თანამშრომლებს ჩაუნერგოს დაჯერებულობა, რომ მათი ძალისხმევა მაღალი შედეგების მომტანი იქნება, თუ ამოცანები არაერთმნიშვნელოვნად იქნება სტრუქტურირებული.

ლიდერი სიახლის ინიციატორია და იგი შთააგონებს ორგანიზაციის კოლექტივს ამ სიახლის რეალიზაციის აუცილებლობას. ეს შთაგონება მხოლოდ და მხოლოდ მისდამი კოლექტივის ნდობით ხორციელდება, რის გარეშეც კოლექტივი არ მიიღებს მის ინიციატივას. მაშასადამე ორგანიზაციის ლიდერსა და კოლექტივს შორის უნდა არსებობდეს ნდობა. ნდობას განაპირობებს ექვსი ძირითადი ფაქტორი:

1. რწმენის სიმტკიცე;
2. ხასიათი (პატიოსნება, სამართლიანობა, ადამიანების პატივისცემა);
3. მზრუნველობა (თანამშრომლების პირად და პროფესიულ განვითარებაზე და აგრეთვე მათ კეთილდღეობაზე ზრუნვის დემონსტრირების უნარი);
4. ძლიერი სული (ნებისყოფა იმისა, რომ თავისი შეხედულებები დაიცვას და თუ ცდება, აღიაროს იგი);
5. თავშეკავებულობა (ემოციების გამოხატვის ან მისგან საჭირო დროს და საჭირო ადგილას თავშეკავების უნარი);
6. კომპეტენტურობა (პროფესიული ცოდნის მაღალი დონე, გუნდში მუშაობის და სიტუაციის ორგანიზების უნარი)⁴².

სამწუხაროდ, ჩამოთვლილი თვისების მატარებელი ადამიანები ძალიან ცოტაა. ამერიკელი მეცნიერი ი. ადიზისის აზრით, „ბუნებაში ასეთი ადამიანი არ არსებობს, ერთ ადამიანში ყველა ამ თვისების შეერთება არ შეიძლება“⁴³. სასურველია, მეტ-ნაკლები დოზით თითოეული თვისება გააჩნდეს წარმატებულ ლიდერს.

თანამედროვე გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ემოციური ინტელექტი უფრო მეტად განაპირობებს ადამიანის ლიდერად გახდომას, ვიდრე ინტელექტუალური კოეფიციენტი, პროფესიული ცოდნა ან სხვა რომელიმე ცალკე აღებული ფაქტორი.

⁴² Э. Смит. Табу лидерства. О чем молчат капитаны бизнеса, М., Вершина, 2007.

⁴³ Adizes. Leading the Leaders. – <http://www.e-ecutive.ru/knowledge/morltdolist/345274/index.php?ID=345274>.

ინტელექტუალური კოეფიციენტი ან პროფესიული ცოდნა შეიძლება განვიხილოთ, როგორც „ზღურბლზე არსებული უნარები“, რომელიც აუცილებელია, მაგრამ არა საკმარისი. იმისათვის, რომ ადამიანი ნამდვილ „ვარსკვლავად“ იქცეს, მას უნდა გააჩნდეს ემოციური ინტელექტის ხუთი შემადგენელი კომპონენტი:

- თვითანალიზი;
- თვითკონტროლი;
- თვითმოტივაცია;
- თანაგანცდა/ თანაგრძნობა;
- სოციალური უნარები.

ადამიანმა, რომელსაც არ აქვს ემოციური ინტელექტი, შეიძლება მიიღოს ბრწყინვალე განათლება, ჰქონდეს მახვილი ანალიტიკური გონება, ახდენდეს ბრწყინვალე იდეების გენერირებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შესაძლოა იყოს საშუალო ლიდერი. პრაქტიკა აჩვენებს, რომ რაც უფრო მაღალი თანამდებობა უკავია ადამიანს, მით უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მისი, როგორც ლიდერის ეფექტურობაზე ემოციური ინტელექტი.

თავისი არსით ლიდერის ამოცანა მდგომარეობს ადაპტაციური, ინოვაციური კულტურის შექმნაში, რომელიც ზრდის ორგანიზაციის რეაქციის შესაძლებლობას ცვალებად პირობებთან მიმართებაში. ეფექტიანი რეაქცია მომხმარებელთა ცვალებად გემოვნებაზე და კონკურენტული ბრძოლის ძალისხმევა შეუძლებელია მაღალი დონის ლიდერების ჩარევის გარეშე, სწორედ მათ უნდა მოახდინონ შესაბამისი დონისძიებების ინიცირება, ცოდნისა და ინტელექტის მართვა და მათი ინტეგრაცია კონკურენტულად მნიშვნელოვანი კომპეტენციებისა და შესაძლებლობების შექმნაში. ლიდერობა ნიშნავს თანამშრომელთა მხარდაჭერას, მათთან მეტი დროის გატარებას, ორგანიზაციის წევრებთან ხშირ კომუნიკაციას, მათი წინადადებების მოსმენას და გათვალისწინებას. ლიდერებმა უნდა მოახდინონ შემოქმედებითი მიდგომისა და ინოვაციური საქმიანობის სტიმულირება, ორგანიზაციის ადაპტაციური უნარის გაძლიერება და მხარდაჭერა, გაზარდონ თანამშრომელთა დაინტერესება ახალი ინიციატივების განხორციელებაში. თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდის მიზნით უარი თქვან მოტივაციის არსებულ მეთოდებზე და აქცენტი გადაიტანონ ინდივიდუალურ მიდგომაზე, მათი მოქმედების სფეროს გაფართოებაზე და ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობის გაღრმავებაზე.

ამრიგად, ყველასთვის მორგებული საერთო ლიდერობის სახე არ არსებობს, კომპანის განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც მუდმივად ცვალებად და კონკურენტულ გარემოში მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, ლიდერებს მოეთხოვება ორგანიზაციის ცვლილებებში, ბიზნესპროცესების შექმნასა და სრულყოფაში ხელმძღვანელობისა და მოტივირების გზით დაგეგმილი მაჩვენებლების მიღწევის უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არტურ ა. ტომპსონი უმც., ა.ჯ. სტრიკლენდი III, სტრატეგიული მენეჯმენტი, კონცეფციები და ბიზნეს სიტუაციები, 2010.
2. ლომია ც., ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, 2014.
3. ნორთჰაუსი პიტერ გ., ლიდერობა, თეორია და პრაქტიკა, V გამოცემა 2010.
4. რამიშვილი ბ., სტრატეგიული მენეჯმენტი, თბილისი, 2013.
5. ხარხელი მ., ქეშელაშვილი გ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2013.
6. ხარაძე ნ., ლიდერობა და ადამიანთა მართვის ხელოვნება, I ნაწილი, თბ., 2009.

7. Gareth R. Jones, Introduction to Business, How Companies Create Value for People, Texas A&M University, 2010.
8. Justin G. Longenecker, Carlos W. Moore, J, William Petty, Small Business Management An Entrepreneurial Emphasis, Thomson, south-western, 2010.
9. ტოლიაშვილი პაპუნა, სტატია, ნამდვილი ლიდერის სახე, 2007.
10. <https://4motivi.com/> ლიდერობის თეორიები/
11. <https://papelishvili.wordpress.com>
12. www.dictionaty.css.ge/content/trait-theory-leadership

Fati Shengelia

THE ROLE OF LEADER IN THE COMPANY Summary

There are five important qualities or characteristics of effective leaders. The first quality of an effective leader is intuition, intelligence, and cognitive ability to process information and analyze a business problem such as the need to identify the specific contingencies in a particular leadership situation. Employees are always „judging” their leaders. They respond favorably to leaders who demonstrate the ability to create viable business models and put them into action.

Effective leaders also display energy, drive and a need for achievement to employees. These leaders show, through their own actions, their commitment to work hard and perform at a high level. They put in long hours and always seem to be in the right spot when problems arise, ready to put their cognitive, problem-solving abilities into action.

Third, effective leaders tend to be self-confident and have an internal locus of control. . They encourage employees to believe in themselves and perform to the best of their abilities to help solve problems, something that often leads to success.

A leader’s ethics and moral integrity are also an important determinant of how effective he or she will be. Leadership is about influence and persuasion. Effective leaders want to protect the right of their employees, and their personal reputation for making fair decisions is an important indicator of their moral integrity.

The fifth characteristic of an effective leader is emotional intelligence and empathy, a person’s ability to appreciate and understand the feelings and emotions of other people, as well as one’s own and to use this knowledge to guide one’s behavior towards others. Emotional intelligence helps a leader develop the social skills necessary to build good personal working relationship with individual employees and cohesiveness among people who work in groups and teams.

გიორგი ასათიანი

საგადასახადო კანონმდებლობას მეცნიერები და პრაქტიკოსები უნდა ქმნიდნენ

ანოტაცია. სტატიაში მიმოხილულია გადასახადების თეორიაში არსებული კვლევები, მათი პლუს-მინუსები და აღიარება-არაღიარებები.

გამოკვეთილად ნაჩვენებია ამ სფეროში ქართველ მეცნიერთა – ვლ. პაპავას, ი. ანანიაშვილის, დ. კბილაძის, ვ. რამიშვილის, ლ. დგებუაძის და სხვათა ნაშრომ-ნაღვაწი როგორც უცხოური კვლევების, კერძოდ, ა. ლაფერის კვლევის შეფასების, ისე საკუთარი იდეების შემოთავაზების კონტექსტში.

სტატიაში გაკეთებულია დასკვნა იმისათვის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ხშირ-ხშირად არ იცვლებოდეს, საჭიროა, ის ამ სფეროში მოღვაწე

ავტორიტეტულ, მაღალპროფესიონალ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა გუნდმა გადაამუშაოს და იგი ქართულ რეალობას დააფუძნოს.

საკვანძო სიტყვები: გადასახადები; საგადასახადო სისტემა; საგადასახადო ტვირთი; ლაფერის მრუდი; საგადასახადო კანონმდებლობა.

შესავალი

საქართველოს საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება 1991-1992 წლიდან დაიწყო, როდესაც საქართველო საბჭოთა კავშირიდან გამოვიდა და დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. ამ წლებში ქვეყანამ, რომელსაც უკვე ჰქონდა საშემოსავლო და მოგების გადასახადები, მიიღო ბრუნვის გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი.

1998 წელს ამოქმედდა და 2004 წლამდე იმუშავა პირველმა საგადასახადო კოდექსმა, რომელშიც 21 გადასახადი იყო დაფიქსირებული. 2005 წელს იგი შეიცვალა. ახალმა საგადასახადო კოდექსმა 21 გადასახადი ჯერ 7 გადასახადზე დაიყვანა, ხოლო შემდეგ 6-ზე. 2011 წელს კვლავაც ახალი საგადასახადო კოდექსი იქნა მიღებული, რომლითაც მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსი დადგინდა და მათ შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმები დაუწესდათ. მისით მოხდა სხვა ცვლილებებიც – გაუქმდა საბაჟო კოდექსი, ალკო-ჰოლორ სასმელებზე დაწესდა ორმაგი აქციზი, იმპორტის ცალკეულ ჯგუფებზე გაუქმდა 0%-იანი დაბეგვრის რეჟიმი, დაფუძნდა საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტი, მობილური კომუნიკაციები დაიბეგრა აქციზით და სხვა მრავალი.

შემდგომ წლებში კოდექსში კვლავაც მრავალი ცვლილება შევიდა. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო რეინვესტირებული მოგების გადასახადიდან მეწარმეთა გათავისუფლება 2017 წლის 1 იანვრიდან, ანუ ესტონური მოდელის დანერგვა. სულ ახლახან კი, საქართველოს ახალმა პრემიერ-მინისტრმა მ. ბახტაძემ და მისმა `მცირე მთავრობამ` დააანონსა პროპორციული გადასახადიდან პროგრესულზე გადაყვანისთვის მთავრობის მზადყოფნა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში გაკეთებული ამდენი ცვლილებების მიუხედავად, როგორც ჩანს, ქვეყნის საგადასახადო გარემო მაინც არ არის ისეთი, რომ მან მეწარმეობის განვითარებაში `აფეთქება` მოახდინოს. არადა, ამის გარეშე ქვეყანაში ვერც უმუშევრობა შემცირდება და ვერც სიღარიბე მოისპობა.

ჩვენი აზრით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის ეფექტიანობა იმით კი არ უნდა გაიზომოს, თუ რამდენად ბევრი ცვლილება შევა მასში (მათი უმრავლესობა დღეს სპონტანურად არის გადაწყვეტილი), არამედ მათი მეცნიერული დასაბუთებულობით და პრაქტიკაში ამუშავების უნარით. ასეთი ცვლილებების შემუშავება მხოლოდ მეცნიერებს და ამ სფეროს პრაქტიკოსებს შეუძლიათ. დასა-ნანია რომ, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით (ბელორუსია, უზბეკეთი და სხვები), საქართველოს მთავრობა ამ საკითხს ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

გადასახადების შესახებ არსებული კვლევები და მათში ქართველ მეცნიერთა ჩართულობა.

ყველასათვის ცნობილია, რომ ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკას ორი ფუნქცია აქვს - ფისკალური ანუ ბიუჯეტის შემავსებელი და მეწარმეობის მარე-გულირებელ-მასტიმულირებელი. თანამედროვე განვითარებული ქვეყნების ხაზინის შემოსულობათა თითქმის 90%-ზე მეტს შეადგენს გადასახადები [1, გვ. 62]. რაც შეეხება საქართველოს, 2016 წელს საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლების 90,8%-ს

საგადასახადო შემოსავლები შეადგენდა [2, გვ. 107], ამიტომ სწორ საგადასახადო პოლიტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფისთვის.

მაგრამ ნებისმიერი ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა ისეთი უნდა იყოს, რომ არ ჩაახშოს მეწარმეობითი საქმიანობის განვითარება, კაპიტალის დასაბან-დებლად მოიზიდავდეს ინვესტორებს და პოტენციურ მეწარმეებს უზიდავდეს ბიზნესის დაწყებისკენ.

ოპტიმალური საგადასახადო რეჟიმის შექმნა ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. ფრანგი ფილოსოფოსის მონტესკიეს აზრით, “არაფერი საჭიროებს იმდენ ჭკუა-გონებას, რამდენიც აუცილებელია იმ წილის განსასაზღვრელად, რომელსაც ხელისუფლება ართმევს საზოგადოების წევრებს”. არსებობს ინგლისური ანდაზაც: “ცხვარი ისე არ უნდა გაპარსო, რომ მატყლს ტყავიც გააყოლო” - ერთიც და მეორეც გადასახადებს ეხება.

ოპტიმალური საგადასახადო სისტემის შექმნის სირთულის დასტურია ის ვითარება, რომელიც დღეს ამ სფეროში გვაქვს. იმის მიუხედავად, რომ შუა საუკუნეებიდან დაწყებული, დღემდე მრავალი მოაზროვნე მეცნიერი - თ. აქვინელი (1225-1276), შ. მონტესკიე (1689-1755), უ. პეტი (1623-1687), ა. სმიტი (1723-1790), დ. რიკარდო (1772-1823), ჯ. კეინზი (1883-1946), პ. სამუელსონი, მ. ფრიდმანი, ა. ლაფერი და სხვები მუშაობდნენ ამ საკითხზე, ეკონომიკურ მეცნიერებას და პრაქტიკას დღეს მაინც არა აქვს შემუშავებული უნივერსალური, ოპტიმალური საგადასახადო სისტემა, რომელსაც ყველა ქვეყანა გამოიყენებოდა და, რომელიც ყველა ქვეყანაში დააკმაყოფილებდა როგორც სახელმწიფოს ისე მეწარმის ინტერესს.

ამჟამად მსოფლიოს თითოეულ ქვეყანას თავისი საგადასახადო სისტემა აქვს და, ავად თუ კარგად, მისით უზრუნველყოფს სახელმწიფო ხარჯების დაფარვას და არეგულირებს ეკონომიკასაც. თვით ლაფერის მრუდიც [3] კი, რომელიც გრაფიკული სახით განსაზღვრავს სახელმწიფო შემოსავლების დამოკიდებულებას გადასახადების განაკვეთების ერთობლივ საშუალო დონესთან და რომელიც დღეს უმრავლეს მეცნიერთა მიერ აპრიორად არის მიღებული, გარკვეულწილად, მაშინაც და ახლაც კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. ამ მრუდის თანახმად, გასაშუალებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთის ზრდის კვალობაზე ბიუჯეტში მობილიზებული საგადასახადო შემოსავლებიც იზრდება, მაგრამ რაღაც წერტილის შემდეგ რომელ წერტილზეც ეს შემოსავლები თავის მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს, ამ განაკვეთის შემდგომი ზრდა უკვე საგადასახადო შემოსავლების შემცირებას იწვევს.

ლაფერის ეს მიგნება, რომ გადასახადების შემცირებას შეეძლო საგადა-სა-ხადო შემოსავლების გაზრდა, მაშინდელმა ეკონომისტებმა არ აღიქვეს სერიო-ზულად (თუმცა, იგი მიწოდების ეკონომიკური თეორიის ძირითადი დებულების ილუსტრაციის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად არის მიჩნეული). მაგალითად, მეცნიერი ე. ბალაცკი წერდა, რომ ლაფერის მრუდის თეორია მხოლოდ ლამაზი ჰიპოთეზაა, რომელიც მთლიანობაში დადასტურებული არ არის. თავის ამ მოსაზრებას ის ასაბუთებდა იმით, რომ მრუდი ხელოვნურ პოსტულატებს ემყარება, რომელთა შორის რიგით პირველია ნულსა და ას პროცენტს შორის გაშუალებული ერთობლივი გადასახადის განაკვეთის ისეთი სიდიდის არსებობა, რომელზეც საგადასახადო შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს, მხოლოდ და მხოლოდ ლოგიკური მსჯელობითაა დაშვებული, რის გამოც ამ დებულების დასაბუთება დოგმატურ ხასიათს ატარებს [4, გვ. 45-46]. ე. ბალაცკის აქვს ლაფერის საწინააღმდეგო თავისი მოსაზრების სხვა დასაბუთებებიც.

ლაფერის მრუდის გარკვეული კრიტიკაა ჩადებული პროფესორ ი. ანანიაშვილის სტატიაში - “ლაფერის მრუდი თუ მრუდების ოჯახი?” იგი წერს [5, გვ. 71]: “ლაფერის ერთი მრუდის არსებობის იდეას, ბუნებრივად მიყვავართ მცდელობამდე, როგორმე დავადგინოთ ბიუჯეტის მაქსიმალური საგადასახადო შემოსავლების მომტანი განაკვეთის მნიშვნელობა, რომელიც საფუძვლად დაედება ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას და არსებული საგადასახადო რეჟიმის სრულყოფას. მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ ლაფერის მრუდი არ არის მდგრადი კონსტრუქცია და ეკონომიკაში შექმნილი სიტუაციების მიხედვით იგი შეიძლება მუდმივად შეიცვალოს, რაც აგრეთვე ბიუჯეტისთვის მაქსიმალური საგადასახადო შემოსავლების მომტანი განაკვეთის შეცვლის ცვლილებასაც გულისხმობს, მაშინ, სავარაუდოდ, მაქსიმალური საბიუჯეტო შემოსავლების შესაბამისი განაკვეთი არსებულ “მიმზიდველობას” დაკარგავს და მისი მნიშვნელობის დადგენისადმი ინტერესი რამდენადმე შენელებს, ვინაიდან ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებების გამო, მუდმივად საჭირო იქნება დადგენილი განაკვეთის ცვლილება, რაც, საბოლოო ანგარიშით, არასასურველი შედეგის მომტანია”. შემდეგ პროფესორი ი. ანანიაშვილი იმოწმებს ცნობილ ეკონომისტს რობერტ ბაროს, რომლის აზრითაც, საგადასახადო განაკვეთის მუდმივი ცვლილება (როგორც გადიდება, ისე შემცირება) ეკონომიკაში უფრო მეტ დამახინჯებებს და აუნაზღაურებელ ზარალს იწვევს, ვიდრე ფიქსირებული განაკვეთების მქონე დაბეგვრის რეჟიმი.

ქართველი მეცნიერი ვ. რამიშვილი, ასევე აკრიტიკებს ლაფერს და აღნიშნავს შემდეგს: “ა. ლაფერმა ეს გაანგარიშება აშშ-ს მაგალითზე გააკეთა, ქვეყანაზე, რომელიც ისე განვითარებულია, რომ კლასიკური საბაზრო ეკონომიკის მაგალითს წარმოადგენს. აშშ-ს თავისი გამოყენებითი ეკონომიკური პოტენციალი ათვისებული ან თითქმის ათვისებული აქვს... მიმაჩნია, რომ ლაფერის მსჯელობა გამოდგება მხოლოდ განვითარებადი ქვეყნისთვის. ის, რაც ოპტიმალურია განვითარებული ქვეყნებისთვის, იგი შეუძლებელი იქნება განვითარებადი ქვეყნებისთვის. განვითარებად ქვეყნებში ოპტიმალურ წერტილს რომ მივაღწიოთ, ლაფერის გრაფიკზე უნდა შემოვიტანოთ ეკონომიკური პოტენციალიდან გადახრის მაჩვენებელი [6, გვ. 231]. მეცნიერ ვ. რამიშვილს მხედველობაში სწორედ ის გადახრა აქვს, რაც განვითარებად ქვეყნებს, მ. შ. საქართველოს, ეკონომიკური პოტენციალის ათვისებაში აქვთ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ლაფერის მრუდი თავიდანვე არა ცალკეულ გადასახადთა სახეობების, არამედ გასაშუალებული ერთობლივი გადასახადის მიმართ იყო ჩამოყალიბებული. ამ ერთობლივ გადასახადს ხშირად მეცნიერები საგადასახადო ტვირთსაც უწოდებენ, რომელიც მთლიან შიდა პროდუქტთან მის პროცენტულ ფარდობას გვიჩვენებს. მთლიან შიდა პროდუქტსა და ფაქტობრივად აკრეფილ საგადასახადო შემოსავლებზე კი მრავალი შენიშვნა აქვს ქართველ მეცნიერ ვლ. პაპავას, კერძოდ ის, რომ პირველის მიღმა რჩება “შავი ეკონომიკის” მიერ წარმოებული პროდუქტი, ხოლო მეორე – არ მოიცავს ქვეყანაში პოტენციურად არსებულ საგადასახადო შემოსავლებს. აქედან გამომდინარე, სრულიად მისასალმებელია ის კვლევა, რომელიც ამ სფეროში ახალგაზრდა ქართველმა მეცნიერებმა ლ. დგებუაძემ და მ. ჩიკვილაძემ სწორედ პოტენციური და არა ფაქტობრივი საგადასახადო შემოსავლების გამოყენებით ჩაატარეს და საქართველოს სამომავლო განვითარებისთვის მეტად ანგარიშგასაწევი და საყურადღებო შედეგიც დადეს - თუ საქართველოში საგადასახადო ტვირთის მნიშვნელობა მიუახლოვდება 9,96%-ს, მაშინ საქართველოს ეკონომიკას ექნება წელიწადში 5,3%-იანი ზრდის პოტენციალი [7, გვ. 126-127].

კვლევის ეს შედეგები მეტად კარგი მესიჯია საქართველოს კანონშემოქმედი ორგანოებისთვის, რომლებიც, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, დაბეგვრის საკითხს

მხოლოდ ცალსახად – ფისკალური ეფექტის კუთხით უდგებიან და არც ადრე და არც ახლა, არ ითვალისწინებენ ამ სფეროში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა ნაფიქრ-ნააზრევს. ეს კი ქვეყნისთვის ისეთი მტკივნეული სფეროა, რომ მარტო საქართველოშიც კი, მეტად ბევრი მეცნიერი და პრაქტიკოსი მუშაობდა, და, დღესაც მუშაობს ამ პრობლემაზე (პროფესორები: ი. მესხია, დ. კბილაძე, რ. კაკულია, რ. ასათიანი, ვლ. პაპავა, ლ. ბახტაძე, ნ. ხადური, მ. ჩიკვილაძე, გ. ბერიძე, ზ. ლუდუშაური, ი. ანანიაშვილი, თ. აქუბარდია, ო. ნიკოლეიშვილი, ს. სვანიძე, თ. მაღლაკელიძე, ნ. ბაკაშვილი, თვალისმომხილელი, ე. ჯულაყიძე, ვ. ბასარია, ვ. ვერულიძე, კ. რამიშვილი, ლ. დგებუაძე და სხვები და სხვები). მათი კვლევის შედეგებს ქვეყნის მთავრობა უყურადღებოდ არ უნდა ტოვებდეს და პერიოდულად უნდა იხილავდეს მათი დანერგვის მიზანშეწონილობას. უკეთესი იქნება, თუ ამ მეცნიერთაგან ქვეყნის მთავრობა შექმნის გუნდს, რომელიც სისტემატურად იმუშავებს საქართველოსთვის ოპტიმალურ საგადასახადო სისტემის შექმნაზე, რომლის პერიოდული დახვეწა, შევსება და სრულყოფა მოხდება ქვეყანაში შექმნილი ვითარებების შესაბამისად.

ჩვენ არ ვართ იმის მომხრე, რომ რომელიმე ერთი ქვეყნის საგადასახადო სისტემა აპრიორად მივიღოთ იმ მოტივით, რომ ის ქვეყანა მაღალგანვითარებულია. ასე მაღალგანვითარებული შვედეთიც არის და სამხრეთ კორეაც. შვედეთში გადასახადი 56%-ია, კორეაში - 19% [11, გვ. 9]. პირველი შემოსავლის 44%-ს უტოვებს გადასახადის გადამხდელებს, მეორე - 81%-ს.

დასკვნა

რადგან შვედეთის და სამხრეთ კორეის საგადასახადო მოდელები ამ ქვეყნებში ეფექტურად მუშაობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ადგილობრივ “ფესვებზე”, წარმოების და განაწილების ადგილობრივ ტრადიციებზე არიან დაფუძნებულნი. ასევე უნდა გავაკეთოთ ჩვენც. დროა შევწყვიტოთ საგადასახადო კანონმდებლობის წარამარა ცვლა, რადგან მეწარმეებს და ინვესტორებს მისი გარკვეული სტაბილურობა სჭირდებათ. თუ საგადასახადო კანონმდებლობას შექმნის მაღალპროფესიონალ, ავტორიტეტულ მეცნიერთა და პრაქტიკოსთა გუნდი, ეს პრობლემა ადვილად გადაწყდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე., აბრალავა ა., ბახტაძე ლ., კაკულია რ. გადასახადები და საგადასახადო დაბეგვრა, თბილისი, საფინანსო-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, 2015, გვ. 18.
2. ჩიკვილაძე მ., პოსტსაბჭოთა ქვეყნების (საქართველო) გადასახადების შედარებითი ანალიზი, თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტკონფერენციის მასალების კრებული, მდგრადი განვითარების თანამედროვე ეკონომიკური ტენდენციები, თბ., 2017.
3. Laffer A. B. The Laffer Curve: Past, Present and Future // Heritage Foundation Backgrounder. #1765, 2004, June 1.
4. პაპავა ვლ., რას მოგვცემს გადასახადების შემცირება? ლაფერის მრუდი: მითი და რეალობა, ჟ. “მაკრომიკროეკონომიკა”, №4, 2001, გვ. 45-46.
5. ანანიაშვილი ი., ლაფერის მრუდი თუ მრუდების ოჯახი, ჟ. “ბიზნესი და კანონმდებლობა”, №3, 2009, გვ. 71.
6. რამიშვილი რ., განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემები და ლაფერის მრუდი, II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული -

„გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“, ნაწილი I, თბილისი, 2018, ტექნიკური უნივერსიტეტი, გვ. 231.

7. დგებუაძე ლ., ჩიკვილაძე მ., ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის განსაზღვრა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მისაღწევად (საქართველოს მაგალითზე), ჟ. „ეკონომისტი“, №2, 2018, ტ. XIV, გვ. 126-127.

8. ღუდუშაური ზ., შოშიტაიშვილი თ., როგორ ვარეგულიროთ ეკონომიკა გადასახადებით?, ჟ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №2, 2006, გვ. 9.

Giorgi Asatiani

SCIENTISTS AND PRACTITIONERS SHOULD CREATE TAX LEGISLATION

Summary

In the article reviewed the studies in the tax theory, their plus-minus and recognition-notifications.

It is exemplified in the context of Georgian scientists - V.Papava, I.Ananiashvili, D. Kbiladze, V.Ramishvili, L. Dgebuadze and others, in the context of the study of foreign research, namely A. Lafer Research, and its own ideas.

In the article, the conclusion is that the Georgian tax legislation does not change frequently, it is necessary to work with the team of authoritative, highly professional scientists and practitioners working in this field to establish the Georgian reality.

გიორგი დიდიძე

საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის შემუშავებაში ინოვაციური მეთოდოლოგიური მიდგომების შესახებ

ანოტაცია. ნაშრომში დახასიათებულია საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარების დონე. განხილულია რეგიონული განვითარების სამთავრობო დოკუმენტებში, კერძოდ, რეგიონული პროგრამების ინოვაციური მეთოდოლოგიური მიდგომით შემუშავების აუცილებლობა, მიზნები და მეთოდური რეკომენდაციები. საქართველოს გააჩნია ეკონომიკური განვითარების ინოვაციური შესაძლებლობების მნიშვნელოვანი პოტენციალი. განსაზღვრულია ინოვაციების დანერგვის მიმართულებები. ყურადღებაა გამახვილებული ქვეყნის ინოვაციური განვითარების ზოგიერთ მნიშვნელოვან ასპექტზე, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებზე.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური ტექნოლოგიები; ინოვაციური პოტენციალი; კონკურენტუნარიანობა; ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა; ხელშეწყობის მექანიზმები.

შესავალი

საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების მონაწილეობით შემუშავებული სამთავრობო პოლიტიკური დოკუმენტების მიხედვით ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საჭიროებებს შორის პრიორიტეტულია: ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; რეგიონებს შორის მკვეთრი განსხვავებებისა და უთანაბრობების შემცირება; რეგიონული განვითარების პოლიტიკის ინსტრუმენტების შემდგომი გაუმჯობესება; ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების გაძლიერება და

რეგიონული პოლიტიკის მენეჯმენტის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება.

აღნიშნული სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტა შეუძლებელია ეკონომიკის საწარმო-ტექნიკური ბაზის რენოვაციის, ანუ ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვის გარეშე.

ინოვაციური მიდგომები რეგიონული განვითარების პროგრამის შემუშავებაში

ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის მხრივ საქართველოში ბოლო წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი გამოკვლევებით, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის (GCI) მიხედვით, 118 ქვეყანას შორის 2016-2017 წლებში საქართველო იმყოფებოდა 113-ე ადგილზე, მათ შორის, ტექნოლოგიური მზაობის და ინოვაციური პოტენციალის მიხედვით - შესაბამისად, 65-ე და მე-100-ე ადგილზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჯერჯერობით სისტემური სახით არ არის შექმნილი ოფიციალური სტატისტიკა ინოვაციური და ტექნოლოგიური განვითარების შესახებ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ინოვაციების სფეროში ჩატარებული სპეციალური კვლევის თანახმად, 2013-2015 წლების განმავლობაში საინოვაციო საქმიანობაში ჩართული სამამულო საწარმოების 48,8%-მა შექმნა ახალი და მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტი, ხოლო 51,2%-მა - ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული სერვისები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ოფიციალური სტატისტიკა ვერ იძლევა საფუძველს სათანადო ანალიტიკური კვლევების ჩასატარებლად ადგილობრივი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის, ვაჭრობის, მიგრაციის, ინოვაციების, შრომის ბაზრისა და სხვა რეგიონული მონაცემების შესახებ. რაც შეეხება მუნიციპალურ სტატისტიკას, შეიძლება ითქვას, რომ იგი არ არსებობს. ამდენად, ვეყრდნობით დამატებითი მოკვლევის მასალებს, საერთაშორისო და ადგილობრივი დაწესებულებების/ორგანიზაციების მასალებსა და დამუშავებებს.

ჩვენი ჩართულობითა და საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური მხარდაჭერით შემუშავებული სტრატეგიული დოკუმენტების (რეგიონული განვითარების სტრატეგია, რეგიონული განვითარების პროგრამა და სხვა) მიხედვით ჩანს, რომ საქართველოს გააჩნია ეკონომიკური განვითარების ინოვაციური შესაძლებლობების მნიშვნელოვანი პოტენციალი. დოკუმენტში წარმოდგენილია ეკონომიკის ინოვაციურობის დონის შეფასება და განსაზღვრულია ინოვაციების დანერგვის მიმართულებები. ყურადღებას გავამახვილებთ ქვეყნის ინოვაციური განვითარების ზოგიერთ მნიშვნელოვან ასპექტზე.

საქართველოს რეგიონული განვითარების 2018-2021 წლების პროგრამაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საქართველოს, ერთი მხრივ, აქვს მრავალი გამოწვევა და საჭიროება შემდგომი განვითარებისთვის, ხოლო მეორე მხრივ, გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი, რომლის ეფექტიანი გამოყენება შესაძლებელია ეკონომიკური განვითარების გაღრმავებისა და მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად. იმისათვის, რომ გარდაიქმნას ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებად, საქართველომ უნდა გააძლიეროს ადგილობრივი კომპანიების ინოვაციური შესაძლებლობები და მათი თანამშრომლობა სამეცნიერო სექტორთან.

ქვეყნის ეკონომიკური და მდგრადი რეგიონული განვითარებისათვის გამოიკვეთება შემდეგი ამოცანები:

- ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რაც მოითხოვს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სპეციფიკური ფაქტორების გამოვლენასა და მაქსიმალურად ამოქმედებას;

- რეგიონებს შორის მკვეთრი განსხვავებებისა და უთანაბრობების შემცირება ეკონომიკური და სოციალური განვითარების თვალსაზრისით;

- რეგიონული განვითარების პოლიტიკის ინსტრუმენტების შემდგომი გაუმჯობესება, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისა და რეგიონული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ჩართული სტრუქტურების ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება.

აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად, როგორც რეგიონული, ისე სექტორული ინსტიტუციური პოტენციალი უნდა ფოკუსირდეს შემდეგი მიმართულებებით:

- ძირითადი სტრატეგიული ფიზიკური ინფრასტრუქტურა, როგორცაა ავტო-მაგისტრალები სატრანსპორტო დერეფნებში, რკინიგზა, აეროპორტები და საზღვაო პორტები; გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და განვითარება (წყალმომარაგების სისტემა, მყარი ნარჩენების მართვა, ბუნებრივი კატასტროფების პრევენციის სისტემა); ენერგეტიკისა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტინფრასტრუქტურა; კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა; ურბანული ტრანსპორტის ინტეგრირებული გადაწყვეტილებების ხელშეწყობა.

- მეწარმეების, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის გაძლიერება; ინოვაციური ფორმების დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდა და არსებული კვლევითი და აკადემიური ინსტიტუტების ჩართულობის გაუმჯობესება ბიზნესის სფეროში, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ ინოვაციური პროექტების მომზადებასა და განხორციელებაში. ინვესტიციების ზრდა ინოვაციური პოტენციალის მატარებელ დარგებსა და წარმოებებში.

- ადამიანური რესურსების განვითარება, ადეკვატური საგანმანათლებლო, ჯანდაცვის, კულტურული, სპორტული და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა; პროფესიული განათლების სისტემის რეფორმის გაგრძელება; სკოლამდელი, ზოგადი, უმაღლესი, პროფესიული განათლების სისტემის დახვეწა; სკოლამდელ, ზოგად და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კვალიფიკაციის ამაღლება, სასწავლო ინფრასტრუქტურის განვითარება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; კვლევასა და განვითარებაზე ორიენტირებული ინსტიტუტების ხელშეწყობა, რათა მათი მხრიდან მოხდეს ინოვაციებისა და ბიზნესსექტორთან თანამშრომლობის ხელშეწყობა, საერთაშორისო სამეცნიერო დაწესებულებებთან კავშირების გაზრდა;

- ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაცია; მაღალმთიან რეგიონებში ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა და საჯარო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება (განათლება, ჯანდაცვა, ძირითადი ინფრასტრუქტურა და ა.შ.); შავი ზღვის პორტების განვითარების ხელშეწყობა საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის პოტენციალის გაღრმავების მიზნით; საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერება ურბანული ტერიტორიების ფუნქციური ინტეგრაციის გზით;

- ინსტიტუციური განვითარება - ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაძლებლობათა ზრდა, რათა მათ ხელი შეუწყონ რეგიონული განვითარების პოლიტიკის წარმატებულ განხორციელებას; სამინისტროებისა და სახელმწიფო სტრუქტურების ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერება.

მოკლედ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ევროკავშირის ეკონომიკური საქმიანობის სახეების სტატისტიკური კლასიფიკატორის მიხედვით, ტექნოლოგიურ/ინოვაციურ სექტორს მიეკუთვნება:

- კომპიუტერული, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქტების წარმოება;

ელექტრომონოწილობების წარმოება; საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების საბითუმო ვაჭრობა;

- პროგრამული უზრუნველყოფა; ტელეკომუნიკაცია, კომპიუტერული პროგრამირება, საკონსულტაციო და მასთან დაკავშირებული საქმიანობა;

- საინფორმაციო სამსახურის საქმიანობა;

- სამეცნიერო კვლევა და განვითარება;

- სხვა პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობა;

- კომპიუტერის და ასევე, პირადი და საყოფაცხოვრებო საქონლის შეკეთება.

ჩამოთვლილთაგან თითოეული მათგანი მოიცავს ასეულობით სახეობის ბიზნეს საქმიანობას. მათი მთლიანი ბრუნვა 2013 წლიდან 2015 წლამდე (ბოლო მონაცემებით) 24%-ით გაიზარდა და 2,068 მლრდ ლარი შეადგინა (მთლიანი ბიზნესბრუნვის 3.6%). ყველაზე დიდი ზრდა იყო პროფესიულ, სამეცნიერო და ტექნიკურ საქმიანობაში (258%). მას მოსდევს კომპიუტერული პროგრამირება, საკონსულტაციო და მასთან დაკავშირებული საქმიანობა (144%), შემდეგ კომპიუტერული, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქტების წარმოება (135%). ელექტრომონოწილობების წარმოება ამავე პერიოდში 24%-ით შემცირდა.

საერთო ჯამში, კვლევებსა და განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობა, რაც კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს, საქართველოში ჯერ კიდევ სუსტი და ფრაგმენტულია.

გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ინოვაციური საქმიანობის 23.1% შეწყდა დასრულებამდე, ხოლო 76.9% ჯერაც მიმდინარეობს. იმავე კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ საწარმოების 97.5%-ს აქვს ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, ხოლო საწარმოების 44.3%-ს აქვს საკუთარი ვებგვერდი. კომპანიების 32.9% იყენებს სოციალურ ქსელებს (როგორცაა facebook, linkedin), ხოლო მხოლოდ 5% სარგებლობს ბლოგებით ან მიკრობლოგებით (მაგალითად twitter), 8.9% იყენებს საიტებს მულტიმედიური მასალების გაზიარებისათვის (youtube, flickr, myvideo). საწარმოების 48.7% საერთოდ არ იყენებს ზემოაღნიშნულ სოციალურ მედიას ან იყენებს მას მხოლოდ ფასიანი რეკლამის განთავსების მიზნით. ელექტრონული კომერციის თვალსაზრისით, კომპანიების მხოლოდ 9.5% იღებს საქონლის ან მომსახურების შეკვეთებს ვებგვერდების მეშვეობით.

ინტერნეტის მოხმარების კუთხით შინამეურნეოების ინტეგრირებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ 2017 წლის ივნისის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის ინტერნეტწვდომა 71.5%-ს აღწევდა. იგივე, 2016 წლის ივნისისთვის, ინტერნეტწვდომა 70.7% იყო. ინტერნეტის მოხმარების კუთხით თბილისის ყველა სხვა რეგიონს აღემატება, მოიხმარს რა ინტერნეტს მისი მოსახლეობის 76.7%, შემდეგ მოდის აჭარა და სამცხე-ჯავახეთი, შესაბამისად - 57% და 58%. ყველა დანარჩენი რეგიონის მოსახლეობის მიერ ინტერნეტის ქსელის გამოყენება 40 და 50% შორის მერყეობს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ დაბალია საწარმოო სექტორის ინოვაციების დონე რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით. ინოვაციების რამდენადმე მაღალი დონე შეინიშნება დიდ კომპანიებში (განსაკუთრებით ტელეკომუნიკაციების, კომუნალურ და საბანკო სექტორებში), ასევე, საქართველოში არსებულ უცხოურ კომპანიებში. ქართული კომპანიების ინოვაციური საქმიანობა ძირითადად აპარატურისა და აღჭურვილობის შექმნის სახით არის წარმოდგენილი. საქართველოში დაბალია სამეცნიერო-კვლევითი თანამშრომლობის დონე, თავად მეცნიერების სექტორიც არ არის საკმარისად ინოვაციური და იგი ძირითადად ფუნდამენტურ კვლევებზე ფოკუსირდება.

ინოვაციების დანერგვის მხარდაჭერის ღონისძიებათა შორის მნიშვნელოვანია, ხელი შეეწყოს საქართველოში ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას, ტექნოლოგიური პარკებისა და საინოვაციო ცენტრების შექმნას, ტრენინგებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მიწოდებით საწარმოებისა და კვლევითი დაწესებულებების ერთობლივი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ინოვაციური პროექტების დანერგვას.

საქართველოში ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა გულისხმობს ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნასა და განვითარებას; ფინანსებზე წვდომის უზრუნველყოფას (მათ შორის მიკროგრანტების პროგრამის განხორციელება); ქვეყნის მასშტაბით ტრენინგებისა და სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზებას; საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას.

ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერის ღონისძიებათა სისტემაში უმნიშვნელოვანესია მცირე და საშუალო საწარმოების, ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებული სექტორების, ექსპორტისა და იმპორტშემცველი წარმოების განვითარების ხელშეწყობა.

აღსანიშნავია, რომ ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შექმნისათვის მთავრობის მუდმივი ძალისხმევის მიუხედავად (2018 წელს ბიზნესის კეთების კუთხით საქართველო მოხსენიებულია 20 ქვეყანას შორის, რომელმაც ყველაზე დიდი რაოდენობით განახორციელა ბიზნესის რეგულირების რეფორმები (2003 წლიდან მოყოლებული 47 რეფორმა), ქართული კერძო კომპანიების წარმოებისა და ინვესტიციების დონე ძალზე დაბალია ევროპულ ქვეყნებთან შედარებით. აღნიშნული ასახავს ქვეყნის განვითარების დონეს, მაგრამ ასევე, შეიძლება განიხილებოდეს, როგორც დაგეგმვის ცენტრალიზებული სისტემის და ჯერ კიდევ შედარებით სუსტი ინსტიტუციური სტრუქტურის შედეგი.

როგორც ანალიზმა გამოავლინა, არსებული კომპანიების და კონკრეტულად მცირე და საშუალო საწარმოების მიერ ბიზნესის დაწყებისთვის და/ან გაფართოებისათვის საჭიროა გაძლიერდეს კაპიტალთან ხელმისაწვდომობა, ბიზნესის წარმოებისა და მართვის უნარები, ასევე საჭიროა ინსტიტუციური ჩარჩოს ეფექტიანობის გაზრდა.

უკანასკნელ პერიოდში ბიუჯეტიდან დაფინანსებულმა პროგრამებმა, რომლებიც ხელს უწყობდა კერძო კომპანიების ფუნქციონირებას, არსებული საჭიროებების მხოლოდ მცირედი ნაწილი დააკმაყოფილა. ეს პროგრამები ძირითადად ფოკუსირებული იყო უკვე არსებული და შედარებით გამართულად ფუნქციონირებადი კომპანიების ან მოწინავე სექტორების (მედვინეობა, ტურიზმი) ექსპორტის ზრდაზე ცალკეული რეგიონების პოტენციალის განვითარებისა და სრული გამოყენებისათვის.

მიგვაჩნია, რომ რეგიონულმა პოლიტიკამ ფართოდ უნდა დაუჭიროს მხარი მცირე და საშუალო ბიზნესს და სხვადასხვა რეგიონისათვის სპეციფიკური ინსტიტუციური გარემოს განვითარებას. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა უნდა განხორციელდეს სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის იმ კომპანიების მხარდაჭერით, რომელთაც გააჩნია ზრდის მაღალი პოტენციალი (სტარტაპი ან უკვე არსებული კომპანიები) და ასევე იმ კომპანიების მხარდაჭერით, რომლებიც ოპერირებს რეგიონის თვალსაზრისით ყველაზე მეტად პროდუქტიულ ან მომგებიან სექტორში.

უნდა აღინიშნოს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ასეთი ტიპის დახმარების გაწევა დიდად არის დამოკიდებული ტერიტორიულ ფაქტორებზე, ეფექტურობის უზრუნველსაყოფად საჭიროა გაიზარდოს ბიზნესის მხარდამჭერი ინსტიტუციების მიერ გაწეული სერვისების რაოდენობა და ხარისხი.

რეგიონებში მეწარმეობის განვითარების დაბალი დონიდან გამომდინარე, პროგრამებისა და ბიზნესის მხარდამჭერი ინსტიტუტების გაძლიერება გადაუდებლად აუცილებელია ღარიბ რეგიონებში, თუმცა ასეთი ტიპის დახმარება საქართველოს მთელ ტერიტორიაზეა საჭირო (თბილისის ჩათვლით), რაც გააჩენს შესაძლებლობას, უფრო ეფექტიანად იქნეს გამოყენებული თითოეული ტერიტორიის სპეციფიკური პოტენციალი.

ანალიზმა აჩვენა, რომ ევროკავშირთან ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პროცესების გამო წარმოშობილი შესაძლებლობების სრულად გამოყენებისათვის საქართველოს ეკონომიკამ უნდა გაზარდოს საერთაშორისოდ კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება. აღნიშნულს სჭირდება აქტიური ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია ახალი და უკვე კონკურენტუნარიანი სექტორების საექსპორტო შესაძლებლობების გაზრდაზე. ასევე, აუცილებელია სტარტაპის და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა, ბიზნესის მხარდამჭერი ინსტიტუტების გაძლიერება. აღნიშნული ინსტიტუტები თავისთავად ხელს უწყობენ მეწარმეობის მენეჯერული და ინოვაციური უნარების განვითარებას. თვალსაჩინოა, რომ ამ სფეროში დახმარებას აქვს ტერიტორიულად დიფერენცირებული ხასიათი. აუცილებელია თითოეული რეგიონის განვითარების პოტენციალის შესწავლა და გამოყენება, რაც გააძლიერებს მოწინავე სექტორებში ექსპორტის შესაძლებლობას (მაგალითად, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი).

ამავდროულად, უნდა განვითარდეს ექსპორტისათვის სრულიად ახალი ნიშები, მათ შორის მაღალი ხარისხის კულტურული პროდუქტის შექმნის გზით. ტერიტორიულ კონტექსტში ასეთი ახალი ნიშებისა და სექტორების იდენტიფიკაციის ნაკლებობა თვალსაჩინოა და რეგიონულმა პოლიტიკამ ეს სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს. გარდა საექსპორტო შესაძლებლობების ზრდისა, ეკონომიკა ასევე საჭიროებს კერძო ინვესტიციების მატებას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჩათვლით (განსაკუთრებით რეგიონებში). ამისთვის აუცილებელია კარგი მაკროეკონომიკური სიტუაცია და სტაბილური ინსტიტუციური სტრუქტურა, რაც საერთაშორისო შედარებების მიხედვით (მაგალითად ქვეყნების შედარება ბიზნესის კეთების კუთხით) საქართველოში განვითარებულია. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, სათანადო სტიმულირებისას, ქვეყნისათვის მოაქვს ნოუ-ჰაუ, დასაქმების შესაძლებლობა და ინოვაცია. რეგიონული განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ ეს ახალი ინვესტიციები (განსაკუთრებით წარმოებისა და ვაჭრობის სექტორში) განხორციელდეს თბილისისა და ბათუმის გარეთ. რეგიონულ პოლიტიკას სჭირდება მეტი ძალისხმევა, რომ ინვესტიციები განხორციელდეს ჯერ კიდევ ნაკლებად მიმზიდველ რეგიონებში.

ინოვაციების კუთხით საქართველოს შეზღუდული პოტენციალი თანდათან უნდა გაფართოვდეს, რასაც ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების სათანადო გამოყენება, ევროპული ინტეგრაცია (მონაწილეობა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ კვლევით პროექტებში) და აკადემიური და კვლევითი პოტენციალის ამაღლება. არსებული ვითარების გათვალისწინებით, რეგიონული პოლიტიკის ბუნებრივი ფოკუსირება უნდა მოხდეს ინოვაციების შექმნისათვის არსებული შეზღუდული პოტენციალის სრულ გამოყენებასა და გაფართოებაზე თბილისში და ასევე სხვა შეზღუდული რაოდენობის აკადემიურ და კვლევით ცენტრებში. იმისათვის, რომ მოიმატოს ინოვაციურობის დონემ, განსაკუთრებით კი ახლადშექმნილ და მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში, საჭიროა ახალი ინსტრუმენტები, რომლებიც ხელს შეუწყობს საწარმოებს ახალი ინოვაციური პროექტების შექმნაში.

შესაბამისი კვლევები ცხადყოფს, რომ საქართველო საჭიროებს დიდ ინვესტიციებს ადამიანური კაპიტალის განვითარებისათვის ყველა მიმართულებით. ამ კუთხით, კონკრეტული საჭიროებანი გამოვლენილია როგორც საქართველოს მთავრობის მიერ, ასევე ევროკავშირი-საქართველოს პარტნიორობის ფარგლებშიც. ეს საჭიროებები მოიცავს: განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, ბიზნესსექტორის მოთხოვნილებასა და მოსახლეობის უნარებს შორის დისპროპორციის შემცირებას, აქტიური სამუშაო პოლიტიკის შემუშავებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს სამუშაო ბაზრის ანალიზს, პროფესიული განათლების პოლიტიკის განხორციელებას.

უმაღლესი განათლების სისტემას და კვლევით ინსტიტუტებს მნიშვნელოვანი როლი აკისრია ქვეყნის ეკონომიკისა და ასევე იმ კონკრეტული რეგიონის განვითარებაში, სადაც ისინი მდებარეობენ. აღნიშნულს განაპირობებს ამ ინსტიტუტების საინოვაციო შესაძლებლობები, ასევე მათ მიერ რეგიონის დადებითი შემოქმედებითი იმიჯის შექმნა და კვალიფიციური ადამიანური რესურსების შეთავაზება რეგიონის და ქვეყნისთვის. უმაღლესი განათლების და კვლევითი ინსტიტუტები ჭარბად კონცენტრირებულნი არიან - მათი უმრავლესობა, განსაკუთრებით კი ის ინსტიტუტები, რომელთა ცნობადობა შედარებით მაღალია საზღვარგარეთ, თბილისში არიან განლაგებულნი. თუმცა ამ მხრივ არსებობს ამბიციური გეგმები და ინიციატივები, განსაკუთრებით კერძო სექტორის მხრიდან, რათა მოხდეს აკადემიური და კვლევითი პოტენციალის განვითარება ისეთ ადგილებში, როგორც არის ქუთაისი (ტექნოლოგიური ინსტიტუტი) ან ბათუმი.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აკადემიური და კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლობას პარტნიორობთან ევროკავშირის ქვეყნებიდან (მაგალითად პროგრამა „Horizon 2020“-ის ფარგლებში). თუმცა ზემოთ აღნიშნული ურთიერთთანამშრომლობა შეუძლებელია კონკრეტულ ტერიტორიებზე სათანადო საინოვაციო სისტემების არსებობის

გარეშე, რაც გამოიწვევს მკვლევარების საზღვარგარეთ გადინებას.

გრძელვადიანი პერსპექტივით, რეგიონულმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის კვლევითი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარებას; აკადემიურ და კვლევით ინსტიტუტებს შორის, ასევე, საჯარო ინსტიტუტებსა და ბიზნესს შორის ეფექტურ, კომერციალიზაციაზე ორიენტირებულ თანამშრომლობას, რაც გაითვალისწინებს იმ ტერიტორიების სპეციფიკურ ნიშან-თვისებებსა და საჭიროებებს, სადაც აღნიშნული ინსტიტუტები განლაგებულნი.

დასკვნა

როგორც სამთავრობო დოკუმენტებშია აღნიშნული, რეგიონული პროგრამის შემუშავების პროცესში აუცილებელია ინოვაციური მიდგომების გამოყენება, რათა სრულად ამოქმედდეს ქვეყნის ინოვაციური ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები და პოტენციალი. ამ მიზნით, ინოვაციების დანერგვის მიმართულებებად და შესაბამის მექანიზმებად გვესახება: მცირე და საშუალო ბიზნესს და სხვადასხვა რეგიონისათვის სპეციფიკური ინსტიტუციური გარემოს განვითარების ხელშეწყობა; სამთავრობო მხარდაჭერის გაძლიერება კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების და არსებული კონკურენტუნარიანი სექტორების საექსპორტო შესაძლებლობების გაზრდის მიმართულებით; ინვესტიციების მოზიდვა ადამიანური კაპიტალის განვითარების, განათლების ხარისხის გაუმჯობესების და პროფესიული განათლების სისტემის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია. თბილისი, 2010.
2. 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა, თბილისი 2014.
3. The economic development of region is the basis of self-government. Interntional Conference “Local and Regional Development in Europe – Contemporary Challenges”. COUNCIL OF EUROPE, GTZ, MRDI. July 8-9, Batumi, 2010.
4. ლ. ბერიძე, კ. ხმაღამე. ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობის რეგიონული პროგრამის შემუშავების მეთოდური საკითხები. „ინოვაციები ბიზნესში“ (პრობლემები, პერსპექტივები, გამოწვევები). საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. თბილისი, 2010.

Giorgi Dididze

ON INNOVATIVE APPROACHES IN THE ELABORATION OF THE REGIONAL DEVELOPMENT PROGRAM OF GEORGIA

Summary

Based on the research conducted, Georgia has a high potential to strengthen innovative opportunities for economic development. According to Global Competitiveness Index, in 2016-2017 among 118 countries, Georgia ranks 113th, on indicators of technological readiness and innovation potential, accordingly, ranks 65th and 100th.

Among the needs of economic and social development priorities are: increasing economic competitiveness of the country; reduction of disparities between different regions; improvement of regional policy instruments; strengthening local governments and developing institutional capacities for regional policy management.

Over the past decade, the documents developed for the regional development of Georgia mostly include an assessment of the innovation level of the economy and the direction of innovation development. Of these, we emphasize strengthening the promotion of innovation and the introduction of new technologies, the development of research, the development of innovative small and medium-sized entrepreneurship, and the improvement of human resources.

გიორგი დიდიძე

ინოვაციური მეწარმეობის განვითარების წანამძღვრები და პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

ანოტაცია. ნაშრომში დახასიათებულია საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური პოტენციალი. მოყვანილია მეწარმეთა ინოვაციური საქმიანობის განვითარების ამოცანები და შემდეგი ძირითადი მიმართულებები: სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის შემუშავება; დამუშავებებისა და კვლევითი საქმიანობის განვითარება; კადრების მომზადება ინოვაციური საქმიანობისათვის; ინოვაციური მეწარმეობის ინფორმაციული უზრუნველყოფა; კონსალტინგური მხარდაჭერა; ინოვაციური პროექტების ბაზარზე გატანის ხელშეწყობა; ინოვაციური პროექტების რეალიზაციის ინვესტიციური უზრუნველყოფა; მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა; საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ინოვაციური თანამშრომლობა.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური პოტენციალი; კვლევითი საქმიანობა; მცირე მეწარმეობა; კონკურენტუნარიანობა; ხელშეწყობის მექანიზმები.

შესავალი

საბაზრო პრინციპების დანერგვამდე, საქართველოს ეკონომიკა ისტორიულად ჩამოყალიბდა როგორც ცენტრალიზებულად მართული სამეურნეო სისტემა. შესაბამისად, გავრცელებული იყო მოსაზრება აღნიშნული ეკონომიკური სისტემის უკრიზისოდ, აღმავალი ინოვაციური განვითარების შესახებ. ამ იდეოლოგიური შინაარსის მქონე ეკონომიკურ დოგმას საფუძველი გამოეცალა სისტემური ცვლილებების წინა პერიოდში (80-იანი წლები), როდესაც ნათლად წარმოჩინდა სისტემური კრიზისის დამახასიათებელი ნიშნები, როგორებიცაა: ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შექმნისა და ათვისების ტემპების მკვეთრი დაცემა; მანქანების, მოწყობილობების და სხვა სამრეწველო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შემცირება და განდევნა საგარეო და საშინაო ბაზრებიდან; შიდა სამომხმარებლო ბაზრის მიტაცება უცხოური მონოპოლიების მიერ; მეცნიერებატევადი სასოფლო-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ტექნიკის წარმოების მნიშვნელოვნად შემცირება; ეკონომიკის წამყვანი, მაღალტექნოლოგიური დარგების მიერ კვლავწარმოების, ტექნიკური რეკონსტრუქციისა და საწარმოო აპარატის განახლების უნარის დაკარგვა; საწარმოო-ტექნოლოგიური კავშირების მოშლა და სხვა.

ამჟამად, შეიძლება ითქვას, რამდენადმე დაძლეულია ინოვაციური მეწარმეობის სფეროში არსებული კრიზისული მოვლენები. მიმდინარეობს ეფექტიანი ინოვაციურ-ინვესტიციური საბაზრო მექანიზმის ფორმირების პროცესი.

ინოვაციური მეწარმეობის განვითარების წინამძღვრები და პოლიტიკა

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის ეტაპზე ინოვაციური კრიზისის მიზეზებს შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია საბჭოური ეკონომიკური სისტემის ჩამორჩენა ტექნოლოგიური განვითარების დონის მიხედვით. განვითარებული ქვეყნების ახალ ტექნოლოგიურ დონეზე გადასვლის საპირისპიროდ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მიმდინარეობდა მიღწეული ტექნოლოგიური განვითარების დონის შემცირების პროცესი. ამას თან დაერთო ეგრეთ წოდებული ეკონომიკის დემილიტარიზაციის, ანუ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მაღალტექნოლოგიური სამოქალაქო პროდუქციის წარმოებაზე გადაყვანის წარუმატებელი მცდელობა. ინფლაციის, საბიუჯეტო დეფიციტისა და მზარდი საგარეო და შიდა ვალის პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებული იყო ძირითადად მიმდინარე საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე და სათანადო ყურადღებას ვერ უთმობდა პერსპექტიული ინოვაციურ-ინვესტიციური პრობლემების გადაწყვეტას.

შეიძლება ითქვას, რომ შეინიშნება ეკონომიკის გამოცოცხლებისა და ზრდის პროცესი ინვესტიციებისა და ინოვაციების საფუძველზე. ხელისუფლება აცნობიერებს ინოვაციების აუცილებლობას. მუშავდება სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის კონცეფციები და კანონები. სამეწარმეო და საბანკო წრეებს ესმით, რომ ინოვაციებისა და მათი მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია ფონს გასვლა კონკურენტულ ბრძოლაში. გადადგმულია პირველი ნაბიჯები ინოვაციური საქმიანობის გააქტიურების მიმართულებით - იქმნება ბიზნეს-ინკუბატორები და ინოვაციური ცენტრები; ყალიბდება ინოვაციური ინფრასტრუქტურა.

საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი სამეწარმეო და ინოვაციური პოტენციალი. ჩვენი ამოცანაა ამ პოტენციალის სრულად ჩართვა ქვეყნის ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების პროცესში. ამდენად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეწარმეობის განვითარებას ინოვაციურ სფეროში, რამდენადაც სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქტი იძენს მაღალ სამომხმარებლო თვისებებს. აღსანიშნავია, რომ

მსხვილ საწარმოებთან შედარებით, მცირე საწარმოებს გააჩნიათ ინოვაციების მიღებადობის მაღალი უნარი. ისინი გამოირჩევიან მობილურობით და უნარი შესწევთ, შედარებით ნაკლები დანახარჯებითა და რისკით, აგრეთვე, გაცილებით მოკლე დროში აწარმოონ მეცნიერებატევადი პროდუქცია.

მეწარმეთა ინოვაციური საქმიანობის განვითარების მთავარი ამოცანებია: - ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმებისა და სტიმულების ფორმირება, რომლებიც უზრუნველყოფს ახალი მცირე და საშუალო ინოვაციური საწარმოების შექმნას, ინოვაციური სისტემის საბაზო სტრუქტურების - ინოვაციური ცენტრების დაფუძნებასა და განვითარებას, ცენტრების აღჭურვას ინფორმაციული, საკადრო, საკონსულტაციო, საინვესტიციო და ნორმატიულ-სამართლებრივი ინფრასტრუქტურით; - ფინანსური რესურსების მოზიდვა და კონცენტრაცია ინოვაციური სისტემის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით (საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო წყაროები, ვენჩურული კაპიტალი, საბანკო კრედიტები, საზღვარგარეთული კრედიტები და ტექნიკური დახმარება).

ინოვაციური მეწარმეობის განვითარების მიმართულებებად გვესახება:

1. სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის შემუშავება, რომელიც რეალიზებული უნდა იქნეს: მეწარმეობის, ინოვაციური და ინვესტიციური საქმიანობის მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამების, მათ შორის რეგიონული პროგრამების მეშვეობით; კონკრეტული ხელშემწყობი ღონისძიებებით (პროექტები, მომსახურება, დაპატენტება, სერტიფიცირება, რეკლამა და სხვა); სპეციალისტების მომზადების, საგარანტიო, თავდებობის, სადაზღვევო, საკომპენსაციო და სხვა პროგრამები; ინფრასტრუქტურით სარგებლობის შეღავათიანი რეჟიმი (სახელმწიფო ქონების იჯარა, ლიზინგი); საინფორმაციო წყაროებზე უფასო ან შეღავათიანი ხელმისაწვდომობა.

2. დამუშავებებისა და კვლევითი საქმიანობის განვითარება. ინოვაციური პროექტების საფუძველია სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა შედეგები. აუცილებელია მათი წარმოების მაღალი დონის უზრუნველყოფა. ინოვაციურ-ტექნოლოგიური საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია არა მარტო ვფლობდეთ ახალ ტექნოლოგიებს, როგორი უნიკალური და არაჩვეულებრივიც არ უნდა იყოს ისინი, არამედ - ვფლობდეთ საბაზრო ორიენტაციის ტექნოლოგიებს. მას უნდა შესწევდეს უნარი, აწარმოოს ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი საქონელი ან აწარმოოს თვისებრივად ახალი პროდუქცია, რომელიც წარმოშობს ახალ ბაზარს.

3. კადრების მომზადება ინოვაციური საქმიანობისათვის. ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მონაწილე პირთა კვალიფიკაციასა და უნარებს. ამისათვის საჭიროა ცოდნის შეძენა და მუდმივად განახლება. საკვანძო პრობლემაა დავუფლოთ ცოდნას ინოვაციურ-ინვესტიციური ბიზნესისა და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის შესახებ, რათა ერთი მხრივ, ჩამოგვიყალიბდეს საბაზრო კულტურა (საშემსრულებლო, პროფესიული, ორგანიზაციული და სამეწარმეო) და მეორე მხრივ, მივაღწიოთ ინფორმირებულობას ბაზრისა და მასზე მუშაობის ეფექტიანი ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური ფორმების შესახებ.

საგანმანათლებლო საჭიროებათა მრავალფეროვნება სხვადასხვაგვარი ინოვაციური პროექტების არსებობითაა განპირობებული, რაც მოითხოვს ადეკვატური ბიზნესგანათლების სისტემის ჩამოყალიბებას. ინოვაციურ საწარმოთა კონკურენტუნარიანობა ღია ბაზრისა და თავისუფალი ფასების პირობებში საჭიროებს ეფექტიან მენეჯმენტს და შესაბამისად მომზადებულ მენეჯერებს. მათ მომზადებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ინვესტიციურ საქმიანობასა და ტექნოლოგიების კომერციალიზაციაზე.

4. ინოვაციური მეწარმეობის ინფორმაციული უზრუნველყოფა. ინფორმაცია წარმოადგენს განსაკუთრებულ მდგენელს ინოვაციური სამეწარმეო საქმიანობისათვის. ინოვაციური პროცესები ატარებს ინფორმაციულ ხასიათს და ეფუძნება ახალი ცოდნის ოპერატიულად მიღებასა და გაცვლას. ინოვაციური მეწარმეობის ფორმირება, ფუნქციონირება და განვითარება საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პირობებში შეუძლებელია განვითარებული ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გარეშე. ინოვაციური მეწარმეობის წარმატება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ხელმისაწვდომი მის მონაწილეთათვის (მეწარმეები, ხელისუფლების ორგანოები, პოტენციური პარტნიორები და ინვესტორები) ინფორმაციის სისრულესა და ხარისხზე

ამჟამად, ჩვენს ქვეყანაში შემუშავებულია და მუშავდება მრავალი ინვესტიციურ-ინოვაციური პროექტი, რომლებიც ქართული და უცხოური კაპიტალის ხელსაყრელი დაბანდების პოტენციურ ობიექტს წარმოადგენს. ხშირად, ინვესტორებისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია არის არასრული, არადაამაჯერებელი და არ არის საკმარისი ინვესტორების მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად.

ინვესტიციური პროცესის მონაწილეთა მიერ ინოვაციური პროექტების დამუშავებასა და რეალიზაციის პროცესში ინფორმაციულ-ანალიტიკურმა უზრუნველყოფამ ხელი უნდა შეუწყოს:

- სამეწარმეო აქტიურობის სტიმულირებას (ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების ინფორმირება სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისა და არსებული სამეწარმეო პროექტების შესახებ მხარდაჭერისა და შეღავათების ღონისძიებების მიღებისა და განხორციელების მიზნით);

- მეწარმეთა და ინვესტორების ბიზნესიდეების ფორმირებას (ინფორმირება ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი მეწარმეობის პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ, მარკეტინგული ინფორმაცია ბაზრის მოთხოვნების შესახებ);

- ბიზნესიდეების სარეალიზაციოდ დოკუმენტების, მათ შორის განაცხადების, საწარმოსა და პროექტის შესახებ მონაცემების პაკეტის შედგენას, პროექტის რეალიზაციის ბიზნესგეგმის მომზადებას (ინფორმაცია საწარმოების - პოტენციური პარტნიორების შესახებ, პროდუქციისა და მომსახურების ბაზარზე არსებული მგომარეობის შესახებ, კონსულტაციები დოკუმენტების გაფორმების კუთხით);

- ექსპერტიზის ჩატარებას, საინვესტიციო პროექტების შეფასებასა და შერჩევას (საჭირო ექსპერტიზის მოცულობა, ინფორმაცია ექსპერტების შესახებ, ექსპერტიზის ჩატარების მეთოდოლოგია და პროექტის შეფასება, ინვესტიციური პროექტების კონკურსის ჩატარების ინფორმაციულ-ანალიტიკური უზრუნველყოფა, პროექტების პაკეტების ფორმირება, გამოფენებისა და პრეზენტაციის ჩატარების ორგანიზაცია);

- პოტენციური პარტნიორებისა და ინვესტორებისათვის ინფორმაციული შეტყობინებების მომზადებასა და გაგზავნას ინფორმაციული ცენტრებისა და ქსელის მეშვეობით, ჩართვას საერთაშორისო, ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ მონაცემთა ბაზებში;

- მყარი და ოპერატიული კავშირების დამყარებას სავარაუდო პარტნიორებს შორის (მომსახურები გაწევა ინფორმაციის გადაცემის კუთხით).

5. ინოვაციური მეწარმეობის კონსალტინგური მხარდაჭერა. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში საკონსულტაციო მომსახურება დიდი ხანია ჩამოყალიბდა როგორც მისი ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ელემენტი. არც ერთი სერიოზული ეკონომიკური და მმართველობითი გადაწყვეტილება არ მიიღება კონსულტანტების გარეშე - მართვის სპეციალისტების, ეკონომისტების, იურისტების,

მარკეტოლოგების, ფსიქოლოგების, სოციოლოგების, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტების, ინჟინერინგის სპეციალისტების და სხვათა გარეშე. ინვესტიციურ-ინოვაციური მეწარმეობა არის ბიზნესის ერთ-ერთი რთული სახეობა, რომელიც მოითხოვს სხვადასხვაგვარი ორგანიზაციული, იურიდიული, ტექნიკური, ფინანსური, ფსიქოლოგიური და სხვა ხასიათის ამოცანების გადაწყვეტას. ეს ამოცანები მუდმივად წარმოიშვება ინვესტიციური პროექტების შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში. საჭირო დახმარებას ახორციელებენ კონსალტინგური ფირმები.

ინოვაციური მეწარმეობის კონსალტინგი - ეს არის მართვის სპეციალისტების მიერ პროფესიული დახმარების (რჩევები, რეკომენდაციები, გადაწყვეტილებების ერთობლივად შემუშავება) აღმოჩენა მეწარმეების, ინვესტორების, ხელისუფლების ორგანოების და ინოვაციურ პროცესში მონაწილე სხვა პირთათვის.

მსოფლიო და ჩვენი ქვეყნის კონსალტინგის პრაქტიკაში მზარდ მნიშვნელობას იძენს ტექნოლოგიური კონსულტირება, რაც უშუალოდაა დაკავშირებული მასალებისა და მექანიზმების, კონსტრუქციების, ნაგებობების და მთლიანად ტექნიკური სიტემების შექმნასა და სრულყოფასთან. სწორედ ტექნიკური გადაწყვეტა არის ის ბაზისი, რომელიც განაპირობებს ბიზნესის ზრდას.

6. ინოვაციური პროექტების ბაზარზე გატანის ხელშეწყობა. ამჟამად ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური მეწარმეობა შედარებით რთულ მდგომარეობაში იმყოფება. უპირველეს ყოვლისა, ეს აიხსნება რისკის მაღალი ხარისხით, კაპიტალის ბრუნვის ხანგრძლივობით და ამგვარი პროექტებისა და ტექნოლოგიების რეალიზაციის მრავალეტაპიანი ხასიათით. ინოვაციური პროექტის წარმატებაზე, როგორც წესი, გავლენას ახდენს მრავალი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორი.

ინოვაციური პროექტებისა და ტექნოლოგიების დამუშავებისა და ინვესტორებთან წარდგენის პროცესის სირთულე მოითხოვს რაციონალური მექანიზმების შემუშავებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინვესტიციურ-ინოვაციური პროექტების მხარდაჭერის საკონკურსო მექანიზმის ეფექტიანად გამოყენებას. კონკურსის მეშვეობით უნდა შეირჩეს ყველაზე მიმზიდველი და ეფექტიანი პროექტები, რომელთა მიხედვითაც განხორციელდება დახმარებისა და მხარდაჭერის კონცენტრირება. კონკურსები შესაძლებელია ჩატარდეს როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

გამოფენები, ბაზრობები და პრეზენტაციები უნდა განიხილოს როგორც ეფექტიანი საშუალებები ბაზარზე ინოვაციური პროექტების გამტარუნარიანობის ასამაღლებლად, პარტნიორებისა და ინვესტორების მოსაძებნად, კონტაქტების დასამყარებლად, აუცილებელი პირველადი ინფორმაციის მისაღებად.

7. ინოვაციური პროექტების რეალიზაციის ინვესტიციური უზრუნველყოფა. საკუთარი სახსრების დეფიციტის, აგრეთვე სახელმწიფო მხარდაჭერის შეზღუდულობის პირობებში მეწარმეები იძულებულნი არიან ძირითადი რესურსები მიმართონ მიმდინარე საჭიროებებზე. აქტიური ინოვაციური საქმიანობა მოითხოვს სათანადო ფინანსურ უზრუნველყოფას.

სახელმწიფო პოლიტიკამ, ინვესტიციების სფეროში საბიუჯეტო სახსრების გამოყოფასა და ეფექტიანად გამოყენებასთან ერთად, უნდა უზრუნველყოს მასტიმულირებელი საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკის გატარება, არასაბიუჯეტო სახსრების მოზიდვა. აუცილებელია ფართოდ იქნეს გამოყენებული პარიტეტული დაფინანსება საბიუჯეტო და მოზიდული (მათ შორის კერძო) სახსრების ხარჯზე, ვენჩურული კაპიტალის განვითარება, სალიზინგო სქემები, ძირითადი

საშუალებების დაჩქარებული ამორტიზაციის მეთოდი, ინვესტორთა ფინანსური რისკების დაზღვევის სისტემა.

8. ინოვაციური მეწარმეობის მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა. მეწარმეთა მხარდაჭერა ინოვაციური იდეების გენერაციიდან და დამუშავებიდან მოყოლებული, წარმოებითა და მეცნიერებატევადი პროდუქციის ბაზარზე რეალიზაციით დამთავრებული, ხორციელდება ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერის ინფრასტრუქტურის მეშვეობით. მის შემადგენლობაში შედის საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ:

- ხელსაყრელი სამეწარმეო და ინვესტიციური გარემოს შექმნა (კანონები, გადასახადები, შეღავათები და ა.შ.);

- სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური საქმიანობის ინფორმაციული უზრუნველყოფა, ხელმისაწვდომობა მონაცემთა ბანკებსა და ბაზებთან;

- მეწარმეთა და ინოვაციური პროცესის სხვა მონაწილეების მომზადება და გადამზადება;

- ინოვაციური პროცესის კონსალტინგური მხარდაჭერა (კონსულტაციები, პროექტების სამეცნიერო-ტექნიკური, საფინანსო-ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვ. ექსპერტიზა და შეფასება; საპატენტო-სალიცენზიო დაცვა და სხვა);

- სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური საქმიანობის საფინანსო-ეკონომიკური უზრუნველყოფა, საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების აქტიურად გამოყენება;

- ახალი კონკურენტუნარიანი მეცნიერებატევადი პროდუქციის და მაღალი ტექნოლოგიების შექმნისა და ათვისების საწარმო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა;

- მეცნიერებატევადი პროდუქციის სერტიფიცირება და მათი მწარმოებელი საწარმოების მომსახურება მეტროლოგიის, სტანდარტიზაციის და ხარისხის კონტროლის სფეროებში;

- ინოვაციური პროექტებისა და პროდუქციის ბაზრებზე პოზიციონირების მხარდაჭერა მარკეტინგის, სარეკლამო-საგამოფენო საქმიანობის, საპატენტო-სალიცენზიო საქმიანობისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროებში.

სახელმწიფო, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე პრაქტიკულად მმართველობის ყველა ორგანო და სტრუქტურა მეტ-ნაკლებად უნდა იყოს ჩართული მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციური პროექტების ინვესტირებისა და მხარდაჭერის პროცესში.

ინოვაციური მეწარმეობის მხარდაჭერის ძირითად სტრუქტურებად მიჩნეულია ინოვაციურ-ტექნოლოგიური ცენტრები. ყველაზე გავრცელებულ პირველად რგოლებად მოიაზრება ინფორმაციული ცენტრები, საპატენტო-სალიცენზიო სააგენტოები, სერტიფიცირების ცენტრები, სალიზინგო კომპანიები, საკონსულტაციო ფირმები, რეგიონული საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრები, მეწარმეობის ხელშემწყობი ფონდების წარმომადგენლობები, რეგიონული და ადგილობრივი ფონდები, ბიზნეს ცენტრები, სასწავლო ცენტრები, ბიზნეს-ინკუბატორები, ტექნოპარკები, საგამოფენო ფირმები და სარეკლამო სააგენტოები და სხვა.

9. საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ინოვაციური თანამშრომლობა.

საერთაშორისო-ტექნიკური ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ცენტრალური რგოლია ჩვენს ქვეყანაში საერთაშორისო ტექნიკური პროექტების რეალიზაცია გამოყენებითი მეცნიერების განვითარების, მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების ათვისებისა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის მიმართულებით. ამასთან, აუცილებელია ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რათა მოხდეს გამოყოფილი ფინანსური რესურსების კონცენტრაცია თანამშრომლობის პრიორიტეტული

მიმართულებების მიხედვით, განვავითაროთ ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა მოწინავე ტექნოლოგიების გაცვლის, ერთობლივი კვლევებისა და დამუშავებების მრეწველობაში დანერგვის მიზნით.

დასკვნა

საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დანერგვის მოცემულ გარდამავალ ეტაპზე რამდენადმე იქნა დაძლეული ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში არსებული კრიზისული მოვლენები. შემუშავდა სამთავრობო სტრატეგიის ძირითადი პრინციპები და განისაზღვრა ინოვაციური საქმიანობის განვითარების მთავარი მიმართულებები, რომელთა შორის აღსანიშნავია: კადრების მომზადება ინოვაციური საქმიანობისათვის; ინოვაციური მეწარმეობის ინფორმაციული უზრუნველყოფა; ინოვაციური პროექტების ბაზარზე გატანისა და რეალიზაციის ინვესტიციური უზრუნველყოფა; საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ინოვაციური თანამშრომლობის განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია. თბილისი, 2010.
2. 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა, თბილისი 2014.
3. The economic development of region is the basis of self-government. Interntional Conference “Local and Regional Development in Europe – Contemporary Challenges”. COUNCIL OF EUROPE, GTZ, MRDI. July 8-9, Batumi, 2010.
4. ლ. ბერიძე, კ. ხმაღამე. ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობის რეგიონული პროგრამის შემუშავების მეთოდური საკითხები. „ინოვაციები ბიზნესში“ (პრობლემები, პერსპექტივები, გამოწვევები). საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. თბილისი, 2010.

Giorgi Dididze

INNOVATIVE ENTREPRENEURSHIP DEVELOPMENT AND THE MAIN DIRECTIONS OF POLICY

Summary

Georgia has a high potential in the area of innovation and entrepreneurship. Our task is to fully integrate this potential in the process of economic and technological development of the country. Therefore, the development of entrepreneurship in the sphere of innovations is especially important, since the scientific and technological product has high consumer qualities. It should be noted that compared with large enterprises, small enterprises have a higher ability to adopt innovations.

The main objectives of the development of innovative activities of entrepreneurs are:

- the formation of organizational and economic mechanisms and incentives that ensure the creation of new small and medium-sized enterprises, the establishment and development of innovation centers - market structures of the innovation system.
- attraction and concentration of financial resources in the priority direction of development of the innovation system

Directions for the development of innovative entrepreneurship are: development of innovation policy of the country; processing and research development; personnel training for innovative activities; informational support to innovative entrepreneurship; consulting support to innovative entrepreneurship; promoting innovative products on the market; providing investment for the implementation of innovative projects; infrastructure support for innovation projects; international science, technology and innovation partnership.

ინვესტირების შესაძლებლობები და ეტაპები ენერგოეფექტურობის პროექტებში

ანოტაცია. ინვესტიციები ენერგოეფექტურობასა და განახლებად ენერჯიაში ძალიან მომგებიანი შეიძლება იყოს, ზრდის რა მოგებას 25%-ით, ამცირებს ენერჯიის მოხმარებასა და ხარჯებს და აუმჯობესებს საწარმოების კონკურენტუნარიანობას და შემოსავლიანობას. ზოგადად, მათი განხორციელების ტექნიკური რისკი მცირეა, უმჯობესდება პროდუქტის ხარისხი და სწრაფად განხორციელდება. უფრო ფართო მასშტაბით, ისინი ამცირებენ სათბური აირების გამოყოფის ეფექტს და ხელს უწყობენ ეკონომიკის გააქტიურებას.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი ენერჯია, ენერგოეფექტურობა, განახლებადი ენერჯია, ენერგოკრედიტი.

შესავალი

ენერგოეფექტურობა წარმოების სექტორში ნიშნავს იმავე რაოდენობის წარმოებას ნაკლები ენერჯიის ხარჯვით ან გაზრდილ წარმოებას ენერჯიის იმავე დანახარჯით. რეალურად, მცირდება ერთეული პროდუქციის საწარმოებლად საჭირო ენერჯიის რაოდენობა, რაც ზოგავს თანხებს. ქვეყნების უმრავლესობა რჩება ძლიერ ენერგო-ინტენსიურ ქვეყნებად და მათი ენერგოინტენსიობა სამჯერ აღემატება ევროკავშირის ქვეყნების საშუალო დონეს (ე.ი. მათთვის საჭიროა სამჯერ მეტი ენერჯია მშპ-ს ერთეულისთვის). ეს შეიძლება განპირობებული იყოს ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურით, კერძოდ მაშინ, როდესაც ეკონომიკური საქმიანობა კონცენტრირებულია ენერგოინტენსიურ მომპოვებელ და მასთან დაკავშირებულ პროცესებთან (სამთო მრეწველობა და მეტალები, ქიმიური, ქაღალდის და ხის წარმოება და გადამუშავება, მინის წარმოება). მდგომარეობა შესაძლოა კიდევ უფრო დამძიმებული იყოს ენერჯიაზე ადრე არსებული დაბალი ფასებით, რაც არ ქმნიდა ენერჯიის დაზოგვის საჭიროებას ეკონომიკის ყველა სექტორში.

ეკონომიკური გარდაქმნის სრულ დამკვიდრებას დრო სჭირდება და ბევრი საწარმო კვლავაც მუშაობს მოძველებული მოწყობილობებით და ტექნოლოგიებით (მათ არ გააჩნიათ ინვესტირების რესურსები ახალ მოწყობილობებში). ენერგოფასების ზრდასთან დაკავშირებით, ინვესტიციები ენერგოეფექტურობაში იძლევა საწარმოების მოდერნიზების და დანახარჯების კლების საშუალებას - ისინი შეიძლება ჩაითვალოს როგორც კომერციული ინიციატივები, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს საწარმოს შემოსავლიანობის შენარჩუნება. ამავე დროს, უფრო მეტი ყურადღება ექცევა საწარმოების ზეგავლენას გარემოზე არა მხოლოდ რეგულატორის ან გარემოს დაცვის ორგანიზაციების მხრიდან, არამედ ინვესტორების მიერ. ინვესტიციები ენერგოეფექტურობაში ამ ზეგავლენის შემცირების ვალდებულებების დემონსტრირებას ახდენს.

საწარმოებისათვის ინვესტიციებმა ენერგოეფექტურობაში შესაძლოა გამოიწვიოს:

- შემცირებული ენერგოდანახარჯები, რაც პირდაპირ გავლენას მოახდენს ფინანსურ შემოსავლებზე;
- ენერგოფასების ცვლილებებისადმი შემცირებული მგრძობიანობა, რაც იძლევა უკეთესი დაგეგმვის საშუალებას;

- გაუმჯობესებული კონკურენტუნარიანობა, არა მხოლოდ მოკლევადიანი, როგორც ინვესტიციების პირდაპირი გამოძახილი, არამედ გრძელვადიანი - როგორც საწარმოს დანახარჯების სტრუქტურის ცვლილებების შედეგი;

- ხარისხის გაუმჯობესება და წარმოების გაზრდა რაც წარმოქმნის გაზრდილ შემოსავლებს;

- CO₂-ის გამოყოფის შემცირება, კომპანიის რეპუტაციისა და გარემოს გაუმჯობესება. უფრო ფართო სახის სარგებელი მიიღება ენერგოეფექტურობაში ინვესტირების შედეგად: ინვესტირებისა და სარგებლის მიმდებთანავე გაზრდილი ენერგოეფექტურობის შედეგად მიღწეული საოპერაციო დანახარჯების შემცირება, ჩვეულებრივ, საკმარისზე მეტია ნებისმიერი დახარჯული ინვესტიციის უკან დასაბრუნებლად მაშინ, როცა თვით ინვესტიცია გაზრდის კომპანიის ახლანდელ და მომავალ კონკურენტუნარიანობას.

სესხის გამცემებისათვის ენერგოეფექტურობის შედეგად მიღწეული კარგად დოკუმენტირებული დანახარჯები უზრუნველყოფს უსაფრთხოების იმ ხარისხს, რაც საშუალებას მისცემს მათ, შესთავაზონ უფრო კონკურენტული სესხები; ენერგოეფექტური მოწყობილობების მიმწოდებლები ხვდებიან მზარდ ბაზარს, რაც ზრდის მათ შემოსავალს და შტატს, შესაბამისად ხდებიან ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობები; მცირდება ქვეყნის დამოკიდებულება იმპორტირებულ ენერგიაზე, ძლიერდება მიწოდების უსაფრთხოება და ხდება პოლიტიკის მიზნების დაკმაყოფილება; ნახშირბადის ნაკლები გამოყოფა და დაბინძურების დონის დაწევა არგებს გარემოს; ნაკლები დაბინძურებისა (რაც პოზიტიურად აისახება ჯანმრთელობაზე) და ძლიერი ეკონომიკის შედეგად იზრდება სოციალური კეთილდღეობა.

* * *

ენერგოეფექტურობის ინვესტიციების ძირითადი სარგებელი ემყარება მათ მიერ ელექტროენერგიასა და ბუნებრივ აირზე მიღწეული დანახარჯების შემცირებას. ენერგოეფექტურობის ინვესტიციების უკუგების პერიოდი ძალიან ცვალებადია პროექტის ტიპიდან გამომდინარე, მაგრამ ძირითადად 1,5 - დან 6 წლამდე პერიოდს მოიცავს, რაც შედარებით მცირე დროა სხვა კაპიტალურ ინვესტიციებთან შედარებით - ინვესტიციის უკუგების პერიოდი მცირდება რაც უფრო მაღალია ენერჯის ფასი და ენერგოდანახარჯი თითოეულ ინვესტირებულ დოლარზე. ზოგადად, ენერგოეფექტურობის ინვესტიციის შიდა დაბრუნების ტარიფი უფრო მაღალია ინვესტიციისათვის აუცილებელი ვალის მომსახურების პროცენტთან შედარებით. ეს ნიშნავს, რომ კომპანიის მიერ ინვესტიციის დაფინანსებისათვის გამოყენებულ თითოეულ დამატებით ვალს გააჩნია ნაკლები ზემოქმედების უნარი კომპანიის მოგება-წაგების ბალანსზე და რომ ინვესტიციის ძირითადი ფინანსური ეფექტი დადებითია.

განახლებადი ენერჯის პროექტში ჩადებული ინვესტიციის სარგებელია ის, რომ ინვესტიცია აგრძელებს იაფი, სუფთა და საიმედო ენერჯის მიღებას დაფინანსების ანაზღაურებიდან მრავალი წლის შემდეგაც. განახლებადი ენერჯის პროექტების სიცოცხლის უნარიანობა განისაზღვრება დაახლოებით 15 წლიდან ბიოდიზელისათვის, მინიმუმ 30 წლამდე მცირე ჰიდროენერგოპროექტისათვის. ამგვარად, თუ ინვესტიცია ჩადებულია მცირე ჰიდროენერგოსადგურში და სესხი დაფარულია შვიდი წლის შემდეგ, კომპანიას რჩება კიდევ 20-ზე მეტი წელი სანდო, იაფი ენერჯის მიწოდებისათვის. ამგვარად, განახლებადი ენერჯის ბევრ ინვესტიციას აქვს მნიშვნელოვნად უფრო მაღალი შიდა დაბრუნების ტარიფი, ვიდრე ვალის

ფინანსირების საპროცენტო განაკვეთი და რომ კომპანიის მიერ აღებულ ნებისმიერ დამატებით ვალს გააჩნია ნაკლები ზემოქმედების უნარი კომპანიის მოგება-წაგების ბალანსზე და რომ ინვესტიციის ძირითადი ფინანსური ეფექტი დადებითია.

მიუხედავად იმისა, რომ ენერგოეფექტურობასა და განახლებადი ენერჯის პროექტებში ინვესტიციების განხორციელების სარგებელი ნათელია, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ბევრი მიზეზი, თუ რატომ არ ახორციელებენ საწარმოები ინვესტიციებს. ქვემოთ მოყვანილია აღნიშნულის სამი ყველაზე გავრცელებული შემთხვევა:

- პირველი, განვითარების საწყის ეტაპზე მყოფი კომპანიები ფოკუსირებულნი არიან ჩადონ ინვესტიცია მწარმოებლურობისა და შემოსავლების გაზრდაში. შედეგად, ისინი ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ენერგომენეჯმენტს;

- მეორე, მიუხედავად მაღალკვალიფიციური ტექნიკური ექსპერტების ყოლისა, ტექნიკური დეპარტამენტები ძირითადად ფოკუსირებული არიან მიმდინარე საოპერაციო რუტინაზე, რაც ხელს უწყობს მწარმოებლურობას. მათ აკლით როგორც დრო, აგრეთვე ადამიანური რესურსები ენერგოეფექტურობის საკითხების სისტემატური გამოკვლევების, ინვესტირების და პოტენციური ენერგოეფექტურობის პროექტების დეტალური ანალიზისა და შეფასებისათვის;

საწარმოში კავშირი ტექნიკურ, ბიზნესდაგეგმვასა და ფინანსურ ფუნქციებს შორის შესაძლოა იყოს სუსტ და შედეგად უფრო ფართოდ ვერ იქნას აღქმული ენერგოეფექტურობის ინვესტიციების პოტენციური სარგებელი და შესაბამისად, ის არ არის ჩასმული საწარმოს გრძელვადიან ფინანსურ გეგმაში. მიზეზის იდენტიფიკაციამ, რომელიც წარმოადგენდა ენერგოეფექტურობის პროექტების არ დაფინანსების საფუძველს, უნდა უბიძგოს საწარმოებს აღნიშნული გადაწყვეტილების გადახედვისკენ.

ბევრი საწარმო დარწმუნებულია, რომ შეუძლია სარგებელის ნახვა ენერგოეფექტურობის პროექტების განხორციელებით, მაგრამ წარმოდგენა არა აქვთ საიდან დაიწყონ და როგორ გააგრძელონ პროცესი. არსებობს უამრავი ტექნოლოგიური შესაძლებლობა რომელთა განხორციელებამ შეიძლება მიგვიყვანოს ენერგოეფექტურობის დრამატულ განვითარებამდე. ამავ დროს აუცილებელია გვახსოვდეს, რომ არსებობს სხვა არატექნოლოგიური გადაწყვეტილებებიც (როგორც არის ორგანიზაციული სისტემის, ლოჯისტიკის და მენეჯერული სტრუქტურების გაუმჯობესება). იმისათვის, რომ მიხვდეს თუ როგორი იქნება ოპტიმალური ინვესტიცია (ან ინვესტიციების კომბინაცია), საწარმომ უნდა გაიგოს თუ როგორ იყენებს ენერჯის ამჟამად და გააანალიზოს კავშირი მის ოპერაციებსა და ენერჯის მოხმარებას შორის და მის მიერ გამოყენებული ენერჯის ეფექტურობა. აგრეთვე უნდა იცოდეს, რა უნდა იყოს მომავალში (არა მხოლოდ ენერგოეფექტურობის თვალსაზრისით, არამედ მისი კორპორაციული სტრატეგიის თვალსაზრისითაც). საწარმოს შესაძლოა გაუჩნდეს ენერგოეფექტურობის ინვეტიციის უამრავი შესაძლებლობა - ეს შეიძლება მოიცავდეს არსებული საქვებების შეცვლას, განათების სისტემის რეკონსტრუქციას, განახლებადი ენერჯის წყაროების ექსპლუატაციაში გაშვებას, თერმული იზოლაციის გაუმჯობესებას, ასევე მუშაობის სტილის შეცვლას, რომლითაც საწარმო მოქმედებს ან ახორციელებს მონიტორინგს, ან მართავს ენერჯის გამოყენებას. სამი მთავარი ეტაპი, რაც უნდა განახორციელოს საწარმომ, რომელსაც სურს გამოიკვლიოს და ცდილობს გამოიყენოს ენერგოეფექტურობის ინვესტიციის შესაძლებლობები, შეჯამებულია სქემაში და უფრო დეტალურა არის აღწერილი ქვემოთ:

1. ენერგოაუდიტის მონაცემების შეგროვება, მონაცემების ანალიზი, პოტენციური პროექტების იდენტიფიკაცია, პოტენციური პროექტების შეფასება, სიცოცხლის უნარიანი პროექტების იდენტიფიკაცია;

2. სიცოცხლის უნარიანი პროექტების განხორციელება;
3. ენერჯის მოხმარების მართვა და მონიტორინგი.

ენერგოაუდიტი არის რენტაბელური ენერგოდაზოგვის შესაძლებლობების განსაზღვრა შენობების, პროცესების, ერთეულის დამზადების, მოწყობილობის ნაწილის ან ადგილის შექმნაში დროის მოცემულ პერიოდში. ის შედგება რამდენიმე ეტაპისაგან:

- მონაცემების შეგროვება, ენერჯის მოხმარების ძირითად მონაცემთა ჩათვლით, მისაღები სპეციფიკური სივრცისათვის, საიდანაც შესაძლებელია სარგებელის მიღება ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორციელებიდან (მაგ., ინდივიდუალური შენობები ან წარმოების პროცესის ნაწილი, ან გათბობის, განათების წრედები შენობაში);

- მონაცემების ანალიზი იმის გასაგებად, თუ სად ხდება ძირითადი ენერგომოხმარება და სადაც შესაძლოა ხდება ენერჯის არაეფექტური მოხმარება და მოხდეს ფოკუსირება ენერგოდაზოგვის შესაძლებლობების გამოსავლენად.

- მონაცემთა ანალიზზე დამყარებული პოტენციური ენერგოდამზოგავი ინვესტიციების იდენტიფიცირება და ტექნიკური და არატექნიკური გადაწყვეტილებების მიღება არაეფექტური ენერჯის მოხმარების შესამცირებლად – ამაში შესაძლოა ჩაერთოს საწარმოს თანამშრომელთა დიდი ნაწილი და არა მხოლოდ ტექნიკური ექსპერტები;

პროექტების შეფასება მათი სიცოცხლის უნარიანობის განსაზღვრის მიზნით (რაც შესაძლებელია გამოისახოს ხარჯების შემცირებით პროცენტებში, ინვესტიციის მოგებით, ინვესტიციის NPV-თი ან უკუგების პერიოდით). შეფასების პროცესი აგრეთვე ითვალისწინებს ინვესტიციების უფრო მეტ ხარჯს და სარგებელს საწარმოსათვის, პროდუქტის მწარმოებლობის ან ხარისხის გაუმჯობესების ჩათვლით, სათბურის გაზების გამოყოფის შემცირებას, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხებს და საწარმოს ურთიერთობის შეცვლას საზოგადოებასთან, მის თანამშრომლებსა და აქციონერებთან მიმართებაში. შეფასების პროცესის მიზანია, მიაწოდოს გადაწყვეტილების მიმღებებს საბოლოო ინვესტიციის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია;

- ყველაზე სიცოცხლისუნარიანი პროექტის (პროექტების) განსაზღვრა, დამყარებული შეფასების პროცესის შედეგებზე. შეფასების პროცესი იძლევა პროექტების პრიორიტეტებად დაყოფის საშუალებას, რაც გააადვილებს ყველაზე იმედის მომცემი პროექტების განხორციელებას.

- მუდმივი ენერგოაუდიტის განხორციელება ნებისმიერი საწარმოს ენერგო მოხმარების მართვის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, მისი შედეგები გამოყენებული იქნება ყველაზე იმედის მომცემი ენერგოეფექტური ინვესტიციების შესაძლებლობების იდენტიფიცირებისათვის.

ენერგოაუდიტის შედეგებზე დაფუძნებული ყველაზე სიცოცხლის უნარიანი ენერგოეფექტური ინვესტიციების განხორციელება დამოკიდებულია ინვესტიციების ხასიათზე, მოითხოვს ადამიანური რესურსების ან საწარმოს დეპარტამენტების ფართო სპექტრს - მათი დიაპაზონი მერყეობს მხოლოდ წმინდა ინჟინრული ხასიათის ცვლილებიდან საწარმოს ოპერაციებამდე, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მხოლოდ წარმოების პროცესზე და მენეჯმენტის სტრუქტურის ცვლილებამდე, რაც მოიცავს საწარმოს ყველა ნაწილს. როგორც არ უნდა იყოს, ინვესტიციებმა შესაძლოა მოიტანოს რამდენიმე სხვადასხვა, ერთმანეთთან დაკავშირებული სარგებელი, როგორც არის:

ფინანსური სარგებელი, განსაკუთრებით შემცირებულ ხარჯთან ან გაზრდილ მოგებასთან დაკავშირებით;

- ოპერაციული სარგებელი, გაუმჯობესებული მწარმოებლურობის, კომფორტის და უსაფრთხოების და ენერგომომარაგების უსაფრთხოების ჩათვლით;

- გარემოს დაცვის სარგებელი, მდგრადი განვითარება, რესურსების კონსერვაცია და გამონაბოლქვის დაზოგვა, სათბურის ეფექტის გაზის შემცირების ჩათვლით.

ენერჯის მოხმარების მენეჯმენტი და მონიტორინგი საწარმომ უნდა განიხილოს როგორც მისი მთლიანი ხარჯების მართვის ძირითადი კომპონენტი. ასევე, მათი საშუალებით საწარმოს შეუძლია განსაზღვროს ენერგოეფექტურობის ინვესტიციების ნაყოფიერება და მიღწეულია თუ არა ენერგომომხმარების მიზნები (შესაბამისი კორექტივების შეტანის შესაძლებლობა უარყოფითი პასუხის შემთხვევაში).

- ენერგომენეჯმენტი განისაზღვრება როგორც საწარმოს მიერ მოხმარებული ენერჯის საუკეთესო შესაძლო გამოყენება ენერგომენეჯმენტის სისტემის დანერგვით. ენერგომენეჯმენტის სისტემა შესაძლებელია მოიცავდეს, მათ შორის, ენერგომომხმარების შესაბამისი პოლიტიკის, პროცედურების, სამოქმედო გეგმების და მიზნების ჩამოყალიბებას; მმართველი სტრუქტურების და პასუხისმგებლობების ჯაჭვის შექმნას ენერგოდანაზოგების მისაღწევად; პერსონალის ტრენინგს, მათი ცნობიერების ამაღლებას და მოტივაციას ენერჯის დასაზოგად და მონიტორინგის და მონაცემთა მოგროვების სისტემების ჩამოყალიბებას.

- ენერგომონიტორინგი მოიცავს ენერჯის მოხმარების რეგულარულ ჩაწერას - ხარჯისა და ძირითადი პარამეტრების, როგორც არის გარე ტემპერატურა და დასაქმებულთა რაოდენობა, რაც ზეგავლენას ახდენს მათზე. ის დახარჯული ენერჯის შესახებ იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც დროულად უნდა გადაეგზავნოს მის კონტროლზე პასუხისმგებელ პირებს. მონიტორინგი უნდა იყოს უწყვეტი პროცესი, რომელიც ტოვებს გაუმჯობესების საშუალებას. როდესაც გამოყენებულია ენერგოეფექტურობის ინვესტიციების ნაყოფიერების განსაზღვრისათვის, მაშინ ენერგომონიტორინგი შესაძლებელია განხორციელდეს კომპონენტების, მოწყობილობის და პროცესის დონეზე, ინვესტიციის ტიპიდან გამომდინარე.

დასკვნა

საწარმოებში ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებლად არსებობს რამდენიმე შესაძლებლობა. აღნიშნული შესაძლებლობები განსხვავდება მოთხოვნილი ინვესტიციის რაოდენობის და მიღწეული კაპიტალდაბანდების უკუგების კოეფიციენტის შესაბამისად და მიდგომაც შესაძლოა იყოს განსხვავებული - მაგალითად, ტექნოლოგიური ან არატექნოლოგიური. თუმცა, დეტალური დაგეგმვის, ფინანსირების და განხორციელების შემთხვევაში, საწარმო გახდება უფრო კონკურენტუნარიანი, მომგებიანი და სტაბილური (ამას ემატება სხვა პოტენციური სარგებელიც). ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ინვესტიცია განხილული უნდა იქნას მათი ხარისხის შესაბამისად და დიდი ინტერესი ენერგოეფექტურობის ინვესტიციების მიმართ არ უნდა ნიშნავდეს, რომ ინვესტიციები იქნება მომგებიანი და აუცილებლად უნდა განხორციელდეს. იმის დასადგენად, საჭიროა თუ არა ენერგოეფექტურობის ინვესტიციის შესაძლებლობების დეტალურად შესწავლა, პირველი ეტაპისთვის საჭიროა პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- მაღალია თუ არა ენერგომომხმარება და ენერგოდანახარჯები? მაგალითად, წლიური ენერგოდანაზოგების მოცულობა საწარმოთათვის, რომლებმაც ენერგოკრედიტის სქემით მოიძიეს ფინანსები ენერგოეფექტური ინვესტიციებისათვის, მერყეობს მინიმუმ 26 000 აშშ დოლარიდან მაქსიმუმ 1,033 მილიონ აშშ დოლარამდე, საშუალო მნიშვნელობით 127000 აშშ დოლარი;

• მოძველებულია თუ არა არსებული მოწყობილობა? მაგალითად, არის თუ არა მოწყობილობები საბჭოთა პერიოდის და მუშაობს თუ არა საწარმო საბჭოთა მემკვიდრეობით;

• არსებობს თუ რა პროდუქციის რაოდენობის ან ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობა? შესაძლებელია თუ არა ენერგოეფექტურობაში ინვესტირების შესაძლებლობების გამოყენება საწარმო პროცესის შეცვლა/განახლებისათვის პროდუქციის რაოდენობის გაზრდის ან მისი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ერთდროულად.

• იმართება თუ არა კომპანიის ობიექტები და საწარმო პროცესები ხელით? ავტომატიზებული მონიტორინგის და კონტროლის სისტემების შემოღება ყველაზე ხშირად არასერიოზულად განიხილება, მაგრამ შესაძლებელია ენერჯის მოხმარების გაუმჯობესების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა აღმოჩნდეს. თუ ყველა ზემოთ მოყვანილ კითხვაზე პასუხი დადებითია, ნამდვილად საჭიროა ენერგოეფექტურობის ინვესტიციების შესაძლებლობების დეტალური გამოკვლევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://www.eecgeo.org/ge/activities.htm>
2. <http://geoconomics.ge/?p=10742>
3. http://www.energocredit.ge/sites/default/files/best_practice_guide_ge.pdf
4. <http://eiec.gov.ge/თემები/დაცული-ტერიტორიები/Documents/Strategic-Documents/ენერგოეფექტურობა-და-განახლება-ენერჯის-წყაროები.aspx>

*Shorena Mindiashvili
Viktoria Revishvili*

INVESTMENT OPPORTUNITIES AND STAGES IN ENERGY EFFICIENCY PROJECTS Summary

The reduced operational costs as a result of the increased energy efficiency, usually, are more than sufficient for the payback on any spent investment for the investors and the beneficiaries, while the investment itself will increase the current and the future competitiveness of the company.

The well documented savings achieved as a result of the energy efficiency, will provide the level of security quality that will enable the lenders to provide more competitive debts; the suppliers of the energy efficient equipment are dealing with increasing market, which increases their income and staff, thus becoming the facilitators of the economic market development; the dependence of the country on the imported energy is diminishing. The security of the supply is increasing and the goals of the politics are satisfied; the fewer emissions of carbon dioxide and the reduced pollution will be beneficial for the environment. As a result of reduced pollution (that positively affects health) and the strong economy the social prosperity is increased.

ნათია სურმანიძე

„ინსტიტუციური ხაფანგი“ და მისი დაძლევის სირთულეები

ანოტაცია. არაეფექტიანი ინსტიტუციები ქვეყნის ეკონომიკას არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში აყენებს. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში განვითარების შემაფერხებელი მიზეზები ხდებიან. გლობალიზაციის პროცესმა და საერთაშორისო ბაზრების ხელმისაწვდომობამ ქვეყნებს სტიმული მისცა, გახდნენ უფრო მაღალკონკურენტუნარიანები და აწარმოონ მაღალტექნოლოგიური ინოვაციური პროდუქცია.

თუმცა ეკონომიკაში, სადაც გვხვდება „ინსტიტუციური ხაფანგები“, მსგავსი პროგრესი თითქმის შეუძლებელია, განსაკუთრებით გრძელვადიან პერსპექტივაში. აღნიშნული მოვლენა პოსტსაბჭოური ქვეყნების ფენომენია და საქართველოს ეკონომიკაც არ უჩივის მათ ნაკლებობას.

საკვანძო სიტყვები: ინსტიტუციური ხაფანგი, რეფორმები, ეკონომიკის საფრთხე

შესავალი

კაცობრიობის არსებობის განუყოფელი ნაწილია ნორმების არსებობა, რომლებიც ფორმირდება ინსტიტუტებად და აწესრიგებს სხვადასხვა სფეროში საზოგადოების ურთიერთობას. ინსტიტუტები შეიძლება იყოს ეფექტიანი და არაეფექტიანი, სწორედ ამაზეა დამოკიდებული თუ რამდენად ჯანსაღი იქნება გარემო, სადაც ისინი არიან დამკვიდრებულნი. ტერმინი „ინსტიტუციური ხაფანგი“ გულისხმობს სიტუაციას, როდესაც homo transformaticus აკეთებს არჩევანს მხოლოდ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით და მისთვის მისაღებია ყოველგვარი კანონდამრღვევი თუ არაეფექტიანი ქმედებები. სწორედ მსგავს სიტუაციებში ყალიბდება „ინსტიტუციური ხაფანგები“, რომელთა აღმოფხვრელობა საქართველოს ეკონომიკისათვის დიდი საფრთხის შემცველია და აბრკოლებს მის განვითარებას.

ფართომასშტაბიანმა რეფორმებმა, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპაში გატარდა 90-იან წლებში, ცხადყო ორი რამ: რამდენად საჭიროა ინსტიტუციური ეკონომიკის განვითარება და რამდენად არადამაკმაყოფილებელი იყო მისი იმჟამინდელი მდგომარეობა. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა, განსაკუთრებით კი რუსეთმა, მწარე გაკვეთილები გამოსცადეს საკუთარ თავზე „ინსტიტუციური ხაფანგების“ ჩამოყალიბების კუთხით. რუსეთის გარდაქმნები ნემისმიერ სფეროში კრაზით დასრულდა. მაგალითისთვის ყველაზე მწვავე იყო ფასების ლიბერალიზაციის პროცესი, სადაც ექსპერტების შეფასებები სრულიად არ გამართლდა და სახელმწიფომ დაიწყო ფასების ნებისმიერი გზით დასტაბილურება. ამან გამოიწვია გადასახადებისგან თავის არიდების გზების დამკვიდრება და ბარტერული ინსტიტუტების ჩამოყალიბება, ფაქტობრივად ბარტერული ეკონომიკა ახალ საფეხურზე გადავიდა. საგადასახადო სისტემის რეფორმის მცდელობამ ჩრდილოვან ეკონომიკას ჩაუყარა საფუძველი. რესურსებზე სახელმწიფო კონტროლის შესუსტებამ, რისი თეორიული საფუძველიც იყო კონკურენტული გარემოს ფორმირება, რეალურად წარმოშვა მაღალი დონის კორუფცია. შოკურმა პრივატიზაციამ ეფექტური კერძო საკუთრების ნაცვლად ჩამოაყალიბა არაეფექტური ორგანიზაციული ფორმა ღია სააქციო საზოგადოებისა, რომელიც თანამშრომლებს საკუთრებაში გადასცემდა საწარმოს. ყველა ამ მეტამორფოზის ფონზე წარმოების დონე მკვეთრად შემცირდა [Полтерович В. М., 1999].

მსგავსი გამოცდილება II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მიიღო დასავლეთ ევროპამ ამა თუ იმ ფორმით, ხოლო განსაკუთრებით სამხრეთ აზიისა და ლათინოამერიკის ქვეყნებმა. თუმცა მათი გამოცდილების გათვალისწინება ყველგან არ მომხდარა.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის რეფორმების გამოცდილებამ აჩვენა, რომ ზოგიერთი ინსტიტუტი ეკონომიკის რეგრესს პირდაპირპროპორციულ საფრთხეს უქმნის. ამ საკითხის შესწავლას მიეძღვნა თ. ვებლენის, ვ. არტურის, დ. ნორტის და სხვა. მკვლევართა ნაშრომები. ვ. არტური თავის იდეებს ამყარებდა დინამიკური მოდელებით, რომლებსაც აკავშირებდა ტექნიკურ პროგრესთან [Arthur W. B., 1994].

ხოლო ნორტი აღნიშნავდა, რომ არტურის მიერ აღწერილი მექანიზმები დიდ როლს თამაშობდა ინსტიტუციონალიზმის ევოლუციაში და განსაკუთრებით გამოყოფდა 2 ფაქტორს, რომლებიც მისი აზრით, განსაზღვრავდნენ ინსტიტუციური გარდაქმნების მიმართულებებს: მასშტაბის ეფექტის გავლენა და ტრანსაქციული დანახარჯები. სწორედ არტურისა და ნორტის იდეების გამოყენებით აღიწერება არაეფექტური ინსტიტუტების ფორმირების სქემა [Hoptm D., 1997].

პოლტეროვიჩის ნაშრომებზე დაყრდნობით „ინსტიტუციურ ხაფანგში“ იგულისხმება არაეფექტური, მაგრამ სტაბილური ინსტიტუტი (ნორმა), ანუ, სხვა სიტყვებით, „ინსტიტუციური ხაფანგი“ - ეს არის ნემის წონასწორობა პარეტოს ოპტიმალურობის გარეშე. „ინსტიტუციური ხაფანგის“ ჩამოყალიბებას იგი უკავშირებს ფაქტორთა სამ ჯგუფს: ფუნდამენტური ფაქტორები - რესურსებთან და ტექნოლოგიურ შესაძლებლობებთან დაკავშირებულნი და სისტემის მაკროეკონომიკური თვისებები, ორგანიზაციული ფაქტორები - არსებული კანონმდებლობა და ინსტრუქციები, რომლებიც განსაზღვრავს ბაზარზე მოქმედების წესებს, სოციალური ფაქტორები - არსებული მოლოდინები და სოციალური ურთიერთობების სტერეოტიპები. ნორმად შეიძლება იქცეს როგორც კორუფცია, ისე სამუშაოს „პატიოსნად“ შესრულება. თუ რომელი მათგანი იქნება დომინანტი, დამოკიდებულია ფუნდამენტურ ფაქტორებზე, როგორცაა შრომის ანაზღაურება, კორუფციის კონტროლის მექანიზმები და დასჯის ღონისძიებები, სოციალურ ფაქტორებზე, როგორცაა თანამშრომლების და კლიენტების მზადყოფნა კორუფციასა და გამომძალვაში ჩართვისათვის.

არტური და ნორტი თვლიდნენ, რომ ნორმების ფორმირება დამოკიდებულია მოულოდნელ გარემოებებზე. მათი მოსაზრებები მოქმედია მხოლოდ უნიკალურ და განუმეორებელ შემთხვევებში. თუ, მაგალითად, ლიბერალისტური რეფორმების თანამდევია კორუფციის ზრდა, მაშინ, ცხადია, უნდა ვეძებოთ ასეთი ნორმის აღმოცენებისა და დამკვიდრების არსებითი მიზეზი. ამ შემთხვევაში როგორც ფუნდამენტური, ისე ორგანიზაციული ფაქტორი შეიძლება იყოს გადამწყვეტი [Полтерович В. М., 1999].

„ინსტიტუციური ხაფანგის“, როგორც ეკონომიკური საფრთხის დამღვევისას თ. ეგერტსონი თვლის, რომ გასათვალისწინებელია ტრანსაქციული⁴⁴ და ტრანსფორმაციული⁴⁵ დანახარჯების როლიც. სისტემის აღსაქმელად საჭიროა, ერთმანეთისგან განვასხვავოთ ტრანსაქციული ხარჯები და ინსტიტუციური ტრანსფორმაციის ხარჯები. ნებისმიერ ტრანსფორმაციას, განსაკუთრებით ფართომასშტაბიანს, მივყავართ ამა თუ იმ სისტემის დეზორგანიზაციამდე და ზრდის ადაპტაციის ხარჯებს. ამიტომ რეფორმის ნებისმიერი პროექტი უნდა შეიცავდეს შესაბამისი ხარჯების შეფასებას [Eggertsson Th., 1990].

იმისათვის, რომ მოქმედების ნორმა იყოს მდგრადი, ინდივიდებისთვის არ უნდა იყოს მომგებიანი მისგან გადახრა. მდგრადობა ერთი მხრივ უნდა განაპირობოს ამა თუ იმ ნორმის შეუსრულებლობის მიმართ უარყოფითმა უკუკავშირმა. ასეთი მექანიზმი შეიძლება დაეყრდნოს ინდივიდუალური მოსაზრებების სტრუქტურას. ხოლო მეორე მხრივ ნორმის არშესრულება ითვალისწინებს კანონით გაწერილ სანქციებს. მესამე და ყველაზე საინტერესო სტაბილიზაციის მექანიზმი კი დაფუძნებულია ეგრეთ წოდებულ კოორდინაციის ეფექტზე, რომელიც გამოხატულია სპეციალური სახის გარეგანი ეფექტებით. კერძოდ, რაც უფრო მეტად იცავს საზოგადოება ამა თუ იმ ნორმას, მით უფრო მეტი ხარჯი აქვს მის არდამცველ ინდივიდს. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც,

⁴⁴ ამა თუ იმ ნორმებში მოქცეული ურთიერთმოქმედების ხარჯები

⁴⁵ ერთი ნორმიდან მეორე გადასვლა

რომ დროთა განმავლობაში დომინანტი ნორმის შესრულების ტექნოლოგია და ნორმის შესრულების მეთოდები იხვეწება (სწავლების ეფექტი). საბოლოოდ კი ნორმათა ერთობლიობა ქმნის სისტემას და ნორმის არშესრულება გამოიწვევს სისტემაში ჯაჭურ რეაქციას. ეკონომიკური სუბიექტების შემთხვევაში აგენტების მოქმედების კოორდინაცია ამცირებს ტრანსაქციულ დანახარჯებს, ხოლო მათი არშესრულება აგენტს აგდებს არამომგებიან სიტუაციაში ანუ გაუზრდის ტრანსაქციულ დანახარჯებს.

ამგვარად ნორმების დამკვიდრების პროცესში ტრანსაქციისა და ტრანსფორმაციის ხარჯები უკუპროპორციულად იზრდება. ნორმის შეცვლის პირობებში აგენტებს შორის ტრანსაქციული დანახარჯები არათანაბრად ნაწილდება.

როდესაც განვიხილავთ ნებისმიერ საზოგადოებას, უნდა ჩავთვალოთ, რომ ისეთი ადამიანების რაოდენობა, რომლებიც ყველა შემთხვევაში დაიცავენ ნორმებს, უხეშად რომ ვთქვათ, „წესიერი“ ადამიანების რაოდენობა, საშუალოდ 10%-ია, „არაწესიერი“ ანუ ნორმების აქტიურად დამრღვევთა რაოდენობაც იგივე 10%-ია, ხოლო 80% ადამიანებისა ნეიტრალურია და ბაძავს დომინანტს. შედეგად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საზოგადოებაში ეფექტიანი ინსტიტუცია დამკვიდრდება თუ არაეფექტიანი, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი გაიმარჯვებს ამ ორი ზემოთ აღნიშნულიდან [Балацкий Е. В., 2012].

თუ სისტემაში დომინირებს ეფექტიანი ნორმა, ძლიერმა დარღვევებმა, თუმცა ისეთმა, რომელიც არ ცვლის წონასწორობას, შესაძლოა სისტემა ჩააგდოს „ინსტიტუციურ ხაფანგში“ და მასში დარჩება მაშინაც კი, როცა მოიხსნება დარღვევები. ეს არის ე.წ. ჰისტერეზისის ეფექტი - რომელიც ტიპური მოვლენაა ნორმის ფორმირების პროცესში და, უფრო მეტიც, „ინსტიტუციური ხაფანგის“ წარმოქმნაში. უფრო ღრმა განხილვა გვიჩვენებს, რომ ტრანსფორმაციული ხარჯების არსებობას მოაქვს ახალი მდგრადი მდგომარეობები - მოქმედების შერეული ნორმები.

შერეულ წონასწორობაში ერთი ნორმის უპირატესობა მეორეზე ბათილდება ტრანსფორმაციული ხარჯების გამო. ზოგიერთი შერეული წონასწორობა შესაძლებელია იყოს ეფექტური, ზოგიერთი კი არა - ერთობლიობაში კი წარმოქმნიან „ინსტიტუციური ხაფანგების“ მთლიან სპექტრს.

„ინსტიტუციურ ხაფანგში“ მოხვედრისას სისტემა ირჩევს განვითარების არაეფექტურ გზას, ამასთან დროთა განმავლობაში, ეფექტურ ტრანსაქციურად გადასვლა შესაძლებელია არარაციონალური აღმოჩნდეს.

მაგალითისათვის ავიღოთ საქართველოს შრომის კოდექსი, რომელშიც არ არსებობს ჩანაწერი სტაჟირების შესახებ. აღნიშნული სფეროს საკანონმდებლო ფარგლებს გარეთ ყოფნა ქმნის საფრთხეების მთელ სერიას, რომლებიც შრომისუნარიან ადამიანებს არ აძლევს საშუალებას, გაიუმჯობესონ სოციალური მდგომარეობა, ახდენს მათ სტიმულირებას, რომ იფიქრონ შრომით მიგრაციაზე და ა.შ. რეალურად, ის, ვინც უნდა ზრუნავდეს სტაჟირების ნორმატიულ ჩარჩოებში მოქცევაზე, რათა არ მოხდეს ახალბედა დასაქმებულების ექსპლუატაცია და უნდა ებრძოდეს „ტვინების გადინებას“, რათა ფლობდეს მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალას, თავად აღმოჩნდება რთულ სიტუაციაში თუ დარჩება სტაჟიორების ანუ „უფასო ადამიანისეული რესურსების“ გარეშე.

დასკვნა

რეფორმებისათვის ერთ-ერთი დიდი საშიშროება არის ის რომ გარდამავალი ნორმები გახდეს მუდმივი და არაეფექტური გრძელვადიან პერსპექტივაში. პროტექციონისტული პოლიტიკა აუცილებელია გარკვეულ ეტაპზე, თუმცა მან

შეიძლება მიგვიყვანოს არაეფექტური, არაკონკურენტუნარიანი სტრუქტურის ჩამოყალიბებამდე და შეინარჩუნოს მუდმივი ლობიზმი. იმისათვის რომ თავიდან ავიცილოთ ასეთი „ინსტიტუციური ხაფანგის“ ჩამოყალიბება, თავიდანვე უნდა დაიგეგმოს დემონტაჟი იმ ინსტიტუტისა, რომელიც გრძელვადიან პერიოდში არაეფექტურია - შემოდებული ნორმა უნდა იყოს დროებითი და უნდა ითვალისწინებდეს თავისი თავის ავტომატურ გაუქმებას.

კიდევ ერთი მთავარი ასე ვთქვათ უნივერსალური პრინციპი „ინსტიტუციური ხაფანგების“ თავიდან აცილებისა არის ინსტიტუციური ფორმების მრავალფეროვნების ხელშეწყობა. იმის განსაზღვრა თუ რომელი ინსტიტუტი რა როლს ასრულებს ინსტიტუციურ წონასწორობაში, თითქმის შეუძლებელია და არცთუ იშვიათად არ არის შესაძლებელი მათი ეფექტიანობის პროგნოზირება გრძელვადიან პერსპექტივაში. რაც უფრო მდიდარია ინსტიტუციური გარემო, მით უფრო მეტი გამოსავალია „ინსტიტუციური ხაფანგიდან“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპავა ვ., 2011. არატრადიციული ეკონომიქსი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი.
2. ხარიტონაშვილი ჯ., 2008. პროტექციონისტული ეკონომიკური დოქტრინის ევოლუცია. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. Arthur W. B., 1994. Increasing Returns and Path Dependence in the Economy. - Ann Arbor, The University of Michigan Press.
4. Eggertsson Th., 1990. Economic Behavior and Institutions, Cambridge University Press.
5. Балацкий Е. В., 2006. Глобальные институциональные ловушки: сущность и специфика // Мировая экономика и международные отношения, №9.
6. Балацкий Е. В., 2002. Функциональные свойства институциональных ловушек // Экономика и математические методы.
7. Балацкий Е. В., 2005. Ценовые механизмы эволюции институциональных ловушек // Общество и экономика.
8. Балацкий Е. В., 2012. Институциональная экономика, Институциональные и технологические ловушки: анализ идей, журнал экономической теории, №2.
9. Норт Д., 1997. Институты, институциональные изменения и функционирование экономики. М.: Фонд экономической книги «Начала»
10. Полтерович В. М., 1999. Институциональные ловушки и экономические реформы // Экономика и математические методы.

Natia Surmanidze

“INSTITUTIONAL TRAP” AND ITS OVERCOMING DIFFICULTIES

Summary

The article is about an influence of non-effective norms on economy. It makes clear that if there are effective institutions founded in economy, the tendency of developing the economy is faster. The phenomenon of “institutional trap” is characteristic issue for post-soviet countries, so it is about homo transformaticus’s choice to be a law-breaker or not. Article represents Russian economic case when in transition process there was risen many series of “institutional traps”, that led the economy to difficulties.

Article represents the definition of “institutional trap” and simple examples to help reader understand the idea of it. Author considers that with liberalization of economy, chances of founding such institutions are growing. Hereby, ways to avoid this in the beginning is also given. Precisely, foreseeing of transactional and transformative costs will take care about protection of economy

from the threat of “institutional traps”. In any society, there are law-breakers and law-enforcer. As many of them are honest, as low is a chance for non-effective norm to dominate. Domination of violative norms may not cause the demolition of system, this is called mixed equilibrium. Despite the domination of effective norms, we still face the “institutional trap”.

The author represent an example from current reality of Georgian economy. He considers the probation system as “institutional trap” and thinks that labor codex should contain a topic about this. Current condition of labor market is very convenient for decision maker structures that the subject is such a messy.

The author concludes that while launching reforms, the main threat is that transitive norm should not become permanently transitive. For example, if protectionism is necessary for some time, but it should not lead the competitiveness of economy in trouble. To achieve this, you should plan the takedown of institutions that are needed while transition in the beginning. On the other hand, the healthiness of institutional environment is influenced by the variety of institutional environment. It is impossible to prematurely determine the effectiveness of any institution or the role of any institution in the chain of institutions. But, as various the institutional environment is, as much solution can be found out of the “trap”.

ნინო ტალიკაძე

ადგილობრივი წარმოების გავლენა სასურსათო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაზე: ტენდენციები და თანამედროვე გამოწვევები

ანოტაცია. სტატიაში სასურსათო უსაფრთხოების შეფასების მიზნით შესწავლილია ძირითადი აგროსასურსათო პროდუქტების თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები 2007-2017 წლებში, ასევე შეფასებულია მისი კომპონენტები: ადგილობრივი წარმოება, იმპორტი, ექსპორტი. ამასთან, გაანალიზებულია ადგილობრივი წარმოების ტენდენციები, გამოვლენილია კორელაცია აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებასა და თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტებს შორის.

საკვანძო სიტყვები: აგროსასურსათო პროდუქტები, ადგილობრივი წარმოება, სასურსათო დამოუკიდებლობა, თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები.

შესავალი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგნოზით, მოსალოდნელია მსოფლიოს მოსახლეობის მკვეთრი ზრდა - დღეს არსებული 7.7 მილიარდიდან 9.8 მილიარდამდე 2050 წლისთვის. დადგენილია, რომ მსოფლიო მოსახლეობის ზრდის ტემპი წელიწადში დაახლოებით 1.1%-ს შეადგენს (წელიწადში დაახლოებით 83 მილიონი ადამიანი). 2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე სათაურით - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. ეს დღის წესრიგი მოიცავს 17 მიზანს და 169 ამოცანას. მდგრადი განვითარების მეორე მიზანი უკავშირდება შიმშილის აღმოფხვრას, სასურსათო უსაფრთხოებისა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობას. მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, კლიმატის გლობალურ ცვლილებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს ქმნის მოსახლეობისთვის ადეკვატური რაოდენობით სურსათით უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამდენად, ისეთი მასშტაბის ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, მნიშვნელოვანია არსებული აგროსასურსათო პროტენციალის მაქსიმალურად გამოყენება და მიზანმიმართული განვითარება.

1974 წლის მსოფლიო სასურსათო კონფერენციამ წარმოადგინა სასურსათო უსაფრთხოების პირველი ფართოდ გავრცელებული განმარტება, როგორც „საკვების მსოფლიო მიწოდებაში ძირითადი საკვები პროდუქციის მუდმივად ხელმისაწვდომი საკმარისი მარაგი... სურსათის მოხმარების უწყვეტი ზრდის მხარდაჭერა... და წარმოებასა და ფასებში უთანასწორობის დაბალანსება“ [Colin Sage, 2018: 1]. 1996 წლის მსოფლიო სასურსათო სამიტზე შეიცვალა სასურსათო უსაფრთხოების განმარტება, რათა მასში ასახულიყო ხელმისაწვდომობის პრობლემები და ანალიტიკური ჯგუფების სახესხვაობები საოჯახო მეურნეობიდან საერთო დონემდე, ასევე სოციალური და კულტურული გავლენა სასურსათო უპირატესობაზე [Colin Sage, 2018: 4]. დღეს სურსათის უსაფრთხოების საყოველთაოდ მიღებული განმარტების თანახმად, სასურსათო და კვების უსაფრთხოება „არსებობს მაშინ, როდესაც თითოეულ ადამიანს ნებისმიერ დროს აქვს ფიზიკური, სოციალური და ეკონომიკური წვდომა საკმარისი რაოდენობის უვნებელ და ხარისხიან სურსათზე, რომელიც საშუალებას იძლევა დაკმაყოფილდეს მათი სურსათზე მოთხოვნები და არჩევანი შესაბამის სანიტარულ და სამედიცინო მომსახურების პირობებში ჯანმრთელი (ჯანსაღი) და აქტიური ცხოვრების წესის წარმართვისათვის“ [World Development Report, 2008: 94]. ამდენად, სასურსათო უსაფრთხოება არის გარანტი, რომ ქვეყანაში არსებობს საკმარისი მოცულობის საკვები, ჯანსაღი და ჯანმრთელი სიცოცხლისათვის, თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საჭიროა არსებობდეს მისი ათვისების ეკონომიკური შესაძლებლობა.

საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების შეფასების მიზნით გაანალიზებულია ძირითადი აგროსასურსათო პროდუქტების თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები 2007-2017 წლებში, ასევე შეფასებულია მისი შემადგენელი კომპონენტები: ადგილობრივი წარმოება, იმპორტი, ექსპორტი დინამიკაში.

სტატის მიზანია, საქართველოში სტრატეგიული დანიშნულების მქონე ძირითადი აგროსასურსათო პროდუქტების თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტების ანალიზზე დაყრდნობით გამოავლინოს ადგილობრივი წარმოების როლი სასურსათო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაში და სასურსათო უსაფრთხოებაზე მოქმედი ფაქტორების შეფასების საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის პროცესში გამოყენებულია ზოგადი და კონკრეტული მეთოდები. მათ შორის, ინდუქციის და დედუქციის, ანალიზის და სინთეზის, შედარების. კვლევაში ასევე, გამოყენებულია შემდეგი სტატისტიკური მეთოდები: დაკვირვების, თავმოყრის, დაჯგუფების, შერჩევითი, საშუალო და სხვა. ნაშრომში ასახულია სასურსათო უსაფრთხოების საკითხებზე არსებული ქართული და უცხოური სამეცნიერო ნაშრომები, პუბლიკაციები, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები და სხვ.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (შემდეგში FAO), სასურსათო უსაფრთხოების შეფასების მიზნით ჩამოაყალიბა მაჩვენებელთა მთელი სისტემა. FAO სასურსათო უსაფრთხოების ოთხ ძირითად „ელემენტს“ გამოყოფს: არსებობა, ხელმისაწვდომობა, მოხმარება და სტაბილურობა. სურსათის არსებობა გულისხმობს სასურსათო პროდუქციის ფიზიკურ არსებობას, ხელმისაწვდომობა კი - სურსათის ფიზიკურ და ეკონომიკურ ხელმისაწვდომობას. მოხმარებაში მოიაზრება მოქალაქეების მიერ ხელმისაწვდომი სურსათის მოხმარება ისე, რომ მათი კვება იყოს ჯანსაღი და კვებითი ღირებულების მქონე. სტაბილურობა არის სურსათის ხელმისაწვდომობის დაკარგვის საფრთხე ან ფასების ცვალებადობის ხარისხი დროის მოკლე მონაკვეთში [ჯეოველ რისერჩი, 2017]. უნდა ითქვას, რომ FAO-ს მიერ

შემუშავებული მაჩვენებლებიდან ყველას გამოყენება საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების მონიტორინგის მიზნით, არ არის მიზანშეწონილი. სასურველია, რომ FAO-ს მიერ შემუშავებული მაჩვენებელთა სისტემა მიღებულ იქნეს საფუძვლად, ხოლო მის ბაზაზე შემუშავდეს მაჩვენებელთა ეროვნული სისტემა [ახალაძე, შალამბერიძე, 2014: 3].

ზემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორების გარდა, ასევე მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს სურსათის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის FAO-ს სასურსათო უსაფრთხოების „ოთხი ელემენტის“ ნაწილი, მისი გათვალისწინება მაინც მნიშვნელოვანია, ვინაიდან სასურსათო დამოუკიდებლობა შეიძლება იყოს სასურსათო უსაფრთხოების განმაპირობებელი ფაქტორი. გარდა ამისა, სასურსათო დამოუკიდებლობა ხშირად სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის მთავარი ამოცანაა [ჯეოველ რისერჩი, 2017]. სხვა სიტყვებით, სასურსათო უსაფრთხოების მთავარი კრიტერიუმი მოსახლეობისათვის უსაფრთხო საკვები პროდუქტით უზრუნველყოფაა, ხოლო მეორე მხრივ, სურსათით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელია, რომელიც გულისხმობს ქვეყნის მოსახლეობის სურსათით მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენების ხარჯზე.

სურსათის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რა დონეზე უზრუნველყოფს ქვეყანა მოცემულ პროდუქტზე მოთხოვნებს საკუთარი რესურსით და რამდენადაა დამოკიდებული იმპორტზე.¹ გამომდინარე აქედან, ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: სხვა ცვლადების უცვლელობის პირობებში ადგილობრივი წარმოების ზრდა დადებითად მოქმედებს თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტზე. თუ განვიხილავთ იმპორტს, მაშინ პირიქით, მისი ზრდის შემთხვევაში სხვა ცვლადების უცვლელობის პირობებში მცირდება თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი. რაც შეეხება ექსპორტს, რაც უფრო იზრდება იგი, იზრდება თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტის მნიშვნელობაც, თუ სხვა ცვლადები უცვლელია.

დღევანდელი მონაცემებით, განსაზღვრულია ძირითადი საკვები პროდუქტები, რომელთაც სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებათ ქვეყნისთვის და რომელთა მიღებაც აუცილებელია ადამიანის ორგანიზმისათვის. ესენია: ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი, ბოსტნეული, ყურძენი, ხორცი (მათ შორის: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და თხის, ფრინველის), რძე და რძის პროდუქტები და კვერცხი. ამდენად, მოცემულ ნაშრომში განვიხილავთ ზემოთ მოცემულ აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებისა და თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლების შედარებით ანალიზს 2007-2017 წლების პერიოდში.


სამწუხაროდ, დღეს საქართველოში დაბალია აუცილებელი აგროსასურსათო პროდუქტებით დაკმაყოფილების დონე. 2017 წელს თვითუზრუნველყოფის დაბალი კოეფიციენტები დაფიქსირდა შემდეგ პროდუქტებზე: ხორბალი - 15% და ხორცი - 46%. დაბალია საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქტი [ჯეოველ რისერჩი, 2017: 20]. ამასთან, განსაკუთრებით მაღალია სიღარიბის მაჩვენებლები სოფლად, დაბალია შემოსავლების დონე, სურსათის დეფიციტის შევსება კი ძირითადად იმპორტული პროდუქტებით ხდება [Kharaishvili E. 2017: 1]. 2017 წელს საქართველოში აგროსასურსათო პროდუქტების იმპორტი 3.7-ჯერ და მეტად აღემატებოდა ექსპორტს. სოფლის მეურნეობის პირველადი და კვების პროდუქტების





¹ კოეფიციენტი გამოითვლება შემდგენიარად: ადგილობრივი წარმოება შეფარდებული ადგილობრივ წარმოებას დამატებული იმპორტი, გამოკლებული ექსპორტი, გამრავლებული 100-ზე.

იმპორტი წლების მანძილზე მნიშვნელოვნად მეტია ექსპორტის მოცულობაზე, რაც ძირითადად განპირობებულია ამ პროდუქტების წარმოების დაბალი მოცულობით და შესაბამისი სექტორის სუსტი კონკურენტუნარიანობით უცხოელ მწარმოებლებთან შედარებით.

2007-2017 წლების მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ზოგიერთი პროდუქტის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი დროის აღნიშნულ შუალედში უმჯობესდებოდა, ზოგიერთის კი უარესდებოდა. მაგალითისთვის, თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტის მიხედვით ზრდადი ტენდენციით ხასიათდება შემდეგი აგროსასურსათო პროდუქტები: კარტოფილი, ყურძენი, კვერცხი და ხორბალი. ხოლო კლებადი ტენდენციით ხასიათდება შემდეგი აგროსასურსათო პროდუქტები: სიმინდი, ბოსტნეული, ხორცი, რძე და რძის პროდუქტები. ადგილობრივი წარმოების მიხედვით იმავე პერიოდში გამოკვეთილად კლებადი ტენდენციით ხასიათდება სიმინდი, ბოსტნეული, რძე და რძის პროდუქტები, ხოლო ზრდადი ტენდენციით - კვერცხი და ხორბალი (მიუხედავად ამისა, მისი დიდი ნაწილის იმპორტირება ხდება საზღვარგარეთიდან).

თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტებსა და ადგილობრივი წარმოებას შორის დამოკიდებულება მოცემულია დიაგრამაზე 1.





დიაგრამა 1. ძირითადი აგროსასურსათო პროდუქციის ადგილობრივი წარმოება და თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები 2007-2017 წლების პერიოდში²

2007 წელს, როგორც დიაგრამიდან ჩანს, ხორბლის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 9% იყო, 2017 წელს კი 15%-მდე გაიზარდა. მართალია ხორბალს თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები გააჩნია, მაგრამ ზოგადად ხასიათდება ზრდადი ტენდენციით. აღნიშნულ პერიოდში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირებულია 2010 წელს (6%), აღნიშნული განაპირობა ადგილობრივი წარმოების 11%-ით შემცირებამ, აგრეთვე ექსპორტის გაზრდამ 125%-ით. თუ ერთმანეთს შევადარებთ 2016 და 2017 წლებს, დავინახავთ, რომ ხორბლის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2017 წელს 2016 წელთან შედარებით

² წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სასურსათო ბალანსები, http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=751&lang=geo

შემცირებულია 4%-ით. ამავე დროს ადგილობრივი წარმოება შემცირებულია დაახლოებით 23%-ით, იმპორტი გაზრდილია 9%-ით, ხოლო ექსპორტი - 200%-ით. მოცემულ პერიოდში ადგილობრივი წარმოების საშუალო აბსოლუტური მატება შეადგენდა დაახლოებით წელიწადში 2.55 ათას ტონას.

სიმიანდის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2007 წელს იყო 100%, 2017 წელს კი 64%-მდე შემცირდა. მისი თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2017 წელს 2016 წელთან შედარებით შემცირებულია 15%-ით. ამავე დროს, ადგილობრივი წარმოება შემცირებულია დაახლოებით 41%-ით, იმპორტი გაზრდილია 14%-ით, ხოლო ექსპორტი შემცირებულია 100 %-ით. მოცემულ პერიოდში ადგილობრივი წარმოების საშუალო აბსოლუტური მატება შეადგენდა დაახლოებით წელიწადში (-6.72) ათას ტონას.

კარტოფილის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2007 წელს იყო 81%, 2017 წელს კი 109%-მდე გაიზარდა. მისი თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2017 წელს 2016 წელთან შედარებით გაზრდილია 17%-ით. ამავე დროს ადგილობრივი წარმოება შემცირებულია დაახლოებით 28%-ით, იმპორტი შემცირებულია 43%-ით, ხოლო ექსპორტი - 73%-ით. მოცემულ პერიოდში ადგილობრივი წარმოების საშუალო აბსოლუტური მატება შეადგენდა დაახლოებით წელიწადში 1 ათას ტონას.

ბოსტნეულის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2007 წელს 75% იყო, 2017 წელს კი 65%-მდე შემცირდა. მისი თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2017 წელს 2016 წელთან შედარებით გაზრდილია 1%-ით. ამავე დროს ადგილობრივი წარმოება შემცირებულია დაახლოებით 11%-ით, იმპორტი გაზრდილია 7%-ით, ხოლო ექსპორტი - 55%-ით. მოცემულ პერიოდში ადგილობრივი წარმოების საშუალო აბსოლუტური მატება შეადგენდა დაახლოებით წელიწადში (-4.9) ათას ტონას.

ყურძნის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2007 წელს 108% იყო, 2017 წელს კი 183%-მდე გაიზარდა. მისი თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2017 წელს 2016 წელთან შედარებით შემცირებულია 33%-ით. ამავე დროს ადგილობრივი წარმოება გაზრდილია დაახლოებით 14%-ით, იმპორტი არის უცვლელი, ხოლო ექსპორტი გაზრდილია 54%-ით. მოცემულ პერიოდში ადგილობრივი წარმოების საშუალო აბსოლუტური მატება შეადგენდა დაახლოებით წელიწადში 1.72 ათას ტონას.

ხორცის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2007 წელს 58% იყო, 2017 წელს კი 46%-მდე შემცირდა. მისი თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2017 წელს 2016 წელთან შედარებით შემცირებულია 2-ით. ამავე დროს ადგილობრივი წარმოება შემცირებულია ძალიან მცირედით, მხოლოდ 0,15%, იმპორტი გაზრდილია 5%-ით, ხოლო ექსპორტი შემცირებულია 19%-ით. მოცემულ პერიოდში ადგილობრივი წარმოების საშუალო აბსოლუტური მატება შეადგენდა დაახლოებით წელიწადში (-1.55) ათას ტონას.

რძისა და რძის პროდუქტების თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2007 წელს 89% იყო, 2017 წელს კი 82%-მდე შემცირდა. მისი თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2017 წელს 2016 წელთან შედარებით არ შეცვლილა და რჩება 82%-ის ნიშნულზე. თუმცა, ამავე დროს, ადგილობრივი წარმოება შემცირებულია დაახლოებით 2%-ით, იმპორტი შემცირებულია 2%-ით, ხოლო ექსპორტი გაზრდილია 33%-ით. მოცემულ პერიოდში ადგილობრივი წარმოების საშუალო აბსოლუტური მატება შეადგენდა დაახლოებით წელიწადში (-7.1) ათას ტონას.







კვერცხის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2007 წელს 100% იყო, 2017 წელს კი 98%-მდე შემცირდა. მისი თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 2017 წელს 2016 წელთან შედარებით შემცირებულია 2%-ით. ამავე დროს ადგილობრივი წარმოება


გაზრდილია დაახლოებით 2%-ით, იმპორტი გაზრდილია 275%-ით, ხოლო ექსპორტი შემცირებულია 25 %-ით. მოცემულ პერიოდში ადგილობრივი წარმოების საშუალო აბსოლუტური მატება შეადგენდა დაახლოებით წელიწადში 31.9 მლნ ცალს.

თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ძირითადად იმეორებს ადგილობრივი წარმოების ტენდენციას. სხვა სიტყვებით, როდესაც იზრდება ადგილობრივი წარმოება, იზრდება თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტიც. თუმცა, არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც, როდესაც ადგილობრივ წარმოებაზე მეტად სხვა ფაქტორი ახდენს გავლენას (უარყოფითს ან დადებითს) თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტზე. მაგალითად, 2011 წელს კარტოფილის მაჩვენებლები, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი წარმოება წინა წელთან შედარებით გაიზარდა დაახლოებით 20%-ით, მისი თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი შემცირდა 18%-ით. ეს განაპირობა იმპორტის მაჩვენებლის ფანტასტიკურად წარმოუდგენელმა ზრდამ (წინა წელთან შედარებით გაიზარდა 25-ჯერ). 2013 წელს სიმინდის შემთხვევაში ადგილობრივი წარმოება წინა წელთან შედარებით გაიზარდა დაახლოებით 36%-ით, მაგრამ მისი თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი შემცირდა 4%-ით, ამაში დიდი წვლილი შეიტანა ექსპორტის 74%-ით და იმპორტის 143%-ით ზრდამ (ადგილობრივი წარმოებისა და ექსპორტის ეფექტმა ვერ შეძლო გადაეფარა იმპორტის უარყოფითი ეფექტი). 2015 წელს ყურძნის ადგილობრივი წარმოების 30%-ით ზრდის მიუხედავად წინა წელთან შედარებით, მისი თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი შემცირდა 44%-ით. ეს განაპირობა ექსპორტის 41%-ით შემცირებამ წინა წელთან შედარებით (იმპორტის უცვლელობის პირობებში ადგილობრივი წარმოების ზრდამ ვერ გადაფარა ექსპორტის შემცირებით გამოწვეული უარყოფითი ეფექტი). 2011 წელს ბოსტნულის ადგილობრივი წარმოების 6%-ით ზრდის მიუხედავად წინა წელთან შედარებით, მისი თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი შემცირდა 4-ით. ეს განაპირობა ექსპორტის 50%-ით შემცირებამ წინა წელთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ აგროსასურსათო პროდუქტების ადგილობრივ წარმოებაზე მოქმედებს ისეთი მაჩვენებლები, როგორებიცაა სასოფლო-სამეურნეო კულტურების საშემოდგომო და საგაზაფხულო ნათესი ფართობები, მოსავლიანობა. ასევე, პირუტყვისა და ფრინველის სულადობა. ამასთან, წარმოების მაჩვენებელზე მოქმედებენ სხვა გარე ფაქტორებიც. მაგალითად, ამინდის ცვალებადობა, სტიქიური უბედურებები და ა.შ.

2007-2017 წლებში ექსპორტ-იმპორტის დინამიკა მოცემულია დიაგრამაზე 2. დიაგრამებიდან კარგად ჩანს, რომ უმეტეს შემთხვევაში იმპორტი ექსპორტს ბევრად აჭარბებს, გამონაკლისია ყურძენი და ბოლო წელს კარტოფილის მაჩვენებლები. ამ უკანასკნელის ექსპორტი 2017 წელს იმპორტს 1.7-ჯერ აღემატება. შემაჯამებელი მონაცემები წარმოდგენილია 1-ლ ცხრილში.





დიაგრამა 2. ძირითადი აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი და იმპორტი 2007-2017 წლების პერიოდში³

ცხრილი 1

სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორები 2017 წელს და პროცენტული ცვლილება 2016 წელთან შედარებით⁴

	ადგილობრივი წარმოება		იმპორტი		ექსპორტი		თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი	
ხორბალი	98	-23%	603	+9%	48	+200%	15%	-4%
სიმინდი	143	-41%	80	+14%	0	-100%	64%	-15%
კარტოფილი	180	-28%	21	-43%	36	-73%	109%	+17%
ბოსტნეული	126	-11%	84	-7%	17	+55%	65%	+1%
ყურძენი	181	+14%	1	0%	83	+54%	183%	33%
ხორცი	66.2	+0.15%	88.3	+4.7%	10.5	-19%	46%	-2%
რძე და რძის პროდუქტები	528	-2%	121	-2%	4	+33%	82%	0%
კვერცხი	600	+1.7%	15	275%	3	-25%	98	-2%

მართალია, სასურსათო დაუცველობა საქართველოში არასახარბიელოა, მაგრამ ეს იმასაც ნიშნავს, რომ წარმოების გაუმჯობესების პოტენციალიც მაღალია [ჯეოველ რისერჩი, 2017: 6]. სასურსათო უსაფრთხოების და კვების სტატუსის კვლევაში [2017: 22] ასევე აღნიშნულია, რომ კავკასიის რეგიონში ადგილობრივი წარმოების მნიშვნელობა სასურსათო უსაფრთხოებისათვის აშკარაა, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი დამოკიდებულია საკუთარ ნატურალურ მეურნეობაზე. ამის შედეგად, რეგიონში ბევრი მწარმოებლისათვის საკუთარი პროდუქტიულობა და წარმოების სანდოობა პირდაპირ განაპირობებს მათ მიერ მოხმარებული საკვების რაოდენობას. ამიტომ მათი სასურსათო უსაფრთხოება პირდაპირ მიზმულია მათი საკუთარი სურსათის წარმოებაზე.

³ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სასურსათო ბალანსები, http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=751&lang=geo

⁴ გაანგარიშებულია ავტორის მიერ.

მდგომარეობას აუარესებს ის ფაქტიც, რომ ეს სასოფლო-სამეურნეო წარმოება მათთვის შემოსავლის ერთადერთი წყაროა. 2017 წლის მონაცემებით, სოფლის მეურნეობაში (სოფლის მეურნეობა, ნადირობა და მეტყვეობა, თევზჭერა, მეთევზეობა) დასაქმებულია სამუშაო ძალის 43%. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული საშუალო თვიური შემოსავლები, გაანგარიშებული ერთ შინამეურნეობაზე, 2017 წლის მონაცემებით 48.8 ლარია, შინამეურნეობათა ფულად შემოსავლებში მხოლოდ და მხოლოდ 4.7% უკავია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეობები სუსტადაა განვითარებული და დღეს ქვეყანაში მოსახლეობის უმსხვილესი დამსაქმებელი დარგია დაბალშემოსავლიანი სოფლის მეურნეობა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნების ანგარიში (2018) იძლევა ფორმულირებას, რომ მდგრადობის მისაღწევად აუცილებელია ეკონომიკური ზრდის ამაღლება და იგი პირდაპირაა დაკავშირებული სასურსათო უსაფრთხოების მიღწევასთან, საკვების გაუმჯობესება და სიცოცხლისუნარიან სოფლის მეურნეობასთან. სასოფლო-სამეურნეო მდგრადობის მიღწევა შეიძლება ფერმერულ მეურნეობებში ტექნიკის გამოყენებისა და განხორციელების გზით, რაც ხელს შეუწყობს კულტურების წარმოების გაზრდას მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ამავე დროს ის ხელს შეუწყობს გარემოსა და მისი ბუნებრივი წყაროების დაცვას [Naveen Kumar Arora, 2018].

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადასაჭრელად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის საწარმოო პოტენციალის (რესურსული პოტენციალის ათვისებისა და ეფექტიანად გამოყენების საშუალებით) ინვესტიციების მოცულობის გაზრდას აგრარულ სექტორში, ასევე ყურადღება უნდა მიექცეს სათანადო სოციალურ-ეკონომიკურ გარემოებებსაც.

დასკვნა

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდა სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესებას ნიშნავს. საქართველოში აგროსასურსათო პროდუქციის დაბალი მაჩვენებელი იმაზე მეტყველებს, რომ მის გასაუმჯობესებლად დიდი პოტენციალი არსებობს. წარმოების გაზრდა სიღარიბის აღმოფხვრასა და სხვა სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. თუმცა, ადგილობრივი მაღალპროდუქტიულობის მიჩნევა სასურსათო უსაფრთხოების ძლიერ ინდიკატორად მაინც არ არის სარწმუნო. როგორც ანალიზიდან დავინახეთ, თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტზე გავლენას სხვა ფაქტორებიც ახდენენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი ს. 2010. სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკა და რეგულირება საქართველოში, ინტერნეტ-რესურსი ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.ibsu.edu.ge/Upload/Menu_items/Doctorate-Defence/salome%20asatiani/abstract_salome_asatiani_geo.pdf
2. ახალაძე, შალამბერიძე. 2014. სასურსათო უსაფრთხოების შეფასების საკითხები ინტერნეტ-რესურსი ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://atsu.edu.ge/EJournal/BLSS2015/eJournal/Papers/Business/AkhaladzeZeinab.pdf>
3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. 2017. სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობა, ტენდენციები ციფრებში.
4. ჯეოველ რისერჩი. 2017. სასურსათო უსაფრთხოების და კვების სტატუსის კვლევა, ბრიჯ-ინოვაცია და განვითარება.

5. Colin Sage. 2018. Food Security, Revised and updated version to appear in the next edition of The International Encyclopaedia of Geography. 2019 [D. Richardson, N. Castree, M. Goodchild, A. Kobayashi, W. Liu, R. Marston (eds.)]. John Wiley & Sons, Ltd., New York.
6. Kharashvili E., 2017. Challenges for sustainable food security in Georgia, XV EAAE Congress in Parma: Towards Sustainable Agri-Food Systems: Balancing between Markets and Society
7. Naveen Kumar Arora. 2018. Agricultural sustainability and food security, Society for Environmental Sustainability 2018
8. World Development Report. 2008. "Agriculture for Development," International Bank for Reconstruction and Development/The World Bank, Washington, DC.
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge

Nino Talikadze

**IMPACT OF LOCAL PRODUCTION ON FOOD INDEPENDENCE:
TRENDS AND MODERN CHALLENGES
Summary**

Food security is a guarantee that there is an enough volume of food in the country, for healthy life.

In order to evaluate food security in Georgia were analyzed self-sufficiency ratios of the Agricultural products witch are strategic importance in 2007-2017 period. It is concluded that these self-sufficiency ratios are generally low in the country. Also, were analyzed it's components: local production, import, export in dynamics. As a result the role of local production was revealed in providing food independence. Self-sufficiency ratios mainly refers to the trend of local production. In other words, when the local production increases, self-sufficiency ratios also, increas. However, there are exceptions.

Focusing on the agricultural production means improving food safety. The low level of agro products in Georgia indicates that there is a great potential for its improvement. Increasing production will contribute to the elimination of the poverty and will improve other food safety indicators.

*თეონა ყუმბულაშვილი
ნინო ჯავახიშვილი*

**საქართველოს საგადასახადო სისტემის
განვითარების ზოგიერთი ასპექტი**

ანოტაცია ნაშრომში განხილულია გადასახადების წარმოშობა და შემდგომი მისი განვითარების ეტაპები საქართველოში; აგრეთვე, საგადასახადო სისტემის დახვეწისთვის განკუთვნილი სტრატეგიები; კერძოდ, „ესტონური მოდელის“ დანერგვასთან თანმხლები დადებითი და უარყოფითი ფაქტორები, რომლებიც, საბოლოო ჯამში, დიდი გავლენა ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე და ამავდროულად, როგორია მცირე და საშუალო ბიზნესის მზაობა ამ რეფორმის მისაღებად და პრაქტიკაში გამოსაყენებლად.

საკვანძო სიტყვები: ესტონური მოდელი; რეინვესტირება; მოგების გადასახადი.

შესავალი

გადასახადები თავისი ფესვებით საუკუნეების სიღრმიდან მოდის, გადასახადები შემოიღეს, როგორც კი მასზე საზოგადოებრივი მოთხოვნილებები გაჩნდა. გადასახადები თავდაპირველად საგანგებო შემთხვევებში იკრიბებოდა, ხოლო შემდგომ

აუცილებელი გახდა ფულადი საშუალების სისტემატიურად მიღება სახელმწიფოს ჯარისა და მუდმივად მზარდი ჩინოვნიკური აპარატის, ხოლო რაც შეეხება საგადასახადო სისტემას იგი შედარებით გვიან ჩამოყალიბდა, მაშინ როდესაც წარმოიშვა სახელმწიფო და ფორმირდება სახელმწიფოს განვითარების პარალელურად. საქართველოს საგადასახადო სისტემას საფუძველი მისი სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების პროცესშივე ჩაეყარა. მთავარი ამოცანა იყო, რომ მას უზრუნველყო სახელმწიფოს კუთვნილი შემოსავლების მობილიზება სახელმწიფოს მიერვე განსაზღვრული ხარჯების დასაფარავად. საქართველოს თანამედროვე საგადასახადო სისტემა ძირითადად 1991-1992 წლების მიჯნაზე, ქვეყნებში მიმდინარე კარდინალური ეკონომიკური გარდაქმნებისა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში ჩამოყალიბდა. რეალური საგადასახადო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების გამოცდილების უქონლობამ, კანონმდებლობის შემუშავებისათვის არსებულმა შემჭიდროებულმა ვადებმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა კრიზისმა ქვეყანაში, უშუალო ზეგავლენა მოახდინა მის ჩამოყალიბებაზე.

გადასახადი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, არის საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებში სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი, რომელსაც გადასახადის გადამხდელი იხდის.

საქართველოს საგადასახადო სისტემა წლების განმავლობაში იცვლებოდა. არსებული გადასახადების რაოდენობა 21-დან 6-მდე შემცირდა. საიდანაც 5 სახელმწიფო გადასახადია, ხოლო 1 ადგილობრივი. საერთო სახელმწიფოებრივ გადასახადს მიეკუთვნება: საშემოსავლო გადასახადი; მოგების გადასახადი; დამატებული ღირებულების გადასახადი; აქციზი; იმპორტის გადასახადი. ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება ქონების გადასახადი.

საქართველო ბიზნესის კეთების თვალსაზრისით მსოფლიოში მეცხრე ადგილზეა, ხოლო გადასახადების სიმცირის მიხედვით კი - მეოთხეზე, ამ მონაცემების მიხედვით ის შეიძლება ბიზნესის კეთების მხრივ მიმზიდველ ქვეყანად მივიჩნიოთ.

* * *

2017 წლის 1 იანვრიდან საგადასახადო კოდექსში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა, ზოგი მათგანი უკვე ამოქმედდა, ზოგი კი წლის განმავლობაში ამოქმედდება. ცვლილებები შეეხო შემდეგ გადასახადებს:

- გაიზარდა აქციზის გადასახადი თამბაქოს პროდუქციაზე. მაგალითად, ერთი კოლოფი ფილტრიანი სიგარეტის, ასევე, ერთი სიგარის აქციზი გაიზარდა 60 თეთრით, ერთი კოლოფი უფილტრო სიგარეტის აქციზი-30 თეთრით.

- გაიზარდა აქციზის გადასახადი ნავთობპროდუქტებზე. მაგალითად, 1000 მ³ გათხევადებული ბუნებრივი აირის აქციზი 80 ლარის ნაცვლას 200 ლარი გახდა, ერთი ტონა ბენზინის აქციზი 250 ლარიდან 500 ლარამდე გაიზარდა, ერთი ტონა დიზელის საწვავავის - 150 ლარიდან 400 ლარამდე, ხოლო ერთი ტონა ძრავით ზეთი - 400 ლარიდან 800 ლარამდე ავიდა.

- აგრეთვე გაიზარდა მოსაკრებლების ოდენობა სათამაშო ბიზნესზე.

- თუ 2016 წელს თქვენი ოჯახის წლიურმა შემოსავალმა 40 000 ლარიდან 100 000 ლარამდე შეადგინა და ამავე დროს გექნებათ ავტომობილი, 2017 წლის 1 ნოემბრამდე მოუწიათ მისი დეკლარირება და ავტომობილებზე ქონების გადასახადის გადახდა მისი ღირებულების 0.05-დან 0.2 პროცენტის ოდენობით. თუ თქვენი ოჯახის წლიური შემოსავალი აღემატება 100 000 ლარს, გადასახადი იქნება 0.8-დან 1 პროცენტამდე.

- თუ მეწარმე ნებისმიერი ფორმით იზიდავს ფულად სახსრებს 20-ზე მეტი ფიზიკური პირისგან, მაშინ თითოეული ფიზიკური პირისაგან მოზიდული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს 100 000 ლარზე ნაკლები. აღნიშნული მოქმედება არ ვრცელდება კომერციულ ბანკებზე, საკრედიტო კავშირებზე, საბროკერო კომპანიებსა და ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებაზე.

არ შეგვიძლია არ ვახსენოთ მოგების გადასახადთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა საგადასახადო კოდექსში, რომელიც გულისხმობს „ესტონური მოდელის“ შემოტანას.

„ესტონური მოდელი“ არის მოგების გადავადებული გადასახადი, რომელიც იძლევა საშუალებას, გვეკონდეს საუკეთესო საინვესტიციო გარემო. ეს საშუალებას იძლევა, დამატებითი ნახევარი მილიარდი დოლარი დარჩეს ბიზნესში. შეიძლება ის გამოყენებული იყოს, როგორც შიდა ინვესტრებისთვის, ასევე შეიძლება უცხოელმა ინვესტორებმა გამოიყენონ, ვისაც ჩადებული აქვს უცხოური ინვესტიციები.

საქართველოს საგადასახადო სისტემაში ესტონური მოდელის გამოყენება ხელს შეუწყობს როგორც ახალი ინვესტიციების მოზიდვას ქვეყანაში, ასევე შიდა ინვესტიციების წახალისებას.

მიღებული მოგების რეინვესტირების შემთხვევაში ბიზნესი მოგების გადასახადისგან გათავისუფლდება. ეს შეღავათი არ გავრცელდება ზოგიერთ ბიზნესსაქმიანობაზე. მაგალითად, ტოტალიზატორის მოწყობაზე, ხოლო საფინანსო სექტორი ამ პრივილეგიით მხოლოდ 2019 წლიდან ისარგებლებს.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, თუ რა სარგებელს მოუტანს ბიზნესს მოგების გადასახადისგან გათავისუფლება, რა ხარვეზები აქვს და რა დაბრკოლებებთან არის დაკავშირებული მისი ამუშავება, ასევე რამდენად მომზადებული შეხვდნენ ამ ცვლილებას ბიზნესის წარმომადგენლები.

ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ USAID-ის პროექტის “მმართველობა განვითარებისთვის” (G4G) გრანტის ფარგლებში 2015 წლის შემოდგომაზე განახორციელა ესტონური მოდელის საქართველოში დანერგვის რეგულირების გავლენის შეფასება (RIA), რომლის საბოლოო პრეზენტაცია 2015 წლის დეკემბრის თვეში მოხდა. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ავტორებმა შეაფასეს ესტონური მოდელის ამოქმედების პოტენციური ეკონომიკური ეფექტები.

მოცემული ანალიზი აჩვენებს ერთჯერად ეფექტს, რომელიც დადგება მოდელის დანერგვიდან 1,5 წლის შემდგომ. შეფასების მიხედვით რეფორმას ექნება დადებითი ეფექტი ინვესტიციებზე. სააქციო კაპიტალი გაიზრდება 3,23%-ით, რაც ნიშნავს რომ ეკონომიკური აგენტები განახორციელებენ მეტ ინვესტიციებს. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზრდება დაახლოებით 1,44%-ით. მთლიანი კერძო მოხმარება გაიზრდება დაახლოებით 0,85%-ით. რეფორმის შედეგად გაიზრდება ბიუჯეტის დეფიციტი არაუმეტეს 3%-ისა. გარდა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე დადებითი გავლენისა, მოდელის დანერგვას თან ახლავს საკანონმდებლო თუ სხვა ტიპის რისკები. ეს რისკები ძირითადად დაკავშირებულია ორმაგ დაბეგვრასა და მოდელის სხვა ხარვეზებთან. შემოთავაზებული მოდელი მხოლოდ ესტონურ გამოცდილებას ეფუძნება და გაამართლებს თუ არა იგი საქართველოში გარკვეული რისკის ქვეშ დგას, რადგან მოდელის დანერგვასთან დაკავშირებული გამოწვევების და რეფორმის შემდგომი მდგომარეობის შეფასება ხდება მხოლოდ ერთი ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინებით ესტონეთში მოგების გადასახადის რეფორმა 2000 წელს განხორციელდა და წლების განმავლობაში გაგრძელდა. მოგების გადასახადის რეფორმის შემდგომ აქტივების ლიკვიდურობა გაიზარდა განსაკუთრებით მცირე ზომის

ფირმებისათვის, ინვესტიციებიდან უკუგება გაიზარდა 17%-ით, მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობა (TFP) - 8%-ით და რეზერვებისა და გაუნაწილებელი მოგების წილი მთლიან კაპიტალში გაიზარდა - 8.1%-ით.

როგორც ვხედავთ, ესტონეთში მოგების გადასახადის რეფორმამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და ფირმების მდგომარეობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს და ესტონეთის შემთხვევაში რეფორმის გავლენის მასშტაბები განსხვავებულია. რეფორმის ეფექტი ესტონეთში იყო უფრო მაღალი, ვიდრე ველოდებით საქართველოში, რაც შესაძლოა აიხსნას 2000 წლამდე ესტონეთში არსებული საგადასახადო წნებით, რომლის შერბილებამ უდიდესი შესაძლებლობები მისცა ესტონურ კომპანიებს, მოეხდინათ მოგების რეინვესტირება. გარდა ამისა, რეფორმის გაზრდილი ეფექტი დიდწილად განაპირობა ბიუროკრატიული ხარჯების მნიშვნელოვანმა შემცირებამ. ჩვენთან კი საგადასახადო სისტემა უფრო ლიბერალურია დღეს ვიდრე ეს იყო ესტონეთში 2000 წელს, რაც ნიშნავს იმას, რომ რეფორმის სასტარტო პოზიცია ჩვენთან არის უკეთესი და, შესაბამისად, ესტონეთთან შედარებით ნაკლებ ეფექტს მივიღებთ რეფორმის შედეგად.

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის, თუ რა ტიპის კომპანიებზე ვრცელდება ესტონური მოდელი. ესტონური მოდელი საქართველოში არ შემოდის ისე, თუ არ გაუქმდა წინა მოდელი. არიან სუბიექტები, რომლებზეც ძველი მოდელი კვლავ რჩება ძალაში, ესენია ინდემწარმეები, ორგანიზაციები, არაკომერციული იურიდიული პირები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები. ისეთი სუბიექტების მიმართ, როგორცაა მიკრომწარმე, მცირემწარმე, ფიქსირებული გადასახადის მქონე სუბიექტები, ესტონური მოდელი არ იმოქმედებს, რადგან მათ აქვთ გარკვეული შეღავათები, მაგალითად, მიკრომწარმეები საერთოდ არ იხდიან მოგების გადასახადს.

ამ რეფორმის შედეგად აუცილებელი გახდა ყოველთვიური დეკლარაციის ჩაბარება, რაც საკმაოდ შრომატევადი იქნება პატარა კომპანიებისთვის რადგან, ერთი დეკლარაციის ნაცვლად მოუწევთ 12 დეკლარაციის წარდგენა. აქედან გამომდინარე, პატარა კომპანიებს მოუწევთ ბუღალტრის დაქირავება, რომელსაც უფრო მეტი საქმე დაეკისრება. ისედაც შეზღუდული ხარჯების პირობებში მათ მეტი თანხის გამოყოფა მოუწევთ კვალიფიციური ბუღალტრისთვის.

საინტერესო საკითხია რამდენად მომზადებული შეხვდა მოდელს მცირე და საშუალო ბიზნესი და მთავრობას ჰქონდა თუ არა მჭიდრო კომუნიკაცია ბიზნესის წარმომადგენლებთან, ვიდრე განხორციელებდა საკანონმდებლო ცვლილებებს, რაც გამოხატავს მთავრობის ბიზნესთან კომუნიკაციის პრობლემას.

ზემოთ აღნიშნული ინფორმაციიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საგადასახადო სისტემა განავითარა ბოლო წლებში ამ სიტუაციაში შემუშავებულმა ცვლილებებმა. მართალია, განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში, კერძოდ, არსებული 22 გადასახადისგან დღესდღეობით მოქმედებს, მხოლოდ 6, მაგრამ იგი არ არის საკმარისი და აუცილებელია მისი კიდევ უფრო დახვეწა. აგრეთვე, ესტონური მოდელის დანერგვა დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია ეკონომიკის სტიმულირების მიმართულებით. ფაქტია, რომ მოდელი განსაკუთრებით მიმზიდველია სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მოგების გადასახადის რეფორმით მიღებული ეფექტები ესტონეთში გაცილებით თვალშისაცემია ვიდრე ეს იქნება საქართველოში, რაც აიხსნება ქვეყნებს შორის საგადასახადო გარემოს განსხვავებიდან გამომდინარე. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ესტონური მოდელის დანერგვით მიღებული ეფექტები საქართველოში უამრავ ფაქტორზე დამოკიდებული

და გარკვეულ დაშვებებს ეფუძნება. როგორც ეკონომისტები და ბიზნესის წარმომადგენლები აფასებენ, მნიშვნელოვან დადებით შედეგებს მოდელი საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში გამოიღებს, იქამდე კი მთვარობამ შესამჩნევად არ უნდა გაზარდოს ადმინისტრაციული ხარჯები და ამგვარად იზრუნოს საბიუჯეტო დეფიციტის შევსებაზე და არა გაზრდილი აქციზის გადასახადებით, რომლის ცვლილებაც სპონტანურად, ბიზნესთან კომუნიკაციის გარეშე განხორციელდა. მეორე უმთავრესი საკითხი არის ხარვეზები მოდელში და ბიზნესის მხრიდან მზაობა. მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს შესაძლოა გაუმარტივდეთ დეკლარაციის შევსების პროცედურები, თუმცა თვისებრივად ახალ მოდელზე გადასვლა მათი მხრიდან დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული და სანამ კომპანიის ფინანსური მენეჯერები გაერკვევიან ახალ სისტემაში, გარკვეული ადაპტაციის პერიოდია საჭირო. როგორც ირკვევა, მოდელის დანერგვა სირთულეებთან არის დაკავშირებული და მნიშვნელოვანია მთავრობის სწორი კომუნიკაცია ბიზნესის წარმომადგენლებთან. ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილება, რასაც მთავრობა გეგმავს, რომ განხორციელოს უნდა იყოს თანხვედრაში ბიზნესსუბიექტების ინტერესებთან და უნდა მიიღებოდეს ბიზნესთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნული რეფორმის გატარება დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე, იგი დააჩქარებს ეკონომიკურ ზრდას ქვეყანაში, უფრო მეტად იქნება ხელმისაწვდომი კომპანიებისთვის ფინანსური რესურსები, კერძოდ კი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის, აგრეთვე მოსალოდნელია, რომ გაიზარდოს ეკონომიკაში პროდუქტიულობა, ბიზნესს მიეცემა საშუალება, უფრო მეტად განვითარდეს, ჩამოყალიბდება მიმზიდველი კლიმატი ბიზნესის დაწყებისა და წარმოების კუთხით, რომელიც გამოიწვევს ინვესტორების დაინტერესებას, გაიზარდება სამუშაო ადგილები და, რაც მთავარია, საგადასახადო აღრიცხვა და ადმინისტრირება გამარტივდება. გარდა ზემოთ ნახსენები დადებითი ფაქტორებისა, მოსალოდნელია რისკფაქტორებიც, რომელიც გულისხმობს მოკლევადიან პერიოდში ბიუჯეტში გარკვეული შემოსავლების დაკარგვას, თუმცა უფრო მეტად მნიშვნელოვანია ის სარგებელი, რომელსაც ეკონომიკა მიიღებს აღნიშნული რეფორმის შედეგად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოში აქციზის გადასახადის რეფორმის როლი ბიუჯეტის ზრდის საკითხებში და პრობლემები“, ხალიანა ჩიტაძე, 2018.
2. <http://www.doingbusiness.org/rankings>
3. <http://versia.ge/index.php>
4. <http://eugeorgia.info/ka/article/545/estonuri-modelis-gamowvevebi---gavlana-mcire-dasashualo-biznesze/>

*Teona Yumbulashvili
Nino Javakhishvili*

SOME ASPECTS OF DEVELOPMENT OF GEORGIA'S TAX SYSTEM

Summary

The origin of taxes has an ancient history, and the tax system was later established. As for the tax system of Georgia, it has changed for years. In particular, the number of taxes in Georgia decreased from 21 to 6. From January 1 of 2017, there have been several significant changes in the Tax Code.

It is important to make changes to profit tax in the Tax Code. Which implies the introduction of the "Estonian Model", a similar model allows us to have the best investment environment.

It should be taken into consideration the fact that the benefits of business exemption from income taxes, what are the shortcomings, and what obstacles are related to this reform. How well the business representatives will be prepared for this reform.

As with all the "Estonian model" has positive and negative sides. Such a reform will positively affect the economy of the country, accelerate economic growth, more financial resources available to companies, It is expected to increase the productivity of the economy, the business will have the opportunity to develop more and more attractive climate to start and operate the business, working place will be increased and most importantly tax registration and administration will be simplified.

Except for the positive factors mentioned by us, certain risks are expected, In particular, in the short term, certain revenues will be lost in the budget, but more important is the benefits that the economy will receive as a result of this reform

Besides the positive impact on macroeconomic indicators, the introduction of the model is accompanied by legislative or other risks

The proposed model is based only on Estonian experience and whether it will justify some risk in Georgia, Because the challenges and reforms of the model implementation are evaluated by taking into consideration the experience of one country.

It is noteworthy that in the case of Georgia and Estonia the scope of the impact of the reform is different. The effect of the reform in Estonia was higher than in Georgia, which could be explained by 2000 as a tax system in Estonia, The ease with which the Estonian companies have been able to reinvest profit. In Georgia, the tax system is already liberal, which means that the starting position of the reform is better with us and consequently less effect on Estonia than the result of the reform.

Establishment of a well-arranged and well-regarded tax system in the country is a guarantee of the formation of the country's economy and income.

ეთერ შევერდაშვილი

შოთა ტოტიკაშვილი

ლოგისტიკის როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში

ანოტაცია ნაშრომში ვრცლად მიმოხილულია ლოგისტიკური სისტემის მდგომარეობა და სამომავლო განვითარების პერსპექტივები საქართველოში. ხაზგასმულია საქართველოს გეოგრაფიული პოტენციალი და ამ პოტენციალის სათანადო გამოყენების გზები, რათა ქვეყანამ რეგიონში დაიმკვიდროს სათანადო ადგილი და იქცეს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ მთავარ საშუალებად. ვრცლადაა მოცემული ლოგისტიკური სისტემის პრობლემები და მისი გადაჭრის სტრატეგიები.

საკვანძო სიტყვები: ლოგისტიკა; გეოპოლიტიკა; ინტერმოდულური; ინფრასტრუქტურა; ტექნოლოგიები.

შესავალი

ლოგისტიკის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების და დარგის ჩამოყალიბება გასულ საუკუნეში დაიწყო. მისი როლი და მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც. იზრდება ლოგისტიკური სისტემის დატვირთვა და ხდება მისი ოპტიმიზაცია, რათა ნაკლები დანახარჯებით გავიდნენ

მაქსიმალურ შედეგზე. ამ კუთხით დიდი პოტენციალი გააჩნია საქართველოს, ამას განაპირობებს მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა.

* * *

ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, საქართველოს გააჩნია პოტენციალი, კავკასიისა და ცენტრალური აზიის მთავარ ლოგისტიკურ ჰაზად იქცეს. ქართული ეკონომიკის განვითარებისთვის ლოგისტიკას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, შესაბამისად, ეფექტური სატრანსპორტო და ლოგისტიკური სისტემის შექმნა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი და აუცილებელი ფაქტორია.

ლოგისტიკა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მისი წილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 12 პროცენტს შეადგენს. ლოგისტიკის სექტორის განვითარება განაპირობებს საქართველოს ინტეგრაციას გლობალურ ლოგისტიკურ ქსელში და მის ეფექტურ დაკავშირებას მსოფლიოს წამყვან ბაზრებთან. ლოგისტიკა რეგიონებისა და კომპანიების კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს მათ გლობალურ ბაზარზე წარმატებულ პოზიციონირებაზე. განვითარებული ლოგისტიკა განაპირობებს მაღალი ხარისხის სერვისს, იაფი და ეფექტური მიწოდების ქსელს, რაც კონკურენტუნარიანობის ამაღლების აუცილებელი პირობაა როგორც მთლიანად საქართველოს, ასევე ქვეყანაში მოქმედი წარმოებებისთვის.

საქართველოს, გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობიდან გამომდინარე გააჩნია რეალური შანსი, გაატაროს და გადაამუშაოს დამატებითი ტვირთების ნაკადი, რაც განაპირობებს შემოსავლების ზრდას და გაუმჯობესებულ პირობებს წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებისთვის. ლოგისტიკის განვითარება საქართველოში წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის აღორძინების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. ინტერმოდელური ლოგისტიკური სისტემის ჩამოყალიბება და ლოგისტიკური ნოუ-ჰოუს მოზიდვა არის საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა, რომლის შესრულება იძლევა საშუალებას, საქართველო გახდეს გლობალური ლოგისტიკური ქსელის ნაწილი და მოიზიდოს გლობალური ეკონომიკის უდიდესი ბაზრის მოთამაშეები.

ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარება თავის მხრივ უმნიშვნელოვანესია საქართველოს ყველაზე პერსპექტიული დარგების აღორძინებისთვის, როგორცაა სოფლის მეურნეობა, წარმოება, ვაჭრობა და ტურიზმი. მაგალითად, საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტის დაახლოებით 50 პროცენტი ღპობას განიცდის, რაც განპირობებულია შესაბამისი სასაწყობო ინფრასტრუქტურის არარსებობითა და ამ მიმართულებით ტექნოლოგიური ჩამორჩენით. თანამედროვე სოფლის მეურნეობის მიწოდების ჯაჭვის ფასწარმოქმნის 70-80 პროცენტს ლოგისტიკა წარმოადგენს. მისი ეფექტური მართვაა სწორედ სოფლის მეურნეობის პროდუქტის ერთ-ერთი უმთავრესი ხარისხის განმსაზღვრელი ნიშანი საერთაშორისო ბაზარზე. გარდა სოფლის მეურნეობისა, ლოგისტიკა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებისთვის ჩვენს ქვეყანაში. ლოგისტიკური პროცესების გაუმჯობესება ამ დარგში მოღვაწე კომპანიებისთვის ერთ-ერთი მთავარი პირობაა მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრებისთვის.

მსოფლიო ბანკი ორ წელიწადში ერთხელ აქვეყნებს ლოგისტიკის ინდექსს. აღნიშნული კვლევა ეფუძნება ლოგისტიკის სფეროში მოღვაწე კომპანიების მიერ

შევსებულ კითხვარებს. შეფასება 5 ბალიან სკალაზე (1 ქულა არის ძალიან ცუდი, ხოლო 5 ქულა – ძალიან კარგი) ექვსი ძირითადი ინდიკატორის მიხედვით ხდება:

1. საბაჟო პროცედურებისა და საზღვრის მართვის ეფექტურობა;
2. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხარისხი;
3. კონკურენტუნარიანი საერთაშორისო გადაზიდვების წარმოების შესაძლებლობა;
4. ლოგისტიკური მომსახურებების შესაძლებლობები და ხარისხი;
5. ტვირთის თრექინგის შესაძლებლობა;
6. ტვირთის განრიგის მიხედვით დანიშნულების ადგილამდე დროულად მიწოდება.

ამ მონაცემების საფუძველზე საქართველო მსოფლიო რეიტინგში 160 ქვეყანას შორის 2.44 ქულით 119-ე ადგილს იკავებს. გასულ წელთან შედარებით, ქვეყანამ პოზიცია 11 ადგილით გაიუმჯობესა. გაუმჯობესება შეინიშნება თითქმის ყველა კომპონენტში: საბაჟო (2.42 ქულა), ინფრასტრუქტურა (2.38 ქულა), საერთაშორისო გადაზიდვები (2.38 ქულა), ლოგისტიკური შესაძლებლობები (2.26 ქულა), დრო (2.95 ქულა).

თავდაცვის სამინისტრომ 2018 წელი უწყებაში ლოგისტიკის წლად გამოაცხადა. რეფორმის მიზანია შეიარაღებული ძალების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეცენტრალიზება, ავტონომიურობა, მობილურობა და შეიარაღებული ძალების ლოგისტიკური უზრუნველყოფის მართვისა და კონტროლის გამარტივება. თითოეული ქვედანაყოფის ხარჯებისა და რესურსების მოდელირების მიზნით დაინერგება ავტომატიზებული სისტემები, რაც უწყებას რესურსების უკეთ მართვის შესაძლებლობას მისცემს.

უნდა აღინიშნოს რომ, დღეს საქართველოს ლოგისტიკის ბაზარი მეტად ფრაგმენტულია. მის უმნიშვნელოვანეს ნაწილს ექსპედიტორული კომპანიები წარმოადგენენ, რომელთაც ხშირ შემთხვევაში არ გააჩნიათ საკუთარი სატრანსპორტო საშუალება და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა. ტვირთმფლობელებს, ექსპედიტორებსა და გადამზიდავებს შორის კოორდინირების დეფიციტია, რაც განაპირობებს არაოპტიმალურ მიწოდების ქსელს, მაღალ ფასებს და ტვირთის გადაზიდვის მაღალ ხანგრძლივობას.

დღესდღეობით, ადგილობრივ ბაზარზე თითქმის არ არსებობს კვალიფიციური ლოგისტიკური ოპერატორები, რომლებსაც კომპლექსური ლოგისტიკური სერვისის წარმოება შეუძლიათ. ქართული მწარმოებლები და მსხვილი დისტრიბუტორები ძირითადად თავისი ძალებით ცდილობენ გადაწყვიტონ ლოგისტიკური პრობლემები. მოცულობის სიმცირისა და მაღალი ფიქსირებული დანახარჯების გამო მათი ლოგისტიკური ხარჯები ძალიან მაღალია.

ქართული ლოგისტიკური ბაზრის განვითარების ერთ-ერთ ხელის შემშლელ პირობას სასაწყობო მეურნეობების დაბალი დონე და არასაკმარისი რაოდენობა წარმოადგენს. დღეს საქართველოს ლოგისტიკურ ბაზარზე არ არსებობს A კლასის სასაწყობო მეურნეობა, არსებული B და C კლასის საწყობები ძირითადად საბჭოური სტილისა და სტრუქტურის ინფრასტრუქტურას წარმოადგენს.

დღეს კონკურენცია არა მარტო კომპანიებსა თუ ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის მიმდინარეობს, არამედ რეგიონები და სატრანსპორტო დერეფნები ეპაექრებიან ერთმანეთს. კონკურენტუნარიანობის ამადლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს სწორედ განვითარებული სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა განაპირობებს. საქართველო, მისი ხელსაყრელი ლოგისტიკური ადგილმდებარეობის

მეშვეობით, წარმოადგენს კავკასიისა და ცენტრალური აზიის ბუნებრივ ლოგისტიკურ ჰაბს. თუმცა განუვითარებელი ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო სისტემის დაბალი კონკურენტუნარიანობა მას არ აძლევს საშუალებას, გამოიყენოს აღნიშნული პოტენციალი. არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მას არ გააჩნია ქსელური ეფექტი. ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობების დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის დეფიციტის გამო არ ხდება სინერგიების ათვისება სატრანსპორტო გადაზიდვებსა და ლოგისტიკაში. საჭიროა სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის სისტემური განვითარება, რაც კონკურენტუნარიანს გახდის საქართველოზე გამავალ სატრანსპორტო კორიდორს და ქვეყანას ეფექტური სატრანსპორტო დერეფნის იმიჯს შესძენს.

საქართველოს სჭირდება ლოგისტიკური ნოუ-ჰოუ. დღეს უკვე აშკარა ხდება ის მოთხოვნები, რომლებსაც უცხოელი მომწოდებლები და მწარმოებლები უყენებენ წარმატებულ ქართულ სავაჭრო და საწარმოო კომპანიებს. მოთხოვნები მოიცავს ლოგისტიკური ინფრასტრუქტურისა და ლოგისტიკური პროცესების მართვის დასავლურ სტანდარტებთან მიახლოების აუცილებლობას. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს ლოგისტიკის ასოციაცია გახდა აშშ-ს ორგანიზაცია Supply Chain Council (SCC)-ის წარმომადგენელი საქართველოში და დაიწყო მიწოდების ჯაჭვის საერთაშორისო სტანდარტების SCOR® (Supply Chain Operations Reference)-ის დანერგვა საქართველოში მოქმედ კომპანიებში.

საქართველოს ლოგისტიკის ასოციაცია (GLA) 2011 წელს დაარსდა და წარმოადგენს არაკომერციულ ორგანიზაციას ლოგისტიკური, სატრანსპორტო და მიწოდების ჯაჭვის მართვის სფეროში. მისი წევრები არიან სატრანსპორტო/ლოგისტიკის და მიწოდების ჯაჭვის სფეროებში ჩართული საერთაშორისო და ადგილობრივი კომპანიები. 2013 წლის ბოლოდან GLA აშშ-ს ორგანიზაცია Supply Chain Council-ის (SCC) წარმომადგენელია საქართველოში, რომლის ძირითადი მიზანია საქართველოში მოღვაწე კომპანიებში ლოგისტიკისა და მიწოდების ჯაჭვის პროცესების ეფექტიანობის ამაღლება საერთაშორისო სტანდარტების დანერგვით და მსოფლიოში არსებული მოწინავე გამოცდილების გაზიარებით.

დასკვნა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლოგისტიკის როლი და მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება საქართველოში. ქვეყანას, მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, გააჩნია რეალური შანსი, იქცეს კავკასიისა და ცენტრალური აზიის ლოგისტიკურ ჰაბად. ის უდიდესი პოტენციალი, რასაც ქვეყანას აძლევს მისი გეოგრაფიული მდებარეობა, გაგმოიყენება ნაწილობრივ, პრობლემები შეინიშნება ლოგისტიკის რამდენიმე მიმართულებით, რომელთა გადაჭრისთვისაც ხდება მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება. ხორციელდება ბაზრის კვლევები და პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყნის კიდევ უფრო დატვირთვას ლოგისტიკური სისტემის კუთხით. შემუშავებული სტრატეგიების პრაქტიკაში განხორციელება ქვეყანას მისცემს გაუმჯობესებულ ლოგისტიკურ ჯაჭვს, რაც, საბოლოო ჯამში, დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე და ხელს შეუწყობს მის აღორძინებას.

რამდენიმე ძირითადი რეკომენდაცია ლოგისტიკური სისტემის განვითარებისთვის:

- საქართველოში ტრანსპორტისა და ლოგისტიკის გრძელვადიანი სახელმწიფო სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომლის უმთავრესი მიზანი იქნება საქართველოს, როგორც

ხელსაყრელი ლოგისტიკური ადგილმდებარეობის მქონეს, კონკურენტუნარიანობის ზრდა და მისი გლობალურ ლოგისტიკურ ქსელში ინტეგრაცია.

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სისტემური განვითარება, რომელიც გულისხმობს ეფექტური ინტერმოდალური ინფრასტრუქტურის შექმნას, რაც სატრანსპორტო სისტემას ქსელურ ეფექტს შესძენს და გაზრდის მისი ეფექტურობის ხარისხს.

- სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობით უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვა ინტერმოდალურ და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარებაში სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობის (Public Private Partnership) მოდელის გამოყენებით.

- ტრანსპორტსა და ვაჭრობაში სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, რაც ხელს შეუწყობს ვაჭრობის გამარტივებას და უცხოური ინვესტიციების შემოდინებას.

- სატრანსპორტო გადამზიდავებს, ლოგისტიკურ კომპანიებსა და ინფრასტრუქტურის ოპერატორებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გარდმავება და ახალი პარტნიორობის მოდელების ჩამოყალიბება.

- ლოგისტიკასა და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტში მოწინავე აკადემიური პროგრამების განვითარება და ლოგისტიკაში უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა ადგილობრივ კომპანიებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://www.interpressnews.ge/ka/article/274690-logistikis-rol-i-kartuli-ekonomikis-ganvitarebashi>.
2. <https://mod.gov.ge/ge/news/read/6364/2018-weli-logistikis-wlad-gamocxadda>.
3. <http://www.bm.ge/ka/article/irani-saqartvelos-portebshi-logistikuri-centrebis-ganvitarebas-stavazobs/19236>;

*Eter Sheverdashvili
Shota Totikashvili*

THE ROLE OF LOGISTICS IN THE DEVELOPMENT OF THE GEORGIAN ECONOMY

Summary

The paper reviews the role of logistics in the development of the Georgian economy. Georgia has a favorable geographical location, hence it can become the main logistic hub of the Caucasus and Central Asia. Logistic development is an important issue for the revival the national economy of Georgia. Logistics share is 12% of the country's GDP (Gross Domestic Product). However, it is noteworthy that logistics infrastructure is weak. This opinion is about the fact that about 50% of agricultural products are experiencing a downturn, Which is due to lack of warehousing infrastructure and technological backwardness.

